N40 (539) 7/X-13/X-2010
ფასი 1 ლარი

# გზა

63
1168
2010

ქართული პროზის საგანძური

## ტომი №32
## უიარაღო

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
დემნა შენგელაია



„ანუკი აივანთან მიმღეროდა“...

...ვასო ჩემი ფავორიტია“...

დაწუნებული სასიძოების სია და გიჟური განტვირთვა

რატომ უარყო მოსკოველმა მომღერალმა რუსული ესტრადა

დიანა ლაბაძე: „ქართული ფესვები მაქვს“...

მანდილოსანთა დუელი



საყვარლების გამო შეშლილი ქალების შერკინება



ექსმინისტრის დაკარგული ქონება და მამა გაბრიელის მიერ აღსრულებული სასწაული



იოსელიანების დრამატული ცხოვრების გზა

„პოლიტიკური პატიმარი თავს ქურდად ასაღებდა“...



ნატო გელაშვილი მეზობლებს ველარ ენდობა

ISSN 1987-5029

ვის გამო დაუპირისპირდა ქობულეთელი ბიზნესმენი ასლან აბაშიძეს

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE

**ირინა ონაშვილი:**



„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".

**ლელა მებურიშვილი:**



„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".

**რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000**
**აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222**
**ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915**
**პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143**

www.britishcentre.ge




განახლებული რესტორანი თეთრი სახლი

გეპატიჟებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.

- გამორჩეული ქართულ - ევროპული სამზარეულო
- სასიამოვნო და კომფორტული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება – დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა



ღიაა ყოველდღე
11:00 –სთ-დან.

მალე

რესტორნის მეორე სართულზე
გაიხსნება საბავშვო და თინეიჯერული
სადღესასწაულო ცენტრი

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ:.479567, 893907733, 899104344

№40 (539)
7 - 13 ოქტომბერი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5

დაკა დოლი, სააკაშვილი დაიჭირეს!..

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ პოლიტიკა 7

■ სამართალი 10

■ რეპორტაჟი 12

■ თაობა 14

■ მისია 15

■ ტანდემი 18

■ ეკრანს მიღმა 20

რით მოხიბლა სალომე ფაღავამ რეჟისორები

■ ფსიქოპორტრეტი 22

ნათია მიქიაშვილი: „მამაკაცს ცრემლებს არასოდეს დავანახვებ"

■ ვარსკვლავები 24

■ ბედისწერა 27

წლების შემდეგ ნაპოვნი და-ძმა

■ ჩემი ცხოვრების გზა 29

იოსელიანების დრამატული ცხოვრება

■ დრონი 33

უინსტონ ჩერჩილი

■ ოსტატი 36

■ ავტო 38

■ ეს სამყაროა 40

■ საკითხავი ქალებისათვის 42

■ ადგილი ცხოვრებაში 44

ექსმინისტრის ფერების გამა, სიზმრებში ნანახი სოხუმი და მამა გაბრიელის შეუფასებელი პორტრეტი

## ქვეყანა



## დღესასწაული ჩოხში

„შევჩივლე, — დედა მყავს ძალიან ცუდად და ეს მტკივა-მეთქი... ჩემი ტკივილი გაიზიარა, გული აუჩუყდა; მერე თავისი მოთხრობების წიგნი გამომიტანა და მითხრა, — როცა დედის სევდა შემოგაწვება, „ანგელოზთლამეობა" წაიკითხეო, — თან ჩემს დასამშვიდებლად, „ადამიანთა სევდის" დასასრული წამიკითხა"...

7

## სახე



## „მამაკაცს ცრემლებს არასდროს დავანახვებ"

„მამაკაც რესპონდენტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად სიმპათიით არიან განწყობილნი მანდილოსნის მიმართ, ხშირ შემთხვევაში ერიდებათ უარის თქმა, უხეში ფორმით მომართვა".

18

## ცხოვრება

## იოსელიანების დრამატული ცხოვრება



„ჩემს ცხოვრებაზე საუბარი არ მიყვარს, რადგან ლალი და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, მძიმე წლები გამოვიარე".

26

## გზავნილები

## „ეჭვიანი ადამიანი ავადმყოფია..."



„უნდა, რომ მის გარდა არავისკენ გავიხედო, ოჯახის წევრებისა და ნათესავების ჩათვლით. დაშორება გადავწყვიტე, მაგრამ თავის მოკვლა სცადა. დედამისმა დამირეკა და შემევედრა, — შვილს ნუ მომიკლავო. რა ვქნა?"

76

**ისტორიის ლაბირინთები** 46
გენუელთა კოლონიები
საქართველოს ზღვისპირეთში

**ტაძარი** 49
მაცხოვრის აკვნის ფიცარზე დაწერილი
დედაღვთისას ხატი

**ჯანმრთელობა** 51

**კოლორიტი** 57
ვის გამო დაუპირისპირდა ქობულეთელი
ბიზნესმენი ასლან აბაშიძეს

**თინეიჯერული პონტები** 59
ეჭვი, ნარკომანია და ფრჩხილების კვნეტა

**წვეთი პოეზია** 62

**სახსოვარი** 63

**პროზა** 64
უიარაღო. მამელუკი

**ფანტასტიკური დეტექტივი** 66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ
მიცვალებულთან (გაგრძელება)

**რომანი** 70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა
თუ დანაშაული?! (გაგრძელება)

**საზრდო** 74
შეცდომა თუ მცდარი ვერსიის გასწორება

**გზავნილები** 76
უთანასწორო ქორწინება

**ყველა ერთისათვის** 80

**მობილი-ზაცია** 82

**მოზაიკა** 88

**გარემო** 90

**ერუდიტი** 92

**გასართობი** 94

**ასტროლოგია** 96

**სკანვორდი** 97

**საფირმო კროსვორდი** 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



### წილკნის ღვთისმშობლის ხატი

წილკნის ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი უძველესია, ქრისტიანულ ხატთაგან. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, იგი მაცხოვრის აკვნის ფიცარზე ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი.

36

## ადამიანი



### ვის გამო დაუპირისპირდა ქობულეთელი ბიზნესმენი ასლან აბაშიძეს

ქობულეთში დიდმაც და პატარამაც იცის, ვინ არის ჰასანა, მაგრამ გასაოცარი ის გახლავთ, რომ მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანები ანუ ისინიც იცნობენ, ვისაც ქობულეთში ერთხელ მაინც დაუსვენია.

54

## ბიბლუსი






— პოლიციას, ექიმს არ გამოუძახეთ?
— რომელი პოლიცია, შვილო, რისი ექიმი? ვერა ხედავ, სადა ვცხოვრობთ? ჩვენი გამკითხველი აქ მარტო მაღალი ღმერთია. ჰოდა, საწყალი ნუცა და ლალიკოც იმან წაიყვანა. ჩვენ კიდევ როგორც შეგვეძლო, პატივი ისე ვეცით და მიწას მივაბარეთ.

62

## ტაიმ-აუტი



### ნატო გელაშვილის „ედემის ბაღი“ და მისი პრანჭია გოგოები

„მიმაჩნია, რომ ოთახის მცენარეები ადამიანებივით არიან: ესმით, მოქმედებენ, სტკივათ... ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემი განწყობილება გადასდებიათ.“

86



# დაკა დოლი, სააკაშვილი დაიჭირეს!..

**შესავლის ნაცვლად** კიდევ ერთხელ, უკვე ველარ დავთვალე მერამდენედ, აფრთოვანებას ვერ ვფარავ საკუთარი წინასწარმეტყველების უნარისა და შორსმჭვრეტელობის გამო! აბა, გაიხსენე, საყვარელო მკითხველო, ჯერ კიდევ როდის ვთქვი, — ესენი მალე ცეკვას სავალდებულო საგნად შემოიღებენ საჯარო სკოლებში-მეთქი?!, ბატონო — ჩვენმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი ადრე ნათქვამი ხუმრობა (მაგარი „შუტკა“ რომ გამოუვა, მერე ხშირად იმეორებს ხოლმე) — კაცმა თავის ქორწილში მაინც უნდა შეძლოს ცეკვაო, — ოღონდ ამჯერად ამ „ხუმრობას“ საქმე მოაყოლა: მე და შაშკინმა წუხელ ვისაუბრეთ (პრეზიდენტს და მინისტრს რომ მეტი სალაპარაკო არ ექნებათ...) და გადაწყდა — საქართველოს სკოლებში ქართული (ხაზს ვუსვამ — ქართული) ცეკვა სავალდებულო საგანი იქნებაო!!!

ჰოდა, დაკა დოლი, შაშკინ — გამოუცეკვე, ვერონიკა — გაჰყეეეე...

ა, ჰო — სათაური, სააკაშვილი დაიჭირეს-მეთქი; ნუ გეშინიათ, აბსურდული გადაწყვეტილებების მიღებისათვის ჩვენში არავის იჭერენ, მით უმეტეს — პრეზიდენტს. სამაგიეროდ, პრეზიდენტის ნათესაობაც კი არ იხსნის ადამიანს დაპატიმრებისაგან, ისეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორიც პროვოკატორობაა! (ვაი, მე!!!) ხოლო, თუ უბრალოდ მოგვარეა და არა ნათესავი, მაშინ ხომ, საერთოდ შანსი არა აქვს... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთი პატიოსანი კახელი გლეხი, გვარად სააკაშვილი, მისულა თავისი რაიონის გამგებელთან და უთქვამს:



— რო დაგვპირდი, ყურძენ ყველა ქარხანა ჩაიბარებს და თუ არ ჩაიბარებს, მოდით და რაც გინდათ, ის მაგინეთო, აგე, „ბადაგონის“ ქარხანამ უარი მითხრა ყურძნი მიღებაზე, ხოდა — შენი დედაც ტუ-ტუ-ტუუუუ...

სტაცეს ხელი ამ საწყალ სააკაშვილს, მიუსაჯეს ხუთდღიანი პატიმრობა პროვოკატორობისთვის(!) და ჩასვეს ხაროში... ვენაცვალე ჯიგარში (ჩამსმელს კი არა, იმ სააკაშვილს; როცა გამოვა, უნდა მოვძებნო და მაგასთან ერთად დავლიო!)

ხუთი დღე დიდი არაფერია და ის კაციც, იმედია, საღსალამათი დაუბრუნდება სახლ-კარსა და ვენახს, მაგრამ მე ჩემი გამჭირვებია — ამათ თუ ესე დაიწყეს ხალხის ციხეში ჩაყრა პროვოკატორობისთვის, მე რა მეშველება?!.

ისე, კაცმა რომ თქვას, რას იგინები, რო იგინები?! ის კაცი, პრეზიდენტმა რომ წაიყვანა ჯიპით და ყურძენიც წაალებინა ქარხანაში, კახელი არ იყო?.. მერე?.. იგინებოდა?!. იგინებოდა კი არა, დატკბა და დაიშაქრა: მთელი კახეთის სახელითაო, ათასი მადლობა თქვენაო, ბოდიში, შამეშალა, ათასი კი არა, მილიონი მადლობაო...

ეგრე არ ჯობს?! მიეფერე, შეაქე, ხომ იცი, როგორ უყვარს?! სამაგიეროდ, მოგემსახურება, გზაში ანეკდოტებსაც მოგიყვება, მართალია, გოიმურს, მაგრამ მაინც...

ვაჰ, მე რა ვქნა, მე?! პროვოკატორობისთვის — „კუტუზკაში“ ჯდომაო! არადა, მიეფერე კარგია — კაცი ამბობს, საქართველოს ყველა სკოლაში ცეკვა უნდა ისწავლებოდესო, მათ შორის — აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ სკოლებშიცო!!! მიდი და ამის მერე მიეფერე და მოითმინე, რომ არაფერი წამოგცდეს...

ჰმ, შალიკო ნათელაშვილმა სამშაბათს საერთაშორისო სასამართლოს აახლა სქელტანიანი დოკუმენტი — პრეზიდენტის დანაშაულებათა ნუსხა, და მისი დაპატიმრება მოითხოვა. ოღონდ არ უთქვამს, დაპატიმრების ოპერაცია ვინ უნდა ჩაატაროს — ის საერთაშორისო ძალები უნდა ჩამოვიდნენ აქ, ეს რომ იქ წავა, მაშინ უნდა სტაცონ ხელი, თუ სულაც, ჩვენმა ვანომ უნდა შეიპყროს... ყოველ შემთხვევაში, უნდა მივიდე შალვასთან, იქნებ რამეში გამოვადგე და იქით დავასწრო, თორემ მე პროვოკატორობის მეტი, სხვა „პროფესია“ არ გამაჩნია და ეგ კიდევ პროვოკატორების დაჭერას იწყებს...

მართლა, კიდევ ვისზე ითქვა, პროვოკატორიაო, იცით (სახელს არ ვიტყვი და, ერთი ძალიან საყვარელი და ძალიან ნეიტრალური ტელევიზია რომ არის, იქ ბრძანეს)? ბერლუსკონიზე! ეტყობა, მაგასაც დაჭერას უპირებენ ესენი!!!

არა, ბერლუსკონი რომ ბებერი ჩათლახია, ეგ ისედაც ყველამ იცის, მაგრამ აქამდე სად იყავით?! სანამ არ გამოაცხადა — მე ჩამოვხსენი ხიდან, თორემ უკვე ჩამომხრჩვალი ჰყავდათ რუსებსო, — მანამდე არ იცოდით, რა ხვითოც იყო?..

სამაგიეროდ, ახლა ლუკაშენკო დაგვიძმაკაცდა...

„დრონი მეფობენ...“

**P.S.** ხუმრობა იქით იყოს და, ნატოს გენერალური მდივანი გვსტუმრობდა ამ დღეებში — გამიხარდა, მეგონა, აღარ ვახსოვდით.

ვხსომებივართ კიდეც და რამდენჯერმე რომ გაუმეორეს ჩვენმა „დამოუკიდებელმა“ ჟურნალისტებმა ერთი და იგივე კითხვა, — ლისაბონის სამიტზე საქართველო ხომ იქნება მიწვეულიო? — უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და ბოლოს მაინც ათქმევინეს: „როგორ არა, მობრძანდით, აგერ „ტაბურეტკაზე“ დაბრძანდით... ახლავე, ჭიქას და თეფშსაც მოვატანინებ...“

მერე გაახსენდა, რომ ესენი სკოლაში პირველი კლასიდან სწავლობენ ცეკვას და გაუხარდა — კარგია, სუფრაზე ცეკვა-სიმღერის მცოდნე ხალხი რომ გყავს: დასვამ სადმე კუთხეში და შენ რომ უკვე კარგად იქნები, მიაწებებ შუბლზე 10-15-მილიონიან დახმარებას და — აბა, დაუარე, ბატონი ქეიფოოოოობს!..

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# იუშჩენკო ეკლესიის ფრესკაზე გამოსახეს



ლვოვის სიახლოვეს, სოფელ ვერენში, მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ბერძნულ კათოლიკურ ეკლესიაში ღვთისმშობლის ფრესკაზე უკრაინის ექსპრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, მისი მეუღლე კატერინა და უმცროსი ვაჟი გამოსახეს. ხატმწერი, ნიკოლაი გავრილოვი ამბობს, რომ ტაძრებში ეკლესიის დამაარსებელი საერო პირების გამოსახვა ძველ დროში მიღებული იყო და ამაში უცნაური არაფერია. „ვიქტორ იუშჩენკო, მეუღლითა და უმცროსი ვაჟითურთ, უკრაინულ ოჯახს განასახიერებს“, — განმარტა ტაძრის წინამძღვარმა ვასილი გოვგარმა. მისი თქმით, იუშჩენკო უკრაინის პრეზიდენტთაგან საუკეთესო იყო და თუ ვიქტორ იანუკოვიჩი მასავით კარგი ან უკეთესი პრეზიდენტი იქნება, ეკლესიის გუმბათზე ადგილი მისთვისაც გამოიძებნება.

# გერმანიის პრეზიდენტმა ისლამი ქვეყნის ნაწილად გამოაცხადა

„ეჭვგარეშეა, რომ ქრისტიანობა და იუდაიზმი — გერმანიის ნაწილია. ეს ჩვენი იუდეურ-ქრისტიანული ისტორიაა, მაგრამ ახლა გერმანიის ნაწილი ისლამიც გახდა“, — ეს განცხადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, კრისტიან ვულფმა ქალაქ ბრემენში, გერმანიის გაერთიანების 20 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ ცერემონიაზე გააკეთა. მან გერმანელ ხალხს ქვეყნის კონსტიტუციისა და ცხოვრების გერმანული წესის დაცვისკენ მოუწოდა, ისლამის მიმდევრებს კი მხარდაჭერა და თანაგძნობა აღუთქვა.



# ირანის პრეზიდენტი ამერიკელებს ისევ ემუქრება




„ადვილი შესაძლებელია, დაიმარხოთ თქვენც, თქვენი გეგმებიც და სხეულიც“, — ეს განცხადება მაჰმუდ აჰმადინეჯადმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ამერიკელმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ გალაშქრების იდეაზე საჯაროდ ისაუბრეს. აჰმადინეჯადს არც ევროპის მისამართით დაუშურებია შეურაცხმყოფელი სიტყვები და აღნიშნა, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდება.



# 45 წლის სუროგატმა დედამ მერვე ბავშვი გააჩინა

ბრიტანეთის მოქალაქემ, ჯილ ჰოკინსმა, რომელიც 19 წელია, სუროგატი დედაა, მერვე ბავშვი გააჩინა და გადაწყვიტა, თავის „კარიერას“ წერტილი დაუსვას. „ყველა მშობიარობა ადვილად გადავიტანე, სამშობიაროდან ბავშვის გაჩენიდან 2 საათში გამოვდიოდი, ახლა კი მთელი ორსულობის პერიოდში თავის ტკივილებისა და გულისრევის შეგრძნების გამო, ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. ჩემი, როგორც სუროგატი დედის, „კარიერა“ ამ ახალშობილის გაჩენით დასრულდა“, — დასძინა ჰოკინსმა. უნდა აღინიშნოს, რომ ის ასეთ განცხადებას ყოველი მშობიარობის შემდეგ აკეთებდა. ცნობილი გახდა ისიც, რომ მთელი 19 წლის განმავლობაში სუროგატი დედა გამუდმებით კლინიკურ დეპრესიაში იყო და თავის მოკვლაც არაერთხელ უცდია. ბრიტანეთში არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც ასეთ ადამიანებს, „დისკომფორტისთვის“, 20 ათას დოლარს უხდიან.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

# ქვეყანა

# ვინ გამოავლენს ლიდერს და ვინ არის მაგარი „ჩასაფრებაში“?

**„დაპირებული ცხელი შემოდგომის პირველი ნახევარი საკმაოდ გრილი აღმოჩნდა“ — აღნიშნავს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი. არადა, ოპოზიციის ლიდერები მთელი ზაფხულის განმავლობაში გვპირდებოდნენ, რომ შემოდგომიდან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდებოდა. ზოგიერთი მათგანი მუქარასაც არ ერიდებოდა და სააკაშვილს, მის გუნდთან ერთად, „პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლას“ უპირებდა. შემოდგომა დადგა, აგერ უკვე სექტემბერიც გაილია, აღნიშნული დანაპირები კი არა და არ სრულდება...**

*ხათუნა ბახტურიძე*

*ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ერთი ნაწილი, ხელისუფლების ნაცვლად, ისევ ოპოზიციას აკრიტიკებს და ამბობს, — ნაცვლად იმისა, სამთვიანი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ პოლიტიკოსებს ჩვენთვის რაიმე ღირებული და მნიშვნელოვანი შემოეთავაზებინათ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ და არარეალურ იდეებს გვიზიარებენო. არარეალურისა და ჩამოუყალიბებლის რა მოგახსენოთ, მაგრამ პარტიები ისეც ცალ-ცალკე რომ აპირებენ ქვეყანაში არსებული რთული სიტუაციის გამოსწორებას და ერთმანეთს ხან ცხადად და ხანაც ფარულად ძირს უთხრიან, ეს ფაქტია. 8 ოპოზიციურმა პარტიამ („ახალმა მემარჯვენეებმა“, „ეროვნულმა ფორუმმა“, „საქართველოს გზამ“, „კონსერვატორებმა“, „რესპუბლიკელებმა“, „ქრისტიან-დემოკრატებმა“, „ჩვენი საქართველო-თავისუფალმა დემოკრატებმა“ და „ხალხის პარტიამ“) საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ერთიანი ხედვა შეიმუშავა და ხელისუფლებას ამ წინადადებების ირგვლივ მოლაპარაკების დაწყებისკენ მოუწოდა; წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ (რომელშიც შედიან: „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“, საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“, ირაკლი ბათიაშვილი, გოგა ხაინდრავა, ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე) ფილარმონიის დარბაზში კონფერენცია გამართეს და მოწვეულ სტუმრებს სამომავლო მიზნები და ამოცანები გააცნეს. ლევან გაჩეჩილაძე, სოზარ სუბარი, კოკა გუნცაძე და ფონდ „2020“-ის დამფუძნებელი, ეროსი კიწმარიშვილი კი თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად, ახალი ოპოზიციური ძალის ფორმირებაზე საუბრობენ, თუმცა დეტალებს ჯერჯერობით არ ამზეურებენ. ყველა ამ ფაქტსა და საერთოდ, შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე სასაუბროდ, პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილს** შევხვდით.*

**— ბატონო სოსო, რას მიიჩნევთ „ცხელი“ შემოდგომის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?**

— ამ შემოდგომის პირველი ნახევარი მხოლოდ იმით თუ დამამახსოვრდება, რომ ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც თვალებში ნაცარი შეგვაყარეს.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენი ხელისუფლება იჩენს დაუოკებელ ლტოლვას იმისკენ, რომ რუსეთის ხელისულფებას მიჰბაძოს. შეიძლება ითქვას, რომ „ასლმა“ „დედანს“ აჯობა... ალბათ იცით, რომ ერთ-ერთ კონკურსზე ჩარლი ჩაპლინის




სიარულის მანერის მიმბაძველთა შორის, თავად ჩარლი ჩაპლინის „გავლას" მხოლოდ მეექვსე ადგილი ხვდა(!). ამ დღეში ვართ ჩვენც. საეჭვოდ კმაყოფილი ოპოზიცია თავისი „წარმატებით" გამოწვეულ სიამოვნებას ვერ ფარავს — თურმე ნუ იტყვით და, ახალი კონსტიტუციის



მიხედვით, პრეზიდენტი ვერ იქნება პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი. უკაცრავად, ბატონებო, მაგრამ კონსტიტუციის დანარჩენი შინაარსი თქვენთვის უცნობია?.. თუ ზუსტად რუსული მოდელი გინდათ?.. მედვედევი — არა, მაგრამ პრემიერ-მინისტრი პუტინი გახლავთ პოლიტიკური პარტიის ლიდერი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რუსეთის პრემიერ-მინისტრის მსგავსად, პოლიტიკური პარტიის ლიდერი იქნება. რა გამოდის? როდესაც მოქმედ პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადავსვამთ, სახსოვრად, „ნაციონალური მოძრაობის" სამუდამო თავკაცობას გადავცემთ. ეს არის წარმატება, ძვირფასო ოპოზიციონერებო?

**— 8 ოპოზიციური პარტიის ინიციატივასა და წარმომადგენლობითი სახალხო კრების მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე რას იტყვით? რამდენად რეალურია მათი გეგმები?**

— პირველი — 8 პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო გარემოს გასაკეთილშობილებლად შემუშავებული ხედვები და მეორეც — წარმომადგენლობითი სახალხო კრების მიერ მომზადებული ღონისძიება საკმაოდ საინტერესო და იმედისმომცემია. პირველ შემთხვევაში მე დავინახე საკმაოდ დიდი ენთუზიაზმი, მეორე შემთხვევაში კი აშკარა იყო გამობრწყინება ოპოზიციურ ძალთა იმ ინტელექტუალური პოტენციალისა, რომლის არსებობაში ალბათ არც არავის ეპარებოდა ეჭვი.

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით ოპოზიციასთან ითანამშრომლებს?**

— უარს ვერ იტყვის და ამ ცვლილებების დიდი ნაწილი შესაძლოა, განხორციელდეს კიდეც. იმიტომ, რომ ოპოზიცია ამ პროცესში მარტო არ მოქმედებს და საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ვფიქრობ, ხელისუფლებას გაუჭირდება, უარყოს ის ჭეშმარიტება, რომელიც ზედაპირზე დევს. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 8 პოლიტიკურმა პარტიამ 6 ინიციატივა წარმოადგინა. ეს მხოლოდ ნაწილია იმ ნაბიჯებისა, რომლებიც გადასადგმელია არჩევნების პროცესის დასახვეწად.

**— წარმომადგენლობითი სახალხო კრებისგან რას ელით?**

— წარმომადგენლობითი სახალხო კრების მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება იმაზე, დაუჭერს თუ არა მხარს რამდენიმე სერიოზული პოლიტიკური პარტია. თუ ეს არ მოხდება, კრების მიერ განხორციელებული ღონისძიებები შედეგს ვერ მოიტანს.

**— ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა სახალხო კრებასთან იმის გამო არ თანამშრომლობს, რომ მისი აზრით, ამ ჯგუფის ზურგს უკან ნინო ბურჯანაძე დგას და ის რუსული ფულით ფინანსდება.**

— მერწმუნეთ, ამ ორგანიზაციის უკან რუსული ფული რომ იყოს, ოპოზიციის ნაწილი სიამოვნებით დათანხმდებოდა თანამშრომლობას. ის ფაქტი, რომ ყველა ოპოზიციური პარტია განზეა გამდგარი და ამბობს, — არ ვიცით, რა მოხდება და იმიტომ არ ვმონაწილეობთ ამ ყველაფერშიო, — იმაზე მეტყველებს, რომ რუსული ფულის ამბავი ამ ხელისუფლების მიერ აგორებული ჭორია და სხვა არაფერი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებას სულაც არ ეთაკილება, თავად მიიღოს რუსული ფული, რომელიც ქვეყანაში პრივატიზაციის საფარქვეშ შემოდის ლეგალური თუ არალეგალური გზით. მართალია, წელს შემოდგომა ცხელი არ აღმოჩნდა, მაგრამ სახალხო წარმომადგენლობითი კრება და ის 8 პარტია, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ფუნდამეტურ პრინციპებზე შეთანხმდა, ამჯერად კრიტიკას ნამდვილად, არ იმსახურებს. ამას ვერ ვიტყვი „მრეწველებზე". როდესაც ისინი უარს ამბობენ სახალხო წარმომადგენლობითი კრების მიერ შეთავაზებულ ერთიან ქმედებებზე, აშკარად ჩანს, რომ მათ ამის უფლება არ მისცეს. ზოგადად, ამ პარტიას სპეციფიკური პრობლემა აქვს... ძალიან მაინტერესებს — თუ მამა საკუთარ შვილს ვერ არწმუნებს მის მიერ არჩეული გზის სიკეთეში, ამომრჩეველს როგორღა დაარწმუნებს?! „მრეწველთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერის საქმიანობას აშკარად ეტყობა საკუთარი შვილის გავლენა, რომელიც საკრებულოს უცვლელი წევრია.

**— ზურაბ ტყემალაძეს გულისხმობთ?**



— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მიმხვედრი მიხვდება.

**— „მრეწველების" გარდა, წარმომადგენლობითი სახალხო კრების ინიციატივებს არც ლეიბორისტები იზიარებენ.**

— ლეიბორისტებს, თანამშრომლობის საკითხთან დაკავშირებით, მუდმივი გასაჭირი აქვთ. ეს პარტია იმდენი ხანია ინარჩუნებს „პოლიტიკურ ქალწულობას" და თანაც ისეთი მონდომებით, რომ ვშიშობ, „გასათხოვარი" არ დაგვრჩეს...

**— როგორ გგონიათ — თუ ოპოზიციური პარ-**

**ტიები ცალ-ცალკე იბრძოლებენ ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაცვლელად, შედეგს მიაღწევენ?**

— თუ ოპოზიციური სპექტრის უპირველეს ამოცანად ისევ ნინო ბურჯანაძის „დაძირვა" იქნება, სასურველ შედეგს ვერასოდეს მიაღწევენ. დღეს ოპოზიციური პარტიები ერთსულოვნები მხოლოდ სახალხო კრების იდეების იგნორირებაში არიან. ერთია, გეშინოდეს რომელიმე პოლიტიკური ოპონენტის, ხოლო სულ სხვაა, უარი თქვა იმის დანახვაზე, რომ საკუთარი ელექტორატი მოხიბლულია სახალხო კრების იდეით, და მაინც უარს ამბობდე ხალხთან ურთიერთობაზე... ერთი სიტყვით, რაიმე განსაკუთრებულის იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ არც მთლად ყურების ჩამოყრა გვმართებს. აგერ, პარიზიდან, მიუნხენიდან თუ ჟენევიდან სათავეს იღებს პატარა წყარო, რომელიც ჯერ ნაკადულად გადაიქცევა, შემდეგ — ჩანჩქერად და მთელი ძალით „შემოხეთქავს" ჩვენს ქვეყანაში. აი, მაშინ კი საფიქრალიც მეტი გვექნება და გასაანალიზებელიც.

— **წყაროსა და ჩანჩქერში რას გულისხმობთ?**

— თავად გამოიცანით, რას და ვის უნდა ველოდეთ ჟენევიდან, მიუნხენიდან...

— **ოქრუაშვილსა და მის თანამოაზრეებს გულისხმობთ?**

— დიახ.

— **მართლა ფიქრობთ, რომ ისინი ქართველი ხალხის მხარდაჭერის მოპოვებასა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას შეძლებენ?**

— აბა, რა გითხრათ?.. ასეთ მოლოდინს აშკარად ქმნიან; ვნახოთ, რას იზამს დანარჩენი ოპოზიცია.

— **ოპოზიციამ ბურჯანაძეს თუ არ დაუჭირა მხარი, ოქრუაშვილს რატომღა მიანიჭებს უპირატესობას?**

— კონტაპრუწა ოპოზიციამ ასე თუ გააგრძელა, შეიძლება, ვერც კი გაიგოს, ისე მიემხროს მისი ელექტორატი უფრო აქტიურ პოლიტიკურ ძალებს. კაბინეტში მუშაობა აუცილებელია, მაგრამ ეს თუ დიდხანს გაგრძელდა, ოპოზიციურ სპექტრს მომავალ არჩევნებზე 3-4 სუბიექტი მაინც გამოაკლდება, უბრძოლველად დანებების გამო.

— **ეი. ოპოზიციაში უახლოეს მომავალში კონკრეტული ლიდერი გამოიკვეთება?**

— სხვაში თუ არაფერში, ჩვენი ოპოზიცია „ჩასაფრებაში" მაინც მაგარია, — ემანდ ვინმემ ჩემზე უკეთ არ იმღეროს!.. ამიტომ ოპოზიცია ლიდერს ვერ გამოავლენს. ეს ხალხმა უნდა გააკეთოს.

■

# პატიმრები და მათი უფლებები

## რას უქადის მსჯავრდადებულს ახალი კოდექსი

თეა ხურცილავა



საქართველოში სასჯელაღსრულების 17 დაწესებულება არსებობს და იქ თითქმის 20 ათასამდე პატიმარი იხდის სასჯელს. 1-ელი ოქტომბრიდან მათთვის ახალი კოდექსი ამოქმედდა და პატიმრებს ბევრი სიახლე ელით.

უკვე რამდენიმე თვეა, პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, ციხე მაქსიმუმ 5 დღით დატოვონ, ეს დრო ოჯახთან გაატარონ და მერე ისევ დაწესებულებას დაუბრუნდნენ. შვებულებაში გატარებული დღეები მათ სასჯელის მოხდაში ეთვლებათ.

დაწესებულების გარეთ გასვლის უფლება იმ მსჯავრდადებულს აქვს, საკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულს — სულ ცოტა, სამი მეოთხედი. ასეთ პატიმრებს წელიწადში ორჯერ, 5 დღით შეუძლიათ დაწესებულება დატოვონ.

არასრულწლოვნებს, აგრეთვე — ფეხმძიმე ან 3 წლამდე ასაკის ბავშვის დედებს წელიწადში 3-ჯერ მიეცემათ საპატიმროდან გასვლის უფლება. გირაოს მინიმალური თანხა 2.000 ლარს შეადგენს. თუ გარეთ გასული პატიმარი კარგად მოიქცევა და მოთხოვნებს არ დაარღვევს, 2 კვირის ვადაში გირაოს თანხა უკან დაუბრუნდება; მაგრამ თუ პატიმარმა არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა დაწესებულებაში დაბრუნებას ან ახალი დანაშაული ჩაიდინა, გირაო სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება. გირაოს გარდა, შესაძლებელია პირადი თავდებობის გამოყენებაც. თავდები რამდენიმე პირი უნდა იყოს, გამონაკლის შემთხვევაში — ერთი სანდო

**გირაოს მინიმალური თანხა 2.000 ლარს შეადგენს. თუ გარეთ გასული პატიმარი კარგად მოიქცევა და მოთხოვნებს არ დაარღვევს, 2 კვირის ვადაში გირაოს თანხა უკან დაუბრუნდება**

რომელსაც შინაგანაწესი არ დაურღვევია. ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული ამ პრივილეგიით მაშინ ისარგებლებს, თუ მას სასჯელის არანაკლებ ნახევარი აქვს მოხდილი; მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულს — სასჯელის ორი მესამედი, ხოლო გან-

ვაწარმოებთ კვერცხუჯრედისა და სპერმის დონორობის, ასევე სუროგატი დედობის მსურველთა რეგისტრაციას

დაინტერესებული პირები ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ტელეფონი: 855 41-10-06

ორშაბათი-პარასკევი (10:00-დან 17:00-მდე)

პირი. თითოეული თავდებ ხელწერილს დებს; მსჯავრდადებული თუ რამეს დაარღვევს, თითოეულს 10.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება.



მნიშვნელოვანია ასევე ელექტრომონიტორინგის სისტემის ამოქმედება. დამზადდება სამაჯურები, რომლებიც პატიმრებს ფეხზე დაუმაგრდება და ჯი-პი-ესის სისტემის საშუალებით, მის გადაადგილებას გააკონტროლებენ. სამაჯური ამავდროულად, ტელეფონის ფუნქციასაც შეასრულებს და შესაძლებელი იქნება, ნებისმიერ დროს დაურეკონ ან მესიჯი გაუგზავნონ. თუ პატიმარი ფეხიდან მოიხსნის სამაჯურს, მაშინვე განგაში ატყდება. აპარატი უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი დარჩება და ამით პატიმრის ღირსებაც არ შეილახება. მათ კონტროლს ოპერატორი განახორციელებს.

### იმ პატიმრებს, რომლებსაც ვადაზე ადრე გათავისუფლება უწევთ, შესაძლოა, საშუალება მიეცეთ, დარჩენილი სასჯელი მონასტერში გაატარონ

ამ სისტემის ამოქმედებამდე, პატიმრები გირაოს ან თავდებობის მექანიზმით ისარგებლებენ. მათ კი, ვისაც გირაოს გადახდის საშუალება არა აქვთ, შეუძლიათ, გირაოში საცხოვრებელი ბინა ჩადონ.

სერიოზული პრობლემები იქმნებოდა პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლების გამო. ძალიან ხშირი იყო კრიტიკაც, რადგან პატიმრების გათავისუფლება ფაქტობრივად, არ ხდებოდა. ახლა წესით, ეს სისტემა უნდა ამუშავდეს. სპეციალური კომისია განიხილავს და გადაწყვეტს — უნდა გაათავისუფლოს თუ არა პირი ვადაზე ადრე. საკითხის განხილვა მინისხდომაზე მოხდება და მასში პატიმარი და მისი ადვოკატიც მიიღებენ მონაწილეობას. პატიმარს უფლება აქვს, ციხის ადმინისტრაციის წინაშე საკუთარი უფლებები ადვოკატის მეშვეობით დაიცვას. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა პატიმრის ქცევას, პიროვნების დახასიათებასა და იმას, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი.

ვადაზე ადრე, პირობით გათავისუფლებულ მსჯავრდადებულს პრობაციის სამსახური გააკონტროლებს. უვადო პატიმრობისგან მსჯავრდადებული შეიძლება გათავისუფლდეს იმ შემთხვევაში, თუ მან 25 წელი მოიხადა. საბჭოს შესაძლებლობა ექნება, ასეთ პატიმარს მოუხდელი სასჯელის ნაწილი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეუცვალოს, ამასთან, ამ შრომის 2 დღე თავისუფლების აღკვეთის 1 დღის ტოლფასად ჩაითვლება.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს საპატრიარქო სამინისტროსთან თანამშრომლობს და იმ პატიმრებს, რომლებსაც ვადაზე ადრე გათავისუფლება უწევთ, შესაძლოა, საშუალება მიეცეთ, დარჩენილი სასჯელი მონასტერში გაატარონ.

არამკაცრი რეჟიმის საპყრობილეებში მყოფი პატიმრების გარდა, მსჯავრდადებულებს უფლება ეძლევათ, საკნებში საკუთარი რადიომიმღები, ტელევიზორი და კომპიუტერი იქონიონ. გარდა ამისა, არასრულწლოვანთა დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებულია, მსჯავრდადებულებს ზოგადი და პროფესიული განათლება მისცეს. ასეთი დაწესებულება, სადაც სასჯელს 17 წლამდე ასაკის მსჯავრდადებულები იხდიან, გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან; ახალი კანონით, პატიმრის პირადი განცხადებით ან დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელი იქნება, არასრულწლოვანი 20 წლის შესრულებამდე იმავე დაწესებულებაში დარჩეს; თუ ასეთი არასრულწლოვნის ვადამდე, პირობით გათავისუფლება არ იქნება შესაძლებელი, მაშინ მას შემდგომ, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანენ.

დღემდე მწვავედ დგას პაემნების საკითხი. ახალი კოდექსის მიხედვით, პატიმრებს გრძელვადიანი პაემნით სარგებლობის უფლებაც ექნებათ. მოქმედი კანონით, პატიმართან შეხვედრის უფლებაც შეზღუდული იყო; ახალი კანონით, იმ პირთა წრეც გაფართოვდა, რომლებთანაც პატიმარს შეხვედრა შეუძლია. მას წერილობითი თხოვნით, ხანმოკლე პაემნის უფლება თითქმის ყველა ნათესავთან აქვს — ამის შესახებ ადმინისტრაციას 5 დღით ადრე უნდა აცნობოს. მისივე თხოვნით, პაემანი შეიძლება, სატელეფონო საუბრით შეეცვალოს. ხანმოკლე პაემანი 1 საათით, ხოლო ხანგრძლივი — 2 დღე-ღამით განისაზღვრება.

მსჯავრდადებული მაქსიმუმ თვეში 4 ხანმოკლე პაემნით ისარგებლებს. რაც შეეხება ხანგრძლივ პაემანს — არასრულწლოვნებს შეეძლებათ, 2 დღე-ღამემდე გაატარონ ახლობელთან ერთად, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, ადმინისტრაცი-



ის დაუსწრებლად. მათ ყოველთვიურად 4 ხანმოკლე, 3 თვეში ერთხელ კი — 1 ხანგრძლივი პაემანი ეკუთვნით. წახალისების ფორმით, წელიწადში ერთი დამატებითი ხანგრძლივი პაემანიც შეიძლება დაუნიშნონ. ქალებსაც, არასრულწლოვნების მსგავსად, თვეში 3 ხანმოკლე, ხოლო 3 თვეში ერთხელ — ხანგრძლივი პაემნის უფლება აქვთ. პატიმრებს შეუძლიათ აგრეთვე, ჩვეულებრივი, მათ შორის — კონფიდენციალური საჩივრის დაწერა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო.



ახალი კანონით, პატიმარს გარეთ გასვლა ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაშიც მიეცემა. ეს ნორმა აქამდე მოქმედ კანონშიც იყო ჩაწერილი, მაგრამ მაშინ პატიმარი დაკრძალვაზე ბადრაგის თანხლებით მიდიოდა და იმ დღესვე უკან ბრუნდებოდა; ახლა მისი გასვლის ვადა 2 დღეს არ უნდა აღემატებოდეს, მასთან ერთად იქნება გამცილებელიც და ხარჯებს პატიმრის ოჯახი გადაიხდის.

პატიმრობის ახალ კანონში ჩამოთვლილია, პირობები, რომელიც სასჯელის მოხდისას უნდა ჰქონდეს ადამიანს. ერთ პატიმარზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში 2 კვმ-ია, დახურული ტიპის დაწესებულებაში — 2,5 კვმ, ქალთა დაწესებულებაში — 3 კვმ, არასრულწოვნებში — 3,5 კვმ, ხოლო სამკურნალო დაწესებულებაში — 3 კვმ. საცხოვრებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას უზრუნველყოფს. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებს (ქალებს — 60 წლიდან, მამაკაცებს — 65 წლიდან) სხვებთან შედარებით გაუმჯობესებული პირობები უნდა შეუქმნან. კვირაში ერთხელ მაინც, პატიმრებს შხაპის მიღების, ხოლო თვეში ერთხელ — საპარიკმახერო მომსახურების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

თუ პატიმარს ტანსაცმელი არა აქვს, ადმინისტრაცია ვალდებულია, სეზონის შესაფერისად უზრუნველყოს, თანაც ისეთი სამოსით, რომელიც მის ღირსებას არ შელახავს. პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლიც და თეთრეულიც. რაც შეეხება საკვებს: შეუზღუდავად უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი, ხოლო საკვები ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს უნდა შეიცავდეს. აკრძალულია დასჯის მიზნით დაქვეითებული კალორიულობის საკვების მიწოდება. პატიმარი დღეში სამჯერ უნდა იკვებებოდეს. გარდა ამისა, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში პატიმარს შეუძლია, დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთებიც შეიძინოს იმ თანხით, რომელიც საკუთარი შრომით გამოიმუშავა ან მის ანგარიშზე ჩარიცხეს.

ბრალდებულს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გაცნობის შესაძლებლობა აქვს. შეუძლია, საკუთარი სახსრებით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიეროპოპულარული, რელიგიური, მხატვრული ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები, მიიღოს საწერი საშუალებები.

კანონით, მხოლოდ ციხის ადმინისტრაციას ექნება უფლება, გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან სხვა სახის ტექნიკური კონტროლის საშუალებები.

მასმედიის წარმომადგენლებს წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შესვლა შეუძლიათ ადმინისტრაციის ან მისი ზემდგომი ორგანოების სპეციალური ნებართვის საფუძველზე. რაც შეეხება მსჯავრდადებულებთან ინტერვიუს ჩაწერას, ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი წერილობითი თანხმობით.

მსჯავრდადებულს შეუძლია მიიღოს და ნათესავებს გაუგზავნოს ფულადი გზავნილი. იმ შემთხვევაში, თუ ციხეში რაიმეს გააფუჭებს ან დააშავებს, მას მატერიალური პასუხისმგებლობა ან დისციპლინური სახდელი დაეკისრება. ამის გამო შეიძლება მისცენ: გაფრთხილება, საყვედური, შეუზღუდონ მუშაობის უფლება, შეუფერხონ ხელფასის გაცემა, შეუზღუდონ ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლება, 6 თვემდე ვადით გადაიყვანონ საკნის ტიპის სადგომში ან 20 დღემდე სამარტოო საკანში გამოკეტონ; არასრულწლოვნები ასეთ საკანში მხოლოდ 10 დღემდე შეიძლება მოათავსონ. თუ დისციპლინური სახდელის ვადის განმავლობაში პატიმარმა განმეორებით ჩაიდინა დარღვევა, მას შესაძლებელია, ადმინისტრაციული პატიმრობა დაეკისროს, მაქსიმუმ — 60 დღე-ღამით. ერთი წლის განმავლობაში შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 80 დღე-ღამეს. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ ორსულ ქალებსა და 14 წლამდე ასაკის მსჯავრდადებულებს.

კანონში არის აგრეთვე სპეციალური მუხლები, რომელიც პატიმრების დასაქმებას ეხება. იმ დაწესებულებაში, სადაც ისინი სასჯელს იხდიან, იმუშავებენ და ხელფასსაც მიიღებენ. დასაქმებულ მსჯავრდადებულებს ყოველწლიური, 15-დღიანი სამუშაო შვებულებაც ექნებათ; ქალებსა და არასრულწლოვნებს — 20-დღიანი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გადასახადებით დაბეგვრის შემდგომ, მსჯავრდადებულს თანხა პირად საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხება.

■



# „ანგელოზთლამეობის“ მადლი, დღესასწაული ჩოხში და ავტობუსში გაცნობილი პოეტები



ნათია ჟივიძე

მწერალი, პოეტი, რეჟისორი, სცენარისტი გოდერძი ჩოხელი მრავალი ადამიანისთვის საყვარელი შემოქმედი, ზოგისთვის კი — სათაყვანებელი და მისაბაძი პიროვნება გახლდათ. მისი სახელის ხსენებისას, უმალ ის შეხვედრა მახსენდება, რომელიც, როგორც ჟურნალისტს, ბატონ გოდერძისთან მის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მქონდა... ინტერვიუს ჩაწერისას, უამრავ თემაზე ვისაუბრეთ, მათ შორის, რასაკვირველია — ზოგადად, სულიერებაზეც. ერთ მომენტში, ცოტათი შეშფოთებულმა მითხრა, — შენი ასაკის გოგონასთვის ასეთ მძიმე თემებზე ფიქრი ნაადრევი ხომ არ არისო?.. შევჩივლე, — დედა მყავს ძალიან ცუდად და ეს მტკივა-მეთქი... ჩემი ტკივილი გაიზიარა, გული აუჩუყდა; მერე თავისი მოთხრობების წიგნი გამომიტანა და მითხრა, — როცა დედის სევდა შემოგაწვება, „ანგელოზთლამეობა“ წაიკითხეო, — თან ჩემს დასამშვიდებლად, „ადამიანთა სევდის“ დასასრული წამიკითხა:

„— რა არის სიცოცხლე?

— სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

— რა არის სიკვდილი?

— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“...

იმ დღის შემდეგ, „ანგელოზთლამეობა“ არაერთხელ წამიკითხავს. რასაკვირველია, სხვა მოთხრობებსაც დიდი გატაცებით ვკითხულობ და ვრძნობ — როცა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას ვეცნობი, სულ სხვა სამყაროში ვხვდები, გუდამაყრის ხეობაში დავბორიალებ, არაგვს გავყურებ...

აქამდე ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში ხდებოდა. და აი, როგორც იქნა, საშუალება მომეცა, ოცნება ამესრულებინა: 2 ოქტომბერი გოდერძი ჩოხელის დაბადების დღე გახლდათ; ამ დღის აღსანიშნავად კი სოფელ ჩოხში, ბატონი გოდერძის სკოლის წინ ჩოხობა გაიმართა...

თბილისიდან, მერიის მიერ გამოყოფილი ავტობუსებით, ჟურნალისტები, მომღერლები, მწერლები, პოეტები, რეჟისორები და უბრალოდ, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების თაყვანისმცემლები ჩოხში გავემგზავრეთ. ჩვენ შორის, ერთ-ერთი ჩოხელიც აღმოჩნდა, რომელსაც შმაგი ჰქვია. მითხრა, — გოდერძი ბიძად მეკუთვნოდა და ამით ძალიან ვამაყობო. მერე უამრავი საინტერესო რამ მიამბო. მაგალითად, ის, რომ ჩოხში, მთებს შორის, ხელისგულისოდენა მინდორია, სადაც ფუძის ანგელოზის სალოცავი დგას. ტრადიციის მიხედვით, ამ სალოცავში ქალებს შესვლა ეკრძალებათ;








მამაკაცები კი იქ მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე მიდიან. რასაკვირველია, სალოცავის ეზოში საქონელს სწირავენ; მთიელები შეწირულ საქონელს მარჯვენა მხარეს ჩამოაჭრიან, მერე ქვაბში ჩაყრიან და მოხარშავენ. საერთო ქვაბით მოხარშული ხორცი იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, ვისაც დღესასწაულზე საკლავი არ ჰყავთ... ჩოხელებს კიდევ ერთი საინტერესო ტრადიცია ჰქონიათ. მთიელები მარიამობის დღესასწაულს განსაკუთრებული სიყვარულითა და რწმენით აღნიშნავენ. სწორედ ამ დღეს, ახალშობილ ჩოხელებს ხევისბერი, ფუძის ანგელოზის სალოცავის ეზოში სამჯერ გააგორებს, მერე კი სახეზე ჯვარს დაახატავს. ეს თურმე ჩოხელად ჩვილის მონათვლა ყოფილა.

ამ და კიდევ სხვა უამრავ საინტერესო თემაზე საუბრით გზა ისე გაილია, რომ ვერც გავიგეთ. ავტობუსი არაგვისპირას გაჩერდა და გვითხრეს, — აქედან გოდერძის სკოლამდე ფეხით უნდა ახვიდეთო. სკოლის წინ შემოქმედის უშველებელი ფოტო გამოეკრათ, მის წინ კი სახელდახელო სცენა გაემართათ.

საღამოს დაწყებისთანავე, წამყვანმა გვამცნო, რომ არაგვისპირზე დოღი გაიმართებოდა, გამარჯვებული ყმაწვილი კი გოდერძის სახელობის პრიზს მიიღებდა. დოღის მოყვარულნი თავიანთი რჩეულის საგულშემატკივროდ, არაგვის ხეობას გაუყვნენ, დანარჩენები სცენასთან დავრჩით და სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლის შემოქმედებით ვტკბებოდით. ყველაზე დიდი მოწონება ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლმა „გორდელამ“ დაიმსახურა. მსმენელ-მაყურებლის მოთხოვნით, ის სცენაზე რამდენჯერმე ავიდა, თითოეულ სიმღერას დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციით ხვდებოდა. თბილისელების გარდა, ჩოხობაში, აჭარიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული მწერლები და პოეტებიც მონაწილეობდნენ, რომელთა ლექსების მოსმენისას, ყველა იქ მყოფს ჟრუანტელმა დაგვიარა: ლიტერატორები გოდერძის შესახებ ათასგვარ საინტერესო ამბავს ჰყვებოდნენ. ერთ-ერთმა მუსიკოსმა ისიც კი თქვა, — გოდერძი სამასმეერთე არაგველიაო!..

ამასობაში დოღიც დასრულდა. პირველ ადგილზე ნუკრი ჩოხელი გავიდა, რომელსაც გოდერძის უფროსმა ვაჟმა, ლუკამ მამის სახელობის პრიზი — ხანჯალი გადასცა. მეორე და მესამე ადგილებზე გასულები კი სიმბოლური სასმისებით დაასაჩუქრეს. მერე გოდერძი ჩოხელის სახელზე „ლუდის კოდი“ დალოცეს — ლუდი მთიელებს დილით ადგილზევე მოუხარშავთ. სხვათა შორის, საკმაოდ განსხვავებული და უცნაური გემო ჰქონდა — სასიამოვნო...

საღამო დასასრულს მიუახლოვდა და ყველა სტუმარმა იქვე გაშლილ, სახელდახელო „კაფეში“ გადავინაცვლეთ. მზარეულები დუშეთიდან ამოსულიყვნენ და ხინკალს იქვე, მინდორში ახვევდნენ. მაყალზე მწვადიც აშიშხინდა...

შინ დაბრუნების დროც დადგა. შებინდებისას ავიშალეთ და ავტობუსში ჩვენ-ჩვენს ადგილებს დავუბრუნდით. ამჯერად, ჩვენს ავტობუსში აღმოჩნდნენ ბიჭები, რომლებიც არაჩვეულებრივად მღეროდნენ. მთელი მგზავრობა, ჩონგურს მხოლოდ იმის გამო აჩერებდნენ, რომ ბათუმელ პოეტს — გენრი დოლიძეს საკუთარი თუ სხვა თანამედროვე პოეტების ლექსი წაეკითხა...

თბილისამდე ასე, სიმღერ-სიმღერითა და ლექსების თქმით ვიმგზავრეთ. დანიშნულების ადგილას ჩამოსულები კი ერთმანეთს მომავალ ჩოხობამდე დავემშვიდობეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ერთ წელიწადში კვლავ ვიხილავ გოდერძის მშობლიურ, მაღალ მთებს, მთებს შორის — მღვრიე, შავ არაგვსა და ვიწრო ხეობას... ■





# პირველი დიდი გამოცდა

## და გამორჩეული ბავშვების გამორჩეული აზრები...

**ეს ახალგაზრდები სხვებისგან გამორჩეულები იმით არიან, რომ ნიჭისა და დაუღალავი შრომის შედეგად, სასურველ მიზანს მიაღწიეს და 100%-იანი დაფინანსებით სტუდენტები გახდნენ... სიმართლე რომ გითხრათ, ზოგიერთ მათგანს წარმატებამ თავბრუ დაახვია და ცოტა არ იყოს, არაადეკვატურებიც გახდნენ, — ალბათ უკვე მაღალჩინოსნებად წარმოიდგინეს თავი და ინტერვიუზე მედიდურად, უარიც „განმიცხადეს"... საბედნიეროდ, წარმატებულ ბავშვებს შორის თავმდაბლები და თავაზიანებიც აღმოვაჩინე. მათ მადლობაც კი გადაგვიხადეს ყურადღებისთვის. იმედია, ჩვენი ქვეყნის მომავალი ისეთი ადამიანების ხელში აღმოჩნდება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერს თავდაუზოგავად უნდა ემსახურო და ეს არავის დაამადლო...**



*ხათუნა ბახტურიძე*

**— თუ ელოდით ასეთ წარმატებას?**

**თამუნა ძირია,** *სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:*

— საერთოდ, პესიმისტი არა ვარ, მაგრამ, ბევრი ჩემი თანატოლისგან განსხვავებით, ყოველი გამოცდის შემდეგ ვნერვიულობდი: რატომღაც ვფიქრობდი, რომ ძალიან ცუდად დავწერე, უამრავი შეცდომა დავუშვი... შესაბამისად, ასეთი კარგი შედეგის მოლოდინიც არ მქონდა. როცა გავიგე, 100%-იანი დაფინანსება მივიღე, ენით აუწერელი სიხარული განვიცადე, სულ სიხარულის ცრემლებით ვიტირე.

**სალომე მინაშვილი,** *სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველკურსელი:*

— კარგ შედეგს ნამდვილად ველოდი, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ვიმეცადინე, თუმცა ასეთი დიდი წარმატება მაინც მოულოდნელი იყო.

**თორნიკე ინალიშვილი,** *სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტის პირველკურსელი:*

— მგონია, რომ მეტიც შემეძლო, მაგრამ არა უშავს — ამას მომავალში დავამტკიცებ.

**— გამოცდები რთული იყო?**

— არც ისე; საშუალო სირთულის იყო. გეოგრაფიის ჩაბარება ძალიან გამიადვილდა, ალბათ იმიტომ, რომ ეს საგანი განსაკუთრებულად მიყვარს და ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული. ჩემი აზრით, ყველაზე რთული — ქართული იყო.

**სალომე:**

— მე უნარ-ჩვევები უფრო რთული მოშეჩვენა. აი, ინგლისურის პროგრამა კი ძალიან მარტივი იყო.

**თამუნა:**

— მე ვფიქრობ, რომ რთული იყო; რომელიმე კონკრეტულ საგანს არ ვგულისხმობ — ზოგადად, სიტუაცია იყო დაძაბული — დამკვირვებლები ბავშვებს უხეშად ექცეოდნენ, ისედაც დაბნეულ აბიტურიენტებს მათი ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო აბნევდა და თრგუნავდა. ასე მარტო მე არ ვფიქრობ, ჩემი მეგობრებიც დამემოწმებიან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ყველა დამკვირვებელს არ ეხება. ყველაზე რთული გამოცდების შემდეგ შედეგებს მოუთმენლად ველოდი. ამ ამბავს მთელი ჩემი ნერვები შევალიე... 7 უნივერსიტეტი მქონდა აღნიშნული და ერთი სული მქონდა გამეგო, სად ჩავირიცხე. ძალიან ბევრი დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ გრანტების შედეგები გამოექვეყნებინათ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ არ ვიცოდით, რომელ დღეს გამოქვეყნდებოდა სია. ამის შესახებ სულ სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდიდნენ. სხვათა შორის, „ჯავახიშვილში" განათლების სამინისტროდან სიები ძალიან გვიან გაგზავნეს — სხვა უნივერსიტეტებში სწავლა უკვე დაწყებული იყო, ჩვენ კი რეგისტრაციაც არ გვქონდა გავლილი.

**— უკვე გეტყობა, ჟურნალისტი რომ იქნები...**

— ჩვენს ფაკულტეტზე პროფესიას მოგვიანებით ირჩევენ; მე ალბათ ჟურნალისტიკაზე შევჩერდები.

**— რეპეტიტორთან ემზადებოდით თუ სკოლაში მიღებული ცოდნით მიაღწიეთ ასეთ შედეგს?**

— სკოლაში მთელი 12 წელი კარგად ვსწავლობდი და, რა თქმა უნდა, ამანაც იქონია გავლენა, მაგრამ რომ არა ერთწლიანი მომზადება რეპეტიტორთან, წარმატებით ჩაბარების ბევრად ნაკლები შანსი მექნებოდა. სხვა საგნებზე რომ არაფერი ვთქვა, ზოგად უნარებს ვერ ჩავაბარებდი. სკოლაში ამ საგანს საერთოდ არ გვასწავლიდნენ, წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ რა იყო უნარ-ჩვევები. მე მგონი, ამ მხრივ ახლანდელ მოსწავლეებს გაუმართლათ...

**თორნიკე:**

— მე რეპეტიტორთან არ მივლია. სკოლამ საკმაოდ კარგი ცოდნა მომცა.

**— რომელი სკოლა დაამთავრე?**

— სენაკის სკოლა-ლიცეუმი.

**სალომე:**

— სკოლაში კი კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მაინც მგონია, რომ რეპეტიტორთან მომზადების გარეშე, მაღალ ქულებს ვერ ავიღებდი, ალბათ მხოლოდ ზღვრის გადალახვას მოვახერხებდი.

**— დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდი?**

— მთელი წლის განმავლობაში ჩემი ძალების სრული მობილიზება მოვახდინე.

**— განათლების სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ წელს აბიტურიენტთა ყველაზე სუსტი კონტინგენტი იყო. თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— აბა, რა გითხრათ?!. „ჯავახიშვილში" მხოლოდ 3 სტუდენტია, რომელმაც 30%-იანი დაფინანსება მიიღო; 540 გრანტიანი ბავშვიდან 120-მა 100%-იანი გრანტი მოიპოვა. არა მგონია, ეს ცუდი შედეგი იყოს.

**— თქვენი აზრით, გამოცდები ობიექტურად ჩატარდა?**

— კი, ნამდვილად, სამართლიანად ჩატარდა.

**თორნიკე:**

— მეც ასე ვფიქრობ. იმედი მაქვს, მომავალშიც ასევე ობიექტურად წარიმართება ყველაფერი. სამომავლოდ დიდი გეგმები მაქვს. უკვე ავირჩიე პროფესია — საერთაშორისო ურთიერთობები. ვეცდები, ბოლომდე ამ სპეციალობას გავყვე და სახელმწიფო სტრუქტურაში ვიმუშაო.

**თამუნა:**

— მეც ვფიქრობ, რომ გამოცდები ობიექტურად ჩატარდა. ჩემი თანატოლებისგან ვიცი, რომ ზოგან აბიტურიენტებმა „შპარგალკების" გამოყენება მოახერხეს, მაგრამ ჩემს აუდიტორიაში მსგავსი რამ არ მომხდარა.

**— სტუდენტობის პირველი დღეები როგორია?**

— იმედისმომცემი...

**თორნიკე:**

— შესანიშნავი, თანაც თსუ-ს ახლა აღმავლობის პერიოდი უდგას.

**სალომე:**

— პირველ დღეს ძალიან ქაოსური სიტუაცია იყო, მაგრამ ახლა ნელ-ნელა ლაგდება. მგონი, ეს ის არის, რაც მინდოდა.

**— წარმატებებს გისურვებთ.**

# კოგურიოს დინასტიის პრინცესას და იდაკი შინის „მშვიდობის გზავნილი“ საქართველოში

**იაპონელი შემოქმედი ქალბატონი, კოგურიოს დინასტიის პირდაპირი შთამომავალი — კეიკო კომა მთელ მსოფლიოში მოგზაურობს; ჰუმანურობაზე, ბუნებაზე, ცივილიზაციების წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე პოემებს ქმნის და, მსოფლიოში „მშვიდობის გზავნილის“ გავრცელების მიზნით, მუსიკოს იდაკი შინთან ერთად მართავს კონცერტებს სახელწოდებით — „კოგურიოს ლეგენდის ხელახალი აღმოჩენა“. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ქალბატონ კეიკო კომას ჩვენს ქვეყანაში კონცერტის გამართვა სურდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ქართველ მაყურებლებს კეიკო კომასა და იდაკი შინის საღამოზე დასწრების საშუალება მხოლოდ ახლა ეძლევათ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თანხმობით, კონცერტი მეტეხის პლატოზე 9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე გაიმართება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება.**

ეთო ყორღანაშვილი



*ქალბატონმა კეიკო კომამ მამის უკანასკნელი სურვილი — მსოფლიოსთვის კოგურიოს ლეგენდა გაეზიარებინა — შეასრულა და არასამთავრობო ორგანიზაცია „კომა“ დააარსა. მან მრავალი პუბლიკაცია, აუდიო და ვიდეომასალა სახელწოდებით — „კოგურიოს ლეგენდის ხელახალი აღმოჩენა“ — გამოაქვეყნა, რომელიც ეტაპობრივად, სხვადასხვა ქვეყანაში ვრცელდება.*

*კოგურიოს სამეფოს რაც შეეხება, ის აღმოსავლეთ აზიაში 800 წლის განმავლობაში არსებობდა, მტრების მრავალრიცხოვანი შეტევის შემდეგ კი იაპონიაში დამკვიდრდა. მოგვიანებით, ღვთის მფარველობამ და მტრებზე საოცარმა გამარჯვებამ კოგურიოს მეფე შთააგონა, ქვეყანა სისხლის ღვრის გარეშე ემართა; თუკი მეფე თავის მისიას ვერ შეასრულებდა, მზად იყო, სამეფო ტახტზე უარი ეთქვა... კეიკო კომამ წინაპარი მეფის იდეოლოგია მთელი არსებით შეისისხლხორცა. იდაკი შინის მუსიკის მოსმენისას, ის მიხვდა, რომ ხალხისთვის მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ თავად უნდა მოეწოდებინა; ღრმად სწამდა, რომ კოგურიოს ლეგენდის გაცოცხლებით, საზოგადოების დაინტერესებას შეძლებდა და მიაღწევდა იმას, რომ ადამიანებს სიკეთის, შემწყნარებლობისა და სიყვარულის გზა აერჩიათ... დღეს კეიკო კომა საკუთარ შემოქმედებას მსმენელებს დაუღალავად უზიარებს, ავადმყოფებს თანაუგრძნობს და ხალხს მშვიდობისაკენ მოუწოდებს.*

*კეიკო კომასა და იდაკი შინის საქართველოში ვიზიტის ორგანიზატორი — ტურისტული კომპანია „კავკაზუს თრეველი“ გახლავთ.*

**კრისტინა პაპუნაშვილი,** *„კავკაზუს თრეველის“ წარმომადგენელი:*

— ქალბატონი კეიკო კომა კოგურიოს დინასტიის პრინცესად მიიჩნევა. მას ძალიან ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტი აქვს ჩატარებული. ამჯერად, მსგავსი კონცერტის საქართველოში გამართვა გადაწყვიტა. საქართველოთი 2008 წლის აგვისტოს ამბების შემდეგ დაინტერესდა. კეიკო კომას კონცერტის „მესიჯი“ — მშვიდობაა. მისი გამართვა 2008 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ წელს ტარდება.

— **რატომ გადაიდო?**

— იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაში, იაპონელებს საქართველოში მოგზაურობას არ ურჩევდნენ. როგორც ვიცით, სამინისტროში და იაპონიაში საქართველოს საელჩოში თავად ქალბატონო კეიკო კომა მივიდა და დაინტერესდა — ეს ინფორმაცია ამდენ ხანს რატომ იდო. როცა საიტიდან მოიხსნა, მან გადაწყვიტა, კონცერტი საქართველოში ჩაეტარებინა. 2008 წელს კონცერტი სომხეთში ჩაატარა, თუმცა სურდა, ჯერ საქართველოში გაემართა, შემდეგ კი — აზერბაიჯანსა და სომხეთში.



— **ქალბატონი კეიკო კომა საქართველოში წინათ თუ ყოფილა?**

— ჩვენს ქვეყანაში ივნისში გახლდათ. ეს ვიზიტი საქართველოს გაცნობას ისახავდა მიზნად. სხვადასხვა კუთხეში ჩავიდა, ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა, ჩვენი ქვეყნის ისტორიას, კულტურას გაეცნო. ამის შემდეგ დაწერა პოემები, რომლებიც საქართველოს მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ მისი ყველა კონცერტი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, რადგან თავის შემოქმედებას იმ ქვეყანას უძღვნის ხოლმე, სადაც კონცერტს მართავს. თბილისში დაგეგმილი საღამოც საქართველოს, ქართველ ხალხს, მშვიდობას მიეძღვნება.

— **ქალბატონ კეიკო კომას პარტნიორზე — იდაკი შინზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

— როგორც თავად კეიკო კომა ჰყვება, 24 წლის ასაკში ავად გახდა, თან — ძალიან მძიმედ. ექიმებმა უთხრეს, რომ მხოლოდ ნახევარი წელი იცოცხლებდა... მაესტრო იდაკი შინი სრულიად შემთხვევით გაიცნო. როცა მის მუსიკას უსმენდა, თანდათან უკეთ ხდებოდა... მას სჯერა, რომ იდაკი შინის მუსიკა ადამიანებს აჯანსაღებს, მათთვის მშვიდობა, დადებითი ემოციები მოაქვს. ისინი კონცერტებს ერთად მართავენ. როგორც აღვნიშნე, კეიკო კომას ყველა პოემა ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაესტროს მუსიკაზეც იგივე შემიძლია ვთქვა. ეს ძირითადად, იმპროვიზაციაა. მისმა მენეჯერებმაც არ იციან ხოლმე, კონცერტზე რას შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ბევრ ინსტრუმენტზე უკრავს, მათ შორის, იაპონურ საკრავებზე. ასე რომ, ქართველი მაყურებელი იაპონურ ნაციონალურ მუსიკას გაეცნობა.

— **როგორც შევიტყვეთ, კეიკო კომა ხელმარჯვე ქალბატონია. კონცერტზე მისი ხელნაკეთი ნივთების გამოფენაც ხომ არ მოეწყობა?**

— არა, გამოფენა არ მოეწყობა. ამ ქალბატონს იაპონიაში (ტოკიოში, კიოტოში) თავისი სტუდია აქვს, სადაც ხელნაკეთ ნივთებს ამზადებს — სვაროვსკის თვლებს იყენებს და ნამუშევარი უჩვეულო, ძალიან ლამაზი გამოსდის. სამოსსაც ქმნის. საკუთარ ჩაცმულობაზე თავად ზრუნავს.

— **კეიკო კომასა და იდაკი შინის შემოქმედების თაყვანისმცემლებზე რას გვეტყვით?**

— მათ იაპონიაში საკმაოდ ბევრი მსმენელი ჰყავთ. კეიკო კომასა და იდაკი შინის კონცერტზე დასასწრებად იტალიიდან 100 კაცი ჩამოვა. ისინი საქართველოსაც დაათვალიერებენ... კონცერტის შემდეგ, კეიკო კომა და იდაკი შინი აზერბაიჯანში გაემგზავრებიან და შემოქმედებით საღამოს იქ გამართავენ...

*იაპონურ ენაზე წაკითხული პოემების შინაარსის გაგება ქართველ მაყურებელს სცენასთან არსებული ეკრანის მეშვეობით შეეძლება, სადაც საქართველოში კეიკო კომას ვიზიტისას გადაღებული ფოტომასალა ქართული ტიტრებით გავა.*

■

# წითელი ხალიჩა ქუთაისში
## ანუ თავი „ოსკარის" დაჯილდოებაზე მეგონა

**როდესაც ქუთაისიდან უცნობმა ახალგაზრდამ დამირეკა და საზეიმო ხმით მაცნობა, — ხვალ ქუთაისში დიდი დღეა, კლუბს ვხსნით, მომღერლებიც ჩამოდიან და თქვენც ხომ ჩამობრძანდებითო? — გამოგიტყდებით და, გამეღიმა: კლუბს ხსნიან, პარლამენტის შენობას ხომ არა-მეთქი?!. მაგრამ გამახსენდა თუ არა, იმერეთის დედაქალაქის ხმაურიანი, სიმღერით, პოეზიითა და იუმორით გამორჩეული წარსული, რომელიც ბოლო ხანს მრავალწლიანი მდუმარებით შეიცვალა, მივხვდი — ქუთაისელებისთვის, მით უფრო — ახალგაზრდებისთვის, მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამ უნდა მომხდარიყო. ამიტომაც, რასაკვირველია, აღარ მიყოყმანია... და ხალისიან თანამგზავრებთან ერთად, იმერეთის „დედაქალაქისკენ" გავეშურე.**

*ირმა ხარშილაძე*

*ფილმი „კეთილი ადამიანები" ხომ გახსოვთ: „თუკი რამ დაგაკლდა ალერსი, დილაო, ჰოუდილაო"?.. ასე, „დილაო, ჰოუდილაოთი" გვამგზავრა ქუთაისამდე მე და ჩემი კოლეგა ნათია დოლიძე მინიბუსის შესანიშნავმა მომღერალმა მძღოლმა, ლადომ, მსახიობ-მომღერლებთან ერთად. რა მოგვაწყენდა, როდესაც გვერდით, ყველაზე ხმაურიანი ქალბატონი და ბატონი — ეთერ კაკულია*



*და გურამ ჯაში გვყავდნენ?! თვით მერაბ მახარაძე — ჩვენი სახელოვანი პაროდისტიც კი დუმდა; მუდამ მშვიდი და წყნარი ბესო კალანდაძისგან ომახიან შეძახილებს ისედაც არ ველოდით; „სიჩუმეს" არც კომპოზიტორი ზურაბ ჩინჩალაძე არღვევდა; მართლაც ნიჭიერი, მაგრამ საოცრად მოკრძალებული გულნაზ გოლეთიანი კი ახალბედა იყო და მით უფრო, არავის შეაწუხებდა. დანარჩენი მგზავრებიც, ჩვენი არ იყოს, გულში ღიღინებდნენ, ხმამაღლა კი იცინოდნენ კაკულია-ჯაშის „დუეტის" იუმორისტულ გადაძახილზე.*

*ასე, ხალისიანად ჩავედით მზიან ქუთაისში და ქალაქის ცენტრში (ოღონდ დაზუსტება არ მთხოვოთ — გზა ვერ დავიმახსოვრე) მივადექით ულამაზეს სასტუმროს — „ბაგრატი 1003"-ს, რომლის „გული" სწორედ იმ „ელიტ-კლუბს" ეკავა, რის გახსნასაც ასე გულისფანცქალით ელოდნენ ქუთაისელები.*

**მანანა გოგლიჩიძე,** *კომპლექსის დამფუძნებელი:*

— დაახლოებით 38 წლის წინ ამ ადგილას საქორწინო სახლის შენობა იდგა. ეს გახლდათ ჩემი პლეადის ახალგაზრდობის თავშეყრის განსაკუთრებული, ძალიან ლამაზი ადგილი, სადაც იმართებოდა პოეზიის საღამოები, ქორწილები და მრავალი კულტურული ღონისძიება. ერთხანს ქუთაისიდან წასული ვიყავი და როდესაც დავბრუნდი, პირველად სწორედ ის სახლი მოვიკითხე. გული ჩამწყდა, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელ კულტურის ცენტრში ნარკომანების თავშესაფარი რომ დამხვდა და სწორედ მაშინ გადავწყვიტე, გამეცოცხლებინა აქაურობა, უბნისთვის ძველი იერი დამებრუნებინა, შენობა კი კვლავ ახალგაზრდული საღამოების კერად მექცია. შვილები მეზრდებოდნენ და ძალიან მინდოდა, მათ თაობასაც შეეგრძნო ის სითბო, სიყვარული და მადლი, რომელიც დღემდე თან გვდევს მე და ჩემს მეგობრებს. შევისყიდე ეს ადგილი შენობიანად და შევუდექი მის აღორძინებას: ავაშენე გაცილებით დიდი შენობა, გავალამაზე და თავიდანვე „გადავუწყვიტე ბედი" — აქ მხოლოდ ლხინი უნდა ყოფილიყო, თან არავითარ შემთხვევაში, არ უნდა ქცეულიყო ღრეობის ადგილად. 2 წელია, არაჩვეულებრივი ახალგაზრდები გვსტუმრობენ, ხან ქორწილია და ხან პოეზიის საღამოს ვაწყობთ. ამას წინათ ქუთაისს შემორჩენილი ძველი თაობის კოლორიტებიც მოვიწვიეთ და უთბილესი შეხვედრა მოვუწყვეთ. ნეტავ გენახათ, როგორი გულაჩუყებულები და აცრემლებულები დაგვემშვიდობნენ! მე და ჩემს მეუღლესა და პარტნიორს, გერმან გოგლიჩიძეს ორი შვილი გვყავს...

*სასტუმროს ეზოში გრძელი წითელი ხალიჩა დააგეს და ყველა სტუმარმა მამაკაცმა თანმხლებ ქალბატონთან ერთად, სწორედ ამ ხალიჩაზე გაიარა — თავი „ოსკარის" (ოღონდ — „მინის") დაჯილდოებაზე მეგონა (მართალია, არასდროს დავსწრებივარ, მაგრამ ხომ მინახავს ტელეეკრანზე)!.. იყვნენ ბიზნესმენები და უბრალოდ, ქუთაისელებიც — სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. არც იმერეთის გუბერნატორი ლაშა მაქაცარია და ქუთაისის მერი, არც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები გამოჰკლებიან წვეულებას და მართალია, უმეტესობას ვერ ვცნობდი, იმას კი ნამდვილად ვგრძნობდი, რომ ყველას ერთნაირად უხაროდა. აპლოდისმენტებს არავისთვის იშურებდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ წამყვანების მიერ შეთავაზებულ კონკურსებში.*

**მანანა გოგლიჩიძე:**

— ბევრი საქმიანი ადამიანია ქუთაისში, მაგრამ უმრავლესობა ერთმანეთს არ იცნობს. ჩვენი კლუბის ახალგაზრდებმა ძალიან იყოჩაღეს —





მოძებნეს ეს ხალხი და მოიპატიჟეს. მინდა, ჩვენმა საღამოებმა ისინი დააახლოოს, გააერთიანოს. თუ ხშირად შეიკრიბებიან და მეტს ისაუბრებენ საკუთარ საქმიანობაზე, ჩვენი მიწაწყლისთვის რაღაც სიკეთის ერთად გაკეთების სურვილიც მეტად გაუჩნდებათ. მიხარია, რომ თბილისიდან ჩვენი საყვარელი მომღერლებიც გვეწვივნენ. ხელოვანი ხალხის თანადგომა არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი საქმისთვის. ისე, ჩვენც ხომ კარგი მომღერლები დაგახვედრეთ?! ახალგაზრდები კი არიან, მაგრამ შვიდივეს კონსერვატორია აქვს დამთავრებული და საუკეთესოდ მღერიან.

*ამ ბიჭებს ქალბატონი მანანას ქება არც სჭირდებოდათ — შეუძლებელი იყო, მათ სიმღერას არ აღეფრთოვანებინე.*

*როგორც იქნა, „ელიტ-კლუბის" ცოტათი უკვე დამშვიდებული მენეჯერიც მოვიხელთე — ის ახალგაზრდა გახლდათ, რომელმაც ქუთაისიდან დამირეკა და მითხრა, — ხვალ დიდი დღე გვაქვს და გეპატიჟებითო: აქამდე, საიდან „მოეტანა" საზეიმო განწყობილება — მოკვდა კაცი ნერვიულობით, გაფითრებული, ქარიშხალივით დაქროდა და, საორგანიზაციო საქმეზე რომ აღარაფერი ვთქვა, ერთი ადამიანიც კი არ რჩებოდა უყურადღებოდ. ოღონდ დღეს გადავრჩებოდეო, — რომელიღაც გარბენის დროს ძლივს ამოთქვა და კვლავ გაქრა... როგორ გამიხარდა, „გადარჩენილი" რომ დავინახე!*

**გიორგი გიგუაშვილი:**

— 3 თვეა, არ ამოგვისუნთქავს. მაინც უკეთესი მინდოდა, გამოსულიყო. ყველა კი კმაყოფილი წავიდა, მაგრამ ცოტათი გული მეთანაღრება, საკუთარი თავით მაინც უკმაყოფილო ვარ. ჯერ ვერაფერს ვფიქრობ. ალბათ, დავისვენებ და გავაანალიზებ ყველაფერს. იცით, რამდენ რამეს ვგეგმავთ: ლიტერატურული საღამოებიც გვექნება, ფოლკლორისაც, პრეზენტაციებს მოვაწყობთ, დეფილეებს, კონცერტებს ხან აქ, ხანაც ვარციხეში — იქაც გვაქვს კომპლექსი. ნელ-ნელა დავიხვეწებით. დღეს ხომ მხოლოდ დასაწყისი იყო! ერთსაც გეტყვით: დღეს რომ თიკა და ვინი არ მყოლოდა, ამას ვერ გავაკეთებდი.

*ქუთაისელები აშკარად აღფრთოვანებულები ჩანდნენ თბილისელი წამყვანებით. სხვათა შორის, მეც სწორედ მათი მეშვეობით დამიკავშირდნენ. ჩემს უმცროს მეგობარს, საოცრად მომხიბვლელ თიკა მიქაბერიძეს წლების წინ ჯერ რადიოს წამყვანობა ვანდეთ, შემდეგ — ჟურნალისტობა და საყმაწვილო ფესტივალის გაძღოლა; ტელეწამყვანობაც გამოცადა და ტელეჟურნალისტობაც. ასე რომ, არც მის სითამამეს გავუოცებივარ და არც ოსტატობას. ცნობილ ტელეწამყვან ვინის კი თქვენც კარგად იცნობთ და მისი შესაძლებლობებიც მოგეხსენებათ. ჰოდა, საუცხოო ტანდემი გამოვიდა. ვინიმ წამყვანობა კი კარგად აითვისა, მაგრამ ჰალსტუხის გამონასკვა გაუძნელდა. ვის აღარ სთხოვდა დახმარებას — მეც შემევედრა, მაგრამ ვერაფრით ვუშველე... ისე, ჰალსტუხიანი ვინი გინახავთ?.. იცით, რა ელეგანტური იყო?! განწყობილებაც შესაბამისი ჰქონდა.*





**ზაალ წულუკიძე,** *იგივე ვინი:*

— ისევე, როგორც თქვენი ჟურნალი, სახელწოდებიდან და არსიდან გამომდინარე, ეს კლუბიც სწორ გზაზე დგას (*არც მე დამწყვიტა გული... — ავტ.*). ჩვენც მაქსიმალურად დავიხარჯეთ და კარგია, როცა დაღლითაც სიამოვნებას იღებ. გამაოცეს გიორგიმ და მისმა მეგობრებმა — იცი, როგორ იშრომეს?!

**თიკა მიქაბერიძე:**

— მიხარია, რომ კარგა ხანს ვითანამშრომლებ ამ ხალხთან. მომავალშიც, ერთი წლით მაინც, მე და ვინი წავიყვანთ „ელიტ-კლუბის" საღამოებს — რაკი ეს ისურვეს, ჩანს, მათაც მოვეწონეთ. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო დიდ დღეებს ვაჩუქებთ ქუთაისსა და ქუთაისელებს. ■



# სახე

# „დაწუნებული თაყვანისმცემლების სია“ და სამსახურში ცელქობის „კანონი“

**„კომედი ჯგუფის“ პროექტის — „დაამარცხე ვარსკვლავი“ — წამყვანი, ანი ქორქია და „კომედი შოუს“ მსახიობი, ვასო ფხაკაძე ცელქი, ხმაურიანი მეგობრები არიან. სამსახურში ყოველთვის ხალისიანად მიდიან და დიდი შრომის მიუხედავად, მხიარულ განწყობილებას მუდამ ინარჩუნებენ. არც ინტერვიუს ჩაწერისას იყვნენ მოწყენილები...**



*ეთო ყორღანაშვილი*

**ანი ქორქია:**

— ვასო ფხაკაძე ჩემი ერთ-ერთი ფავორიტია იმ სფეროში, რომელშიც მუშაობს. შესაბამისად, მისი არსებობის შესახებ დიდი ხანია, ვიცი. პირადად, პროექტის — „დაამარცხე ვარსკვლავი“ — დაწყებისას გავიცანი.

**ვასო ფხაკაძე:**

— პირადად გაცნობას რაც შეეხება — მახსოვს, აივანთან ვილაც მიმღეროდა ხოლმე. ერთხელაც გადავიხედე და... ანუკი ღვინით სავსე ფიალით იდგა და მღეროდა!.. გული როგორ მომითმენდა?! ავავსე „ვედრო“ (*იცინის*)!.. წინათ ანის, მის დასაც შორიდან ვიცნობდი. მერე ანის სამსახურში დავუახლოვდი, დავუმეგობრდი. ძალიან კარგი, თბილი, ყურადღებიანი ადამიანია.

**— ანი, აქვე გკითხავ: „დაამარცხე ვარსკვლავში“ როგორ მოხვდი?**

— ჩემს დას ალეკომ (მალხაზიშვილმა) დაურეკა და ჰკითხა: ანის თუ სცალიაო? მეცალა და მივედი, კასტინგი სხვა კონკურსანტებთან ერთად გავიარე და წამყვანად დამამტკიცეს.

**— ვასო, კასტინგს შენც ესწრებოდი?**

— არა, რადგან გადაღებები, რეპეტიციები მქონდა. მაგრამ ერთხელ შევედი ოთახში, სადაც კონკურსანტები ტექსტებზე მუშაობდნენ და ყველა გავამხნევე. ანი წყნარად, მშვიდად იყო...

**— ანი, დარწმუნებული იყავი, რომ გაიმარჯვებდი?**

— არა, რადგან ამ სფეროში დიდი გამოცდილება არ მქონდა, სხვა კონკურსანტების დონე არ ვიცოდი... რადგან შეთავაზებას დავთანხმდი, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის რწმენა მქონდა. გამიმართლა. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ არაჩვეულებრივ გუნდთან ერთად ვმუშაობ. როცა სამსახურში მისვლა გიხარია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი — ვასოა. რამდენად სწრაფად დამეგობრდით?**

**ვასო:**

— თავდაპირველად, როცა ანი ახალი თანამშრომელი იყო, მისი თანდასწრებით ბიჭები „სიგიჟეების“ (რასაც ჩვენ „განტვირთვას“ ვუწოდებთ) ჩადენას ვერიდებოდით, თუმცა ანი ჩვენზე არანაკლებ „გიჟი“ აღმოჩნდა! „კორპორატიული ქეიფი“ გვქონდა, რის შემდეგაც ბარიერი მოიხსნა! ჩვენი კოლექტივი ერთი ოჯახივითაა: ერთის გასაჭირი ყველას გასაჭირია, ერთის სიხარული — ყველას სიხარული. ოჯახის წევრებთან არ ვატარებთ იმდენ დროს, რამდენსაც ერთმანეთთან. ვნატრობთ ხოლმე, — აუ, შვებულება როდის გვექნება, რომ აღარ დაგინახოთ-თქო! — მაგრამ შვებულების პერიოდში ერთმანეთი მაინც გვენატრება!

**— რადგან ქეიფი ახსენეთ, ანი, მითხარი: ვასოს ისეთივე სიმთვრალე აქვს, როგორიც მის მიერ განსახიერებულ პერსონაჟს „კომედი შოუს“ ერთ-ერთ სკეტჩში?**

— არა, ვასო მსმელი არ არის. ალკოჰოლურ სასმელს არც ერთი არ ვეტანებით. შესაბამისად, არ გვახსოვს, ერთმანეთი მთვრალი გვენახოს. თუ ვასომ გამონაკლისი დაუშვა და დათვრა, არა მგონია, მასში დიდი ცვლილება მოხდეს. ალბათ ცოტათი უფრო ხმაურიანი იქნება. მაგრამ სიფხიზლეშიც აქტიური, მხიარული და ხმაურიანია.

**ვასო:**

— ამ ზაფხულს თურქეთში მე და აფციკა (გიორგი აფციაური) ისე დავთვერით (*იცინის*)!.. რუსებს საქართველოს ჰიმნი ვამღერეთ — კაცებსაც და ქალებსაც! აფციკა ნომერში ავიყვანე და გავითიშე. ისეთი მთვრალი არასოდეს ვყოფილვარ! საქართველოში ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვარ და უფრო მეტად ვაკონტროლებ თავს, იქ კი ქართველები არ გვიყურებდნენ (*იცინის*).

**— ანუ პოპულარობა ერთგვარ დისკომფორტს გიქმნით?**

**ანი:**

— საკუთარ თავს ისეთ პოპულარუ-



**ხალხის სიყვარულს რომ გრძნობ, ამაზე სასიამოვნო რა არის?!**



ამ ზაფხულს თურქეთში მე და აფციკა ისე დავთვერით!..

ლად არ მივიჩნევ, რომ ხალხის ყურადღებამ დისკომფორტი შემიქმნას. რა თქმა უნდა, საზოგადოების ყურადღებას ვგრძნობ (თან — საკმაოდ), მაგრამ ეს მხოლოდ დადებით ემოციებს აღმიძრავს.

**ვასო:**

— ხალხის სიყვარულს რომ გრძნობ, ამაზე სასიამოვნო რა არის?! მოსაბეზრებელი მხოლოდ ის არის, რომ მაგალითად, როცა ქორწილში ვარ, 3-4 ჭიქა „წავა“ და მერე 200 კაცი ჩემთან მოდის — ან უნდა დალიოს, ან — იცეკვოს (*იცინის*)! მათ რომ აჰყვე, აუცილებლად უნდა დალიო, თორემ „გარეკავ“!

**— სვამ ხოლმე?**

— ხანდახან, ოღონდ — „ლაითად“. აბა, ავად კი არა ვარ! უცხო საზოგადოებაში დალევა არ მიყვარს, შინაურებთან კი „ხარისხიანად“ დალევ, აბა, რა!..

**— კარგი, სასმლის თემას შევეშვათ. ანი, ვასოს მიერ განსახიერებული პერსონაჟებიდან ყველაზე მეტად რომელზე გეცინება ხოლმე?**

— როგორც აღვნიშნე, თავის სამუშაო სფეროში ვასო ჩემი ფავორიტია. შესაბამისად, ყველაფერი მომწონს, რასაც ის აკეთებს. ის თავისი საქმის „სპეცია“!

**ვასო:**

— ჩემი მისამართით ისეთი სიტყვები თქვა, რომ შემრცხვა (*იცინიან*)...

**— ვასო, ახლა შენი ჯერია: ანის, როგორც ტელეწამყვანის საქმიანობას, როგორ შეაფასებ? ერთმანეთს შენიშვნებს არ აძლევთ?**

— შენიშვნები არც ერთს არ გვწყინს — ერთმანეთს ყველაფერს ვეუბნებით, აბა, რისთვის ვართ?!

**ანი:**

— ერთი გუნდი ვართ, ერთად ვმუშაობთ, ერთი ჯაჭვით აწყობილი ვართ. თუ რაღაც შეცდომა „გამეპარა“, ვალდებულიცაა, მოვიდეს და ამის შესახებ მითხრას.

**— „დაამარცხე ვარსკვლავის“ ახალ სეზონში მაყურებელი ვასოს დამარცხებასაც ხომ არ შეეცდება?**

— მონაწილეებს წინასწარ ვერ დავასახელებ, მაგრამ ამის დიდი შანსი არსებობს...

**ვასო:**

— მე რომელიმე „ვარსკვლავს“ უნდა ვეთამაშო, მაგრამ არ ვიცი — რომელს (*იცინის*). ანი ამბობს ხოლმე, — თქვენ წამყვანები იყავით, მე მათამაშეთო!

**— სამსახურში ხშირად ცელქობთ?**

**ანი:**

— ეს ჩვენი სამსახურებრივი ცხოვრების „კანონია“!

**ვასო:**

— სამსახურში ძალიან „წყნარები“ ვართ.

**— ეი. ცელქობა-ცელქობით საქმეს აკეთებთ...**

— ჩვენთვის ხშირად უთქვამთ, — ნეტავ, თქვენო! სინამდვილეში ჩვენი საქმე უდიდეს შრომასთანაა დაკავშირებული.

**— მართალია, სამსახურში ბევრ დროს ატარებთ ერთად, მაგრამ მის გარეთაც თუ გაქვთ ურთიერთობა?**

**ვასო:**

— ხვალ არ სცალია, თორემ სათევზაოდ წასვლა შევთავაზე...

**ანი:**

— კი, სამსახურის გარეთაც ვურთიერთობთ. ვიდრე თანამშრომლები გავხდებოდით, მანამდე საერთო ნაცნობის დაბადების დღეზეც ვიყავით.

**— რამდენად ახლო ურთიერთობა გაქვთ — მაგალითად, ერთმანეთს საიდუმლოს თუ ანდობთ ხოლმე?**

**ვასო:**

— გუშინ დავურეკე — ესა და ეს გოგო მომწონს-მეთქი, — ვუთხარი. მიპასუხა: ვასო, მე შენთვის უკეთესი მინდოდაო! ხმა ვეღარ ამოვიღე...

**ანი:**

— (*იცინის*) მსგავსი რამ არ მომხდარა!.. ცხოვრებაში ასეთი „კანონი“ მაქვს: თუ ადამიანი პირადულს თავად არ მომიყვება, ამაში ჩარევის უფლებას საკუთარ თავს არ მივცემ. თუ რაიმეს მკითხავს (როგორც გუშინ ვასომ „მკითხა“), რა თქმა უნდა, ვუპასუხებ.

**— ახლა თქვენი პირადი ცხოვრების შესახებაც მომიყევით...**

— პირად ცხოვრებაში რაღაც საინტერესო ყოველთვის ხდება, მაგრამ ისეთი, „ხაზგასასმელი“ — არაფერი, მოსაყოლად რომ ღირდეს.

**— ვასო, ანის თაყვანისმცემლების შესახებ თუ ფლობ ინფორმაციას?**

— (*ჯულის ჯიბიდან ქაღალდის ფურცელს იღებს*) ეს დაწუნებულების სიაა!

**— რამდენი კაცია?**

— 14. ესენი დღეს დაიწუნა (*იცინიან*).

**— ანი, როგორი ბიჭები მოგწონს?**

— ჩემი გემოვნება არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ისე, სხვათა შორის, ვინც კი ოდესმე მომწონებია, ყველას წვრილი, გაწელილი თვალის ჭრილი აქვს — რომ იცინიან, თვალები არ უჩანთ. ეს ფაქტი ამას წინათ აღმოვაჩინე, რაშიც ჩემი მეგობრები დამეხმარნენ. მოკლედ, თურმე „გაწელილთვალებიანი“ ბიჭები მომწონს.



**ვასო:**

— ვართე, ვითომ (*იცინიან*)?..

**— ვასო, შენ მიერ დაწუნებული გოგონების სიაც ხომ არ გაქვს?**

— არა, არა, ხუმრობით რაღაცებს კი ვამბობ ხოლმე, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ყოფილა შემთხვევა, როცა ადამიანი მომწონებია, მაგრამ შევმცდარვარ. არ მინდა ბანალური ფრაზის გამეორება, — მთავარი — სულიერი სამყაროა-მეთქი. გოგონა კარგი „ტიპში“ უნდა იყოს, რა! რაღაც მინუსი ყველას აქვს.

**— ამჟამად შენს პირად ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი თუ ხდება?**

— არ მესმის...

**— ტრადიციისამებრ, ეს კითხვა ამჯერადაც „არ გესმის“...**

— ჰა (*იცინის*)?.. პირადი ცხოვრება — პირადია!..

**ანი:**

— ჩემს პირად ცხოვრებაში რაღაც რომ ხდებოდეს, ჩემს რჩეულს, ახლობლებს გავაფრთხილებდი — საზოგადოებისთვის ეს არ გაამხილოთ. როცა ყველაფერი „გაოფიციალურდება“, ამას ყველა გაიგებს...

**— ანი, შენ და ვასოს არასოდეს გიჩხუბიათ?**

**ვასო:**

— ეს „შრამი“ იცი, რატომ მაქვს?.. ანიმ სუვენირი მესროლა!

**ანი:**

— დერეფნის ერთი ბოლოდან მეორეში „გავუშალე“!

**ვასო:**

— ვასოო! — დამიძახა. — რა-მეთქი? — ვკითხე და... ბრახ (*იცინის*)!.. მე და ანის საჩხუბარი რა გვაქვს?!

**ანი:**

— უკონფლიქტო ადამიანი ვარ. ასეთივეა ვასილიც.

**— ვასო, ანის დასთან — ლიკა ქორქაშთან თუ მეგობრობ?**

— კი, მაგრამ მასთან ისეთი ურთიერთობა არა მაქვს, როგორიც ანისთან. წინათ „რუსთავი 2“ დაქსაქსული იყო: ერთი სტუდია იქ იყო, მეორე — აქ... ახლა ახალ შენობაში გადავედით, სადაც ყველანი ერთად ვართ — ერთმანეთს უფრო „ჩავეხუტებით“!.. ■



ჩემი გემოვნება არანაირ ჩარჩოში არ ჯდება

# რით მოხიბლა სალომე ფაღავამ რეჟისორები

## „არაფრის ფობია არ მჭირს...“



**სულ მალე „რუსთავი 2“-ის ეთერში ახალი კრიმინალური სერიალი — „დეტექტივები“ გავა, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ახალგაზრდა მსახიობი, სალომე ფაღავა ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ სალომე არაპროფესიონალი მსახიობია, ბოლო დროს, აღნიშნული სერიალის გარდა, კიდევ რამდენიმე ფილმში ითამაშა.**

*ნათია ჟვიძე*

**— პირველ რიგში, მაინტერესებს, რამდენი წლის ხარ და სად სწავლობ?**

— 20 წლის ვარ და სამხატვრო აკადემიაში, გრაფიკული დიზაინის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ.

**— გამოდის, რომ არაპროფესიონალი მსახიობი ხარ...**

— მართალია. თეატრალურ ინსტიტუტში არ მისწავლია.

**— მაშინ რატომ გადაწყვიტე, ბედი კინოში გეცადა?**

— ბავშვობაში თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება მინდოდა, რადგან ვმღეროდი, ვცეკვავდი და ა.შ. მაგრამ როცა სკოლა დავამთავრე, მე და დედა დავსხედით, ვიმსჯელეთ და ბოლოს, ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩამებარებინა, რადგან ეს გაცილებით მყარი პროფესიაა. არ მინდა, ვინმემ ცუდად გამიგოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოში თეატრის მსახიობებს სტაბილური შემოსავლის წყარო არა აქვთ — იმაზე არიან დამოკიდებულნი, რომელიმე რეჟისორი როლზე დაამტკიცებს თუ არა... სხვათა შორის, მეგობრები ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ მსახიობისთვის საჭირო მონაცემები მქონდა.

**— მიუხედავად შენი პროფესიული არჩევანისა, სამსახიობო ხელოვნებაში აქტიურად ხარ ჩაბმული. როგორ აღმოჩნდი ეკრანზე?**

— 15-16 წლის ასაკში მეგობართან ვიყავი. ტელევიზორი ჩართული გვქონდა და ვსაუბრობდით. ამ დროს რეკლამა გავიდა, სადაც გამოაცხადეს, რომ სერიალისთვის — „ჩიპსების თაობა“ — კასტინგი ტარდებოდა. მეგობარმა მითხრა, — იქნებ ბედი გეცადაო. საოცარია, მაგრამ სწორედ იმ დროს დამიკავშირდა კიდევ ერთი მეგობარი, რომელიც ამ სერიალისთვის სცენარს წერდა და მანაც იგივე გამიმეორა; ძალიან უცნაური დამთხვევა იყო. უნდა ვაღიარო, იმ კასტინგზე საერთოდ არ მინერვიულია, საკმაოდ თავისუფლად ვიქცეოდი და სალომეს როლზე პირველივე ტურზე დამამტკიცეს. ამას მოჰყვა მიწვევა კლიპებსა თუ რეკლამებში. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჯერჯერობით ჩემთვის ყველაზე დიდი პროექტი „დეტექტივები“ იყო.

**— „ჩიპსების თაობა“ რომ დასრულდა, შემდეგ სეზონზე, მსახიობთა იგივე შემადგენლობით, ახალი სერიალი — „ჩვენი ოფისი“ გადაიღეს, მაგრამ შენ მასში აღარ მონაწილეობდი. რატომ გამოეთიშე ამ გუნდს?**

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ მიმაჩნია, რომ „ჩვენს ოფისში“ ჩემი პერსონაჟის ადგილი აღარ იყო. „ჩიპსების თაობაში“ ნიკას დავშორდი, მილიონი მოვიპარე და ამ გმირის ახალ სეზონში გამოჩენა უკვე ზედმეტი იქნებოდა...

**— ამის გამო გული არ დაგწყდა?**

— რომ ვთქვა, — გული არ დამწყდა-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ასე იყო საჭირო. სხვათა შორის, ამ პროექტიდან წამოსვლის მერე სურვილი გამიჩნდა, მხატვრულ ფილმშიც მიმეღო მონაწილეობა.

**— თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ სერიალში მიგიწვიეს. როგორ მოხვდი „დეტექტივების“ გადასაღებ მოედანზე?**

— ჩემმა აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ კასტინგზე უნდა მივსულიყავი. სამი ტური გავიარე და ერთ-ერთ მთავარ როლზე დამამტკიცეს. ჩემი გმირი კესო გახლავთ.

**— როგორც ვიცი, ამ სერიალში კრიმინალისტის როლს ასრულებ. მანამდე რამდენად გხიბლავდა კრიმინალი, დეტექტიურ წიგნებს თუ კითხულობდი?**

— რომ გითხრა, დეტექტიური ჟანრის წიგნებს ვკითხულობდი-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ამ ჟანრის ფილმები ბავშვობიდანვე მიყვარდა და დეტექტივს მამასთან ერთად ვუყურებდი ხოლმე.

**— როგორც ვიცი, ვიდრე სერიალის გადაღება დაიწყებოდა, ერთთვიანი მოსამზადებელი კურსი გაიარეთ. როგორ შეეგუე იარაღს, „სისხლს“, „გვამებს“?..**

— მოსამზადებელი პერიოდი პოლიციის აკადემიაში გავიარეთ, სადაც ბევრი რამ სერიოზულად შევისწავლეთ და ამ ყველაფერს ისე კარგად გავართვით თავი, რომ ინსტრუქტორები გვეხუმრებოდნენ, — ჩვენთან კიდევ ცოტა ხანს რომ დარჩეთ, უკვე დიპლომებსაც მოგცემთო. ინტენსიურად ვვარჯიშობდით, სროლაც ვისწავლეთ. სხვათა შორის, ტირში ყველა მსახიობმა 80 ქულიდან 70-75 ქულა ავიღეთ და ამით ინსტრუქტორები აღვაფრთოვანეთ. თუ ადამიანს იარაღის შიში არა



ჯერჯერობით ჩემთვის ყველაზე დიდი პროექტი „დეტექტივები“ იყო



ამ ფილმით ჩვენ მსოფლიო რეკორდს დავამყარებთ

აქვს, ეს საქმიანობა საკმაოდ საინტერესოა. კასტინგზე გვკითხეს კიდეც, — იარაღის, სისხლის ან გვამების ხომ არ გეშინიათო? საბედნიეროდ, პირადად მე, არაფრის ფობია არ მჭირს.

**— შენი გმირის შესახებ კიდევ რისი თქმა შეგიძლია?**

— ჩემი გმირი სოხუმიდან დევნილი, 25 წლის კრიმინალისტი გოგონა, რომელიც გაჭირვებულ ოჯახში ცხოვრობს. ის ძალიან ჭკვიანი, თავისი საქმის პროფესიონალია და ამიტომაც, პოლკოვნიკმა თავის ექსპკაციან გუნდში ჩასვა. იმასაც გეტყვით, რომ კესო უამრავ რთულ საქმეს გახსნის.

**— სერიალში თითოეული გმირის პირადი ცხოვრებაც ასახულია?**

— უფრო მეტად, ყურადღება კესოს პირად ცხოვრებაზეა გამახვილებული. ლევან ჯიბლაშვილი სერიალში გიორგი ტატიშვილის როლს ასრულებს და სწორედ მის გმირს შეუყვარდება კესო...

**— როგორც ვიცი, სერიალის სცენარი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაიწერა...**

— მართალია. გადავიღეთ რუსთაველი მანიაკის ამბავი, 4 ქმრის მკვლელი ქალის ისტორია და ა.შ. მაყურებელი თბილისში მომხდარ არაერთ გახმაურებულ კრიმინალურ ამბავს იხილავს. წესით, ეს სერიალი 14-სერიიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დამკვეთმა მოითხოვა, რომ რამდენიმე სერია კიდევ დაემატოს და სულ მალე, გადაღებები ისევ დაგვეწყება.

**— როდის ვიხილავთ „დეტექტივებს"?**

— პირველი სერია 9 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე გავა.

**— როგორც ვიცი, მხატვრულ ფილმშიც მიგიწვიეს...**

— დიახ, ასეა. აბსოლუტურად შემთხვევით, ამერიკაში მოღვაწე ქართველი რეჟისორი — ნიკოლოზ ხომასურიძე „დეტექტივების" გადაღებაზე მოვიდა. შევამჩნიე, რომ გადასაღებ მოედანზე უცხო პიროვნება იყო, მაგრამ მისი ვინაობა არ ვიცოდი. ორი-სამი დღის შემდეგ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ კასტინგზე უნდა მივსულიყავი. როგორც გაირკვა, ამ რეჟისორს ჩემი მუშაობა ძალიან მოსწონებია და ერთ-ერთ როლზე დამამტკიცა. ის ფილმი ახლა მონტაჟის პროცესშია და მაყურებელი მას ოქტომბრის ბოლოს იხილავს.

**— იმავე რეჟისორმა კიდევ ერთ ფილმში მიგიწვია, არა?**

— დიახ. ეს გახლავთ ფილმი „დავიწყებული მეფე", რომელიც „ვეფხისტყაოსნის" მოტივებზეა აგებული. ამ ფილმით ჩვენ მსოფლიო რეკორდს დავამყარებთ — 100-წუთიან ფილმს ერთ დღეში, მხოლოდ ერთი დუბლით გადავიღებთ. აქამდე მსგავსი ფილმი ერთერთმა რუსმა რეჟისორმა გადაიღო, მაგრამ ის 90-წუთიანი გახლდათ და ჩვენ მის რეკორდს გავაუმჯობესებთ. ნიკოლოზი ამერიკიდან სპეციალურად ამ ფილმზე სამუშაოდ, გადამღებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა. ახლა უკვე სისტემატური რეპეტიციები გვაქვს და გადაღებაც მალე დაიწყება.

**— ამ ფილმში მთავარ როლს ასრულებ?**

— დიახ, მთავარ როლებში მე და დათო ქაცარავა ვიქნებით. დათო მეფის შთამომავლის, დემეტრე ორბელის როლს ასრულებს, მე კი მის საცოლეს განვასახიერებ. ჩემი გმირი არქეოლოგ-ისტორიკოსია, რომელიც ლოსანჯელესში ცხოვრობდა, 25 წლის ასაკში კი სამშობლოში დაბრუნდა...

**— სალომე, შეყვარებული თუ ხარ?**

— არა, შეყვარებული ნამდვილად არ ვარ. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს, დიდი სისულელე იქნება, თუ ვიტყვი, — ამის დრო არა მაქვს-მეთქი. სიყვარულის დრო ყოველთვის არის და ალბათ, მაშინ შემიყვარდება, როცა ამას ღმერთი ინებებს. ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, ვინც შემიყვარდება, ის ბოლომდე მიყვარდეს.

**— ეი. მიგაჩნია, რომ ცხოვრებაში ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის?**

— არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც 2-3-ჯერ უყვარდებათ, მაგრამ ძალიან მინდა, მე ისე შემიყვარდეს, რომ მასთან განშორება აღარ მომინდეს.

**— ალბათ უამრავი თაყვანისმცემელი გყავს. მათგან საჩუქრებს თუ იღებ?**

— ყოფილა შემთხვევა, როცა აბსოლუტურად უცხო ადამიანისგან მიმიღია საჩუქარი და ეს რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ საყვარელი ადამიანისგან მიღებულ საჩუქარს ვერაფერი შეედრება. ■



# ნათია მიქიაშვილი: „მამაკაცს ცრემლებს არასდროს დავანახვებ“



**ჩემი ფსიქოპორტრეტი ალბათ იმით დაიწყება, რომ ინტერვიუზე დავაგვიანე, მაგრამ რა ვქნა, ვერასდროს ვგეგმავ წინასწარ დღესო, — ასე დაიწყო ჩემი ინტერვიუ პროფესიით იურისტ და საზოგადოებისთვის ჟურნალისტად ცნობილ ნათია მიქიაშვილთან. „იმედის“ შემდეგ, ნათიამ „მაესტროში“ გადაინაცვლა. იყო ავტორი გადაცემისა „სპეციალური რეპორტაჟი“. ახლა ახალ პროექტს ამზადებს ამავე ტელევიზიაში. რაც შეეხება პირად ცხოვრებას: ამჟამად განქორწინებულია. მისი მეუღლე გახლდათ თბილისის პოლიციის უფროსი, გოგა გრიგალაშვილი. 2 წლის შვილი — ალექსანდრე ჰყავს. ნათია ამბობს, რომ მარტო ყოფნა არ უყვარს და არც ახლაა მარტო.**

**მისი, როგორც ჟურნალისტის, სახელი ხშირად, რისკიან რეპორტაჟსა და სიუჟეტს უკავშირდება. ამიტომ საუბარი სწორედ ჟურნალისტიკით დავიწყეთ.**

*ნინო მჭედლიშვილი*

— **ნათია, ეთანხმები მოსაზრებას, რომ ჟურნალისტს სქესი არა აქვს?**

— რა სისულელეა?! არაჩვეულებრივად ვსარგებლობ საკუთარი საქმიანობისთვის ჩემი სქესით: მამაკაც რესპონდენტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად სიმპათიით არიან განწყობილნი მანდილოსნის მიმართ, ხშირ შემთხვევაში ერიდებათ უარის თქმა, უხეში ფორმით მომართვა.

— **მაგრამ მეორე მხრივ, ბევრი ისეთი რამ გაგიკეთებია, რაც ქალისთვის ცოტა მძიმე ან უხერხულია, არა?**

— ვფიქრობ, თუკი სამყაროში ვინმეს რაიმე დიდი გაუკეთებია, ეს ან ქალის ხელშეწყობით მომხდარა, ან თავად ქალის მონაწილეობით. ქალების გარეშე მსოფლიო ვერ იარსებებს. სახელმწიფოს მმართველი მამაკაცი, იმპერატორი თუ კეისარი ხშირ შემთხვევაში, ქალის გავლენით მოქმედებდა. ბევრჯერ გვსმენია გამონათქვამი, — მას მართავს ცოლი, მართავს საყვარელი და ა.შ. ასე რომ, საკმაოდ კარგი წარმოდგენის ვარ ქალებზე.

— **აბა, რატომ გვეძახიან სუსტ სქესს?**

— სუსტი სქესის იმიჯი გვაქვს, რაშიც ჩვენი სიძლიერე მდგომარეობს.

— **უშიშარი ხარ? ყველაფერს გააკეთებ მიზნის მისაღწევად?**

— ორად ორი რაღაცის მეშინია — ღამურის და კალიის. დანარჩენი, ვფიქრობ, საშიში არასდროს არაფერია.

— **ეი. რომელიმე მინისტრის ოთახში ღამურა რომ გეგულებოდეს, მასთან ინტერვიუზე არ შეხვალ?**

— მინისტრის კი არა, რომელიმე მარსელმა რომ დამირეკოს მარსიდან, კალიისა და ღამურის თანხლებით ინტერვიუს ვერ ჩავწერ.

— **იზიარებ მოსაზრებას, რომ ჟურნალისტი ქალები ცუდი ცოლები და დედები არიან?**

— აბსოლუტური სისულელეა ესეც. ამას მივხვდი საკუთარ მაგალითზე. ის დრო, რომელიც მრჩება, სავსებით საკმარისია ოჯახისთვის. მობილიზებული ხარ და პასუხისმგებლობით ეკიდები ოჯახსაც და საქმესაც. ის მითი, რომ 24 საათი უნდა იყო სახლში იმისთვის, რომ კარგი დედა იყო, ტყუილია. რა თქმა უნდა, მირჩევნია, მეტი დრო მქონდეს შვილთან გასატარებლად, მაგრამ ხშირად, ცოტა დრო სიყვარულს ამძაფრებს. მე არ მრჩება დრო საიმისოდ, რომ შვილს გავუწყრე, იმდენად მონატრებული ვარ. ერთი სიტყვით, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ შვილი და ოჯახი კაბის კალთაზე უნდა გყავდეს გამობმული. რაც მეტ დამოუკიდებლობას აძლევ ადამიანს, მით უფრო ნაკლებად უჭირს ცხოვრებაში. დედაჩემი არასდროს მუშაობდა, იყო ტრადიციული ქართული ოჯახის დიასახლისი. 10 წლის ასაკში დავკარგე მამა და დედა იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო. ამ ასაკიდან მომიწია მარტოს მეზრუნა საკუთარ ჩამოყალიბებაზე, მაგრამ არ გამჭირვებია, იმიტომ, რომ დაბადებიდან მაჩვევდნენ ოჯახში დამოუკიდებლობას.

— **დედმამიშვილები გყავს?**

— ორი ძმა მყავს, ოღონდ — მამით, მისი პირველი ქორწინებიდან. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს ორივესთან. ურთიერთობა შეიძლება იყოს დეფიციტური, შეხვედრის სიხშირის მხრივ, მაგრამ როცა ადამიანებს ერთმანეთი ენატრებათ, უფრო შედეგიანია.

— **შენ რამდენ ხანს გენატრებოდა შენი მეუღლე?**

— სულ მენატრებოდა და ეს ძალიან მაგარია.

— **რამდენ ხანს იყავით ერთად?**

— 4 წელი შეყვარებულები ვიყავით, 8 თვე — ცოლ-ქმარი.

— **მითხარი, რომ ნაკლები დრო გრჩება იმისთვის, რომ ბავშვს გაუწყრე. ვინ აკეთებს ამას შენ მაგივრად?**

— ჩემი შვილი საკმაოდ დამჯერია. ალექსანდრე 2 წლის არის, ცელქია, მაგრამ არ მინდა შევზღუდო; თუ ზღვარს არ სცდება, ყველაფრის ნებას ვაძლევ. აქამდე ძიძა გვყავდა. ახლა ვფიქრობ, რომ ძიძაც ისევ გვეყოლება, ხოლო დღის მეორე ნახევარში ბაღშიც ივლის. მინდა, სხვა ბავშვებთან ურთიერთობას მიეჩვიოს.

— **დავუშვათ, გაქვს, ჟურნალისტურ ენაზე რომ ვთქვათ, „ბომბი“ ინფორმაცია, რომლის გამომზეურებაც შენს საყვარელ ადამიანს დააზარალებს. გულს დასწყვეტ მას თუ თავს შეიკავებ?**

— 4 წელი სხვა არაფერი მიკეთებია. ასე რომ, ეს კითხვა მგონი, ჩემს შემთხვევაში ზედმეტია. მაგრამ ერთს გეტყვი — ყველა ინფორმაციას გამორჩეულად ვუდგები. ჩემთვის „ინფორმაცია ინფორმაციისთვის“ არ არსებობს — ამას ყოველთვის ვამბობ, ყველა სამსახურში. ჩემთვის მთავარია — ადამიანები, მათთან ურთიერთობები და მხოლოდ ამის შემდეგ — ინფორმაცია. ამგვარ მიდგომას კარგის მეტი არაფერი მოუტანია ჩემი საქმიანობისთვის. რაც უნდა არასასურველი ინფორმაცია მქონოდა ამა თუ იმ პიროვნებაზე, თუ ადამიანურად მივუდგებოდი, შეიძლება, კომენტარზეც კი დამეყოლიებინა. მაგრამ აქაც ზღვარი მაქვს გავლებული: თუ ვინმეს პირად ცხოვრე-

ბაზე მაქვს ინფორმაცია, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს, არასდროს ამოვა ჩემი პირიდან, გამორიცხულია!

**— კარიერასა და სიყვარულს შორის არჩევანის წინაშე დამდგარხარ?**

— არა. ვერ გაუბედავთ ამ არჩევანის წინაშე ჩემი დაყენება.

**— რომელი უფრო მნიშვნელოვანია შენთვის?**

— ვერ გეტყვი. ვერც ერთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. თუმცა ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ალექსანდრეა — კარიერასა და პირად ცხოვრებაზეც.

**— რამდენად მიმნდობი ხარ? მაგალითად, ინტერნეტით გაცნობილ მამაკაცთან პაემანზე წასულხარ?**

— თუ დამიჯერებ, არასდროს გამიცნია ადამიანი ინტერნეტით და ტელეფონით. ვირტუალურ ურთიერთობებს ვერ ვიტან, მიყვარს ყველაფერი, რაც ხელშესახებია. მიმნდობს რაც შეეხება, ნამდვილად ვარ. თუმცა არც ამას მოუტანია ჩემთვის ცუდი შედეგი. ის ადამიანებიც კი, რომლებსაც არ შეიძლება ენდო, ჩემს კეთილგანწყობასა და ნდობას რომ ხედავდნენ, თუ უკიდურესად გაბოროტებულნი არ იყვნენ, დადებით ენერგეტიკას აფრქვევდნენ ჩემი მისამართით.

**— თამაში გეხერხება?**

— არა! თუ ადამიანები არ მიყვარს, არ შემიძლია მათთან ურთიერთობა. თუ საქმე არა მაქვს, კაფეში ვერ დავჯდები ადამიანთან იმის გამო, რომ „ფეისია“ და მასთან ჯდომა ჩემთვის ხელსაყრელია.

**— ყველაზე უცნაურ პაემანზე მიამბობ?**

— (*ფიქრობს*) არც იმას დამიჯერებ, რომ გითხრა, პაემანზე არ ვყოფილვარ-მეთქი.

**— მაშ, როგორ ვითარდებოდა ურთიერთობა შენსა და გოგას შორის?**

— პაემანი კლასიკური მნიშვნელობით, გოგასთანაც არ მქონია. უცნაური ალბათ ჩვენს გაცნობას შეიძლება ვუწოდოთ. მანქანა რომ დავამტვრიე, მაშინ გავიცანი.

**— მოთმინებით თუ გამოირჩევი?**

— ოო, თუ რაიმე დამმართვია ცხოვრებაში, მხოლოდ ჩემი სულსწრაფობის გამო. არასდროს არაფერს მოვითმენ და ვერც შევიცვლები, თუმცა ძალიან მინდა, ამ მხრივ გამოვსწორდე. აღარა ვარ 16 წლის და აღარ მეპატიება, მაგრამ...

**— შენი თანდასწრებით ჟურნალისტებს რომ ლანძღავდნენ, როგორი რეაქცია გექნება?**

— ადეკვატური: აუცილებლად ვიტყვი ჩემს აზრს იმ ადამიანზე, ვინც ილანძღება. ზოგადად ლანძღვას ვერ ვიტან.

**— დღეს ხომ მოდაშია ჟურნალისტების კრიტიკა?!**

— ვერ ვიტყვი, რომ მოდაშია — უბრალოდ მგონია, რომ სხვა გამოსავალი არა აქვთ, საკუთარი უმეცრების, წარუმატებლობის ფონზე. ამიტომ ლანძღავენ მათ, ვინც ამ წარუმატებლობას აშკარავებს.

**— ყვირილი ხშირად გიწევს?**

— კი (*იცინის*)... მყვირალა ადამიანი ვარ, ხმადაბლა ლაპარაკი არ შემიძლია. ცხელ გულზე ნივთებიც დამიმტვრევია, ეს აუცილებელია — აგრესიას „გამოსვლის“ საშუალება უნდა მისცე, რომ არ დაგროვდეს. ერთხელ, ძალიან ძვირად ღირებული მობილური დავამტვრიე, ფასსაც ვერ ვიტყვი, იმხელა თანხა გადავიხადე.

**— დეპრესია გქონია?**

— მხიარული ვარ, მაგრამ დეპრესიაც მქონია. ჩემი დეპრესია ასეთია: ვთიშავ კომუნიკაციის ყველა საშუალებას, სრულიად სამყაროს ვეთიშები; ვზივარ სახლში და ვუყურებ უამრავ მხატვრულ ფილმს.

**— ჟანრი?**

— ძირითადად, ზღაპრები და საშინელებათა ფილმები. დოკუმენტური ფილმებიც მომწონს. ჩემი ყველაზე გრძელვადიანი დეპრესია 4-დღიანია. მაგრამ უმიზეზოდ არასდროს ვვარდები დეპრესიაში; თუ ეს მემართება, ე.ი. სერიოზული პრობლემა მაქვს, რომლის გადაჭრის გზებს ვეძებ. ამგვარად, ჩემი დეპრესია — პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაა. ზოგიერთის დეპრესია შეიძლება შეყვარებულთან დაშორებამ გამოიწვიოს, რაც სისულელედ მიმაჩნია.

**— ოჯახის დანგრევასაც არ გამოუწვევია დეპრესია?**

— არა. იმ პრობლემის გამო, რომელსაც ვერ გადავჭრი, არ ვდარდობ. ებრალებს აქვთ გამოთქმა, — თუ საქმეს ეშველება, რა განერვიულებს, თუ არ ეშველება — მით უმეტეს, არ უნდა ინერვიულოო.



**— როცა რაიმე არ გამოგდის, ფარ-ხმალს ადვილად ყრი თუ ბოლომდე იბრძვი მიზნის მისაღწევად?**

— არ ვიცი, ფარ-ხმლის დაყრა რა არის, არც ის ვიცი, მიზანი რა არის... ამწუთას ჩემი მიზანია ახალი პროექტის გაკეთება, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება ჩემი მიზანი 10 წლის შემდეგ. სკეპტიკურად ვუყურებ ადამიანებს, რომლებსაც არ ეცვლებათ მიზნები, აზრი ცხოვრებაზე, პოლიტიკოსზე და ა.შ. შეიძლება ერთი და იგივე წიგნი სხვადასხვა ასაკში სხვადასხვანაირად აღიქვა.

**— პიარის სანაცვლოდ, ქრთამი შემოუთავაზებიათ შენთვის?**

— კი, რამდენჯერაც გინდა. მაგრამ ვერასდროს ავიღებ ქრთამს იმიტომ, რომ ძალიან მეშინია. თან ჩემი მოქრთამვა ძალიან ძნელია.

**— რატომ?**

— ალბათ ძალიან ძვირად ვაფასებ იმას, რასაც „ვყიდი“. მიუხედავად იმისა, რომ „კლასიკური ავანტიურისტი“ ვარ, ასეთი ტიპის ავანტიურაში არასდროს ჩავებმები. რომელი თამაშიც შესაძლოა ცუდად დამთავრდეს, იმას არ დავიწყებ. აზარტული ვარ, ვგიჟდები კაზინოზე, მაგრამ არასდროს შევდივარ, იმიტომ, რომ არ ვიცი, როგორი იქნება ფინალი.

**— დღეს შენი შვილის მამამ რომ დაგირეკოს და შერიგება გთხოვოს, როგორი იქნება შენი პასუხი და რას მიაწერ მის ამ ნაბიჯს?**

— ძალიან ბევრს ვიცინებ. ვიფიქრებ, სამსახურიდან გამოუშვეს-მეთქი...

**— როგორ გგონია — ძლიერი ქალი ხარ?**

— ჩვეულებრივი ქალი ვარ; ძლიერი იყო მარგარეტ ტეთჩერი. ოდესმე თუ მანდობენ დიდ ბრიტანეთს სამართავად და ამას კარგად გავართმევ თავს, ვიტყვი, რომ ძლიერი ქალი ვარ.

**— ამჟამად მარტო ხარ?**

— არასდროს ვარ მარტო. მეზიზღება მარტოობა და არც ვიქნები!

**— ე.ი. მამაკაცი, რომელსაც მხარზე თავს დაადებ და იტირებ, არსებობს?**

— რა გითხრა?!. ამ სამყაროში ყველაზე მეტად ვინც მყვარებია, იმის მხარზეც კი არ მიტირია არასდროს.

**— მართლა?! მაშ, ძლიერი ყოფილახარ!**

— არ არის ეს სიძლიერე. დამიჯერე, ყველა ქალი იტყუება, როცა ვიღაცის მხარზე ტირის. ქალმა ყოველთვის იცის, რომ მამაკაცი მას პრობლემას ვერ მოუგვარებს. შეიძლება, მეგობართან ვიტირო, დაქალთან, მაგრამ მამაკაცს ჩემს ცრემლებს არ დავანახვებ. გამორიცხულია, ჩემმა მეორე ნახევარმა იცოდეს, რა პრობლემა მაქვს და როგორ ვაგვარებ. ■

# დემი მური განქორწინებას ითხოვს





სექტემბრის ბოლო დღეებში ჰოლივუდი ცოლქმრული ღალატის სამმა გახმაურებულმა სკანდალმა შეძრა. პრესაში პირველად, ბრედ პიტის სახელმა გაიელვა, რომელიც თავად „ღალატის მიზეზმა“ — 22 წლის ფრანგმა მოდელმა რასინმა დაასახელა. გოგონა იმ ავიაკომპანიის VIP-კლიენტებს ემსახურება, რომლის თვითმფრინავით ჰოლივუდელი ლოველასი საფრანგეთში ცოლშვილთან გაემგზავრა. როგორც ჩანს, მსახიობი მისი პირადი



ცხოვრების შესახებ ატეხილ სკანდალებს უკვე შეეჩვია, ამიტომ პრესაში გაკეთებული განცხადება არც კი გაუპროტესტებია. ფრანგი მოდელის გულახდილ ინტერვიუს არც ანჯელინა ჯოლის რეაქცია მოჰყოლია, რომელმაც ჯენიფერ ენისტონთან შერიგების მცდელობით, ქმრისა და საზოგადოების მხრიდან პატივისცემა დაიმსახურა. ბრედ პიტის ყოფილი მეუღლე ანჯელინას შეთავაზებაზე ჯერ კიდევ ფიქრობს და პასუხის გაცემას არ ჩქარობს...

თავშეკავებული ბრედ პიტისგან განსხვავებით, კიდევ ერთმა სექსსიმბოლომ, ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა, მისი ღალატის შესახებ გავრცელებული ხმები უყურადღებოდ არ დატოვა. მისმა იურისტებმა გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს და განაცხადეს, რომ იმ სამყაროში ცხოვრება, სადაც ხალხი პრესაში დაბეჭდილ სიცრუეს იჯერებს, ძალზე ძნელია. „ჩვენ კანონიერ ზომებს მივიღებთ“, — განაცხადეს ბექჰემის წარმომადგენლებმა. საგულისხმოა, რომ ორივე „მოღალატე“ ქმარი ყველაზე სასურველ ვარსკვლავთა რეიტინგში შედის.

ყველაზე მეტად მესამე მოღალატეს — მსახიობ ეშტონ კეტჩერს არ გაუმართლა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, მისმა მეუღლემ, დემი მურმა სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მიმართა... ■

# ნაომი კემპბელის ახალი მსხვერპლი




ნაომი კემპბელმა შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავი ახალი ეპატაჟური გადაღებით აღნიშნა. ჟურნალ Interview-ს ახალი ნომრის მკითხველის წინაშე „შავი ავაზა“ სრულიად „ანტიგლამურული“ იერით წარდგა. ფოტოსურათებზე, დაქირავებული მკვლელის სამოსის მსგავს, შავი ტყავის კოსტიუმში გამოწყობილი მოდელი მამაკაცის გვამს თავზე ადგას, თან იგრიხება; ეს სცენა „სისხლით მორწყულ“ ოთახშია აღბეჭდილი, რომლის



კაფელით მოპირკეთებული კედლები მორგს მოგაგონებთ... მომდევნო კადრებში მოდელი მამაკაცის გვამს ხან ახრჩობს, ხანაც იატაკზე აგდებს და ფეხსაცმლის ქუსლით თელავს... ძნელი სათქმელია, ამ დროს თავად ქალბატონი დორონინა რას გრძნობს, მაგრამ მის პარტნიორს კი ნამდვილად არ გაუმართლა.

ნაომი კემპბელის ფოტოსურათები GQ-ს რუსული გამოცემის გარეკანზეც დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის ცხელი სეზონი უკვე დასრულდა, მოდელმა სამოსის შერჩევით თავი არ შეიწუხა და შიშველი სხეული ყვითელი პითონით დაფარა... ■

# კეტი პერი თხოვდება

ამერიკელმა პოპმომღერალმა კეტი პერიმ, რომლის ჰიტმა ამ დღეებში ჟურნალ Billboard-ის რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა, და მისმა



ბოიფრენდმა რასელ ბრენდმა მომავალი ქორწილისთვის მზადება დაიწყეს. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით წყვილმა მანჰეტენზე მდებარე, 2,7 მილიონ დოლარად ღირებული, 140 კვმ ფართობის აპარტამენტები შეიძინა, რომელშიც ორი საძინებელი, ორი აბაზანა, სასტუმრო ოთახი და ტერასაა.



ქორწილამდე წყვილი თავისუფლების ბოლო დღეებით ტკბება და მხიარულად ატარებს დროს. ბრენდმა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ბიჭების წვეულება მოაწყო, რომელზეც ნოელ გალაჰერი, ჯონათან როსი, გაი რიჩი და ჯგუფ The Libertines-ის წევრი კარლ ბარატი ჰყავდა მიწვეული. მეგობრები ფეხბურთის მატჩის ყურებით დატკბნენ, შემდეგ კი ბარში ისიამოვნეს. კეტი პერიმ და მისმა მეგობარმა რიანამ კი ლას-ვეგასს მიაშურეს. დასვენების პროგრამაში ცირკის მონახულება, მსახიობებთან ერთად ფოტოსურათების გადაღება, საცურაო აუზში ნებივრობა და ბარებში სასმელების დაგემოვნება შედიოდა.

2009 წლის დეკემბერში პერი და რასელი ერთხელ უკვე დაიხარჯნენ და ლოს-ანჯელესის პრესტიჟულ ლოს-ფელიზის რაიონში 3,25 მილიონად ღირებული, 437,2 კვმ ფართობის ბინა შეიძინეს.

■

*რუბრიკა მოამზადა*
***ნატო მანჯავიძემ***



# ჯაზური მუსიკით გატაცებული მოსკოველის ქართული ფესვები

## „მერაბ სეფაშვილი შეთავაზებაზე დამთანხმდა...“

**ახალგაზრდა მომღერალი — დიანა ლაბაძე რუსეთში დაბადებულ-გაზრდილია. ამჟამადაც იქ ცხოვრობს, მაგრამ როგორც აღნიშნავს, მისი ფესვები საქართველოშია და ჩვენს ქვეყანას წელიწადში ორ-სამჯერ სტუმრობს. ამ ცოტა ხნის წინ დიანა სამშობლოში ჩამოვიდა და ბათუმში სოლოკონცერტიც გამართა.**

*ეთო ყორღანაშვილი*

**— დიანა, არც ისე დიდი ხნის წინ ბათუმში შენი პირველი სოლოკონცერტი გაიმართა. გვიამბე — ეს საღამო როგორ დაიგეგმა?**

— ჩემს საყვარელ ქალაქ ბათუმში სოლოკონცერტის გამართვის სურვილი ყოველთვის მქონდა. გადაწყვეტილების მიღებაში ჩემი პედაგოგი — ვახტანგ გორდაძე დამეხმარა, რისთვისაც მას მადლობას კიდევ ერთხელ ვუხდი. რაც შეეხება კონცერტის ორგანიზებას, ამაში მთავარი წვლილი ჩემი ოჯახის დიდ მეგობარს — ბატონ თამაზ ნიკოლაიშვილს მიუძღვის. კონცერტზე სხვადასხვა ჟანრის სიმღერები, მათ შორის — მაცაცო სებისკვერაძის რომანსიც შევასრულე; ასევე, დუეტში ვიმღერე ბატონ მერაბ სეფაშვილთან (სიმღერა ქალბატონმა რუსა მორჩილაძემ დაგვიწერა) და ზურა ხაჩიძესთან (სიმღერის ავტორი — ზაზა ხუბუკელაშვილია). სხვათა შორის, ორივე დუეტის ტექსტი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის; ასევე, ჯაზის სტილის სიმღერები საუკეთესო ბენდთან — პაატა ადრიაძე, ნოდარ ექვთიმიშვილი, ირაკლი მენთეშაშვილი, დავით მასტერანოვი, გია სალაღიშვილი — ერთად შევასრულე. და კიდევ, გვერდს მოსკოველი მეგობრებიც — Fusion Ballet — მიმშვენებდნენ.



მერაბ სეფაშვილთან ერთად კლიპის გადაღებას ვაპირებ



**— ბატონი მერაბ სეფაშვილი დებიუტანტ მომღერალთან დუეტის ჩაწერას იოლად დათანხმდა? იგივეს გკითხავ ზურა ხაჩიძეზეც — თქვენი თანამშრომლობა როგორ დაიწყო?**

— არცთუ ისე ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ, ბატონ მერაბს დუეტის ჩაწერა შევთავაზე და თანხმობა მივიღე, რის გამოც ძალიან კმაყოფილი ვარ. ამავეს თქმა შემიძლია ზურა ხაჩიძეზეც...

**— დიანა, რა მუსიკალური განათლება გაქვს?**

— რუსეთში, კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში, საესტრადო-ჯაზურ განყოფილებაში ვსწავლობ. უკვე მეხუთე ანუ დამამთავრებელ კურსზე ვარ. სხვათა შორის, ხუთოსანი გახლავართ, ოღონდ „რუსული“ ქულებით (*იცინის*).

**— მუსიკალური ნიჭი პირველად როდის გამოავლინე და საერთოდაც, რატომ დაინტერესდი ისეთი რთული მუსიკალური ჟანრით, როგორიც ჯაზია?**

— შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალური ნიჭი გენში მაქვს — მამაჩემის ოჯახში ყველა მღეროდა. როგორც მიყვებიან, პატარაობიდანვე ვმღერი. 6 წლის ვიყავი, როცა დედამ მუსიკალურ სკოლაში შემიყვანა, 8-9 წლის ასაკში კი ვოკალურ სტუდია „გლობუსში“ დავიწყე სიარული. დისკიც გამოვიდა, რომელშიც ჩემი სიმღერა შევიდა და შემდეგ რადიოშიც აჟღერდა. მოგვიანებით მოზარდთა სტუდიაში გადავედი, რომელსაც ცნობილი კომპოზიტორი — ვიაჩესლავ ცვეტკოვი ხელმძღვანელობდა. მეცადინეობისას ვცდილობდი, ნებისმიერი ჟანრის სიმღერა შემესრულებინა, მაგრამ როგორც პედაგოგმა შენიშნა, ყვე-

ლა მუსიკალური მიმართულებისგან ჯაზს გამოვარჩევდი.

**— მუსიკალური კარიერის შექმნაზე სერიოზულად ფიქრობ?**

— რა თქმა უნდა! გამიმართლა, რომ მშობლები მხარში მიდგანან.

**— მოდი, შენი ოჯახის წევრები გაგვაცანი.**

— მყავს დედ-მამა და ძმა, რომელიც იურისტია. მამა ბიზნესმენია. რუსეთში ჩემი ხმის ჩამწერი სტუდია მაქვს, რომელსაც მე და დედა ვუდგავართ სათავეში. ძირითადად, ხმის ჩამწერ სტუდიაში ჩემს სიმღერებს ვწერ.

**— დიანა, რუსეთში კიდევ რას საქმიანობ?**

— ფილოლოგიურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტზე ვსწავლობ, მაგრამ ვინაიდან ორ ფაკულტეტთან ერთდროულად „შეჭიდება“ რთული აღმოჩნდა, დროებით ფილოლოგიურზე სწავლა შევწყვიტე. გამოდის, რომ მაინც ხელოვნების სიყვარულმა გაიმარჯვა (*იღიმის*).

**— რუსული ესტრადის ქართველ წარმომადგენლებთან თუ ურთიერთობ? მართალია, ცხოვრების დატვირთული რეჟიმი გაქვს, მაგრამ როცა თავისუფალი დრო გრჩება, რას აკეთებ?**

— კი, რა თქმა უნდა, მათთან ვურთიერთობ. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვერთობი.

**— ახლო მომავალში სოლოკონცერტის გამართვას კიდევ ხომ არ აპირებ?**

— ჯერჯერობით — არა, მაგრამ პირველად თქვენ გამოგიტყდებით, რომ უახლოეს მომავალში ზაზა ორაშვილის რეჟისორობით, მერაბ სეფაშვილთან ერთად კლიპის გადაღებას ვაპირებ.

**— თუ არ ვცდები, შენს ანგარიშზე ერთი კლიპი უკვე არის, ხომ?**

— ჩემს ანგარიშზე მხოლოდ ერთი კლიპი არაა, მაგრამ ქართველმა მაყურებელმა აკაკი სახელაშვილის რეჟისორობით გადაღებული კლიპით (ტექსტის ავტორი — ნანა ცინცაძე, კომპოზიტორი — ზაზა ხუბუკელაშვილი) გამიცნო.

**— დიანა, რუსულ შოუბიზნესში თავის დამკვიდრებას არ ცდილობ?**

— ძალიან ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ჯერჯერობით, სხვადასხვა მიზეზის გამო, რუსულ ესტრადაზე თავის დამკვიდრების მცდელობისგან თავს ვიკავებ.

**— რომელიმე მუსიკალურ კონკურსზე თუ გიცდია ბედი?**

— ადრეულ ასაკში ბევრ კონკურსში ვმონაწილეობდი და ბევრი პრიზიც მაქვს, მაგრამ ახლა კონკურსებში მონაწილეობით თავს არ ვიწუხებ. ისე, თუკი რაიმე სერიოზული კონკურსი იქნება, შეიძლება, ჩავერთო კიდეც... ■

# წლების შემდეგ ნაპოვნი და-ძმა

## და დასანგრევად განწირული ქართულ-აფხაზური სიყვარული

### „ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ვგავართ...“



**„ვხედავდი, როგორ იზრდებოდნენ მეზობელ ქუჩაზე, დიდ, თეთრ სახლში ჩემი ღვიძლი და-ძმა და ემოციების მოთოკვა მიჭირდა... მათ ყველა მოკრძალებითა და სიყვარულით ესაუბრებოდა, ზოგი — გულწრფელად, ზოგიც პირფერობით, მე კი ამრეზით მიყურებდნენ, ვინაიდან „უკანონოდ“ გაჩენილი ბავშვი ვიყავი... ჩემს დას გრძელი, ქერა, კულულებიანი თმა და შავი თვალები ჰქონდა, ძმა კი შავტუხა იყო... ზოგჯერ შინ შევვარდებოდი და სარკეში დიდხანს ვიყურებოდი, — ჩემსა და მათ შორის მსგავსება ძნელად მოსაძებნი კი არა, ერთი შეხედვითაც თვალში საცემი იყო... მაშინ 12 წლის ვიყავი, ისინი — 4-5-ისა იქნებოდნენ“, — აფორიაქებული მიყვებოდა 36 წლის ანასტასია, რომელსაც მოსკოვში, „სკაიპის“ მეშვეობით ვესაუბრე... ის ცდილობდა, მძიმე თავგადასავალი მშვიდად მოეთხრო...**

*ლალი პაპასკირი*

— იმ საქართველოში დავიბადე, სადაც ბავშვის „უკანონოდ“ გაჩენა კი არა, მუხლზემოთ კაბის ჩაცმა და ოდნავ მკვეთრი პომადის წასმაც კი ამორალურ საქციელად მიიჩნეოდა. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც ქვეყანას მოვევლინე, დედასა და ბებიას უამრავი დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანა მოუხდათ და მეც არაერთხელ ვიწვნიე „უკანონო შვილის“ სიმწარე... აფხაზეთის ულამაზეს ქალაქ ბიჭვინთაში, აფხაზის ოჯახში დავიბადე. დედაჩემის დედა კონდუქტორად მუშაობდა, მამა — მეეზოვედ. თურმე, ზოგჯერ ბებია ტრანსპორტის დასუფთავებასაც ითავსებდა და დამატებით გასამრჯელოს იღებდა... კორპუსის ბინაში ცხოვრობდნენ, პატარა ფართი ჰქონდათ და ვიწროდ იყვნენ. ერთი სიტყვით, უჭირდათ... ბაბუა ჩემს დაბადებამდე ავარიაში დაიღუპა და ამის შემდეგ, დედასა და ბებიას უფრო გაუჭირდათ. დედა ღარიბი, მაგრამ ძალიან ლამაზი გოგო ყოფილა და ეს მისი ახალგაზრდობის ფოტოებიდანაც კარგად ჩანს... რუსულ სკოლაში, მეორე ცვლაში სწავლობდა. ერთხელ, როცა სკოლიდან ბრუნდებოდა, თურმე ტროლეიბუსში ვიღაც ბიჭები აეკიდნენ. გოგონამ აბეზარ ბიჭებთან ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ხალხმრავალ ადგილას, გაჩერებაზე ჩამხტარა, — იქნებ ასე მაინც მოვიშოროოო, — მაგრამ ტრანსპორტიდან ისინიც ჩამოსულან და უკვე პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადასულან. ამ დროს ვიღაც უცნობი ბიჭი გამოჰქომაგებია და ორივე კარგად მიუბეგვავს, მერე გოგონა მანქანაში ჩაუსვამს და სახლამდე მიუყვანია... ასე დაიწყო ჩემი დედ-მამის სიყვარულის ამბავი: ის ბიჭი შეყვარებულს სკოლაში ყოველდღე აკითხავდა და ყველა თაყვანისმცემელი ჩამოაშორა... მალე მათი სიყვარულის ამბავი ყველამ გაიგო. გაირკვა, რომ ბიჭი ძალიან შეძლებული ქართული ოჯახის დედისერთა შვილი იყო, მისი მშობლები მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ, თავად კი ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. მას შემდეგ, რაც დედაჩემი გაიცნო, მშობლებისგან მალულად, საბუთები დაუსწრებელ ფაკულტეტზე გადაუტანია, რათა შეყვარებული უფრო ხშირად ენახა. თურმე, როცა დედამისმა შვილის სიყვარულის ამბავი გაიგო, თავის აფხაზ დაქალს ბებიაჩემთან დაარეკვი-

ნა და გააფრთხილა, — თქვენს ქალიშვილს მიხედეთ. იმის იმედი არ გქონდეთ, რომ მენაგვის შვილს სახლში შემოვუშვებო!.. დედა დღემდე იხსენებს ბრაზისგან სახეალეწილი ბებიას სიტყვებს, — არ დავინახო, იმ დოყლაპია ქართველთან გაიარო, თორემ სახლიდან აღარ გაგიშვებო...

— **რატომ? ქართველი სიძე არ უნდოდა?**

— დიახ... უნდა ვაღიარო, 1970-იან წლებშიც კი აფხაზები ქართველების მიმართ ხშირ შემთხვევაში, აგრესიულად იყვნენ განწყობილი და ამას არც მალავდნენ. ალბათ ასეთი დამოკიდებულების ფესვები უფრო ღრმად არის... ამასობაში დედამ სკოლა დაამთავრა, მაგრამ ბებია მის გზაზე დაყენებას არ ჩქარობდა. შვილს ქართველ შეყვარებულთან შეხვედრა აუკრძალა და ისინიც, ერთგული მეგობრების დახმარებით, მხოლოდ წერილობით ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს... დედას მამაჩემის ბარათები დღემდე შენახული აქვს, მაგრამ უსაზღვრო ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, ისინი არასდროს წამიკითხავს... მამაჩემს, რომელიც ქალაქში ყველაზე სასურველ სასიძოდ მიიჩნეოდა, აფხაზ შეყვარებულთან შეხვედრას უკრძალავდნენ... ერთ დღეს, მეგობრების დახმარებით, მან შეყვარებული სახლიდან გამოაპარა, მანქანაში ჩაისვა და სოჭისკენ გააქანა. სოჭელი მეგობრის ბინაში მისულებმა, ოჯახებში მხოლოდ შუაღამეს დარეკეს და — შევუღლდითო, — აცნობეს, რასაც შესაბამისი რეაქცია მოჰყვა... მამას მშობლებმა ბებიას ბინის კარი ჩაულეწეს და დედაჩემი უშვერი სიტყვებით გამოლანძღეს; არც ბებიამ დააკლო... მერე სოჭში მილიციის თანხლებით წავიდნენ, ახალდაწყვილებულები იპოვეს და დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, თავთავიანთ სახლებში დააბრუნეს: მაშინ დედა 18 წლის იყო, მამა — 21-ის... მამაჩემი მშობლებმა მეორე დღესვე, ლენინგრადში გადააფრინეს... დედა ჩემზე ფეხმძიმედ დარჩა, მაგრამ მშობელს არაფერი უთხრა. როცა ბებიამ შვილს ორსულობა შეატყო, სასამართლოში იჩივლა, მაგრამ ხომ იცით — „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი?“... ერთი სიტყვით, მე დავიბადე და დედამ თავის გვარზე ჩამწერა.

— **მას შემდეგ მამათქვენი დედას არ შეხმიანებია?**

— არა, რადგანაც მშობლები ყველა ზარს უკონტროლებდნენ. დედამისი რამდენიმე თვე საავადმყოფოში იწვა — შვილის საქციელის გამო ინერვიულა... ერთი სიტყვით, მამამ დედაჩემს ზურგი აქცია... გავიდა დრო და მან ბიჭვინთაში ძალზე გავლენიანი, ცნობილი ოჯახის შვილი შეირთო ცოლად... 5-6 წლის ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ტირილით თვალებდასივებული დედა უამრავ წამალს სვამდა... შემდეგ კი საცხოვრებლად მოსკოვში გადავედით, სადაც სამსახურიც იშოვა და ბინაც ვიყიდეთ. დედა ბებიას ეუბნებოდა: — შვილს იმ გარემოში ვერ გავზრდი, სადაც ზემოდან უყურებენო. მე და ბებია ყოველ ზაფხულს ჩამოვდიოდით ბიჭვინთაში, ბებიას ნათესავებთან.

— **მაშინ ხვდებოდით თქვენს და-ძმას?**

— დიახ. ერთხელ ბუშტებიანი გოგონა შეგვხვდა და ნათესავმა მითხრა, — ის გოგონა შენი და არისო... შემდეგ ჩემი ძმაც ვნახე და ერთ დღესაც, მამაჩემს გავებლანდე ფეხებში. ვერ გეტყვით, როგორ, მაგრამ სადღაც შიგნით რაღაცამ მიკარნახა, რომ ის კაცი მამაჩემი იყო. თანაც, ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ვგავართ... ბავშვი, რომელსაც თავიდანვე უამრავი პრობლემის გადალახვა უწევს, გონებრივად ადრე იზრდება. როცა 11 წლის გავხდი, საკუთარ დაბადების დღეზე, ყველასგან მალულად, მამას წერილი მივწერე: მე თქვენი შვილი ვარ. დღეს დაბადების დღე მაქვს და ერთი თხოვნა შემისრულეთ — უნდა შეგხვდეთ, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება-მეთქი... მანქანასთან მდგარი მამა ავტობუსიდან დავინახე, მაგრამ გამბედაობა არ მეყო, რომ მასთან მივსულიყავი და ამას დღემდე ვნანობ... მერე ომი დაიწყო, მათი კვალი დავკარგე და რაღაცნაირი სიცარიელე ვიგრძენი. მართალია, მათთან ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ მივხვდი, რომ სამივე მიყვარდა...

— **მამას თქვენთან ურთიერთობის სურვილი არასდროს ჰქონია?**

— არა... და-ძმა მაშინ პატარები იყვნენ. დიდხანს ვეძებდი მათთან მისასვლელ გზას, წლების გასვლასაც დაველოდე, ბავშვები გაიზრდებიან და შეიძლება, მამაზე გავლენა მოახდინონ-მეთქი... დიდხანს ვეძებე მათთან დასაკავშირებელი ძაფი. არ ვიცოდი, როგორი ადამიანები იყვნენ, როგორი რეაქცია ექნებოდათ, როცა თავიანთი მამის „უკანონო“ შვილის არსებობის შესახებ შეიტყობდნენ.

— **ანასტასია, მას შემდეგ დედათქვენს ოჯახი არ შეუქმნია?**

— არა. დედას დღემდე უზომოდ უყვარს მამა... ერთ დღეს ბიჭვინთაში ჩავედი, უკვე ჩემს გოგონასთან და მეუღლესთან ერთად. პარკში ვისხედით. მამაჩემის აფხაზმა მეზობელმა თავისი შვილიშვილი გამოიყვანა, სათამაშოდ და მეც, შანსი ხელიდან არ გავუშვი, იმ ქალბატონს ვკითხე, — ხომ არ იცით, რა ბედი ეწიათ-მეთქი? მე და მამაჩემი იმდენად ვგავართ ერთმანეთს, მაშინვე მიხვდა, რომ მისი ქალიშვილი ვიყავი და აფხაზზე გათხოვილი ქართველი ქალის ტელეფონის ნომერი მომცა, — მისი შვილის ნათლიაა და მათ მოძებნაში დაგეხმარებაო... ერთი თვე ვწერდი წერილს, რომელიც ჩემს ნახევარდას გავუგზავნე და ჩემი კოორდინატებიც მივაწერე. ნინომ (ჩემს დას ასე ჰქვია) წერილის მიღებისთანავე დამირეკა. ცრემლები ახრჩობდა: შენი არსებობის შესახებ დედაჩემის დედისგან, ყურმოკვრით ვიცოდი, ჩემმა ძმამ კი საერთოდ არაფერი იცისო, — მითხრა... მერე ერთმანეთი „ოდნოკლასნიკებში“ ვიპოვეთ; ხან ვწერდით, ხან კი მობილურით ვურეკავდით ერთმანეთს და ორივე ვტიროდით. ყველაფერი გულახდილად მოვუყევი, — ყველაფერი მაქვს, მოსკოვში ბინაც, მაღალანაზღაურებადი სამსახურიც, ოჯახიც, მხოლოდ თქვენი სიყვარული მჭირდება. მინდა ბავშვობის ოცნება ავიხდინო, მინდა და-ძმა და მამა მყავდეს, რათა თავი ადამიანად ვიგრძნო; გვარიც კი არ მინდა მამაჩემისგან, მხოლოდ ერთადერთხელ მითხრას, — „მოია დოჩკა“ — და ყველაფერს ვაპატიებ-მეთქი... იმავე საიტზე მამაჩემის ფოტოებიც ვნახე — დაბერებულა და თმა გასთეთრებია; მე კი ის ძველებურად ლამაზი მახსოვს... ნინომ მითხრა, გული აწუხებსო...



— **ძმასაც ესაუბრეთ?**

— დიახ. ხმა უკანკალებდა, მე ვტიროდი. ერთადერთ რამეს გთხოვ, — შვილს ხელი არასდროს კრა და როცა შეგხვდები, აგიხსნი, ამას რატომაც გეუბნები-მეთქი... ვერაფერი მიპასუხა. ვთხოვე, — მამას არ უსაყვედურო-მეთქი. — როგორ არ ვუსაყვედურო, ხომ შეიძლებოდა, სადმე გაგვეცნო ერთმანეთი და რაღაც სხვა გრძნობა გაგვჩენოდაო...

— **თუ იცით, მამის რეაქცია როგორი იყო, როცა თქვენ შესახებ შეიტყო?**

— ნინომ მითხრა, რომ ძალიან ინერვიულა. ამ დღეებში დაბადების დღე ჰქონდა და მივულოცე, — თქვენი ქალიშვილი ვარ-მეთქი. მხოლოდ მადლობა გადამიხადა...

*ანასტასიას დახმარებით ნინოსაც დავუკავშირდი. მისი თქმით, ნახევარდის არსებობის შესახებ ბებიისგან შეიტყო, მაგრამ ვინ იყო და სად ცხოვრობდა, ვერ გაარკვია.*

— რეალურად, ჯერ ნანახი არ მყავს, მაგრამ უკვე მიყვარს... ვერ გადმოგცემთ, ეს რა გრძნობაა. უფლის საჩუქარივით არის, რომელსაც არ ელოდებოდი. მინდა, სულ ველაპარაკო; ყველა დეტალს ვუყვები, თითქოს იმ წლების განმავლობაში არსებული სიშორისა და უცხოობის „ამოვსება“ მინდა... არ ვიცი, მის ადგილზე მე როგორი ადამიანი ვიქნებოდი. ალბათ, მამის მიმართ ასეთი თბილი დამოკიდებულება არ მექნებოდა; ჩვენ ხომ ხელისგულზე გვატარებდნენ და მთელი ქალაქი თავს გვევლებოდა, მას კი უამრავი დამცირების ატანა უწევდა, მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალო ოჯახის შვილი იყო — მიჭირს ამ ყველაფერთან შეგუება. აქამდე მეგონა, რომ მამაჩემი მსოფლიოში ყველაზე კარგი მამა იყო... ვუჩიჩინებ, — ის შენი პირველი შვილია და როგორ შეიძლება, მასზე, როგორც უცხოზე, ისე ილაპარაკო-მეთქი?! — რა ვქნა, ჩემ თვალწინ არ გაზრდილა და მის მიმართ სიყვარული არ მაქვსო... რა ვქნა, ვერ ვამართლებ მამის დამოკიდებულებას; არც ჩვენ გავზრდილვართ ერთად, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი სისხლი, ხორცია და არ შემიძლია, არ მიყვარდეს... შემპირდა, — როგორც კი საბუთებს მოვაწესრიგებ, ჩამოვალო; მთავარია, ჩამოვიდეს და მე თვითონ მოვთხოვ მამას, რომ გვარი მისცეს და შვილად აღიაროს...

— **ნინო, დედათქვენის პოზიცია როგორია?**

— თურმე დედა თავიდანვე აპროტესტებდა მამის ასეთ პოზიციას და რამდენჯერმე უთქვამს კიდეც, — არ შეიძლება, ღვიძლ შვილს ასე მოექცეო, — მაგრამ ვინაიდან მისი ქმარი წინააღმდეგი იყო, თვითონ ხომ არ დაიწყებდა გერის ძებნას?!

— **ანასტასიამ მითხრა, რომ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს...**

— დიახ, უკვე ამზადებს საბუთებს და ნოემბრის შუა რიცხვებში ჩამოვა... მამას უკვე დაველაპარაკე. მითხრა, — წინააღდეგი არა ვარ და დანარჩენზე მერე ვისაუბროთო... ბებია და ბაბუა უკვე გარდაცვლილები არიან, ანასტასიას დედის დედა კი ცოცხალია, მაგრამ ჩემი და დამოუკიდებელი ადამიანია და საკუთარ ცხოვრებას თავად წყვეტს... ■

# იოსელიანების დრამატული ცხოვრება

## „ჯაბას გამო ბრეჟნევს ცრემლებიც კი გადმოსცვენია...“



**რეჟისორი, სახალხო არტისტი, პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — ეს ის ჩამონათვალია, რომელიც ლილი იოსელიანის ხანგრძლივ კარიერას ასახავს. სხვადასხვა დროს იგი მოზარდ მაყურებელთა, მარჯანიშვილის, რუსთაველის თეატრების რეჟისორი იყო და საინტერესო დადგმებს სხვა თეატრებშიც ახორციელებდა; ქართულ სახელოვნებო სამყაროს ბევრი ნიჭიერი და სახელოვანი სტუდენტიც აღუზარდა; ზოგიერთ ფილმშიც მონაწილეობდა, მათ შორისაა: „ფესვები“, „წყარო“, „დები წყვდიადში“...**

**88 წლის ლილი იოსელიანი ტრაგიზმით სავსე, განვლილ წლებზე გვესაუბრა, რომელიც, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირში იყო მისი ძმის, ჯაბა იოსელიანის ცხოვრებასთან...**

*თამთა დადეშელი*

— ჩემს ცხოვრებაზე საუბარი არ მიყვარს, რადგან ლაღი და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, მძიმე წლები გამოვიარე. ალბათ, ასე ინება უფალმა. 1922 წელს დავიბადე, როცა ბოლშევიკები ახალი შემოსულები იყვნენ. ამ დროს საქართველოში ინფექციური ციება — მალარია მძვინვარებდა. გადმოცემით ვიცი, რომ დედაჩემმა, ჩემზე ფეხმძიმობის დროს, ეს დაავადება გადაიტანა. მაშინ თურმე, უცხოეთში აპირებდნენ გამგზავრებას. მამიდაჩემის ქმარი ნოე ჟორდანიას დროინდელი მთავრობის წევრი ყოფილა — ჯაფარიძე. როცა ჩემი მშობლები და მამიდას ოჯახი ბათუმში ჩავიდნენ, შავი ზღვით უცხოეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ. გემზე 7 თვის ფეხმძიმე დედა ცუდად გამხდარა და ციების დიაგნოზით იგი ჯერ ბათუმში, შემდეგ კი თბილისში დააბრუნეს — ამ ციებ-ცხელებაში 7-თვიანი დავიბადე. მაშინ ინკუბატორი არ არსებობდა და თურმე, ექიმები ირგვლივ ცხელ ბოთლებს მილაგებდნენ, რათა გადავერჩინეთ. 3-4 წლის ასაკში შემატყვეს, რომ თეძოებიდან ამოვარდნილი ვიყავი და 3-ჯერ უშედეგოდ გამიკეთეს ოპერაცია. ბოლოს მამას უთქვამს, — ბავშვი ნუ გამიწამეთ, იყოს ისეთი, როგორც არისო...

— **ბავშვობა სად გაატარეთ?**

— პატარაობისას ახლანდელ აბაშიძის ქუჩაზე — მაშინ გუნიბის (ჩეჩნეთის დედაქალაქი) ქუჩა ერქვა — ვცხოვრობდით, 2-სართულიან აგურის სახლში. ეზოში არაჩვეულებრივი ბაღი იყო, ლამაზი ხეებით, წყალში ოქროსფერი თევზები დაცურავდნენ, ულამაზესი ორნამენტებით გაფორმებული აივანი გვქონდა. ამ სახლის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული მაქვს და ახლაც, როცა მის ახლომახლო გავივლი, ისე ვღელავ, რომ გულისცემა არ მინელდება ხოლმე. სახლი მამაჩემს პოლონელმა მეგობარმა, ზიგმუნდ რიხალსკიმ აჩუქა, რომელიც ინჟინერ-მშენებელი იყო და თბილისში რამდენიმე საცხოვრებელი ბინა ააშენა. რიხალსკი პოლიტიკურ ნიადაგზე კავკასიაში გახლდათ გადმოსახლებული და საცხოვრებლად თბილისი არჩია. მამაჩემი ტრანსპორტის ინჟინერი გახლდათ, ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ. იმ პერიოდში მამაც უცოლო იყო, დედაჩემი 50 წლის ასაკში შეურთავს. როცა პოლონეთში ამნისტია გამოცხადდა, რიხალსკიმ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და ეს სახლიც სწორედ მაშინ გვისახსოვრა.



ლილი, ჯაბა და ნათელა

**— სულ რამდენი დედმამიშვილი იყავით?**

— წლინახევრის რომ ვიყავი, ჩემი და, ნათელა დაიბადა, რომელიც 19 წლის ასაკში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ის ძალიან ლამაზი და მოხდენილი გოგონა იყო. როცა ჯაბა დაიბადა 5 წლის ვიყავი. მე და ჩემი და ძმას თავს დავტრიალებდით, თოჯინასავით ვათამაშებდით. მოგვიანებით კიდევ 1 ძმა, მერაბი შეგვეძინა, რომელსაც საოცარი მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდა, მაგრამ 6 წლის ასაკში ტვინის ანთება დაემართა და დაიღუპა.

**— თქვენი სტუდენტობის პერიოდი გავიხსენოთ...**

— მინდოდა, სარეჟისოროზე მესწავლა და სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ იმ პერიოდში ომი დაიწყო. ვინაიდან მაშინ საქართველოში თეატრალური სასწავლებელი ჯერ არ არსებობდა, — მხოლოდ მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების სტუდიები იყო — ამიტომაც უნივერსიტეტში, გერმანულის განხრით ჩავაბარე. სტიპენდია მქონდა, მაგრამ არ ვიღებდი, ვინახავდი. ერთ დღეს ოჯახის წევრებისთვის დავწერე წერილი, — არ ინერვიულოთ, მოსკოვში მივდივარ-მეთქი, შემდეგ დაგროვებული სტიპენდია ავიღე და მატარებლის ბილეთი ვიყიდე. მაშინ მატარებელი მხოლოდ ბაქოს გავლით დადიოდა და იქ ისეთი სიბინძურე იყო, რომ ფურუნკულები გამიჩნდა.



ჯაბა იოსელიანი შვილთან ერთად

**— უცხო ქალაქში მარტო წასვლა როგორ გარისკეთ? იქ თავს რით ირჩენდით?**

— სტიპენდია მქონდა და ვიზოგავდი. უკვე გითხარით, რომ იმ პერიოდში ომიანობა იყო და ყველა, მათ შორის მეც ვშიმშილობდი, მაგრამ სარეჟისოროზე სწავლა იმდენად მინდოდა, რომ ეს ბარიერი ადვილად დავძლიე... როცა მოსკოვში ჩავედი, არავის ვიცნობდი. სადგურიდან ფეხით წავედი და ინსტიტუტს კითხვა-კითხვით მივადექი. მახსოვს, 2 გრძელი ნაწნავი მქონდა და დარაჯმა მკითხა, — პატარა გოგონავ, აქ რა გინდაო? ვუპასუხე, რომ მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ვიყავი მისული. გაკვირვებულმა მკითხა, — რამდენი წლის ხარო? — „მნე ნე 12"-მეთქი, — ვუთხარი (*იღიმის*). ბინა არ მქონდა და დამლაგებელმა, რომელიც არბატზე ცხოვრობდა, ერთ მოხუც, უქმრო ქალთან მაქირავებინა ოთახი. ჩემი დიასახლისის შვილი ომში იყო. ინსტიტუტი ვახტანგოვის თეატრთან ახლოს გახლდათ. როცა გამოცდებზე მივედი, მითხრეს: გოგონა, ჩვენ აქ საბავშვო ბაღი არ გვაქვსო... — შეიძლება მაღალი არ ვარ, მაგრამ უკვე დიდი ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. მოკლედ, გამოცდები კარგად ჩავაბარე და მიმიღეს. ამასობაში ჩემს დიასახლისს წერილი მოუვიდა, სადაც ეწერა, რომ მისი ერთადერთი შვილი ომში დაიღუპა. ამ ამბით ძალიან შევწუხდი, იმ ქალთან ერთად მეც ვტიროდი. რამდენიმე ხნის მერე მამაჩემი ჩამოვიდა და მომთხოვა, თბილისში წამოვყოლოდი, რადგანაც მოსკოვს გერმანელები მოსდგომოდნენ. მახსოვს, შაბათი დღე იყო და ისე წამომიყვანა, ინსტიტუტიდან საბუთების წამოღებაც ვერ მოვახერხე. მოკლედ, იქ ნახევარი სემესტრიც არ მისწავლია...

**— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება?**

— იმედი მქონდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ მოსკოვში დავბრუნდებოდი და სწავლას განვაგრძობდი, მაგრამ ამასობაში, თეატრალური ინსტიტუტი თბილისშიც გაიხსნა... მახსოვს, გამოცდებს ოთხი გოგო ვაბარებდით და ორი ჩაგვრიცხეს. თავიდან ჩემი მასწავლებელი ძალიან კარგი ადამიანი, შოთა აღსაბაძე იყო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის კონსერვატორიაში წავიდა და აკაკი ხორავამ ახალგაზრდა პედაგოგი — გიორგი ტოვსტონოგოვი მოგვიყვანა. პირველ კურსზე ვიყავი, როცა მამა ნერვიულობისგან გარდაიცვალა — ჩვენს ოჯახს სხვადასხვა დროს უამრავი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ განსაკუთრებული დარტყმა ჯაბას დაპატიმრებამ მოგვაყენა... როცა ტოვსტონოგოვი პანაშვიდზე მოვიდა და მამაჩემის სურათი ნახა, გადაირია, — თურმე, მამამისი მამაჩემის კოლეგა ყოფილა და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ამის მერე პედაგოგი მეტ ყურადღებას მაქცევდა.

**— ვიდრე დაიჭერდნენ, ბატონი ჯაბა „ძველბიჭური", ქუჩური მენტალიტეტის მქონე იყო?**

— არა. ის კარგად სწავლობდა, მუსიკაზეც დადიოდა, გერმანული ენაც იცოდა — სახლში რეპეტიტორი მოდიოდა და ის გვასწავლიდა. მიუხედავად იმ ცილისწამებებისა თუ ლანძღვა-გინებისა, რომელიც ჯაბას მიმართ გამუდმებით გაისმოდა, გეტყვით, რომ ის ისეთი არ იყო, როგორადაც ახასიათებდნენ. პირველად მეშვიდე კლასში ყოფნისას დააპატიმრეს. მაშინ ომი იყო და ვისაც სახლში „პრიომნიკი" ჰქონდა, აუცილებლად უნდა ჩაებარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიჭერდნენ (ეს იმიტომ, რომ ხალხს ინფორმაცია არ მიეღო). ერთ ოჯახს არ ჩაუბარებია და მეათეკლასელებმა ეს მიმღები სკოლის სარდაფში ჩაუტანიათ. ვინაიდან ჯაბამ გერმანული კარგად იცოდა, მოსწავლეებმა მას სთხოვეს, — გვითარგმნეო. ამ დროს უკვე პლეხანოვზე ვცხოვრობდით და ჯაბა 23-ე სკოლაში დადიოდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ ბავშვები მილიციასთან დააბეზღა; როცა მათ თავს წაადგნენ, ზოგი გაიქცა, ჯაბა კი დაიჭირეს. ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით და როდესაც მილიციელები



ის კარგად სწავლობდა, მუსიკაზეც დადიოდა, გერმანული ენაც იცოდა



დრანდადან ერთ-ერთი გაქცევისას, ჩემმა მეგობარმა, შოთა ქარუხნიშვილმა მას თავისი პასპორტი მისცა

სახლში შემოვიდნენ, ოთახების ჩხრეკა დაიწყეს, მათ გაოცებულები ვუყურებდით. როცა საქმეს მორჩნენ, მამას უთხრეს, — თქვენი შვილი ქურდია, სახლი გაქურდაო. ვინაიდან 14 წლის ბავშვს პოლიტიკური მოტივით ვერ დაიჭერდნენ (ამის უფლებას მათ კანონი არ აძლევდა), ამიტომ ქურდობა დასწამეს. ჯაბა ციხეში „მაგარ" ქურდებში მოხვდა და რომ არ მოეკლათ, თავი ქურდად გაასაღა... თავდაპირველად მისი ნახვის უფლებას არ გვაძლევდნენ და მხოლოდ იმას გვეუბნებოდნენ, რომ ციხეში გახლდათ. ახლა ხომ იცით, ციხეში რაც ხდება, მაშინ კი უარესი მდგომარეობა იყო — ერთ ოთახში ასობით ადამიანი ჰყავდათ და მათ რიგრიგობით ეძინათ ფიცრის ტახტზე, ზოგი კი პირდაპირ ცივ იატაკზე იძინებდა. მამამ ჯაბას ვექილი დაუქირავა. ბიძაჩემმა ჰკითხა, — ვინ დაუქირავეო? — კარგი, წესიერი კაციაო, — უპასუხა მამამ. — ოჰ, დაგიღუპია შვილი! წესიერმა ვექილმა რა საქმე უნდა გააკეთოს, თაღლითი უნდა შეგერჩიაო (*იცინის*). ვექილს ამბები გამოჰქონდა, — ჯაბა ძალიან ცუდადააო. ამის გამო სასამართლო სამჯერ გადაიდო და მართლაც, მესამედ რომ გამოვიდა, როგორც ჩხირი, ისე იყო გამხდარი. თურმე, ფილტვების ანთება დამართნია. მამა კანდიდ ჩარკვიანთან მისულა და უთხოვია, — სანამ მორჩება, გამოუშვითო. ჩარკვიანი მას დიდი თანაგრძნობით შეხვედრია და ჯაბა გამოაშვებინა კიდეც. ჩემი ძმა ორთვე-ნახევარი საავადმყოფოში იწვა, მერე კი ისევ ციხეში გადაიყვანეს. საერთო ჯამში, 2 წელი მოუხდა იქ ჯდომა. ერთ დღესაც, როცა დედა საჭმლის მისატანად მივიდა, ჯაბა აღარ დახვდა — ბავშვთა გამოსასწორებელ კოლონიაში, დრანდაში გადაუყვანიათ, სადაც საშინელ პირობებში იყო. ამ კოლონიიდან ჯაბა გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს; ამის მერე კიდევ რამდენჯერმე გაიქცა და წლებიც დაუმატეს.

**— ციხიდან გაქცევას როგორ ახერხებდა?**

— დილის 6 საათზე პატიმრები საპირფარეშოში რიგრიგობით შეჰყავდათ. სიცივე ყოფილა და ერთ პატიმარს უთქვამს, — ქუდი დაიხურე, ისე ნუ გახვალო და ტანზეც რაღაც მოუხურავს. ჯაბას დრო რომ მოსულა, მორიგეს კარის ჩაკეტვა დავიწყნია. მოკლედ, ჩემს ძმას გასაქცევად ხელსაყრელი პირობა შეექმნა, თან ისე ეცვა, რომ ვერ მიხვდნენ, პატიმარი თუ იყო.



ხალხმა არ იცოდა, როგორი იყო სინამდვილეში ჩემი ძმა და ამიტომაც ლანძღავდნენ

**— ბატონი ჯაბა საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო. ამდენი დაპატიმრების მიუხედავად, სწავლის გაგრძელება როგორ შეძლო?**

— დრანდადან ერთ-ერთი გაქცევისას, ჩემმა მეგობარმა, შოთა ქარუხნიშვილმა მას თავისი პასპორტი მისცა, რათა ქვეყნიდან გასულიყო და ჯაბა მაშინდელ ლენინგრადში წავიდა, სადაც ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტში ჩააბარა. მისთვის უთქვამთ, — თუ კარგ ნაშრომს დაწერ, მეორე კურსზე დაგსვამთო. მაშინ აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის დეკანი კარპეზ დონდუა, ცნობილი გეოგრაფის — დავით დონდუას ძმა ყოფილა. ერთხელ დონდუას ჯაბა დაუბარებია და მისთვის უთქვამს: აკადემიკოსმა კრუჩევსკიმ შენზე თქვა, — ეს ბავშვი გენიოსია! ისეთი ნაშრომი წარმოადგინა, როგორსაც სხვები დისერტაციის დაცვისას ვერ წერენო. ამგვარად, ჯაბა პირდაპირ მეორე კურსზე ჩაირიცხა, მაგრამ ლენინგრადშიც დააპატიმრეს: მაშინ ხალხს ქუჩაში ამოწმებდნენ და პასპორტს სთხოვდნენ. ერთ მილიციელს ჯაბა სამჯერ შეხვედრია. თურმე, მესამედ კაფეში შეიტყუა, — ჩაი დავლიოთო და დააჭერინა. ამ დროს, შოთა ქარუხნიშვილიც ლენინგრადში იყო. ჩემი ძმა მიხვდა, — ალბათ, სიმართლე გაიგესო და აღიარა, სხვისი პასპორტით რომ ცხოვრობდა, რისთვისაც კიდევ 2 წელი იჯდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სწავლის გაგრძელება უნდოდა. ახალი გამოსული იყო, რომ ქუჩაში ბავშვობის ნაცნობებს შეხვდნენ, ბინა სთხოვეს და ჯაბამ ისინი თავისთან წაიყვანა. თურმე, იმ ბიჭებს ვიღაც ებრაელის ოჯახი გაუქურდავთ, ჯაბასთან კი დასამალად მისულან. მილიციამ ჯაბა ამის გამოც დააპატიმრა: ის ბიჭები დახვრიტეს, ჩემს ძმას კი 25 წელი მიუსაჯეს.

**— ამჯერად როგორ მოახერხა თავის დაღწევა?**

— იმ პერიოდში მედეა ჯაფარიძე საკავშირო დეპუტატად აირჩიეს. ის და რეზო ჩვენი მეგობრები იყვნენ, ჯაბას ბავშვობიდან იცნობდნენ. მედეამ ბრეჟნევს ჯაბას ცხოვრების შესახებ ყველაფერი უამბო. თურმე ლეონიდ ილიჩს ცრემლები გადმოსცვენია და გაუცია ბრძანება: „დოსროჩნო ოსვობოდიტსო". ასე გადამირჩინა მედიკომ ძმა... თუმცა, ჯაბას ქურდის სახელი სიკვდილამდე შერჩა. ხალხმა არ იცოდა, როგორი იყო სინამდვილეში ჩემი ძმა



მედეა ჯაფარიძე და რეზო ჩვენი მეგობრები იყვნენ, ჯაბას ბავშვობიდან იცნობდნენ

და ამიტომაც ლანძღავდნენ — ამის გამო გული საშინლად მტკიოდა.

— **როცა შორეულ გადასახლებაში იყო, მასთან ჩასვლას მაშინაც ახერხებდით?**

— დიახ და იქ რაც გადავიტანე, იმის მოყოლა იმდენად ძნელია ჩემთვის, რომ ცრემლები მადგება. ერთხელ ციმბირის იქით, რაღაც კოლონიაში გადაიყვანეს. როცა სადგურზე ჩამოვედი, მითხრეს, — კოლონიამდე 20 კილომეტრიაო. ზამთარი იყო, თოვლი და — „სანკებს" თუ იშოვით, მიხვალთო. მე ხომ ფეხები მტკიოდა და ვიდრე იქ მივედი, დაბნელდა კიდეც. მოკლედ, გზაში ძალიან გავწვალდი, ლამის გავიყინე; ახლაც ვერ ვხვდები, რა ძალამ მატარა იმდენი. ალბათ, ღმერთმა მიშველა. თან მძიმე „ბოღჩა" მიმქონდა, რადგან მითხრეს, — იქ ხალხს სიცივისგან კბილები სცვივაო და მეც ნიორი, რაღაცები ჩავალაგე ჯაბასთვის. როცა მივედი, არ მაჩვენეს, — კარცერშია, დასჯილიო. თურმე სამუშაოზე არ გადიოდა და სხვა პატიმრებსაც ამისკენ მოუწოდებდა. მითხრეს, — კარცერში რომ მიგვყავდა, იქვე მიყუდებულ ცოცხს მისწვდა, ჯოხი მოატეხა, რომლითაც სისხლი გამოიდინა, შემდეგ პერანგი გახია, მისი ნაგლეჯი ჯოხზე დაამაგრა და „დალოი სავეტსკი საიუზს" ყვიროდაო... სულ ასე დაატარებდნენ, ერთი კოლონიიდან მეორეში. იმდენი ჭირ-ვარამი გამოვიარე, ცოცხალი რომ ვარ, მიკვირს...



ჯაბა ციხეში „მაგარ" ქურდებში მოხვდა და რომ არ მოეკლათ, თავი ქურდად გაასაღა...

— **მიუხედავად ამდენი ტანჯვაწამებისა და ტრავმისა, ბატონ ჯაბას ძალიან დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა...**

— მამას ჰქონდა კარგი იუმორის გრძნობა და ჯაბაც და ჩემი დაც მას დაემსგავსნენ. მეგონა, მათი ხუმრობები არასდროს დამავიწყდებოდა, მაგრამ... მალე 90 წლის გავხდები და მეხსიერებაში ცოტა პაუზები მაქვს ხოლმე.

— **თქვენს პირად ცხოვრებაზე ვისაუბროთ. ახალგაზრდობაში არავინ გყვარებიათ?**

— ერთი ბიჭი მიყვარდა. ის ძალიან მოხდენილი და სიმპათიური იყო, ვეგობრობდით. ვერ გავბედავდი, მისთვის რაიმე მეგრძნობინებინა, რადგან ისეთ ლამაზ გოგონებს მოსწონდა რომ... არ მომეცა იმის საშუალება, რომ ჩემი შვილები მყოლოდა, რადგან სულ უბედურებაში ვიყავი... ჩემი „თაყვანისმცემლები" ჩემი მოწაფეები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრ ადამიანად მიმიჩნევდნენ, მათ მაინც ვუყვარდი. მკაცრი კი არა, მომთხოვნი ვარ. სტუდენტს, რომელსაც თავისი საქმე არ უყვარს და არ აინტერესებს, ვურჩევ ხოლმე, — ამ სამყაროს მოეშვას. ბოლოს რომ კურსი მყავდა, საშინელება იყო — ასეთი უვიცი ბავშვები ცხოვრებაში არ მინახავს; ზოგიერთმა ისიც კი არ იცოდა, თუ ვინ იყო შექსპირი. მიკვირს, როგორ მოხვდნენ სარეჟისოროზე და სამსახიობოზე... ამას წინათ ძველი სტუდენტები მოვიდნენ, — სპექტაკლი დაგვიდგითო. — აბა, რაღა დროსია, ვკვდები-მეთქი, — ვუთხარი. მერწმუნეთ, ამის ძალა აღარ შემწევს.

— **მარტო ცხოვრება არ გიჭირთ?**

— რა თქმა უნდა, მიჭირს. ზედა სართულზე ჩემი ძმისშვილი, კოწია და მისი ვაჟი, ჯაბა ცხოვრობენ; ჩვენ ნათესავი ქალი გვივლის... რომ იცოდეთ, რა კარგად მოვუწყვე ოთახი ჩემ ძმას, მაგრამ აბა, ის ცოცხალი აღარაა. იცით, იმ ოთახში ყველა იმ ადამიანის სურათია, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა... ამ სახლში ჩემი ძმის დასახმარებლად გადმოვედი, რადგან ამბობდა, — კონცენტრაციის საშუალება არა მაქვსო. უნდოდა, მშვიდად მჯდარიყო და წიგნზე ემუშავა. ახალ ნაწარმოებს — „ფარსს" წერდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, ფანქრით დაწერილი მხოლოდ ერთი გვერდი დარჩა... უკანასკნელ ინტერვიუში ჟურნალისტი ჯაბას ეკითხება, — ყველაზე დიდი სიმწარე რა იყო, რაც გადაგიტანიათო? — უმცროსი ძმის სიკვდილიო, — პასუხობს. წარმოგიდგენიათ, რაც მან სირთულეები ნახა ცხოვრებაში და მაინც, მერაბის გარდაცვალების გამო სწუხდა.

— **ახლანდელი გადასახედიდან, როგორ შეაფასებდით ბატონი ჯაბას ქმედებებს გასული საუკუნის 90-იან წლებში ანუ მხედრიონის ჩამოყალიბებას, შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანას და ა.შ. თქვენი აზრით, მაშინ სწორად მოიქცა?**

— სავსებით! ეს იმიტომ გააკეთა, რომ ქვეყანა გამსახურდიას სიგიჟისაგან გადაერჩინა. აბა, რა უნდოდა „იმ ქალს", ქვეყნის საქმეებში რომ ერეოდა?!. ციხიდან გამოსულს გამსახურდიამ რამდენჯერმე შესთავაზა თანამშრომლობა, ლექსების და მოთხრობების დაბეჭდვა, მაგრამ ჯაბამ უარი შეუთვალა: — არა, გმადლობთ, ნაციხარი ვარ და არ მინდა, ჩემთან ურთიერთობით დაზარალდეთ ან ჩირქი მოგეცხოთო... ციხიდან ახალგამოსული 60 წლის ჯაბა გამსახურდიამ ისევ ციხეში ჩასვა. 40 დღე იშიმშილა, ჩამომხმარი იყო. ბოლოს პატრიარქს მივმართე, — ისედაც ბევრი ცოდვა აქვს ჩემს ძმას და სული თვითმკვლელობით უფრო რომ არ დაიმძიმოს, იქნებ სთხოვოთ, რომ შიმშილობა შეწყვიტოს-მეთქი?! მან არაფერი მიპასუხა. გამოვემშვიდობე და წამოვედი. ჯაბასთან რომ შესულა, ჩემი ძმა მუხლებში ჩავარდნია, — რატომ მობრძანდით? ახლა თქვენ ხომ უარს ვერ გეტყვითო... ასე გადამირჩინა უწმინდესმა ძმა შიმშილობით სიკვდილისგან. სხვათა შორის, კათოლიკოს-პატრიარქი ერთ-ერთ გაზეთში, ჩემ ძმაზე ისეთი სითბოთი წერდა, გეგონებოდათ, მისი შვილიაო. როგორც ჩანს, ძალიან კარგად გაუცვნია იგი. ასე ახასიათებდა: ეს არის გულუბრყვილო ბავშვი, ამავე დროს ბრძენი, ნიჭიერი, მხიარული, კაცთმოყვარე, მამაცი, უშიშარი და თანაც, მგრძნობიარე... მოკლედ, მის სიტყვებს რომ ვკითხულობდი, ჟრუანტელმა დამიარა...

— **ხშირად დადიხართ ძმის საფლავზე?**

— ყოველ შაბათს დავდივარ. რაც შეეხებათ ჩემს მშობლებსა და დაძმას, ისინი ვერის სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი და ორივეგან მივდივარ ხოლმე. ვწვალობ, მაგრამ რა ვქნა?..

■



ერთი ბიჭი მიყვარდა. ის ძალიან მოხდენილი და სიმპათიური იყო, ვეგობრობდით

# უინსტონ ჩერჩილი

## ლორდი, მებრძოლი და პოლიტიკოსი

**ლორდი, სტრატეგი, პოლიტიკოსი, ორატორი, მხატვარი, მწერალი (თანაც ნობელის პრემიის ლაურეატი), სპორტსმენი — ეს ყველა „ტიტული“ ერთ ადამიანს ეკუთვნის...**

**45 წლის წინ გარდაიცვალა კაცი, რომელმაც საკმაოდ დიდხანს — 90 წელიწადს კი იცოცხლა, მაგრამ სხვას, ალბათ, არც 190 წელი ეყოფოდა იმ საქმეთა საკეთებლად, რომელიც ამ მართლაც გენიოსმა მოასწრო. არადა, დიდგვაროვანი ბებია „უდღეურს“, „უვარგისს“ ეძახდა და მასწავლებლებიც, მისთვის გაკვეთილების ახსნის ნაცვლად, უფრო ხშირად, მოსწავლის ცემა-ტყეპით იყვნენ დაკავებულები. თუმცა მოდით, თანმიმდევრულად მოვყვეთ:**

*ზვიად გურული*



1685 წელს ვინმე ჯონ ჩერჩილმა, ახალგამოჩენილმა მხედართმთავარმა ინგლისში მეფე იაკობ II-ის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება ჩაახშო და ასე გამოვიდა ასპარეზზე. მართალია, სამი წლის შემდეგ მეფის მოწინააღმდეგის, ვილჰელმ ორანელის მხარეზე გადავიდა და მალბოროს ჰერცოგის ტიტულიც მიიღო, მაგრამ მერე ღალატისთვის ციხეში აღმოჩნდა... ბევრი გადასვლა-გადმოსვლის შემდეგ, მემკვიდრეებს მალბოროს ჰერცოგის ტიტული და ინგლისში ყველაზე დიდი — ბლენჰაიმის სასახლე ციხესიმაგრითურთ დაუტოვა. ვიდრე XIX საუკუნეში გადმოვინაცვლებდეთ, ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ: სწორედ ეს პირველი ჰერცოგი მალბორო იყო, ვინც საფრანგეთის მეფე-მზეს, ლუდოვიკო XIV-ს ბელგია ბრძოლით წაართვა. ჰოდა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობისას, მან სწორედ ამიტომ ვერ მოიცალა საქართველოსთვის და არა იმიტომ, რომ „მეფეს ხალხზე მეტად კატა ეცოდებოდა“; რა ექნა — მაშინ თავისი ქვეყანა გასჭირვებოდა... ასე რომ, ჩერჩილის წინაპარს, შეიძლება ითქვას, უშუალო „ბრალი“ მიუძღვის საქართველოს უბედურებაში...

მაშ ასე, ბლენჰაიმის სასახლე, 1874 წლის 30 ნოემბერი, მთელი ინგლისის (და არა მარტო ინგლისის) არისტოკრატული საზოგადოება ჩერჩილების დარბაზობაზეა და ამ დროს დიასახლისს სამშობიარო ტკივილები დაეწყო, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ შვიდი თვის ფეხმძიმე იყო. სტუმრიანობის გამო, ის ტანსაცმლის დასაწყობ ოთახად გადაკეთებულ საკუჭნაოში (ზევით აყვანაც ვერ მოასწრეს) შეიყვანეს და იქ — ძვირფას პალტოებსა და ბეწვის ქურქებზე მოევლინა სამყაროს უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი. მაშინდელი წესისამებრ, მეორე დღესვე, „ტაიმსის“ პირველ სვეტში, მაღალი წრის ქრონიკაში ეწერა, რომ სერ რენდოლფ ჩერჩილის მეუღლემ, ჯენიმ შვა პირველი შვილი და რომ მშობიარობა ნაადრევი გახლდათ.

სხვათა შორის, ვაჟის დაბადება, მშობლების გარდა, მათ დიდ ოჯახში არავის გახარებია (ისე, არც მშობლებს ამოსდიოდათ მასზე მზე და მთვარე): უფროს ბიძას ერთი ვაჟი ჰყავდა (ტრადიციის მიხედვით, მალბოროს ჰერცოგის ტიტულს მხოლოდ ერთი, უფროსი მემკვიდრე იღებდა) და ეშინოდა, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში (მაშინ ბავშვთა სიკვდილიანობა ხშირი იყო), ჩემი ტიტული ამ უდღეური ძმისშვილის ხელში გადავაო, მაგრამ მისი შვილი გაიზარდა, ამერიკელი მილიარდერის ქალიშვილზე დაქორწინდა, ვაჟიც გაუჩნდა და უინსტონ ჩერჩილის ოცნებასაც — გამხდარიყო მალბოროს IX ჰერცოგი, წერტილი დაესვა. სხვათა შორის, როდესაც ოჯახში ამერიკელი რძალი შევიდა, პირველი, რაც მას ქმრის ბებიამ უთხრა, ეს იყო: „თქვენი ერთადერთი მოვალეობაა ვაჟი გააჩინოთ, რათა ტიტული ამ უდღეურ და უვარგის უინსტონს არ დარჩეს“.

ამერიკელი რძლები კი, ამ ოჯახში ახალი ამბავი არ იყო — თვით ჯენი, უინსტონის დედა ამერიკელი მდიდარი მეწარმის შვილი გახლდათ, მაგრამ ჩერჩილებს მასში „არ გაუმართლათ“ — ახალდაოჯახებულებს თაფლობის თვეც არ ჰქონდათ დასრულებული, როცა მდიდარი ამერიკელი სიმამრი გაკოტრდა! ცხადია, ოჯახი შიმშილით არ კვდებოდა, მაგრამ ინგლისის მაღალ წრეებში ყველამ იცოდა, რომ მათი შემოსავალი გასავალს — სასახლის, ქალაქის სახლისა და ბინების ხარჯები, 100 ცხენის მოვლა, 150 მოსამსახურის ჯამაგირი და ა.შ. — ძლივს სწვდებოდა...



ვაჟის დაბადება, მშობლების გარდა, მათ დიდ ოჯახში არავის გახარებია

როგორც ჩერჩილი თავის მემუარებში წერდა, მას მშობლები არასოდეს მიფერებიან. მხოლოდ ძალიან გვიან — 40 წელს კარგად გადაშორებულ დედას საკუთარი მოვალეობა გაახსენდა და ახალგაზრდა ოფიცერს გარკვეული თანადგომა გაუწია. სამაგიეროდ, უინსტონი ძიძას აღმერთებდა და მთელი ცხოვრების მანძილზე, კაბინეტში ძიძის სურათი ეკიდა.

შვიდი წლისა ასკოტის დახურულ სკოლაში შეიყვანეს, შემდეგ კიდევ უფრო ძვირად ღირებულ, არისტოკრატთა ლიცეუმ ჰეროუში მიაბარეს, სადაც მასწავლებლები საგონებელში ჩააგდო — აბსოლუტურად არაფერს აკეთებდა იმ საგნებში, რომლებიც არ მოსწონდა, სამაგიეროდ პირწმინდად ითვისებდა საყვარელ დისციპლინებს (ამ სკოლაზე წერდა: საბოლოოდ შემაძულეს ბერძნული და ლათინური, თავისი საბერძნეთითა და რომის იმპერიითო), მასწავლებლებმა კი, ამის საწინააღმდეგოდ ერთადერთი „წამალი“ იცოდნენ — გაროზგვა. მოსწავლეობის პერიოდში მშობლები სულ ორჯერ ნახა. სკოლის დასრულების შემდეგ მისი და მამამისის აზრები დაემთხვა: სამხედრო სასწავლებელი — ეს ბავშვობის ოცნება იყო (სხვა გასართობი არც ჰქონდა და არც უნდოდა — 1500 კალის ჯარისკაცი ჰქონია), მაგრამ სენდჰერსტის სამხედრო სასწავლებელში ორჯერ ჩაიჭრა. ბოლოს, დედამისმა ვინმე კაპიტან ჯეიმსს მიაბარა, რომელმაც გამოცდაზე ჩასაბარებელი საკითხები წინასწარ იცოდა (ანუ „საქმე ჩაუწყო“) და 1893 წლის აგვისტოში მსუბუქი კავალერიის კლასში ჩაირიცხა.

ამ პერიოდს მამამისის უცნაური ამბავიც დაემთხვა: ინგლისის ყველაზე პერსპექტიულ პოლიტიკოსად შერაცხულმა ფინანსთა მინისტრმა, რენდოლფ ჩერჩილმა მოულოდნელად მთავრობის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა, თანამდებობიდან გადა-

დგა, საქმეები პარტიაშიც აერია, რის ნიადაგზეც ჯანმრთელობა შეერყა და უცნაური აპათიით შეპყრობილი სახლში „ჩაჯდა“. თუმცა, მის ამერიკელ მეუღლეს ეს ამბავი დიდად არ უდარდია. მეტიც, იმ პერიოდში უფრო აქტიურად ალაპარაკდნენ მის ფარულ რომანებზე ავსტრიის სიმპათიურ, მდიდარ ატაშესთან და თვით ინგლისის ტახტის მემკვიდრე უელსის პრინცთან, მაგრამ ეს კონსერვატიული ინგლისი იყო და გაზეთები „მხოლოდ“ ცხენით ერთობლივ სეირნობებზე წერდნენ.



უინსტონ ჩერჩილი მეუღლესთან ერთად

უინსტონს სამხედრო სასწავლებელში ჩაბარება კი გაუჭირდა, მაგრამ სწავლა ნამდვილად არ გასჭირვებია — იქ მთავარი ფარიკაობა და ცხენოსნობა იყო, რაშიც ბადალი არ ჰყავდა. საინტერესოა, რომ პირველი, რაც სასწავლებლის დამთავრებისა და ლეიტენანტის ჩინის მიღების შემდეგ გააკეთა, ის იყო, რომ თავის სკოლას მიაკითხა, — არ ვიცი, როგორ, მაგრამ მინდოდა, დირექტორისთვის სამაგიერო გადამეხადა, ძველი როზგებისთვისო, — წერდა, მაგრამ დირექტორი გარდაცვლილი დახვდა. სასწავლებლის დამთავრებამდე 3 კვირით ადრე, 1895 წლის დასაწყისში მამა გარდაეცვალა (46 წლის იყო) და შინ აღარც მიბრუნებულა — მამასთან რაღაც საერთოს მაინც პოულობდა, დედასთან კი ერთ დღესაც ვერ ძლებდა.

ახალგაზრდა ლეიტენანტი ჰუსართა პოლკში მიავლინეს, სადაც უფულობას განიცდიდა, მაგრამ ჭკუა-გონებითა და მოხერხებულობით მალევე მიიქცია ყურადღება. რამდენიმე ხანში შვებულება მოითხოვა და მეგობართან, ლეიტენანტ ბერნსთან ერთად კუბაზე გაემგზავრა, სადაც ესპანელი მარშალი კამპო აჯანყებულებს ებრძოდა. მეგობრები კამპოსთან მოხალისეებად ჩაეწერნენ, მაგრამ ჩერჩილს, საბრძოლო ნათლობასთან ერთად, სხვა მიზანიც ჰქონდა: მან ჟურნალისტობა დაიწყო და როგორც „დეილი ტელეგრაფის“ სამხედრო კორესპონდენტმა, ოკეანის გაღმიდან პირველი ხუთი რეპორტაჟი გამოაგზავნა. კუბაზე კიდევ ერთი „უმნიშვნელოვანესი“ ამბავი მოხდა ჩერჩილის ცხოვრებაში: კუნძულზე მან ალკოჰოლის სმა და ჰავანური სიგარის წევა დაიწყო და თუ სასმელს (ძირითადად, კონიაკს) თითქმის ცხოვრების ბოლომდე უფასოდ უგზავნიდნენ ხან სტალინი (სომხურს) და ხანაც — დე გოლი (ფრანგულს), სიგარების შესაძენად მრავალი ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა.

ხუთთვიანი შვებულების შემდეგ თავის ნაწილს ინდოეთში ჩააკითხა, მაგრამ იქ სიმშვიდე იყო და დედამისი წერილებით „აიკლო“, რათა მას თავისი კავშირების წყალობით ბირმაში გადაეყვანა, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. ამასობაში ჯენი ჩერჩილი ცოტა მობერდა, „დაწყნარდა“ და შვილზე ზრუნვა დაიწყო — ბირმაში წიგნები, ინგლისის პარლამენტის სხდომების სტენოგრამები გაუგზავნა და პირველი წიგნის გამოცემაშიც დაეხმარა — მისი სტატიების კრებული დაბეჭდა (აზიიდან უინსტონს 20 რეპორტაჟი ჰქონდა გამოგზავნილი). დებიუტი წარმატებული გამოდგა — წმინდა მოგება, 300 გირვანქა სტერლინგი მიიღო, რაც ლეიტენანტის ყოველთვიურ ხელფასს 20-ჯერ აღემატებოდა.

ჩერჩილი ბომონდურ წვეულებებზე მიღებული კაცი გახდა, მაგრამ იქაც ბლოკნოტით დადიოდა, სულ რაღაცას იწერდა, ქალებთან კი თავაზიანი და, ირონიული იყო; ერთხელ, ლედი ასტორს მწარე ხუმრობით ისე „უკბინა“, რომ მან უთხრა: „თქვენი ცოლი რომ ვიყო, ყავაში საწამლავს ჩაგიყრიდით“, რაზეც ჩერჩილმა უპასუხა: „თქვენი ქმარი რომ ვიყო, იმ ყავას უყოყმანოდ დავლევდი...“

სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ პერიოდში გაუჩნდა აზრი, რომ სამხედრო სამსახურს პოლიტიკოსობა სჯობს, მაგრამ კიდევ ერთი სამხედრო კამპანია მაინც მოასწრო, — სუდანში, სადაც სიკვდილს ძლივს გადაურჩა, — ეს იყო მსოფლიოს ისტორიაში უკანასკნელი დიდი კავალერისტური ბრძოლა, ომდურმანთან. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, საკუთარი ხელით, მიბჯენით დახვრიტა ხუთი მომხდური, ერთს კი მაუზერის ტარით გაუპო თავი — ეს ყველაფერი კი ახალ წიგნში აღწერა და სამშობლოში ფურორი მოახდინა — დიდი ფული, დიდება მოვიდა; ამ ერთი წიგნის ჰონორარით უზარმაზარი სახლი შეიძინა...

სამხედრო სამსახურიდან გადადგა, მაგრამ სამხედრო ჟურნალისტიკას მაინც ვერ შეელია — ერთი წლის შემდეგ „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტად წავიდა სამხრეთ აფრიკაში, ინგლის-ბურების ომზე რეპორტაჟების გასაკეთებლად, მაგრამ ადგილამდე ვერ ჩააღწია — ის მატარებელი, რომელითაც მგზავრობდა, დაბომბეს, რელსებიდან გადააგდეს და გადარჩენილები ტყვედ აიყვანეს. ბურები სამხედრო ტყვეებს ხვრეტდნენ, მაგრამ ჩერჩილი ლორდობამ და ჟურნალისტობამ იხსნა (თუმცა, როგორც ამბობენ, რეალურად, ბურების მხარეს მებრძოლმა, „ნიკო ბურად“ წოდებულმა ნიკო ბაგრატიონმა იხსნა). მალე გაქცევაც მოახერხა — 300 კილომეტრი მტრის ზურგში იარა, მერე გაქანებულ სატვირთო მატარებელს შეახტა და თავისიანებამდე მიაღწია. იქ ზეიმით შეხვდნენ — იმ კვირაში დამარცხება დამარცხებას მოსდევდა და ინგლისელებს გმირი სჭირდებოდათ! ინგლისში დაბრუნებულს ფინანსდაზები დაუფინეს, მაგრამ 46 წლის დედამისმა მოულოდნელი „საჩუქარი“ დაახვედრა — გათხოვილი დახვდა! თანაც, მამინაცვალი უინსტონზე ერთი წლით ახალგაზრდა, 26 წლის იყო (აქვე ვიტყვით, რომ ამ ქორწინების შემდეგ, 63 წლის ასაკში ჯენი კიდევ ერთხელ გათხოვდა. ამჯერად, უინსტონზე სამი წლით უმცროს ჩინოვნიკზე)!

ახლა უკვე აღარაფერი ედგა წინ პოლიტიკოსობას — პირველი წარუმატებელი არჩევნების შემდეგ, 1901 წელს ბიოგრაფიის, წარმომავლობის, ორატორობისა და პატრიოტობის წყალობით თემთა პალატის წევრი გახდა. თვითმხილველი პარლამენტში მის პირველ მისვლას ასე იხსენებს: „უინსტონ ჩერჩილი თემთა პალატაში ხუთი წუთის შემოსულიც არ იყო, როცა დავი-

უინსტონს სამხედრო სასწავლებელში ჩაბარება კი გაუჭირდა, მაგრამ სწავლა ნამდვილად არ გასჭირვებია





სულ რაღაცას იწერდა, ქალებთან კი თავაზიანი და, ირონიული იყო



ცხოვრების ბოლომდე ყოველდღე ერთ ბოთლ კონიაკს სვამდა, ათ სიგარას ეწეოდა

ნახეთ, რომ ზის მოშვებული, ცილინდრი შუბლზე აქვს ჩამოფხატული, ფეხები — გაჭიმული და ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, ხელები — ჯიბეებში ღრმად ჩაწყობილი... და იქაურობას ისე გულგრილად ათვალიერებს, თითქოს ყველაზე ახალგაზრდა კი არა, ყველაზე ხანდაზმული და გამოცდილი დეპუტატი ყოფილიყოს...“

მალევე გახდა ფინანსთა მინისტრი (მნიშვნელობით მეორე პოსტი იყო მთავრობაში) და დაქორწინდა კიდეც კლემენტინა ჰოზიზე, ღარიბი პოლკოვნიკის შვილზე. სხვათა შორის, აქაც „გმირობა“ დასჭირდა: სოფელში, მათი საერთო მეგობრების სახლში ხანძარი გაჩნდა და მაშველთა მოსვლამდე, ჩერჩილმა — ფინანსთა მინისტრმა და ლორდმა თამამად შეაბიჯა ცეცხლში, თითქმის ყველაფერი გადაარჩინა და კლემენტინამაც, შეტრუსულ-ბოლნაყლაპს ერთგულება იქვე შეჰფიცა. ვესტმინსტერში, თემთა პალატის ეკლესიაში ჯვრისწერისას, საჩუქრებისთვის გამოყოფილ კუთხეში, საპატიო ადგილას იდო მეფე ედუარდ VII-ს ნაჩუქარი ხელჯოხი, წარწერით: „ჩემს ყველაზე ახალგაზრდა მინისტრს“.

სამხრეთ აფრიკაში ისევ ომი იყო და ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩერჩილი კოლონიების მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს. შედეგი ბრწყინვალე აღმოჩნდა — სულ მალე არა მარტო ომი შეწყდა, არამედ ბურების ლიდერები, ბოტა და სმატსი დაიმეგობრა კიდეც.

მკითხველისათვის ჩერჩილის შემდგომი მოღვაწეობა უფრო ცნობილია და ჩვენც მხოლოდ მშრალი ფაქტების ჩამოთვლითღა შემოვიფარგლებით: არისტოკრატული კლუბებით განთქმულ ლონდონში მან „აზერ კლუბი“ შექმნა, სადაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანები შედიოდნენ, რამაც პოლიტიკური კრიზისების თავიდან აცილებას დიდად შეუწყო ხელი. მოგვიანებით საზღვაო მინისტრად დანიშნეს. ის პირველი მსოფლიო ომის მოახლოებას გრძნობდა და ამიტომაც, სასწრაფოდ მოახდინა ფლოტის მოდერნიზაცია (ნახშირის საწვავიდან ნავთობზე გადაიყვანა), შედეგად კი ნავთობის მოპოვებაც ერთიორად გაზარდა; შექმნა საზღვაო-საჰაერო ძალები, თვითმფრინავებს თავადვე ცდიდა და ავიაკატასროფასაც გადაურჩა — 30 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, მიწას დაენარცხა და მაინც გადარჩა; მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ტანკი, მეორე მსოფლიო ომში მის ხელმძღვანელობაზე კი აღარაფერს ვიტყვით... თუმცა, რაღა არაფერს — ჯერ რუზველტს და შემდეგ ტრუმენს ეხვეწებოდა, რუსებს ელბაზე კი არა, რაც შეიძლება აღმოსავლეთით შევხვდეთ, თორემ მთელ აღმოსავლეთ ევროპას წალეკავენო, მაგრამ არ დაუჯერეს...

1946 წელს ამერიკაში, ფულტონის უნივერსიტეტში გამოსვლისას, სწორედ ჩერჩილმა ახსენა პირველად ტერმინი — „რკინის ფარდა“ და ამით დაიწყო „ცივი ომი“. ასეთ ამბავსაც ჰყვებიან: ამ გამოსვლის შემდეგ, ბანკეტზე, ხიზილალას ისე მიაძღა, რომ გარშემო მყოფების ყურადღება მიიქციაო. მას კი გაუღიმია და უთქვამს: „ნუ გიკვირთ, ხიზილალა მიყვარს, მაგრამ მასში ფულის გადახდა მენანება, დღევანდელი გამოსვლის შემდეგ კი, ვფიქრობ, სტალინი აღარ გამომიგზავნის მას“...



სწორედ ჩერჩილმა ახსენა პირველად ტერმინი — „რკინის ფარდა“ და ამით დაიწყო „ცივი ომი“

ამის შემდეგ, მართლაც, მოსკოვში „საბჭოეთის №1 მტრად“ შერაცხეს. ისე, ეს დიდად არც უდარდია...

1953 წელს, პრემიერ-მინისტრად ყოფნისას, ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში, რვატომეულისთვის — „მეორე მსოფლიო ომი“. დაჯილდოების ცერემონიაზე, ნორვეგიაში არ წავიდა, — არ მცალიო (?) და ცოლი გაგზავნა, თავად კი ბერმუდის კუნძულებზე გაემგზავრა (!)...

მხატვრის ფუნჯთანაც „ახლოს“ იყო — შარლ მორენის ფსევდონიმით ცნობილი ავტორის, იგივე უინსტონ ჩერჩილის ტილოები ევროპელ კოლექციონერებს შორის დღესაც დიდად ფასობს...

შვილები „არ გამოადგა“: ერთადერთმა ვაჟმა ვერც პოლიტიკაში ივარგა და ვერც ბიზნესში, მამას მხოლოდ კონიაკის სიყვარულში დაემსგავსა და მისი სიკვდილიდან ორიოდე წელიწადში ისიც გარდაიცვალა. რაც შეეხებათ ჩერჩილის ქალიშვილებს, ინგლისური პრესა მათ სკანდალურ ცხოვრებაზე ხშირად წერდა. სხვათა შორის, სიცოცხლე ასევე სკანდალურად დაამთავრეს: უფროსმა თავი მოიკლა, შუათანა გალოთდა, სპეციალურ საავადმყოფოში ამოყო თავი და იქვე გარდაიცვალა...



უინსტონ ჩერჩილის ტილოები ევროპელ კოლექციონერებს შორის დღესაც დიდად ფასობს...

როდესაც ჩერჩილი 80 წლის გახდა, BBC-მ მისი დაკრძალვის გადამღები ჯგუფი წინასწარ შექმნა და საიუბილეო (ალბათ ფიქრობდნენ — უკანასკნელიო) სურათის გადასაღებად ფოტოგრაფი გაუგზავნა. თავის საქმეს რომ მორჩა, ახალგაზრდა ფოტოგრაფმა თავაზიანად მიმართა:

— იმედი მაქვს, მომავალ დაბადების დღეზეც გადაგიღებთ ფოტოს.

— რატომაც არა! მგონი, ჯანმრთელობას არ უჩივით, — გაუღიმა ჩერჩილმა.

მართლაც, იმ ხუთკაციანი ჯგუფიდან ოთხი ჩერჩილზე ადრე მოკვდა, სერ უინსტონმა კი 90 წლამდე იცოცხლა და ცხოვრების ბოლომდე ყოველდღე ერთ ბოთლ კონიაკს სვამდა, ათ სიგარას ეწეოდა. ამასთან დაკავშირებით, ცნობილია მისი ერთი სარკასტული გამონათქვამი: „ჩემი ხანგრძლივად ცხოვრების რეცეპტია: ჭამე და სვი რაც გინდა და რამდენიც გინდა და არავითარი სპორტი!“ — ესეც ცნობილი ინგლისური იუმორი.

P.S. ამბობენ, — მეგობრები არ ჰყავდაო, მაგრამ ალბათ, დიდ ადამიანებს სხვა საზომით უნდა მივუდგეთ. ერთხელ ბერნარდ შოუს, — რომელიც ახალგაზრდობაში ცოტას „წაუფაშისტებდა“ და ერთმანეთს ამიტომაც არ სწყალობდნენ, — თავისი პიესის პრემიერაზე მისთვის ორი ბილეთი გაუგზავნია, ბარათით: „ერთი თქვენ და ერთი თქვენს მეგობარს, თუკი ერთი მეგობარი მაინც გყავთ“. ჩერჩილმა ბილეთები დაუბრუნა და საპასუხო ბარათი მისწერა: „ახლა დრო არ მაქვს. გამომიგზავნეთ შემდეგი პრემიერის ბილეთები, თუკი კიდევ გედირსათ პრემიერა“.

■



# სამყარო

## ორიგამი — ქაღალდში გაცოცხლებული ფიგურები

**ორიგამი იაპონური სიტყვაა და სიტყვასიტყვით — „ვკეცავ ქაღალდს“ ნიშნავს. იაპონელებისთვის ჭეშმარიტება ხომ სილამაზესა და ჰარმონიაშია და ალბათ ამიტომაცაა, რომ ორიგამით გაკეთებულ ფიგურებს თვალს ვერ მოსწყვეტთ. საქართველოში მხოლოდ 2 ადამიანია, რომელსაც ორიგამის სწავლება შეუძლია. მათი ნამუშევრები რუსთაველზე, კინოს სახლის წინ ვნახე გამოფენილი. ქაღალდით გაცოცხლებული ჩებურაშკასა და გედების ნახვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემთან ერთად აღფრთოვანებას სხვა დამთვალიერებლებიც ვერ ფარავდნენ.**

*ელენე ბასილიძე*



**დავით კაცია:**

— აფხაზეთიდან ვარ, გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოში ვცხოვრობდი, შემდეგ კი მშობლებთან ერთად რუსეთში წავედი... სკოლა რომ დავამთავრე, სოხუმში დავბრუნდი და სწავლა სასულიერო აკადემიაში განვაგრძე. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ომი. გადავწყვიტე, დევნილებთან ერთად რუსეთში წავსულიყავი და იურიდიული აკადემია იქ დავამთავრე. დაინტერესებული ვიყავი რელიგიათმცოდნეობით, რუსულ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავდიოდი, სადაც ბევრ წმინდა ადამიანს შევხვდი... სწორედ მათ მიწინასწარმეტყველეს: — შენ საქართველოში უნდა ემსახურო უფალსო. მათმა სიტყვებმა განმაცვიფრა. მიუხედავად იმისა, რომ ოროთახიან ბინაში 12 ადამიანი ვცხოვრობდით და მოთავსება ძალიან გვიჭირდა, საქართველოში დაბრუნებასა და აქ ცხოვრებაზე არასოდეს მიფიქრია. როცა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ახლობლებს ვუთხარი, მითხრეს: რა დაგრჩენია საქართველოში, როდის ჩვენ იქიდან წამოვედით და ისევ უკან მიდიხარო?! უფლის წყალობით, ისევ სამშობლოში დავბრუნდი, 2007 წელს. ამ დროს უკვე შედარებით დალაგებული იყო სიტუაცია. მე მზამზარეულზე მომიწია ჩამოსვლამ, ვერ მოვესწარი იმ პერიოდს, როცა ჩემი ერი ქვეყანას „ალაგებდა“, მაგრამ ჩემს გასაკეთებელს გავაკეთებ და საქართველოს განვითარებაში წვლილს შევიტან (*იღიმის*). შემდეგ აგვისტოს ომი დაიწყო, საზოგადოება ძალიან დათრგუნვილი იყო, დევნილები ისეთ დეპრესიაში იყვნენ, მათთან საუბარიც კი წარმოუდგენელი გახლდათ. იმედი ჰქონდათ დაკარგული. იმ პერიოდში გამახსენდა ჩემი გატაცება — ორიგამი, რომელიც სილამაზისა და ჰარმონიის მეშვეობით ამშვიდებს და სტრესს უხსნის ადამიანებს...

— **ორიგამი პირველად როდის აღმოაჩინეთ?**

— ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი ფილმი — „ნე ბოისია, ია სტაბოი“. ამ ფილმის ერთ-ერთი მსახიობი ორიგამის მეშვეობით ლამაზ-ლამაზ რაღაცებს აკეთებდა, პატარებს სჩუქნიდა და ქაღალდის ფიგურებთან ერთად დარიგებებსაც ისე კორექტულად გადასცემდა მათ, რომ ბავშვები უფრო უკეთესები ხდებოდნენ. სწორედ ამ ფილმმა მიბიძგა, რომ ორიგამი მესწავლა და პატარები გამეხალისებინა. მისი ფუძემდებელი აკირო იოშიგავაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა იაპონიამ ომი წააგო, მის ოჯახსაც ძალიან უჭირდა. ერთხელ, გზად ბრძენს გადაეყარა, რომელმაც პატარა ქაღადის გედი აჩუქა. ამის შემდეგ, თავად აკირომ დაიწყო ორიგამის სწავლა, მასწავლებელი გახდა, ამერიკაში წავიდა და „ნიუ იორკ პოსტში“ უჩვენა, თუ რისი გაკეთება შეეძლო. იმ დღიდან მისი ოცნების განხორციელება დაიწყო. მისი წიგნი გამოიცა და ამ ხელოვნების შესახებ უამრავმა ადამიანმა შეიტყო. როდესაც ბავშვები ქაღალდის მეშვეობით პატარა სასწაულს ქმნიან, ისინი დამოუკიდებელ ადამიანებად ყალიბდებიან. ორიგამის მეშვეობით ისინი უფრო ნათლად და ლოგიკურად აზროვნებენ... პატარები ცდილობენ, საქმე ბოლომდე მიიყვანონ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასრულებულ ფიგურას ვერ მიიღებენ. საბოლოოდ კი, შრომისმოყვარეობას ეჩვევიან. ერთ დღეს, დევნილებს სტრესის მოსახსნელად 2 გედი მივუტანე. სრულიად შეიცვალნენ, თვალები გაუბრწყინდათ და მთხოვდნენ, — გვასწავლე, როგორ გავაკეთოთო? პრობლემები სრულიად გადაავიწყდათ (*იღიმის*). სწორედ იმ სიხარულმა, რომელსაც ადამიანები ჩემი ნამუშევრების ნახვისას გამოხატავდნენ, მიბიძგა, რომ „ბასტიბუბუს“ სტუდიაში მივსულიყავი, სადაც აფხაზეთის ახალგაზრდული კულტურული ცენტრი „სოხუმი“ იყო გახსნილი. ორიგამის სკოლა პირველად იქ გავხსენით. ხშირად მეუბნებოდნენ, საქართველოში ორიგამის სწავლას ბევრი არ მოისურვებსო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არა მარტო ბავშვები, დიდებიც კი დაინტერესდნენ (*იღიმის*). მალევე გავიცანი ჩემი ახალგაზრდა

მეგობარი, შალვა ადუაშვილი, ახალგაზრდა და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, რომელიც ძალიან დაინტერესდა ორიგამით და დღეს უკვე ერთად ვმუშაობთ.

— **პატარებს ძალიან მოსწონთო, მითხარით. ორიგამის შესწავლის სურვილი თუ აქვთ?**

— კი, ძალიან დაინტერესებულები არიან. ხშირად, პატარებს ნაღვლიანი თვალები აქვთ და არაფერი ახარებთ, ფიგურების კეთებისას კი, თითქოს მათი გარდასახვა ხდება და თვალებში სიხარულის ნაპერწკლები უბრუნდებათ. როცა გადავწყვიტე, ხალხისთვის ორიგამი სრულიად უსასყიდლოდ მესწავლებინა, დევნილის 28-ლარიან პენსიაზე დამოკიდებული აღმოვჩნდი. ჩემი და შალვას მიზანი იყო, საზოგადოებისათვის დაგვემტკიცებინა, რომ ნიჭის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. თანდათანობით ტელევიზიაც დაინტერესდა ჩვენით და საზოგადოებამაც გაიგო ორიგამის შესახებ. ერთ დღეს, ჩვენი ნამუშევრები მეუფე პეტრემ ნახა და შემოგვთავაზა, სკოლა სამების საკათედრო ტაძარში გახსენითო. 1 წელი იქ ვიმუშავეთ და პატარებს სიხარული ვაჩუქეთ. შალვა სტუდენტია, ლექციების შემდეგ მოდიოდა და პატარებს გაკვეთილებს ვუტარებდით. გაკვეთილი 2 საათი გრძელდებოდა, მაგრამ პატარებს კიდევ სურდათ დარჩენა, მოჰყავდათ მეგობრები, კლასელები...

— **როდის გადაწყვიტეთ, რომ თქვენი ნამუშევრები რუსთაველზე გაგეტანათ?**

— გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი შემოქმედება უფრო ფართო საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა. ამ ზაფხულს ჩვენი ნამუშევრები რუსთაველზე, კინოს სახლის წინ გამოვფინეთ. იქ მყოფმა ხელოვნებმა ისე მიგვიღეს, თითქოს ჩვენი დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ (*იცინის*). თითქმის ყველა გამვლელი ინტერესდებოდა ჩვენი ნამუშევრებით. მეც, ორიგამის პრეზენტაციას ვაკეთებდი (*იღიმის*). 10 წამი მჭირდება იმის ასახსნელად, თუ საიდან და როგორ წარმოიშვა ორიგამი. უკვირთ, როცა იგებენ, რომ ყველაფერი, რასაც ისინი ხედავენ, ქაღალდისგანაა შექმნილი... საუბრის დროს თან ქაღალდს ვკეცავ, ბოლოს კი გედს, პერანგს ან რამე ლამაზ ფიგურას გადავცემ გამვლელს. უნდა ნახოთ, როგორი სახეები აქვთ... უცებ მხიარულდებიან და იმდენად მოსწონთ, რომ მათი გაბრწყინებული თვალების ყურებას არაფერი სჯობს. რუსთაველზე ერთ-ერთი სკოლის დირექტორიც მოვიდა და შემოგვთავაზა, ჩვენი ხელოვნება მის სკოლაში გვესწავლებინა (*იღიმის*). როცა უფალი შემეკითხება, მოუტანა თუ არა შენმა არსებობამ სიხარული ვინმესო? მე სიხარულით ვეტყვი: — დიახ-მეთქი (*იღიმის*). მე და შოთა თუ ვხედავთ, რომ ბავშვი ტირის, უცებ გავუკეთებთ სათამაშოს და პატარაც იმ წამს ჩუმდება. სად იყავით აქამდე, გაგახარებთ ღმერთიო, — გვლოცავენ ხოლმე მშობლები (*იცინის*).





— **ყველაზე იოლად ორიგამს რა ასაკის პატარები ითვისებენ?**

— ამის თქმა ძნელია. ერთხელ, 3 წლის პატარა მოხვდა ჩვენს გაკვეთილზე. მისი დაიკო ჩვენთან სწავლობდა. მშობლებმა მითხრეს, უთხარით, რომ არ შეიძლება აქ შემოსვლა და თავისი ნებით წამოვაო... პატარა ანგელოზს ამას როგორ ვეტყოდი? — დამიტოვეთ-მეთქი შევთავაზე მშობლებს და მაგიდასთან ძლივს დავსვი, მეტისმეტად ჭირვეული და მოუსვენარი იყო. ცოტა ხანში პატარამ ქაღალდების დაკეცვა დაიწყო (*იცინის*). ამიტომაც, ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რა ასაკის პატარები სწავლობენ უფრო იოლად.

— **თქვენი სამუშაო საკმაოდ შრომატევადია. მთლიანი გედი პატარ-პატარა მოდულებით იწყობა, ხომ?**

— კი, მართალი ხართ. დიდი ნამუშევრის შექმნას დიდი შრომაც სჭირდება. ორიგამში რამდენიმე მიმართულებაა. ბავშვებს მოდულებისგან შექმნილი ნამუშევარი იტაცებთ, უფროსებს კი ისეთი ნამუშევრები, რომლებიც მხოლოდ ერთი ფურცლისგან მზადდება (*იღიმის*).

— **სამომავლოდ რას გეგმავთ?**

— გვინდა, ხშირად მოვაწყოთ საქველმოქმედო აქციები. გვსურს, ლეიკემიით დაავადებულ პატარებს ჩავუტაროთ ორიგამის გაკვეთილები, რათა დაავადება იოლად გადავატანინოთ და ყოფა შევუმსუბუქოთ. სექტემბრიდან ელენე ახვლედიანის ბავშვთა ხელოვნების სასახლეში წრეს ვხსნით, სადაც დაინტერესებულ პატარებს ორიგამის შესწავლის საშუალება მიეცემათ. სხვათა შორის, მე და შალვამ წიგნიც დავწერეთ ორიგამის შესახებ, რომელიც დაინტერესებულ ადამიანებს ქაღალდისგან ლამაზი ფიგურების შექმნას შეასწავლის. ჯერჯერობით, ამ წიგნის მხოლოდ ელექტრონული ვერსია არსებობს და იმედია, გამოჩნდება სპონსორი, რომელიც წიგნის დაბეჭდვაში დაგვეხმარება.

**შალვა ადუაშვილი:**

— ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ქაღალდების საშუალებით ამა თუ იმ ნივთის შექმნა. სკოლაში, დასვენებაზე, სულ ფურცელი მეჭირა ხელში (*იღიმის*). როცა დათო გავიცანი და მისი ნამუშევრები ვნახე, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ვიპოვე. ხშირად, როცა ვინმეს ვეუბნები, ქაღალდის საშუალებით ლამაზ ნივთებს ვაკეთებ-მეთქი, ნეტავ შენ, მოგცლიაო, მეუბნებიან. ვერ ხვდებიან, რომ ეს ხელოვნებაა, რომელიც ადამიანის განვითარებას უწყობს ხელს. ამას წინათ, მე და დათო ავტობუსით ვმგზავრობდით, ძმები ჩხუბობდნენ, დედა კი თან აშველებდა, თან „გემრიელად" ურტყამდა პატარებს. მე და დათომ სასწრაფოდ გავაკეთეთ ქაღალდის ფიგურები და პატარებს ვაჩუქეთ. ბიჭები მაშინვე გაჩერდნენ და თვალიერება დაუწყეს ჩვენს ნამუშევრებს, ჩხუბი აღარც გახსენებიათ (*იღიმის*). გამვლელებსაც ვახარებთ. როცა მათ რაიმე ფიგურას ვაწვდით, ჯერ გაკვირვებულები გვიყურებენ, მერე კი სიხარულისაგან უბრწყინდება თვალები.



— **როგორც ვიცი, სწავლობ...**

— კი, მომავალი პროგრამისტი ვარ (*იღიმის*).

— **წარმატებებს გისურვებთ.**

— დიდი მადლობა! ■

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. კობრას ინდოელები მოსისინე სიკვდილს ეძახიან.

2. ჟანა დ'არკის ფერფლი ჯალათმა სენაში გადაყარა.

3. ბორის პასტერნაკმა ნობელის პრემიაზე უარი თქვა.

4. ახალბინადრობის გამო გამართულ ქეიფს მუმბარაქი ჰქვია.

5. თიკა ფაცაცია ავთო ცქვიტინიძემ სკოლაში ნახა და მოდელად მიიწვია.

6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი ლექცია 1918 წლის 30 იანვარს ჩატარდა.

7. ბეჰემოთები სულაც არ არიან უწყინარი ცხოველები. ზოოლოგები მათ სერიულ მკვლელებს ეძახიან.

8. „არისტოკრატ სრედი სობაკ ი სობაკა არისტოკრატოვ", — ასე ეძახიან მონადირეები რუსულ მწევარს.

9. სტალინგრადის დაცვისას 500 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა. ეს უფრო მეტია, ვიდრე ბრიტანეთმა დაკარგა მთლიანად II მსოფლიო ომში.

10. პუშკინის ქანდაკება თბილისში ფელიქს ხოდოროვიჩის გაკეთებულია. ეს პოეტის რიგით მეხუთე ძეგლი გახლდათ რუსეთის იმპერიაში.



11. ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლს ხუთივე კონტინენტი ჰქონდა მოვლილი. მათ კონცერტებს საერთო ჯამში 50 მილიონი მაყურებელი დაესწრო.

12. ლადო ასათიანის ლექსების პირველი კრებული, რომელშიც 38 საუკეთესო ლექსი იყო შესული, 8 მანეთი და 60 კაპიკი ღირდა.

13. სტალინის დედა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. ბელადი დაკრძალვას არ დასწრებია. მხოლოდ ერთ-ერთ გვირგვინს ეკეთა წარწერა: „საყვარელ დედას შვილისგან, იოსებ ჯუღაშვილისგან".

14. „დიახ, თქვენ დაგიპყრეს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ღმერთის რჩეულმა დაგიპყროთ", — „ანუგეშებდა" ანგლოსაქსებს ვილჰელმ დამპყრობელი.

15. ავტომობილ „როლს-როისის" კაპოტზე დამაგრებულ ქანდაკებას „ალმაფრენის სული" ჰქვია. მისი ავტორი ჩარლზ საიქსი გახლავთ.

16. დამცავი ფარები, რომელსაც ამერიკულ ფეხბურთში სპორტსმენები ფორმის შიგნით ატარებენ, დარტყმის ძალას 50 პროცენტით ამცირებს.



# „ფიატის" მცირელიტრაჟიანი სიახლე

კომპანია „ფიატი" იაფფასიანი მცირელიტრაჟიანის შექმნაზე მუშაობს, რომელმაც 1998 წელს, ძველი, „ფიატ 500"-ის მემკვიდრედ ცნობილი და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კვლავაც პოპულარული მოდელი — Seicento უნდა შეცვალოს. ადრე იტალიური ავტომწარმოებელი კიდევ ერთი ხელმისაწვდომი მანქანის გამოშვებას გეგმავდა. მას Topolino უნდა რქმეოდა, მაგრამ კომპანიამ ამ იდეის განხორციელებისგან თავი შეიკავა. „ფიატის" ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მომავალი თაობის Seicento-ს გამოჩენის შემთხვევაში ასეთი ნაბიჯის გადადგმა „არასწორი იქნებოდა". ახალი იაფფასიანი მცირელიტრაჟიანი ავტო თავისი გაბარიტული ზომით ჰეჩბეკ Toyota iQ-სთან იქნება მიახლოებული, რომლის სიგრძეც 3 მეტრი, ხოლო სიგანე და სიმაღლე შესაბამისად — 1,68 მ და 1,5 მ-ია. წინასწარი მონაცემებით, ასეთი ავტომობილი TwinAir-ის 2-ცილინდრიანი ძრავათი გაიყიდება. ამ მოტორის 0,9-ლიტრიანი ერთ-ერთი ვერსია ცოტა ხნის წინ „ფიატ 500"-ის გამაში შეიყვანეს. აგრეგატი 85 ცხ.ძ-ს ავითარებს, ხოლო მის მიერ მოხმარებული საწვავის საშუალო რაოდენობა 100 კმ-ზე 4,1 ლიტრს შეადგენს. ხელმისაწვდომი „ფიატი" სპეციალურად განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისთვის იქმნება, თუმცა იგი დასავლეთ ევროპაშიც გაიყიდება და ფასის მიხედვით მოდელების, — Panda 500, — ქვევით დაიკავებს ადგილს. ადრე კონცერნ „ფიატის" ხელმძღვანელმა, სერჯიო მარკიონიმ ცალკე ბრენდის შექმნის გეგმა გაახმაურა, რომლის სახელითაც იაფფასიანი მანქანები გაიყიდება. ■




# განახლებული Citroen 5

ორიოდე დღის წინ ერთ-ერთმა ინტერნეტგამოცემამ განახლებული სედანისა და უნივერსალის, — Citroen 5, — პირველი ფოტოები გაავრცელა. ამ ავტომობილების მსოფლიო პრემიერა პარიზის მოტორშოუზე შედგება, რომელიც პრესის წარმომადგენლებისთვის უკვე გაიხსნა. სურათების მიხედვით, ავტომობილის დიზაინი მხოლოდ კოსმეტიკურ ცვლილებებს განიცდის: შუქფარებზე შუქდიოდური სექციები, უკანა ფარები, აგრეთვე წინა და უკანა ბამპერი მცირედით შეიცვლება. ამ მომენტისთვის უცნობია, მოდერნიზებას განიცდის თუ არა რესტაილირებული „Citroen si 5"-ის ინტერიერი და ტექნიკური მახასიათებლები. პარიზის მოტორშოუზე აგრეთვე წარდგენილი იქნება „Citroen si 5"-ის „ნათესავი," „პეჟო 508", რომელიც სამოდელო რიგში ერთბაშად ორ ავტომობილს, — 407-სა და 607-ს შეცვლის. ადრე გავრცელებული ცნობით, „პეჟოს" სიახლე C5-ის ბაზაზეა აწყობილი, რომელიც თავის მხრივ, „პეჟო 407"-ის მოდერნიზებულ შასის იყენებს. მოდელის, — 508, — მოტორების ხაზში ორი ბენზინის აგრეგატი და ხუთი დიზელია. ■



# „ასტონ მარტინი“ პირველია

კომპანია „ასტონ მარტინი“ დიდ ბრიტანეთში ყველაზე პოპულარული ბრენდების რეიტინგს უდგას სათავეში და კომპანია Apple-ს პროდუქციას, — ტელეფონ iPhone-სა და პლეიერ ipod-ს, — ჯაბნის. ამაზე CoolBrands-ის ყოველწლიური კვლევის შედეგები მეტყველებს, რომელიც ექსპერტთა მოსაზრებისა და 2 ათასზე მეტი ბრიტანელის გამოკითხვის საფუძველზე დგება. ბრიტანული ავტომწარმოებლის გარდა, ყველაზე ავტორიტეტულ ბრენდებს შორის აღმოჩნდნენ „ფერარი“ (მეცხრე ადგილი) და „მინი“ (მეთექვსმეტე ადგილი). ასევე ტოპ-500-ში მოხვდნენ ისეთი მარკები, როგორებიცაა „აუდი“, „ბენტლი“, „ბეემვე“, „იაგუარი“, „ლამბორჯინი“, „ლენდროვერი“, „ლექსუსი“, „ლოტუსი“, „მერსედეს-ბენცი“, „პორშე“, „როლსროისი“. CollBrands-ის მიხედვით ყველაზე პოპულარული ბრენდების ბრიტანული რეიტინგი 2001 წლიდან დგება. გასულ წელს კომპანია „ასტონ მარტინმა“ ამ გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა და ლიდერობა მხოლოდ ტელეფონ iPhone-ს დაუთმო. გარდა ამისა, „ფერარი“ და „მინი“ ერთი წლის წინ ყველაზე ავტორიტეტული ბრენდების ოცეულში მოხვდნენ, თუმცა მაშინ შესაბამისად, მე-15 და მე-17 ადგილები დაიკავეს. ■




# ჰიბრიდი Exagon Motors-ისგან

მომცრო ფრანგულმა კომპანიამ, — Exagon Motors, — ჰიბრიდული სპორტავტო, Furtive EGT წარმოადგინა, რომლის სერიულ წარმოებაში ჩაშვებაც ორი წლის შემდეგ იგეგმება. ფირმის ხელმძღვანელობა მანქანის გამოშვებას მცირე ტირაჟით გეგმავს — დაახლოებით 100 მანქანა წელიწადში. სიახლეს, რომლის სვლის თადარიგიც 800 კმ-ს შეადგენს, პუბლიკას პარიზის მოტორშოუზე წარუდგენენ. კუპე მოძრაობაში კომპანია „სიმენსის“ მიერ შექმნილ, ორ ელექტრომოტორს მოჰყავს. თითოეული ამ აგრეგატთაგანი 170 ცხძ-ის სიმძლავრისაა. ელექტროგაწევით მანქანის სვლის თადარიგი, სიჩქარისა და ტვირთის გათვალისწინებით, 200-400 კმ-ს შეადგენს. როდესაც ბატარეები სრულადაა განტვირთული, მუშაობაში მცირე ზომის ბენზინის ძრავა ერთვება. მისი საშუალებით აკუმულატორების დატენა და სვლის თადარიგის 800 კმ-მდე გაზრდა ხდება. კომპანია Exagon Motors-ის მონაცემებით, 0-დან 100 კმ-მდე სიჩქარეს სიახლე 3,5 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ის ნიშნულზე ელექტრონულად იზღუდება. ამ სპორტავტოს ერთ-ერთი კონკურენტი ამერიკული ჰიბრიდული სედანი, „ფისკერ კარმაა“, რომელსაც ასევე პარიზის მოტორშოუზე წარადგენენ. ასეთი მანქანაც ანალოგიური სქემით მუშაობს: 403 ცხ.ძ-ის ჯამური სიმძლავრის მქონე ელექტრომძრავებს მოძრაობაში მოჰყავს უკანა ბორბლები, ხოლო 2-ლიტრიანი, 260 ცხძ-ის სიმძლავრის ტურბომოტორი უშუალოდ გენერატორის სახით, მოძრაობისას ბატარეების დასატენად გამოიყენება. თუმცა Exagon Motors-ის პროექტისგან განსხვავებით, სედან „კარმას“ ელექტროამძრავით მხოლოდ 80 კმ-ის გავლა შეუძლია, ხოლო მისი კომბინირებული სვლის თადარიგი 483 კმ-ს შეადგენს. დინამიკური მახასიათებლების მიხედვით, „ფისკერის“ მოდელები ასევე ჩამორჩებიან ფრანგულ სპორტავტოს — 100 კმ/სთ სიჩქარის 5,9 წამში განვითარებითა და 200 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარით. ■




ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*მოამზადა ფიქრი ოთარ ივანიძე*

17. ადამიანებმა ჩვენს გალაქტიკაში არსებული ვარსკვლავების დათვლა რომ დაიწყონ (ერთი ვარსკვლავი ერთ წამში სისწრაფით), თვლას მხოლოდ 3 ათასი წლის შემდეგ დაასრულებენ.

18. „თუ გსურთ, ვინმეს უჩვენოთ, თუ რა დიდებული სპორტია კრივი, მას 1975 წელს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ჯო ფრეიზერისა და მუჰამედ ალის ორთაბრძოლის მეთოთხმეტე რაუნდი უნდა აჩვენოთ“, — ამბობენ კრივის სპეციალისტები. ამ ბრძოლის შემდეგ მუჰამედ ალი ამბობდა, ასე ახლოს არასდროს ვყოფილვარ სიკვდილთანო.

19. მიხაილ ზადორნოვი ჰყვებოდა: ვიღაც მთვრალს გადავეყარე, ქანდაკების წინ იდგა და დიდი გულმოდგინებით ჩასცქეროდა თვალებში. უყურა, უყურა და ბოლოს აყვირდა: მორჩა, თვალი დაახამხამე, წაგებული ხარო!

20. ინგლისში ორთქლმავლის მემანქანე ვალდებული იყო, სისტემატურად გაეწმინდა ღუმელი და კარგად შეემოწმებინა, ვინმე ხომ არ იყო შიგნით შემძვრალი, რადგან იყო შემთხვევები, როცა ღუმლის გაწმენდისას ნაცარს ადამიანის ძვლები გამოჰყოლია. ჩამქრალ, მაგრამ ჯერ კიდევ თბილ ღუმლებში ხშირად მაწანწალები ძვრებოდნენ გასათბობად. სითბოში მოხვედრილები კი ძილს ვეღარ ართმევდნენ თავს.

21. XIV საუკუნეში შავმა ჭირმა ევროპის მოსახლეობა გაანახევრა. ხალხი მაშინვე ებრაელებს დაერია: ეს ურწმუნოები ღმერთს არისხებენ და მათ გამო ვისჯებითო. მოსახლეობამ ებრაელები იმ ქალაქებშიც არ დაინდო, სადაც დაავადებას ჯერ არ ჰქონდა შეღწეული. ხალხის გულისწყრომა ერთი მხრივ იმ უზარმაზარმა ვალებმაც განაპირობა, რაც მათ ებრაელი მევახშეების ემართათ. ებრაელთა დადანაშაულება კი იდეალური საშუალება იყო, კრედიტორებთან ანგარიშის გასასწორებლად.

22. ვესტმინსტერის სააბატოში დაკრძალული ინგლისის მეფის, ედუარდ I-ის საფლავის ქვაზე ამოკვეთილია სიტყვები: „ედუარდ ინგლისელი, შოტლანდიელთა რისხვა“. უილიამ უოლასის დამმარცხებელ მეფეს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შოტლანდიელი დიდებულები აუჯანყდნენ, რობერტ ბრიუსის მეთაურობით. ედუარდ I-მა, რომელმაც აჯანყების ჩახშობა ვეღარ შეძლო, ანდერძით დაიბარა, ჩემი ცხედარი ყველა ბრძოლაში თან ატარეთ და მანამ ნუ დაკრძალავთ, სანამ შოტლანდია არ იქნება დაპყრობილიო.



*მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა*

# წყალუხვი და ულამაზესი ჩანჩქერები

სამყარო წყალვარდნილებით მდიდარია. როგორც მათ ეძახიან, „წყლის ბრილიანტები“, დედამიწის ყველა წერტილში არსებობენ. იაპონიის ნაციონალურ პარკში 100 ჩანჩქერი ჩამოედინება. ნორვეგიასაც „ჩანჩქერების ქვეყანას“ ეძახიან, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ აფრიკაში, ლესოტოს სამეფოში 300-ზე მეტი ჩანჩქერი მდებარეობს.



ანხელი მსოფლიოში ყველაზე დიდი ჩანჩქერია (1054 მეტრი). მას „ანგელოზის ნახტომსაც კი ეძახიან“ და ვენესუელაში (სამხრეთ ამერიკა) მდებარეობს. ანხელი 1936 წელს, ამერიკელმა ავიატორმა, ხუან ანხელმა აღმოაჩინა (ჩანჩქერს აღმომჩენის სახელი უწოდეს). წყალვარდნის ზუსტი სიმაღლე აღმოჩენიდან მხოლოდ მე-14 წელს დაადგინეს. სიდიდით მეორე — ტუგელია (948 მ). იგი ამავე სახელწოდების მდინარეში ჩაედინება, იქიდან კი — ინდოეთის ოკეანეში. 727-მეტრიან იოსემიტის ჩანჩქერს (კალიფორნია, აშშ) „ყველაზე ხმოვან წყალვარდნილს ეძახიან“. დედამიწაზე სამ ჩანჩქერს: მტარაზი-ფოლსს (ზიმბაბვე), კუკენანს (ვენესუელა) და უტიგარდს (ნორვეგია) ერთნაირი სიმაღლე — დაახლოებით 610 მეტრი აქვს. ყველაზე ფართო ლაოსისა და კამპუჩიის საზღვარზე მდებარე კონია (12-13 კმ). გუაირას სიგანე 5 კმ-ია (ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე). იგუასუსი (მას სატანას ხახასაც კი ეძახიან) — 4 კმ. იგი ყველაზე წყალუხვ ჩანჩქერადაა მიჩნეული. ვიქტორიასი — 1800; ხოლო ნიაგარას — 1200 მეტრი.



ვიქტორია ზამბიაში (აფრიკა), ნაციონალურ პარკ „მოზი-ოა-ტუნიაში“ მდებარეობს. შოტლანდიელმა მკვლევარმა დევიდ ლივინგსტონმა 1855 წელს ჩანჩქერს სახელი დედოფალ ვიქტორიას პატივსაცემად უწოდა. ვიქტორიაზე, ისევე როგორც იგუასუსზე, ხშირად ჩნდება ბუნების საოცრება — მთვარის ცისარტყელა.

ნიაგარა ამერიკისა და კანადის საზღვარზე მდებარეობს. წყალვარდნილს ყოველწლიურად 20 მლნ ტურისტი სტუმრობს. იგი განსაკუთრებულად ლამაზი ღამითაც. წყალვარდნილს ათასი ფერის ნათურა ანათებს.

ევროპაში ყველაზე მეტი ჩანჩქერი სკანდიანავიაში, ალპებსა და პირენეში მდებარეობს. ნორვეგიის ცნობილი წყალვარდნილებია: სკეგედალფოსი, ვეტისი, ვიორინგფოსი და სკიერვეფოსი. ტბების გარდა, შვეიცარია ჩანჩქერებითაცაა მდიდარი. ცნობილია 300-მეტრიანი გისბახი და რეინი. იტალიაში მდებარეობს 314-მეტრიანი სერიო, ტოჩე (160 მ) და ლემარ-მორე (165 მ), რომელიც ბაირონმა თავის ნაწარმოებებში აღწერა. საფრანგეთშია გავარნი — 400-500 მეტრი სიმაღლიდან 12 წყალვარდნილი ეშვება.

უჩვეულოდ ლამაზია ჩანჩქერები ზამთარში.

■

# ჩაჩაპოიასი — პერუს თეთრკანიანი ტომი

ლიმას ცენტრალურ მუზეუმში ანდის გამოქვაბულში ნაპოვნი ქსოვილები, კერამიკა, სამკაულები და ორი მუმია გამოიფინა. ნივთები, რომელთა ასაკი 600 წელია, რამდენიმე თვის წინ, ერთმა გლეხმა აღმოაჩინა.

არქეოლოგებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რატომ აქვს ქალის მუმიას ასეთი გრიმასა.

მაღალი, ქერა, თეთრკანიანი ადამიანების ტომი — ჩაჩაპოიასი ამაზონიის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ტომი იყო. ისინი ანდებში 800-1500 წელს, ინკების დაპყრობამდე ცხოვრობდნენ. ჩაჩაპოიასების ისტორიას დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა ნორვეგიელი მეზღვაური და მეცნიერი, ტურ ჰეიერდალი. მან აღმოაჩინა, რომ ეგვიპტელების მსგავსად, ჩაჩაპოიასებიც პაპირუსის ნავებს აგებდნენ. მისივე ვარაუდით, ჩაჩაპოიასებმა სამშობლო დატოვეს, ოკეანე გადაცურეს და აღდგომის კუნძულებზე დასახლდნენ. პერუში ზღვის დონიდან 3 ათას მეტრ სიმაღლეზე შემონახულია ჩაჩაპოიასების ქვის ქალაქი კუელაპი. ის 420 შენობისა და კოშკებისგან შედგება. ქალაქს გარშემო 25 მეტრი სიმაღლის ქვის გალავანი არტყია. მათი უმეტესობა დეკორატიული და მოხატულია. ნაქა-





# ქალთა დუელი

მანდილოსანთა პირველი შერკინება XVI საუკუნეში, იტალიაში მოხდა. ეს ფაქტი მილანის ქალთა მონასტრის ჟურნალშია მოთხრობილი. „1751 წლის 27 მაისს ორმა სენიორიტამ ლოცვისთვის ოთახი ითხოვა. ოთახიდან გამოსულ ხმაურზე შეშინებულმა მონაზვნებმა კარი შეამტვრიეს. ორივე სენიორიტა მკვდარი ეგდო“.

XVII საუკუნეში განსაკუთრებით გახშირდა ქალთა დუელები. ფრანგი, გერმანელი და ინგლისელი მანდილოსნები დაჩაგვრას არავის აპატიებდნენ და ყველას დუელში იწვევდნენ. მიზეზი სხვადასხვა იყო: ერთნაირი კაბა, საყვარლები, ქილიკი. ქალები თითქოს შეიშალნენ. ათი დუელიდან რვა სიკვდილით მთავრდებოდა (შედარებისთვის, მამაკაცთა 10 დუელიდან სიკვდილით მხოლოდ 4 მთავრდებოდა).



ფრანგებს შორის ყველაზე ცნობილი 1624 წელს, მარკიზა დე ნესლისა და გრაფინია დე პოლინიაკს შორის მომხდარი შერკინებაა. მანდილოსნებმა ჰერცოგ რიშელიეს (რომელიც მოგვიანებით კარდინალი გახდა) სიყვარული ვერ გაიყვეს და ერთმანეთს დუელი ბულონის ტყეში დაუთქვეს. ეს შერკინება გრაფინიას გამარჯვებით დასრულდა. მან მოწინააღმდეგე ყურში დაჭრა.

დუელი ესპანელ მანდილოსნებს შორისაც იმართებოდა. 1552 წელს იზაბელა დე კარაცი და დიამბრა დე პეტინელა ახალგაზრდა მამაკაცის, ფაბიო დე ზერესოლას სიყვარულისთვის იბრძოდნენ. 1636 წელს ხოსე დე რივეროიმ დუელს ტილო მიუძღვნა (იგი მადრიდის გალერეა „პრადოშია“ გამოფენილი).

დუელანტ ქალებზე რომანებსაც კი წერდნენ. თეოფილე გოტიეს ნაწარმოების „მადმუაზელ დე მოპენის“ პროტოტიპია ფრანგი ოპერის მომღერალი დე მოპენი. იგი არა მარტო ქალებს, არამედ მამაკაცებსაც კი იწვევდა დუელში. ერთხელ, წარმოდგენის შემდეგ ერთ-ერთი მსახიობი გაეარშიყა, ქალმა მამაკაცი ბუტაფორიული დაშნით მოიგერია და საკუთარი გამარჯვების დასამტკიცებლად საათი და სათუთუნე აართვა. მეჯლისზე მიწვეულ ოპერის მომღერალს შეზარხოშებული მამაკაცი გადაეკიდა. როცა ქალმა ის დუელში გამოიწვია, მამაკაცმა მასხრად აიგდო. ქალი დარბაზიდან ორმა თავადმა ძალით გაიყვანა. ბაღში ქალი ორივეს სასტიკად გაუსწორდა, თმა გაისწორა და დარბაზში დაბრუნდა, რათა თავხედ მამაკაცს მისთვის ბოდიში მოეხადა.

მამაკაცთა დამარცხებით დასრულდა შემდეგი ორი დუელიც: როცა მადმუაზელ ლერიე შეყვარებულმა მიატოვა, ქალი მამაკაცს ქუჩაში დახვდა და დუელში გამოიწვია. მამაკაცმა ჰაერში გაისროლა, ქალმა კი გულში დაუმიზნა და მოკლა. XVII საუკუნეში ახალგაზრდა ქვრივის, გრაფინია სენ-ბელმონის სახლში ახალგაზრდა ოფიცერი თვითნებურად დასახლდა. როცა გრაფინიას თხოვნაზე, სახლი დაეტოვებინა, ოფიცერმა ყური არ შეიბერტყა, ქვრივმა მეუღლის ტანსაცმელი ჩაიცვა და „შევალიე დე სენ-ბელმონის“ სახელით მამაკაცი დუელში გამოიწვია. ქვრივმა შერცხვენილ ოფიცერს სიცოცხლე სახლის დატოვების საფასურად შეუნარჩუნა.

■

*რუბრიკა მოამზადა*
*რუსუდან ბელაშვილმა*

ლაქარი პირველად 1843 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ მათი შესწავლა მხოლოდ ახლახან დაიწყეს.

არქეოლოგიური გათხრების დროს კიდევ რამდენიმე მუმია აღმოაჩინეს. ზოგიერთს თავში ცეცხლსასროლი იარაღისგან დარჩენილი კვალი აჩნდა, მაგრამ როგორც გაირკვა, ასეთ ნახვრეტს შურდულით ნასროლი კენჭი ტოვებს. აღმოჩენილი 400 მუმიიდან ყველა თეთრი რასის წარმომადგენელია. ზოგიერთს ჟღალი ფერის თმა აქვს. რამდენიმეს ფერადი ძაფებით მოქარგული მოსასხამი აცვია.

მეცნიერთა ვარაუდით, პერუს ეს უძველესი მოსახლეობა ინდიელთა მთავარი ღმერთის, კეტცალკოატლისა და სხვა თეთრკანიანი ღმერთების პროტოტიპი უნდა ყოფილიყო, რომლებიც ლეგენდის თანახმად, ოკეანის გაღმიდან მოვიდნენ. ■



# სიყვარულის იმპულსები



ალბათ ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილა, ერთი შეხედვით, გამოუვალ სიტუაციაში. იმაზე კი იშვიათად თუ დავფიქრებულვართ, რომ ხშირად თავადვე ვიმწყვდევთ საკუთარ თავს ჩიხში და შემდეგ უზარმაზარ ენერგიას ვხარჯავთ საიმისოდ, რომ ვიპოვოთ ვინმე (ან რამე), ვისაც გადავაბრალებთ ჩვენს წარუმატებლობას, ჩვენი შფოთისა თუ წუხილის მიზეზებს — მაშინ, როცა თვითონვე ვართ საკუთარი განცდების პირველწყარო. თუ ადამიანი საკუთარ თავს ჩაუნერგავს აზრს, რომ მას ყველა ემტერება, — მაშინ ის ქვეცნობიერად ყველასა და ყველაფრის მიმართ ნეგატიურად განეწყობა, სამყაროს მხოლოდ მუქ ფერებში დაინახავს... მაგრამ საბედნიეროდ, ცხოვრება მრავალფეროვანია და ის ცალსახად არ უნდა აღვიქვათ. ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება; უფრო მეტიც: შეგვიძლია, თავად „ავირჩიოთ" აზრები და ვმართოთ გრძნობები. ამიტომაც თუკი ვირწმუნებთ, რომ სიყვარულია ყველგან და ყველაფერში, — ჩვენი ქვეცნობიერი ბუნება ისე აეწყობა, რომ გარშემო მყოფებში უპირატესად დადებითს დავინახავთ; ხოლო მათ, ვისაც ვუყვარვართ, კიდევ უფრო შევუყვარდებით. ჯერ კიდევ ბავშვობაში გვიყალიბდება შეხედულებები, ხოლო შემდეგ თვითონ ვქმნით ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რომლებიც ჩვენს შეხედულებებს მოერგება. აბა, უკან მოვიხედოთ და თვალი გადავავლოთ განვლილი ცხოვრების გზას. დავრწმუნდებით, რომ წამდაუწუმ ვეჯახებით ერთიმეორის მსგავს პრობლემებს. შესაძლოა, ეს სიტუაციები და პრობლემები გარეგნულად განსხვავებული ჩანდეს, მაგრამ ძირეულად ხშირად იდენტურია. ასე რომ, ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაში მომხდარა, მნიშვნელოვანწილად, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, თავად ავირჩიეთ და დავგეგმეთ. მაგრამ მთავარი აწმყოა და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვაზროვნებთ მოცემულ მომენტში. აზრების შეცვლა კი ადვილი შესაძლებელია. მაგალითად, თუ გავიფიქრებთ — „მე ცუდად ვარ", იგი თავისთავად, ჩვენში შესაბამის უარყოფით ემოციას გამოიწვევს...

## ფსიქოლოგების აზრით...

რაც უფრო ხშირად აფასებენ ადამიანები საკუთარ თავს უარყოფითად, მით უფრო ნაკლებ წარმატებას აღწევენ ცხოვრებაში. ყველას შეგვიძლია, შევიცვალოთ დამოკიდებულება წარსულისადმი. ამით, ბუნებრივია, წარსულს ვეღარ შევცვლით, მაგრამ უსიამოვნო ემოციებისგან ნამდვილად გავთავისუფლდებით. აზრი არა აქვს გამუდმებულ თვითგვემას იმის გამო, რომ ოდესღაც ვიღაცას რაღაც ვაწყენინეთ (ან მან გვაწყენინა); რაღაც ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვინდოდა და ა.შ. ცუდი მოგონებებისგან რომ გავთავისუფლდეთ, საჭიროა ვისწავლოთ მიტევება. უკვე ის ფაქტი, რომ მიტევების სურვილი გაგვიჩნდა, ხელს უწყობს სულიერი კომფორტის დამყარების პროცესს. მიტევებით ჩვენ მასაც გავათავისუფლებთ, ვისაც ვპატიებთ და თავადაც გავთავისუფლდებით უარყოფითი ემოციებისგან.

ოღონდ პირველ რიგში, საჭიროა მივუტევოთ საკუთარ თავს. შინაგანი დისკომფორტის წყარო უმეტესწილად, შინაგანი დათრგუნვილობიდან მოდის. ფსიქოლოგები ბევრს წერენ საკუთარი თავის პატივისცემისა და სიყვარულის შესახებ. ადამიანები თავადვე რომ ვიქმნით ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და პრობლემებს, იქიდანაც ჩანს, რომ პრობლემა იმ სახით, როგორითაც ჩვენ წარმოგვიდგენია, ძალზე იშვიათად შეესაბამება რეალობას.

## დანერგეთ ცხოვრებაში ერთი წესი

აიღეთ სარკე, ჩაიხედეთ, წარმოთქვით საკუთარი სახელი და რამდენჯერმე გაიმეორეთ: „მიყვარხარ და გიღებ ისეთს, როგორიც ხარ". შეეცადეთ, გაუგზავნოთ საკუთარ თავს სიყვარულის იმპულსები. როცა იგრძნობთ, რომ თავი გიყვართ და პატივს სცემთ, თავდაჯერებაც მოგემატებათ და ბევრი პრობლემაც თავისთავად გაქრება. აბა, სცადეთ და თამამად შეხედეთ ცხოვრებას თვალებში! ■

# რჩევები დიასახლისებს...



• ბოსტნეულის კერძებს ხშირად ნუ მოურევთ, ქვაბი მხოლოდ დროდადრო შეანჯღრიეთ, რათა ძირზე არ მიიწვას. ხარშვისას ქვაბს სახურავს ნუ ახდით — ჰაერში შემავალი ჟანგბადი ვიტამინებს შლის.

• საჭმელი სოდა — რომელსაც კერძს ხორცის ან ლობიოს უფრო მალე მოხარშვის მიზნით უმატებენ — ვიტამინებს შლის.

• თუ წვნიანს კვერცხით აზავებთ და გუშინიათ, კვერცხი არ აგეჭრათ, ათქვეფის დროს დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი ან ცოტა მაწონი. ასე წვნიანი უფრო გემრიელიც გამოვა.

• სამზარეულოში უსიამოვნო სუნი გაქრება, თუ ლიმონის ან ფორთოხლის გამხმარ ქერქს დაწვავთ.

• თუ პლასტმასის ქილაში ყველს ან ხახვს ინახავდით და არასასიამოვნო სუნი შერჩა, სოდიანი წყალი გამოავლეთ — სუნი მაშინვე გაქრება.

• თბილ რძეში დასველებული ქსოვილით ტყავის ნაწარმს იოლად მოსცილდება მელნის ლაქები.

• ნაქარგები და არშიები უკუღმა პირიდან დააუთოეთ, რათა ნახატი ამობურცული დარჩეს.

• თუჯის ნივთებს ჰენი რომ დაუბრუნოთ, შუაზე გაჭრილი ხახვით, შემდეგ კი — ზეთში დასველებული სუფთა ქსოვილით გაწმინდეთ.

■

# დახვეული თმის საიდუმლო

**ქალის მომხიბვლელობისა და მშვენიერების მთავარი საიდუმლო მოვლილი და ჯანმრთელი თმაა. თუ გსურთ, პიკანტურად გამოიყურებოდთ, მეტი დრო და ენერგია დაუთმეთ თმას. მისთვის ნუ დაიშურებთ ნურც დროს და ნურც თანხებს. საუცხოო ვარცხნილობა ხომ თქვენი წარმატების გარანტიაა.**

გრძელი თმა, რომელზეც ბევრი ქალი ოცნებობს, ხშირად უხალისოდ გამოიყურება და მოუვლელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან, თუკი თმას უსიცოცხლო და უღიმამო ელფერი აქვს, ის ქალის მომხიბვლელობასაც ჩრდილს აყენებს. ხოლო თუ უხალისო ფერს ისიც ემატება, რომ მისი ბოლოები გამოიფიტა და იპობა, ეს თქვენს იმიჯზე უკვე დამღუპველად იმოქმედებს, რადგან „ბოლოჭამია“ მიუთითებს, რომ თმას ძალიან ცუდად უვლით და სათანადო ყურადღებას არ აქცევთ.

თუ შეამჩნიეთ, რომ თმის ბოლოები იპობა, დაუყოვნებლივ უნდა შეიჭრათ იგი. ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც უნდა აიჭრათ, სადამდეც თმის ღერი დაუზიანებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თმის ღერის სტრუქტურის დარღვევა გაგრძელდება, მისი შუაზე გაპობა უფრო გახშირდება და თქვენი თმა სავალალო მდგომარეობამდე მივა. თმაში „ბოლოჭამიების“ გაჩენა აგრეთვე ნიშნავს, რომ თმის ღერს ძირიდან საკვები აღარ მიეწოდება, ბოლოები იფიტება და შუაზე იპობა.

დღეს უამრავი დამცავი ზეთი, ნიღაბი და შამპუნ-ბალზამი არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება ბრმად არ შეიძლება. პირველ რიგში, უნდა განსაზღვროთ თქვენი თმის ტიპი, მისი ხარისხი და მკურნალობის პროცედურა მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიტაროთ. უკეთესი იქნება, თუ თმის სტრუქტურას გამოიკვლევთ და სპეციალისტის რეკომენდაციით თმის გამაჯანსაღებელ პროცედურებს ჩაიტარებთ.



**ახლა კი რამდენიმე რეკომენდაცია მათ, ვისაც თმის ქიმიურად დახვევა გადაუწყვეტია:**

- ქიმიური დახვევა უფრო მისაღებია საშუალო სიგრძის თმაზე. უმჯობესია, გაიკეთოთ საშუალო ან მსხვილი კულულები.
- თუ ძალზე თხელი თმა გაქვთ, მოერიდეთ ქიმიურ დახვევას, ვინაიდან, შესაძლოა, ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ იგი საგრძნობლად დაზიანდეს.
- ასევე არ არის რეკომენდებული, ძალიან სქელი და ხშირი თმის დახვევა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, თქვენი თმა უფრო გაფუებული გამოჩნდება და მისი მოვლაც მეტად გაგიჭირდებათ.
- არასდროს გაიღიაოთ ან გაიმუქოთ თმა ქიმიური დახვევის წინ. სითხე, რომელიც დახვევისას გამოიყენება, ფერს უცვლის საღებავს — თმას ერთი ტონით აბაცებს. ამასთანავე, უკარგავს მას ბზინვარებას. შეღებილი თმა მხოლოდ 2-3 კვირის შემდეგ დაიხვიეთ.
- ქიმიურად დახვეული თმა შეიღებეთ 2-3 კვირის შემდეგ. დახვევის შემდეგ მოერიდეთ გამაუფერულებელი საშუალებების გამოყენებას — ამან შესაძლოა თმის დაწვა გამოიწვიოს.
- ქიმიური დახვევის შემდეგ უმჯობესია, თმა შეიღებოთ შედარებით მუქ ტონებში. ამით თავიდან აიცილებთ მის დამწვრობასა და გაუხეშებას.
- ქიმიური ვარცხნილობის შემდეგ თმის უხეშად დავარცხნას მოერიდეთ. რეკომენდებულია შამპუნით დაბანის შემდეგ თმაზე ბალზამის დადება და თითოეული კულულის საგულდაგულოდ დავარცხნა.
- დაბანის შემდეგ ქიმიურად დახვეული თმა არავითარ შემთხვევაში ფენით არ გაიშროთ. ეს თმის ღერს გააუხეშებს.
- რეკომენდებულია თმის ზეთების გამოყენება.
- ასევე, დახვეული თმა მშრალ მდგომარეობაში არ დაივარცხნოთ. ეს მას აზიანებს.
- მიზანშეწონილი არ არის დამწვარი თმის ხშირ-ხშირად დაბანა.

■

## ბრინჯის ტკბილი გუფთა



გადარჩეულ-გარეცხილი 1 ჩ/ჭ ბრინჯი მდუღარე მარილწყალში ჩაყარეთ და 5-8 წთ ხარშეთ. გადაიტანეთ თუშფალანგზე. როცა წყლისგან დაიწრიტება, გადაიღეთ ცხელწყლიან ქვაბში და მორევით, შესქელებამდე ნელ ცეცხლზე ხარშეთ. დაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ქიშმიში, 1 ს/კ პურის ფქვილი და კარგად აურიეთ. მიღებული მასისგან გააკეთეთ პატარ-პატარა გუფთები და ამოავლეთ საფანელში. ტაფაზე დაასხით ზეთი, აადუღეთ, მოათავსეთ შიგნით გამზადებული გუფთები და შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ რომელიმე ტკბილ საწებელთან ან სიროფთან ერთად.

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

# ექსმინისტრის ფერების გამა, სიზმრებში ნანახი სოხუმი და მამა გაბრიელის შეუფასებელი პორტრეტი

**ეს ქალბატონი ფართო საზოგადოებამ მოულოდნელად 1991 წელს გაიცნო: ახალარჩეული უზენაესი საბჭოს წევრი მანანა ძოძუაშვილი ქვეყნის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჯანდაცვის მინისტრად დანიშნა... მაგრამ მთავრობაში მუშაობა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ, წლების განმავლობაში მის შესახებ აღარაფერი გაგვიგონია. და აი, სულ ცოტა ხნის წინ, პროფესიით ექიმი, ნამინისტრალი ქალბატონი, როგორც მხატვარი, ერთ პატარა გალერეაში მისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე გავიცანი. ნატიურმორტები, პეიზაჟები, პორტრეტები (მათ შორის — ელენე ახვლედიანის, მამა გაბრიელის, შამილის დედის) თვითნასწავლი მხატვრის სამყაროს წარმოგვიდგენს...**

*ლალი ფაცია*

**სოფიკო ხატიაშვილი**, *ხელოვნებათმცოდნე:*

— ქალბატონ მანანას დიდი ხანია, ვიცნობ. ის, როგორც მხატვარი, მუდმივად ვითარდება. მისი ფერების გამა მრავალფეროვანია, რითაც მხატვარი საკუთარ შინაგან განწყობილებას გამოხატავს. მართალია, მოყვარული მხატვარია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, იყოს სერიოზული შემოქმედი. სხვათა შორის, ის რუსეთის ფედერაციის მხატვართა კავშირის წევრიც გახლავთ...

— **ქალბატონო მანანა, როდის აღმოაჩინეთ საკუთარ თავში მხატვრობის ნიჭი?**

— მხატვრობა ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ როგორც ყველა ბავშვი, მეც ისე ვხატავდი. თუმცა კი დღე ისე არ გავიდოდა, რომ რაიმე ლამაზი ნივთი, საგანი, საინტერესო ტიპი (მეტყველი სახით), რომელსაც ვნახავდი, შემდგომ გონებაში არ „დამეხატა“. მოკლედ, ჩემს წარმოსახვაში გამუდმებით ვხატავდი... სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. სტუდენტობისას, ოპერაციებზე დასწრება გვიწევდა. იმ დროიდან მკაფიოდ ჩამრჩა გონებაში ქირურგისთვის დამახასიათებელი — თხელი, ძარღვიანი, ძლიერი და დაღლილი თითები. წლების შემდეგ დავხატე და ამ სურათს „ქირურგი“ დავარქვი. ეს ნამუშევარი შეიტანეს რუსეთში გამოცემულ კატალოგში, სადაც ბევრი ცნობილი მხატვრის ნაწარმოებია თავმოყრილი. ჩემთვის საპატიო იყო გამოჩენილი მხატვრების გვერდით მოხვედრა... იმ კატალოგში ჩემი მეორე ნამუშევარიც შევიდა, მაგრამ „ქირურგი“ განსაკუთრებულად მოეწონათ.

— **როგორ აღმოჩნდა რუსეთში თქვენი სურათები?**



მამა გაბრიელმა თავი „თვითონ დამახატვინა“

— 2002 წელს მოსკოვში ჩემი მეგობრის ოჯახში (სოხუმელებთან) სტუმრად ჩავედი. იქ ზურაბ წერეთელს შევხვდი და ჩემი ნამუშევრების ფოტოები ვუჩვენე. მითხრა, — აუცილებლად ჩამოიტანე ეს სურათები და გამოფენა მოვაწყოთო. 2003 წელს მართლაც ჩავედი მოსკოვში და ჩემი ნამუშევრები ჩავიტანე. საგამოფენო დარბაზი დამითმეს და ქალაქის ცენტრში ძალიან ლამაზი ექსპოზიცია მომიწყვეს, სადაც გამოფენა-გაყიდვა 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდა. ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა და რამდენიმე სურათიც გაიყიდა.

— **ეს თქვენი პირველი პერსონალური გამოფენა იყო?**

— არა, მეორე გახლდათ. პირველი თბილისში, შარდენის ქუჩაზე, გალერეაში გავმართე.

— **თუ გახსოვთ, რა იყო თქვენი პირველი ნამუშევარი, რომელმაც შემდგომ ბიძგი და სტიმული მოგცათ?**

— 1998 წელს, კირით შეთეთრებულ კედელზე ყვავილები დავხატე. ეს ნამუშევარი მხატვრებმა ნახეს და მითხრეს, — აბა, ახლა ადექი და ხატვა დაიწყეო (*იღიმის*)!.. მეც დავიწყე და მას მერე აღარც გავჩერებულვარ. მხატვრის ამპლუაში საკუთარი თავის წარმოჩენა ჩემთვისაც უდიდესი აღმოჩენაა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ჩემზე დადებითად მოქმედებს. როდესაც არა მაქვს ხატვის პირობები, მაშინ თავს საშინლად ვგრძნობ. შეიძლება, დღე ისე გავიდეს, არაფერი დავხატო, მაგრამ გულსა და გონებაში სულ ვხატავ...

— **ნატიურმორტებსაც ხატავთ, პეიზაჟებსაც, პორტრეტებსაც...**

— მიყვარს პორტრეტებზე მუშაობა... მაგალითად, მამა გაბრიელის პორტრეტი ერთი ამოსუნთქვით დავხატე — დილას დავიწყე და საღამოს დავასრულე. მამა გაბრიელმა თავი „თვითონ დამახატვინა“: ვთხოვე, — ძალიან მიყვარხარ, მამა გაბრიელ, დამეხმარე, რომ შენი პორტრეტი დავხატო-მეთქი; მანაც ჩემი ვედრება შეისმინა...

— **პროფესიით ექიმი ბრძანდებით. რატომ ჩააბარეთ სამედიცინო ინსტიტუტში?**

— მედიცინა თავიდანვე მიზიდავდა. ძალზე თბილად მახსენდება ამ დარგისთვის მიძღვნილი წლები. სოხუმის სამშობიარო სახლში ვმუშაობდი და შეიძლება ითქვას, რომ 20 წელი სამშობიარო ბლოკში გავატარე.

— **სოხუმში დაიბადეთ?**

— არა, თბილისში, მთაწმინდაზე დავიბადე. მერე მამა ქუთაისში გადაიყვანეს სამუშაოდ და სკოლა იქ დავამთავრე. წლების შემდეგ, სოხუმში გავთხოვდი და ასე აღმოვჩნდი აფხაზეთში... სოხუმის სამშობიარო სახლში, სადაც ვმუშაობდი, ძალიან ძლიერი კოლექტივი მუშაობდა — მაღალი კვალიფიკაციის ექიმები და საერთოდ, არაჩვეულებრივი მედპერსონალი. 300-ზე მეტი თანამშრომელი ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივს წარმოადგენდა, რომელსაც ახლა დიდი გულისტკივილით ვიხსენებ.

— **ეი. ზვიად გამსახურდიას**

**ხელისუფლებაში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად იმ სამშობიარო სახლიდან მოხვედით?**

— დიახ. აღნიშნულ სამშობიარო სახლში ვმუშაობდი და სოხუმის მთავარი მეან-გინეკოლოგი ვიყავი. ჯერ უზენაესი საბჭოს წევრი გავხდი, შემდეგ კი ზვიადმა მინისტრად დამნიშნა.

— **თქვენმა მინისტრობამ არც ისე დიდხანს გასტანა...**

— კი. სრული წელიწადიც არ მიმუშავია...

— **როგორ ფიქრობთ — რამე დააშავეთ?**

— ვიცი, რომ ჩემს დარგში არაფერი დამიშავებია. ცხოვრებაში კი, როგორც ყველას, ალბათ მეც შემშლია რაღაც. ყველაზე მეტი ზიანი კი მაინც საკუთარი თავისთვის მიმიყენებია... მაგრამ ეს ყველაფრი უკვე წარსულია, ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთი...

— **მერე, როგორ აფასებთ ამ მონაკვეთს?**

— უდიდესი სითბოთი და სიყვარულით ვეკიდებოდი აბსოლუტურად ყველაფერს — სამშობიარო სახლში მუშაობა იყო ეს თუ მინისტრობა... მინისტრის თანამდებობაზე საქმიანობას დიდი ენთუზიაზმით შევუდექი. გულდაწყვეტილი ვარ მხოლოდ იმით, რომ ეს ყველაფერი უდროოდ შეწყდა. ბევრი კარგი საქმის გაკეთება მინდოდა, უზარმაზარი ენერგიით ვიყავი დამუხტული, ღამის 2-3 საათამდე თავდაუზოგავად ვშრომობდი. პატრიოტული მიზნები მამოძრავებდა... შემდეგ კი ყველაფერი შეწყვეტილ სიმღერას დაემსგავსა... ვიმეორებ — ამაზე ძალიან მწყდება გული, მაგრამ რაც მოხდა, იმას უკან ველარ დააბრუნებ. არადა, საქართველოს ისტორიაში მართლაც ცუდი რამ მოხდა...

— **დღეს მედიცინასთან კავშირი აღარ გაქვთ?**

— არა. კავშირი მაშინვე გაწყდა, რადგანაც იმ ყველაფრის შემდეგ ამ სფეროში მუშაობა აღარ მომინდა...

— **ძველ მეგობრებთან თუ გაქვთ ურთიერთობა — იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან?**

— კი, როგორ არა?! ჩემს გამოფენებზე დადიან და მგულშევატკივრობენ. ისინი ძალიან კარგი ადამიანები არიან. მათ დიდ პატივს ვცემ, რადგანაც საკუთარი ღირსება შეინარჩუნეს.

— **სოხუმის თემა თქვენთვის ალბათ, განსაკუთრებით მტკივნეულია...**

— რასაკვირველია. უზომოდ მწყდება გული... არაჩვეულებრივი ქალაქი იყო... იქ საცხოვრებლად პირველად 1972 წელს ჩავედი...

— **და ყველაფერი დაკარგეთ?**

— იქიდან ვერაფერი გამოვიტანეთ. ყველაზე მეტად იმ უნიკალურ მხატვრულ ნამუშევრებზე მწყდება გული, რომლებიც ოჯახში გვქონდა... არ მიყვარს, როდესაც ადამიანები დაკარგულ ქონებას მისტირიან, ყველამ კარგად იცის, ჩვენს ოჯახს რა ებადა... მე იმ მადლიან მიწას მივტირი, რაზეც ლექსიც მაქვს დაწერილი: „გადამეკრა მონატრების მრუმე ფერი,/ მომენატრა სოხუმი და „რიწა“,/ ყველაფერი მომენატრა, ყველაფერი,/ რასაც ჰქვია საქართველოს მიწა“...

— **ლექსებსაც წერთ?**

— კი. ეს გახლავთ ლექსი — „ჩემი სიზმრები“, რომელიც 2002 წელს გამოცემულ ჩემს კრებულშია შესული. ცოტა ხანში ახალ კრებულს გამოვუშვებ. კიდევ, ანა კალანდაძის ლექსები მაქვს რუსულ ენაზე ნათარგმნი...

— **ალბათ ხშირად გესიზმრებათ სოხუმი, არა?**

— კი, ბოლო დროს ხშირად მესიზმრება: ავივლი და ჩავივლი ჩემს ქუჩაზე, თვალს შევავლებ ჩვენს სახლს... დავდივარ სანაპიროზე, ყველგან... კერძო სახლი გვქონდა — ლამაზი ეზოთი და პატარა აუზით. ბაღში ყველანაირი ხილი ხარობდა, ვარდებსა და ყვავილებს მიჰქონდა იქაურობა...

— **ახლა თქვენს სახლში ვინ ცხოვრობს?**

— ალბათ აფხაზები... მხოლოდ ის ვიცი, რომ პატარა ბავშვების პატრონები არიან...

— **თქვენს ოჯახზეც მომიყევით...**

— ოჯახის წევრები აქტიურად არიან ჩაბმულები ჩემს საქმიანობაში: ეს ექსპოზიცია ჩემმა ბიჭმა საკუთარი ხელით გააკეთა...

— **რამდენი შვილი გყავთ?**

— ორი — გოგონა და ვაჟი; 3 შვილიშვილის ბებია გახლავართ. ჩემი შვილებიც ექიმები არიან: ქალიშვილი კანის ექიმია, ვაჟი — თვალის.

— **ესე იგი, ოჯახში ექიმობის ტრადიცია გაგრძელდა?**

— კი. ჯერ მე და ჩემმა დამ ავირჩიეთ დედას პროფესია, ახლა ჩემი შვილები აგრძელებენ ჩემს დაწყებულ საქმეს.

— **თქვენი ნამუშევრები იყიდება?**

— ცოტ-ცოტა... მხატვარს უნდა, რომ გაიყიდოს მისი სურათები, თუმცა არის ისეთი ნამუშევრები, რომელთაც არასდროს გაყიდის. ჩემი ნამუშევრებიდან არასდროს გავყიდი მამა გაბრიელის და ელენე ახვლედიანის პორტრეტებს...

— **საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტის დახატვას არ აპირებთ?**

— იცით, ჩემში ეს უნდა მომწიფდეს და ყველაფერი თავისთავად მოხდეს. ძალიან რთულია ამის გაკეთება, რადგანაც ჯერ დიდ ტკივილს განვიცდი... ჩემიანი ჯერ არავინ დამიხატავს, მხოლოდ ქალიშვილის პორტრეტი შევქმენი...

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— მინდა, ცოტა უკეთესი პირობები შევიქმნა, რადგანაც რამდენიმე საინტერესო თემა მიტრიალებს თავში და რომ არ დამავიწყდეს, ტილოზე უნდა გადავიტანო.

— **წარმატებებს გისურვებთ.**

— გმადლობ!

■







# გენუელთა კოლონიები საქართველოს ზღვისპირეთში

მიხეილ ლაბაძე

1096 წელს, რომის წმინდა იმპერიის ერთ-ერთმა პატარა სამოქალაქო კომუნამ — გენუამ, იმპერატორისგან სრული თვითმმართველობა მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ გენუაში არა მონარქიული, არამედ რესპუბლიკური წყობა დამყარდა და ძალაუფლება მოქალაქეთა მიერ არჩეული დოჟების საბჭოს ხელში მოექცა. ამგვარად შეიქმნა ე.წ. „გენუის უნეტარესი რესპუბლიკა“, რომელიც ნელ-ნელა გაძლიერდა და მალევე ხელში ჩაიგდო ხმელთაშუა ზღვისპირეთის დიდი ნაწილი; პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს კი — ანტიოქიის სასულთნო, სადაც გენუელებმა პირველი კოლონია დააარსეს.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე, გენუელებმა აღმოსავლეთში თავიანთი უმნიშვნელოვანესი მოწინააღმდეგეები — ვენეციელები დაამარცხეს და მათი სტრატეგიული ინტერესების სფეროში შავი ზღვისპირეთიც მოექცა. პირველი გენუური კოლონია ყირიმის ნახევარკუნძულზე დაარსდა 1266 წელს, რომელსაც კაფა ეწოდა. ამჟამად მის ადგილზე უკრაინის ქალაქი, ფეოდოსია მდებარეობს. დროთა განმავლობაში გენუელებმა ფეხი მთელ ყირიმში მოიკიდეს და კოლონიები შექმნეს: ჩემბალო (ამჟამად — ბალაკლავა), სოლდაიო (სუდაკი), ვოსპორო (ქერჩი) და ა.შ. XIV საუკუნის დასაწყისში გენუელებმა ყურადღება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებსაც მიაქციეს. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს იმხანად კაფაში მოღვაწე გენუელი კათოლიკე ეპისკოპოსი, ბერნარდო მორო გვაწვდის: „შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები ქრისტიანი ხალხის — ქართველების ხელთაა, რომელთაც მეფე ბედიანი მეთაურობს... მის საბრძანებელში უხვად მოიპოვება ყველაფერი, რაც უნეტარესი რესპუბლიკის ვაჭრებს აინტერესებთ“, — წერს იგი გენუის დოჟთა საბჭოსადმი გაგზავნილ ანგარიშში.

რამდენადაც გენუელები შავიზღვისპირეთში ბიზანტიის იმპერატორის ნებართვით დამკვიდრდნენ, ხოლო ქართველები (კერძოდ კი — ოდიშის მთავარი ბედიანი, რომელსაც იხსენიებს ბერნარდო მორო) კონსტანტინოპოლის ხელქვეითნი არ იყვნენ, ცხადია, პირველ ხანებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გენუური სავაჭრო ფაქტორიების ჩამოყალიბება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. კაფას გენუურ ქრონიკებში არაერთ ჩანაწერს შეხვდებით, სადაც გენუელთა და ქართველთა დაპირისპირების შესახებ მოიპოვება ცნობები; ქართულ წყაროებში კი, რატომღაც, გენუელთა თაობაზე თითქმის არაფერია ნათქვამი, რაც შესაძლებელია, იმაზე მიუთითებდეს, რომ რადგანაც XIV საუკუნეში საქართველო ძლიერი სამეფო იყო და მასთან იარაღით დაპირისპირებას ევროპელები თავს არიდებდნენ (მათ ერჩივნათ, რომ შეთანხმებისთვის მოლაპარაკებათა გზით მიეღწიათ), ხსენებული დაპირისპირებები უპირატესად სიტყვიერი იყო.


კაფას გენუური ციხესიმაგრის კოშკები. ახლანდელი ფეოდოსია, უკრაინა

კაფას ქრონიკებში შემონახული ერთ-ერთი ცნობის თანახმად, გენუელებმა ქართულ მიწაზე პირველი ფაქტორიის დაარსების უფლება 1354 წელს, ოდიშის მთავარ ბედიანისგან მიიღეს, რომელიც ამის თაობაზე თავის „სენიორს“ ანუ უფროსს — საქართველოს მეფეს მოელაპარაკა. გენუელებს მიწა თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე გამოეყოთ. იქ მათ კათოლიკური ტაძარი ააგეს, სასაფლაოსთვის მიწა აკურთხეს და ფაქტორიას მაღალი ღობე შემოავლეს. ახალდაარსებულ ფაქტორიას სებასტოპოლისი ამ ადგილზე ადრე არსებული ანტიკური ბერძნული კოლონიის მოსაგონრად ეწოდა. ფაქტორიის პირველ კონსულად ამბროჯიო (ამბროზიო) დი პიეტრო, ხოლო ეპისკოპოსად — ირლანდიელი პეტრუს ჯერალდი დაინიშნა, რომელიც კაფაში მდებარე კათოლიკურ საარქიეპისკოპოსოს დაექვემდებარა.

გენუელებს ფაქტორიის დაარსების ნება საქართველოს მეფემ, დავით IX-ემ ორი ძირითადი მიზეზის გამო დართო. იმხანად ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა და ვაჭრობა ფაქტობრივად, ჩამკვდარი იყო; გარდა ამისა, სწორედ 1354 წელს, მორიგ საზღვაო ბრძოლაში, გენუელებმა საბოლოოდ გაანადგურეს ვენეციის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალები, რის შედეგადაც მთელ იმჟამინდელ ევროპასა და წინა აზიაში უდიდესი გავლენა მოიპოვეს. ბუნებრივია, ეკონომიკურად დაუძლურებული ქვეყნისათვის პირდაპირ მისწრება იყო ამგვარ სახელმწიფოსთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების დამყარება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად საქართველოს ბევრ კუთხეში მძვინვარებდა შავი ჭირი, ხოლო გენუური ფაქტორიის მკვიდრთა შორის დახელოვნებული ექიმებიც იყვნენ.

უპირველეს ყოვლისა, ცხუმში (ამჟამინდელი სოხუმი) დაფუძნებულმა გენუელებმა საქართველოს შავი ზღვისპირეთის დაწვრილებითი რუკები შეადგინეს, რომელთაც დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისას. აქვე დავძენთ იმასაც, რომ გენუურ რუკებზე აღნიშნულია ასევე ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრების სამშობლოც — ყუბანისა და ზელენჩუკის სათავეებთან თითქმის ყველა რუკაზე გამოკვეთილად იკითხება წარწერა „აბზოე“, ხოლო 1360 წელს შედგენილ ერთ-ერთ მცირედ ცნობილ რუკაზე, ახლანდელი კოდორის ხეობის ჩრდილოეთით მონიშნულ ტერიტორიაზე კი აწერია: „მომთაბარე აბაზა ტომების დროებითი სადგომი, საიდანაც ისინი გადმოდიან ავოგაზიის მიწაზე“. რასაკვირველია, „ავოგაზიას“ ან „აუგაზიას“ გენუელები უწოდებდნენ აფხაზეთს, რომლის მოსახლეობაც იმ დროს ქართული იყო.

აფხაზეთის გარდა, გენუურ რუკებზე საქართველოს სხვა ზღვისპირა პუნქტებიცაა აღნიშნული — ლო ფაზიო (ფოთი), სან-ჯორჯო (გრიგოლეთი), ლო ვატი (ბათუმი), გონეა (გონიო) და სხვანი. ამათგან ლო ვატი ანუ ბათუმი გენუურ ქრონიკებში დაფიქსირებულია თვით სებასტოპოლისზე გაცილებით ადრეც — 1280 წელს; ქრონიკა გვამცნობს, რომ ერთ გენუელ ვაჭარს ბათუმში ადგილობრივი გემთმშენებლებისათვის აუგებინებია ხომალდი, რომელსაც შემდგომში „მუგეტო“ („გვირილა“)

ეწოდა და გენუურ სავაჭრო ფლოტში ერთ-ერთ მოწინავე გემად ჩაირიცხა. XIV საუკუნის 60-იან წლებში, გენუელები მრავლად იყვნენ ფოთშიც, სადაც ვაჭრობა მთლიანად მათ ხელში იყო მოქცეული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გენუელები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტს გაურბოდნენ — ეს მათ კანონით ეკრძალებოდათ. ურთიერთობა დასაშვები იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ვაჭრობას ან განსაკუთრებულ დავალებებს ეხებოდა. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ვაჭართა იზოლირებას ერთი ფაქტიც ადასტურებს — მათ, როგორც წესი, საკუთარი ეპისკოპოსები ჰყავდათ, რომლებიც სულთანიეს კათოლიკე არქიეპისკოპოსს (მის იურისდიქციაში შედიოდა მაშინ საქართველოს მთელი ტერიტორია) არ ექვემდებარებოდნენ.

მეტად საინტერესოა აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ XIV დასაწყისის გენუურ რუკებზე აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მრავალ პუნქტთან ერთად ხუთჯვრიანი დროშა და ვერცხლისფერი მარჯვენა ხელისგულია (რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად აფხაზი სეპარატისტები ოფიციალურ სიმბოლოდ იყენებენ) გამოსახული; ეს უკანასკნელი, არც მეტი, არც ნაკლები — ცნობილი ქართველი მეფის, გიორგი V ბრწყინვალეს გრაფიკული სიმბოლოა, რაც იგივე გენუური რუკების მინაწერებიდან მტკიცდება: „საქართველოს დიდი მეფის მამულები", — აწერია 1314 წელს შედგენილ რუკას, სადაც ვერცხლისფერი მარჯვენა სოხუმის გარდა, გაგრასთან და გონიოსთანაა გამოსახული. ამდენად, ესაა არა აფხაზური, არამედ უძველესი ქართული სიმბოლო, რომელიც ღვთისგან კურთხეულ მეფეს აღნიშნავს. ბუნებრივია, რომ იმ დროისთვის გაგრა, სოხუმი და გონიო, ალბათ უშუალოდ გიორგი V ბრწყინვალეს სამფლობელოდ, ანუ სამეფო დომენად მიიჩნეოდა.

XIV საუკუნის შუახანებში, გენუისა და ვენეციის ფლოტებს შორის, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი საზღვაო შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც ხსენებულმა რესპუბლიკებმა, რასაკვირველია, საერთოდ შეწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა; ამან მთელ ევროპაში ეკონომიკური სიდუხჭირე გამოიწვია. შესაბამისად, საჭირო გახდა, გენუელ და ვენეციელ ვაჭართა შორის ვინმეს შუამავლობა ეკისრა. როგორც გენუური, ისე ვენეციური ქრონიკები ირწმუნებიან, რომ ეს როლი მშვენივრად მოირგეს ქართველებმა — მაგალითად, ერთ-ერთ ვენეციურ სავაჭრო აქტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ 1360 წელს კონსტანტინოპოლში ვინმე მეგრელმა გიორგიმ ვენეციელებს სებასტოპოლისიდან ჩამოტანილი, გენუელების მიერ დამზადებული თაფლის სანთელი მიჰყიდა, ხოლო სებასტოპოლში კი სანაცვლოდ, გასაყიდად, ვენეციური ბროლი წაიღო. გენუური ქრონიკა კი გვამცნობს, რომ კაფას ბაზარზე ვენეციური საჭურველი და იარაღი (რაზეც მაშინ ბროლზე არანაკლები მოთხოვნილება იყო) სწორედ ქართველ ვაჭრებს შემოჰქონდათ, თანაც — უშუალოდ ვენეციიდან.

XV საუკუნის დასაწყისისათვის, აფხაზეთის ტერიტორიაზე გენუელებს უკვე ათზე მეტი სავაჭრო ფაქტორია ჰქონდათ. სხვათა შორის, ადგილობრივი მოსახლეობა მათდამი უწინდებურად მშვიდობიანად განწყობილი აღარ იყო, რაც სებასტოპოლისის კათოლიკე ეპისკოპოსის ანგარიშიდანაც დასტურდება, რომელიც მან რომის პაპის კარზე 1414 წელს გაგზავნა. ეპისკოპოსი წერს, რომ ლო ლაიასოში (ახლანდელი განთიადი) ადგილობრივმა გლეხებმა გენუელებს სასაფლაოს ადგილის შერჩევის ნება არ დართეს, ხოლო მას ხელი შეუშალეს კათოლიკური მესის აღვლენაში. აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსი ადგილობრივ მოსახლეებს „მეგრელების" სახელით იხსენიებს, რაც იმის დამამტკიცებელიცაა, რომ ამ ადგილებში იმხანადაც ქართველები სახლობდნენ.

1465 წელს აფხაზეთში გენუელებმა სცადეს დაეხარკათ ის ქართველი მოსახლეობა, რომელიც ადგილობრივ გენუურ ფაქტორიებში ვაჭრობდა. ცხადია, ამან ოდიშის მთავრის უკმაყოფილება გამოიწვია და მან დასახმარებლად ჩრდილოკავკასიელ მთიელებს უხმო — დაქირავებულ ჩერქეზთა ლაშქარმა სებასტოპოლისს ალყა შემოარტყა და წყლის მილები გადაუჭრა. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, მაგრამ კაფაში მდებარე „სან-ჯორჯოს" ბანკმა, რომელიც სებასტოპოლისის ფაქტორიას აფინანსებდა, მთავარ კონსულს ურჩია, საომარი მოქმედებების დაწყება ნებისმიერი საშუალებით თავიდან აეცილებინა. იმავე წლის მაისში გენუიდან კაფაში, იქიდან კი სებასტოპოლისში ე.წ. „პროტექტორები" ჩავიდნენ, რომლებიც დოჟთა საბჭოს მიერ იყვნენ გამოგზავნილნი. მათ ოდიშის მთავარ „ბედიანოს" (ამ სახელით იხსენიებენ გენუელი ქრონიკიორები ლიპარიტ I დადიანს) ალყის მოხსნა სთხოვეს და ოფიციალურად განაცხადეს, რომ ქართველ მოსახლეობას ხარკს აღარ დააკისრებდნენ.

„ვიმედოვნებთ, რომ ყველა ის გაუგებრობა და უკმაყოფილება, რაც აქამდე არსებობდა ჩვენ შორის, მოგვარდება. ჩვენ არ ვართ დამპყრობლები და აღარ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ დაპირისპირებას ხელი შევუწყოთ... ადგილობრივ მოსახლეობას ხარკს და ბაჟს ნუ გამოართმევთ და ნება დართეთ, ჩვენს ფაქტორიაში თავისუფლად ივაჭრონ..." — სწერდა გენუის მთავარი დოჟი სებასტოპოლისის კონსულს. გენუელმა პროტექტორებმა ოდიშის მთავართან საერთო ენა მალევე გამონახეს, რადგანაც ეს უკანასკნელი მათთან ვაჭრობით დაინტერესებული იყო. დოჟთა საბჭომ პრორექტორებს მადლობა გამოუცხადა, თუმცალა ქართველებსა და გენუელებს შორის ურთიერთობა სავსებით მაინც არ მოწესრიგებულა. 1470 წელს გენუელებმა ოდიშში საგანგებო ელჩი მიავლინეს — მას უნდა მოეგვარებინა რიგი პრობლემები სებასტოპოლისის ფაქტორიის მიწებთან დაკავშირებით; საქმე ის იყო, რომ ოდიშის მთავარმა, შამადავლე დადიანმა გენუელებს სახნავ-სათესი მიწები წაართვა და თან განუცხადა, რომ მოწათმოქმედება ვაჭრების საქმე არ იყო. ვაჭრებს კი იმ მიწებზე ძირითადად, ბოსტნეული მოჰყავდათ, რადგან კაფადან მისი შემოტანა არ ხერხდებოდა.



გენუის რესპუბლიკის ჯარები ანტიოქიის კედლებთან. შუა საუკუნეების მინიატურა



გალათას კოშკი სტამბოლში, სადაც 1243 წლიდან 1475 წლამდე გენუის რესპუბლიკის სავაჭრო და დიპლომატიური წარმომადგენლობა მდებარეობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხსენებული პრობლემაც მალე მოგვარდა — გენუელმა ელჩმა შამადავლე დადიანს ხელშეკრულება დაუდო, რომლის თანახმადაც, სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის სანაცვლოდ, ფაქტორიის ვაჭრებს მისთვის ყოველთვიურად გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადათ, ხოლო ქართველი ვაჭრები კი ყოველგვარი ბაჟისგან თავისუფლდებოდნენ. შამადავლე დადიანი ხელშეკრულებით დიდად კმაყოფილი დარჩა, რადგან მისი შემოსავალი, ფაქტობრივად, ორმაგდებოდა. ამის შემდეგ — 1473 წელს გენუის დოჟთა საბჭომ სებასტოპოლისის მთავარ კონსულად დონ კრისტოფორო დე კანევალე გამოგზავნა, რომელიც ფაქტორიის უკანასკნელი ხელმძღვანელი იყო. მან კარგად მოახერხა მთავარ შამადავლე დადიანის გულის მოგება და გაუგებრობები აღარ წარმოქმნილა.

შავიზღვისპირეთში გენუელთა კოლონიებს მძიმე დრო XV საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში დაუდგათ; რეგიონში მომძლავრებულმა ოსმალებმა მათი დაპყრობა განიძრახეს და ყველა კონსულს ულტიმატუმი წაუყენეს — ნებით ეცნოთ სულთნის უზენაესობა და დამორჩილებოდნენ მას; წინააღმდეგ შემთხვევაში შავიზღვისპირეთი უნდა დაეტოვებინათ და გენუაში წასულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1453 წლიდან, როცა ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, გენუის რესპუბლიკა ბიზანტიის მოკავშირე იყო. გენუელები მრავლად იყვნენ იმპერატორის არმიაში. იმ დროს ოსმალებს მათთვის ხმაც არ გაუციათ, მაგრამ ოცი წლის შემდეგ სტამბოლში, სულთნის კარზე, გენუელებთან ურთიერთობაში დიპლომატია აღარაფერში სჭირდებოდათ — ოსმალებს უკვე მიაჩნდათ, რომ შავ ზღვაში სხვებს არაფერი ესაქმებოდათ.

ოსმალეთის ულტიმატუმმა დიდად განაცვიფრა გენუელი დოჟები, მაგრამ ისინი მაინც პრაგმატულად აზროვნებდნენ და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს — მათ ყველა ფაქტორიის კონსულს უბრძანეს, მაქსიმალურად სწრაფად დაეტოვებინათ შავიზღვისპირეთი და უკან, გენუაში დაბრუნებულიყვნენ. კონსულებმა ბრძანება ზუსტად აღასრულეს და ფაქტორიები თოფის გასროლის გარეშე ჩააბარეს ოსმალებს, თავად კი თავიანთი ხალხითურთ გენუაში წავიდნენ. ცხადია, დაიცალა სებასტოპოლისის ფაქტორიაც, მაგრამ ამასთან დაკავშირებით გენუურ ქრონიკებში საინტერესო ჩანაწერი გაჩნდა: „მოვახსენებ უნატარეს დოჟებს, რომ მეგრელიის მთავარი წინააღმდეგია, რომ სებასტოპოლისის ფაქტორიის ტერიტორია ოსმალებს გადავცეთ... საქმე ისაა, რომ მთავრის განცხადებით, აღნიშნული მიწა უხსოვარი დროიდან მის წინაპრებს ეკუთვნის და ოსმალებს იქ არაფერი ესაქმებათ", — წერდა დონ კრისტოფორო დე კანევალე დოჟთა საბჭოს. საბოლოოდ, სებასტოპოლისის ფაქტორიის ტერიტორია შამადავლე დადიანის ჯარებმა დაიკავეს, რამაც დიდად განარისხა ოსმალები; მათ გენუის რესპუბლიკის წარმომადგენლობა სტამბოლიდან გააძევეს და დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებიც სამუდამოდ ჩაუკეტეს გენუურ ხომალდებს.

საინტერესოა, რომ გენუის რესპუბლიკამ ოსმალეთის წინააღმდეგ შავიზღვისპირეთში სამხედრო კოალიციის შექმნაც კი სცადა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, რადგან იმჟამად საქართველო უკვე აღარ იყო ერთიანი; მეტიც — ოდიშის მთავარი ვამეყ II დადიანი და იმერეთის მეფე, ბაგრატ II სამკვდროსასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი ერთმანეთზე და გარეშე მტრისათვის აღარ ეცალათ. სამწუხაროდ, სწორედ მათმა შინაურმა შუღლმა შეუშალა ხელი ქართველთა დაკავშირებას ევროპასთან, რის შედეგებსაც, სხვათა შორის, ჩვენი ერი დღესაც იმკის. ძნელი სათქმელია, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ვამეყ დადიანს და ბაგრატს რომ შეთანხმებისთვის მიეღწიათ და ერთად დაჰკავშირებოდნენ გენუელებს.

ამრიგად, საქართველოს შავიზღვისპირეთში გენუელთა სავაჭრო კოლონიებმა სულ 121 წელი იარსება. მათ უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში; თუმცაღა, აღსანიშნავია ისიც, რომ გენუელთა კოლონიზაცია ჩვენთან არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც სხვაგან. მიუხედავად ამისა, ძველ გენუური კოლონიების ქრონიკებში ყველაზე მეტი ჩანაწერი სწორედ საქართველოს შესახებ გვხვდება და ეს არცაა გასაკვირი — XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენი ქვეყანა იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახლდათ და შესაბამისად, ჩვენთან ურთიერთობით ევროპაში ყველა დაინტერესებული იყო.

*P.S. სხვათა შორის, სწორედ გენუა-ოსმალეთის დაპირისპირებამ შეუწყო ხელი 1492 წელს ამერიკის აღმოჩენას — როგორც უკვე ცნობილია, გენუელ ზღვაოსან ქრისტეფორე კოლუმბს ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი გზის მოძიებამ სწორედ ოსმალთა გადამკიდეს მოუწია; დასახული მიზნის აღსასრულებლად კი ის ესპანეთის მეფის სამსახურში ჩადგა, რადგან გენუის რესპუბლიკას საკმარისი ფინანსები არ გააჩნდა.* ■



გენუელი ვაჭრები. ილუსტრაცია კაფას ქრონიკების ხელნაწერიდან, XV ს.

# მაცხოვრის აკვნის ფიცარზე დაწერილი დედაღვთისას ხატი, მოულოდნელი სიხარული და საკვირველად ავსებული ჭურჭელი

## განვაგრძობთ „გზის" წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების შესახებ

შორენა მერკვილაძე




### წილკნის ღვთისმშობლის ხატი

წილკნის ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი უძველესია, ქრისტიანულ ხატთაგან. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, იგი მაცხოვრის აკვნის ფიცარზე ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი. სიწმინდე საქართველოში მეოთხე საუკუნეში შემოუტანია მირიან მეფის ძეს, ბაქარს და თავისივე აგებულ, წილკნის ტაძარში დაუბრძანებია. სახელწოდებაც აქედან მიიღო. ხატის ძალით აურაცხელი სასწაულები აღესრულებოდა.

1926 წელს, წილკნის ღვთისმშობლის ხატი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძთსაცავში გადაიტანეს, წილკნის ტაძრისთვის კი მისი ასლი დაიწერა, რომელიც დღემდე ტაძრის ერთ-ერთ უმთავრეს სიწმინდედ მიიჩნევა. ხატის ასლიც სასწაულმოქმედებით გამოირჩევა. განსაკუთრებით — უშვილო წყვილთა შემწეა.

წილკნის ღვთისმშობლის ხატი ოდითგანვე თავის მადიდებელთაგან მხოლოდ ოქროს იწირავს. ერთხელ, ჯვრისწერის აღსრულებისას პატარძალს გული შეღონებია და მხოლოდ მას შემდეგ მოსულა გონს, რაც ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატისთვის ოქროს სამკაული შეუწირავთ.

### გალიჩის ღვთისმშობლის ხატი

ეს ხატი 1350 წელს გაბრწყინდა სასწაულმოქმედებით. იგი წმინდა მამა აბრაამს — სასწაულმოქმედს, გამოუჩნდა ქალაქ გალიჩის მახლობლად. მამა აბრაამი კოსტრომის გუბერნიაში, ქალაქ გალიჩის მახლობლად მდებარე ტბის სანაპიროს უდაბნოში მოღვაწეობდა. წმინდა მამა გამუდმებით ლოცულობდა და წმინდა ქალწულს შესთხოვდა მფარველობას. ერთხელაც, ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ დასასვენებლად ჩამოჯდა. მოულოდნელად მთიდან ხმა მოესმა, რომელიც მოუწოდებდა, მთაზე ასულიყო. როდესაც მან ბრძანება აღასრულა, მთაზე მდგარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი იხილა, საიდანაც უჩვეულო ნათება მოედინებოდა. აბრაამმა მის ბრწყინვალებას ვერ გაუძლო და პირქვე დაემხო. წმინდანმა ლოცვა დაიწყო. მას კვლავ მოესმა ხმა: „აბრაამ, ადექი და გამაგრდი". აბრაამი წამოდგა და ხატს შეხედა. მისგან მომდინარე ნათელი გამქრალიყო. სიწმინდე თვითონვე დაეშვა ღირსი მამის მკლავებზე. მან ხატი ხეზე დადო და მთელი ღამის განმავლობაში მის წინაშე საგალობლებს აღავლენდა.

გამთენიისას მამა აბრაამს სურვილი გაუჩნდა, იმ მიმართულებით წასულიყო უდაბნოში, საითაც ხატი მიუთითებდა, მაგრამ ვიდრე წავიდოდა, ჩაეძინა. სიზმრად ხატიდან მომავალი ხმა ჩაესმა: „აბრაამ, გაიღვიძე, ისწრაფვე და ააგე სავანე ჩემი, შენი და შენი მოწაფეების განსასვენებლად. მე არასოდეს მიგატოვებთ, მფარველობას გავუწევ ჩემს სავანეს და ყოველივეს უხვად მოვანიჭებ". წმინდა მამამ მართლაც, ღვთისმშობლის მინიშნებულ მთაზე სამლოცველო დააარსა და ყველასგან ფარულად, განმარტოებით მოღვაწეობა დაიწყო, მაგრამ ხალხმა მალე შეიტყო ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა და მასთან მოღვაწე მეუდაბნოე მამის შესახებ. ამ ამბავმა გალიჩის მთავრის, დიმიტრი თეოდორის ძის ყურამდეც მიაღწია. ის წმიდა მამას ეახლა და სთხოვა, ხატთან ერთად სასახლეში სწვეოდა. აბრაამმა უარი ვერ შეჰკადრა მთავარს და ქალაქისკენ გაემართა. კარიბჭესთან სასწაულმოქმედ ხატს აურაცხელი ხალხი მიეგება. იქვე იყო მთავარი დიმიტრიც, თავის ოჯახთან ერთად. ღვთისმშობლის ხატი საკათედრო ტაძარში დააბრძანეს. ღირსმა აბრაამმა მის წინაშე პარაკლისი აღასრულა, წყალი აკურთხა და მთავარსა და ხალხს აპკურა. სნეულნი განიკურნნენ. მალე ქალაქის ყველა კუთხიდან მიჰყავდათ სასწაულმოქმედ ხატთან სნეულნი. უამრავი ადამიანი იკურნებოდა სიწმინდის თაყვანისცემისა და წყლის სხურების შემდეგ.



მამა აბრაამმა მთავარს ღვთისმშობლის ხატის გამოჩინების შესახებ უამბო და უთხრა, რომ ყოვლადწმინდა ქალწულმა ხატის გამოცხადების ადგილას მონასტრის დაარსება დაავალა. დიმიტრი თეოდოსის ძემ დიდძალი განძი გაიღო ამ საქმისთვის. პირველად ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ააგეს და ხატი იქ დააბრძანეს. მალე ტაძართან მონასტერიც დაარსდა, რომელსაც გოროდეცკი-პოკროვსკის მონასტერი ეწოდა, რომლის გავლენითაც გალიჩის ღვთისმშობლის ხატს გოროდეცკისასაც უწოდებენ.

## ღვთისმშობლის ხატი – „მოულოდნელი სიხარული“

„მოულოდნელ სიხარულად“ წოდებულ ხატზე ოთახში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილი, მლოცველი ახალგაზრდაა გამოსახული... ერთ-ერთ ავაზაკს შინ ღვთისმშობლის ხატი ჰქონდა. ცოდვილი ახალგაზრდა ყოველდღიურად ლოცულობდა ხატის წინ მთავარანგელოზის სიტყვებით: „გიხაროდენ, სახარულევანო“. ერთხელაც, როდესაც მორიგი უსჯულოების ჩასადენად მიდიოდა, ხატისკენ მიბრუნდა, რათა წასვლამდე მის წინაშე ელოცა. მან ცხადად დაინახა, რომ ხატი ადგილზე იძვროდა. ყოვლადწმინდა ქალწული და ყრმა გაცოცხლებულიყვნენ: ყრმა მაცხოვარს ხელებზე, ფეხებსა და ფერდზე ჭრილობები გახსნოდა და მათგან სისხლი მოედინებოდა ისევე, როგორც ჯვარზე ვნებისას. ცოდვილმა შიშით შეჰღაღადა: „ჰოი, დედოფალო, ვინ ჩაიდინა ეს?“ ხატიდან ღვთისმშობლის ხმა მოესმა: „შენ და სხვა ცოდვილები, ვითარცა იუდეველები, ჯვარს აცვამთ ძეს ჩემსას“. ავაზაკმა კვლავ შეჰღაღადა: „შემიწყალე მე, დედაო, მოწყალეო!“ ღვთისმშობელმა უპასუხა: „მოწყალე დედას მიწოდებ მე და მწუხარებით კი აღმავსებ“. ავაზაკმა შესთხოვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს: „ევედრე ძესა შენსა და მამასა ჩემსა“, რათა შემიწყალოსო. წმინდა ქალწულის ძისადმი ლოცვით მართლაც მიიღო წყალობა. ხილვა ამგვარად დასრულდა. ღვთაებრივმა ხმამ ცოდვილს სინანული აღუძრა და მას ღვთისმშობლის ხატისგან მოულოდნელი სიხარული მიენიჭა. ხატს, რომელმაც იგი დაღუპვისგან იხსნა, „მოულოდნელი სიხარული“ ეწოდა.

ამჟამად მოულოდნელი სიხარულის სამი ხატი არსებობს. სამივე მათგანი რუსეთში იმყოფება და ყველა მათგანი სასწაულმოქმედებით გამოირჩევა.

## ღვთისმშობლის ხატი – ცხოველმყოფელი წყარო

ხატზე ცხოველმყოფელ წყაროზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გამოცხადებაა ასახული. ამ სასწაულის შესახებ, რომელიც V საუკუნეში კონსტანტინოპოლის მახლობლად — ბალაკლიაში მოხდა, საეკლესიო ისტორიკოსი, ნიკიფორე კალისტისი მოგვითხრობს: კონსტანტინოპოლის შემოგარენში, ე.წ. ოქროს ჭიშკართან, რომელიც უხსოვარი დროიდანვე ღვთისმშობლისადმი იყო მიძღვნილი, არსებობდა წყარო,



რომლის წყალიც სასწაულმოქმედებით გამოირჩეოდა. შემდგომში ეს ადგილი გაუდაბურდა და დროთა განმავლობაში წყაროც დაიშრიტა.

ერთხელ ამ ადგილებში ერთ-ერთმა მეომარმა — ლეონ მაკიელმა გაიარა. მას წინ ბრმა შეხვდა, რომელიც გაუვალ ტევრში დაეხეტებოდა. მეომარი ბრმას დაეხმარა და ბილიკზე დააყენა. სნეული სიცხისა და წყურვილისაგან ისე იყო დაუძლურებული, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ლეონმა იგი დასასვენებლად დასვა, თვითონ კი მის მოსასულიერებლად წყლის ძებნა დაიწყო. დიდი ხნის უშედეგო ხეტიალის შემდეგ, დაღლილ-დაქანცული უკანვე დაბრუნდა. მოულოდნელად ხმა ჩაესმა: „ნუ ირჯები, ლეონ, და წყალს ნუ ეძებ, ის შენთან ახლოსაა“. გაკვირვებულმა და შეშინებულმა მეომარმა მიმოიხედა, წყალი რომ დაენახა, მაგრამ ვერსად შენიშნა. მას კვლავ ჩაესმა ხმა: „შედი მაგ გაუვალ, დაჩრდილულ ხეივანში, იქ იპოვი წყალს. ტანჯულს წყურვილი მოუკალი, ხოლო ტალახი თვალებზე სცხე; თუ ვინ ვარ მე — ამ ადგილის მფლობელი — მალე შეიტყობ. ჩემი შეწევნით მალე ჩემი სახელობის ტაძრის აგებას შეძლებ და მე აქ შევისმენ ყველას ლოცვას. ვინც მოვა და ჩემს სახელს რწმენით მოუხმობს, ყველა სათხოვარს შევივედრებ და სნეულებათაგან კურნებას აღვასრულებ“. ლეონმა ყოველივე აღასრულა. როდესაც ბრმას თვალებზე ტალახი სცხო, ბრმად შობილს თვალისჩინი დაუბრუნდა. ლეონი მიხვდა, რომ მათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი შეეწიათ. მადლობა შესწირეს წმინდა ქალწულს და ქალაქში დაბრუნდნენ. ეს მოხდა 450 წელს, ბიზანტიის იმპერატორის — მარკიანეს დროს.

მარკიანეს შემდეგ იმპერატორის ტახტზე ლეონ მაკიელი ავიდა. მისი ბრძანებით, გაწმინდეს ის ადგილი, სადაც ცხოველმყოფელი წყარო იპოვა და მასზე ტაძარი ააგეს. ტაძარს ცხოველმყოფელი წყაროს ტაძარი ეწოდა. წყაროს წყალი მრავალგვარი სნეულებით შეპრობილ ადამიანებს კურნავდა.

ტაძრის გუმბათზე მაცხოვრის სასწაულებთან ერთად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულებიც იყო გამოსახული. გუმბათის შუაში კი ცხოველმყოფელი წყარო და ღვთისმშობელი — ყრმა ღმერთით ხელში. ღვთისმშობლის სახეს წყარო სარკესავით ირეკლავდა. შემდგომში ამგვარი გამოსახულებით „ღვთისმშობლის ცხოველმყოფელ წყაროდ“ წოდებული ხატიც შეიქმნა.

## ღვთისმშობლის ხატი – ზეთმდინარე

ღვთისმშობლის ზეთმდინარედ წოდებული ხატი ათონის მთაზე, ვოტოპედის მონასტერში იმყოფება. მან სახელწოდება შემდეგი სასწაულის აღსრულების შემდეგ მიიღო: ერთხელ, როდესაც მონასტერში დოქიარის მოვალეობას ღირსი გენადი ასრულებდა, ზეთი შემოაკლდათ, მხოლოდ ერთი ჭურჭელიღა იყო სავსე. ღირსი მამა დარჩენილ ზეთს ეკლესიის კანდელისთვის ანაწილებდა და ბერებისთვის მიცემა შეწყვიტა. მონასტრის იღუმენმა ღვთისმშობლის შემწეობის იმედად ღირს გენადის უბრძანა, რომ ძმებისთვის ზეთი მიეცა. დოქიარი მის ნებას დაემორჩილა. მეორე დილით როდესაც ღირსი მამა საკუჭნაოში შევიდა ზეთის გამოსატანად, გაოცდა — ჭურჭელი პირთამდე ისე ავსებულიყო, რომ ზეთი გადმოდიოდა და საკუჭნაოს კარიდან წვეთავდა. მონასტრის მამები საკუჭნაოსთან შეიკრიბნენ. ყველანი ადიდებდნენ წმინდა ქალწულს, ამ სასწაულის მოვლინებისთვის. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# დიეტა ხვრინვის დროს

**რაც უფრო ძლიერ ხვრინავს ადამიანი, მით ნაკლებს ცოცხლობს — ამ დასკვნამდე მივიდა მრავალი ქვეყნის მეცნიერი. ობსტრუქციული აპნოეს (სუნთქვის არარსებობა) სინდრომი — ასე უწოდებენ ამჟამად ხვრინვას, ადრე კი იგი პიკვიკის სინდრომად მოიხსენიებოდა. ინგლისში ერთ დროს, „მხვრინავებისთვის“ პიკვიკის სახელობის კლუბიც კი იყო დაარსებული.**



ობსტრუქციული აპნოეს სინდრომი ხშირია იმ ადამიანებში, რომელთაც ჭარბი წონა, ჰიპერტონია, გულის რიტმის დარღვევა, თავის ტვინში არსებულ სუნთქვის ცენტრში ცვლილებები, სასუნთქი გზების შევიწროება, ნუშურა ჯირკვლების და ცხვირის ნიჟარების გადიდება, პოლიპები, სიმსივნე აწუხებთ. თუ ერთ-ერთი მშობელი ხვრინავს, მაშინ 40%-იანი ალბათობა არსებობს, რომ ბავშვს იგივე ბედი ეწევა; თუ ორივე მშობელი ხვრინავს, მაშინ ალბათობა ეს ბევრად მეტია. ხვრინვას იწვევს ალკოჰოლი, ნარკოტიკი, ფილტვების მცირე ტევადობა, საძილე საშუალებები, ტრანკვილიზატორები და მიორელაქსანტები (კუნთების მომადუნებელი საშუალებები).

დიაგნოზის დასმა ღამის ძილის დროს 1 საათის განმავლობაში შეტევების რაოდენობისა და ხანგრძლივობის მიხედვით ხდება. მძიმედ მიიჩნევა სუნთქვის 40-ჯერ შეფერხება. როცა სუნთქვა 30 წამით ფერხდება, შესაძლოა, ეს სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდეს.

ხვრინვისადმი უფრო მიდრეკილნი მამაკაცები არიან. ქალები ნაკლებად ავადდებიან. მაგალითად, აშშ-ში ძილის დარღვევებით და მათ შორის სუნთქვის დროებითი შეჩერებით 40 მილიონზე მეტი კაცია დაავადებული.

ხვრინვას შევიწროებულ სასუნთქ გზებში ჰაერის ნაკადის გაძნელებულად შესვლა იწვევს. ამ დროს ხორხის ქსოვილის, სასისა და ენის ლაგამის ვიბრაცია ხდება და შეიძლება სასულე გადაიკეტოს. რაც უფრო ღრმაა ძილი, მით მეტადაა მოდუნებული ცხვირ-ხახის კუნთები და ხვრინვაც მით უფრო ძლიერი და ხმაურიანია.

სუნთქვის შეჩერების შედეგად ტვინი ჟანგბადის უკმარისობას განიცდის; ღამით ხშირი გამოღვიძება კი დღისით ძილიანობას, მოთენთილობას და გაღიზიანებას იწვევს. ქვეითდება ცხოვრებისადმი ინტერესი, პოტენცია, ადამიანი ყურადღების კონცენტრირებას ვერ ახდენს და მეხსიერებაც ზარალდება. ამასთან, ხშირია თავის ტკივილი, კოშმარული სიზმრები, ხველა (განსაკუთრებით მწეველებში), ოფლიანობა, მადის გაძლიერება და ტკბილეულისადმი ლტოლვა.

დიაგნოზის დასმაში მონაწილეობა თერაპევტმა, ენდოკრინოლოგმა, ნევროლოგმა და ოტო-ლარინგოლოგმა უნდა მიიღოს. სათანადო გამოკვლევების შემდეგ იწყება მკურნალობა, რომელიც ძირითადად ხვრინვის წინააღმდეგაა მიმართული. მკურნალობის მეთოდი ბევრია, ამიტომ აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა და კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტად ეფექტური მეთოდის შერჩევა.

მკურნალობა ძილის დროს მოხერხებული პოზის შერჩევით იწყება. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზურგზე წოლისას, მოდუნებული ხორხსარქველი შიგნით ეკიდება, ენის ლაგამი უკან გადადის და შემავალი ჰაერისათვის დაბრკოლება იქმნება. ძველად მათ, ვინც ხვრინავდა, თურმე ძილის წინ ზურგზე ცოცხს უმაგრებდნენ, რათა ზურგზე არ დაწოლილიყო. ცოცხი შეიძლება შევცვალოთ რაიმე მაგარი ნივთით — მაგალითად, ჩოგბურთის ბურთი ჩავდოთ ნაჭრის ტომარაში და ღამის პერანგზე მივაკეროთ ავადმყოფს. მართალია, ადამიანს ღამე გამოაფხიზლებს, მაგრამ სამაგიეროდ გვერდზე ძილის ჩვევას გამოუმუშავებს. ენის უკან გადავარდნის თავიდან ასაცილებლად ავადმყოფს შეუძლია მაღალ სასთუმალზე იძინოს.

ვისაც ხვრინვის პრობლემა აწუხებს, აუცილებლად უნდა ებრძოლოს სიმსუქნეს. არ დაამყაროთ მთელი იმედები ტაბლეტებზე, ცხიმის დამშლელ ქამრებზე, კრემებზე, ბალზამზე და ა.შ. ტრენაჟორებზე გაძლიერებული ვარჯიშითაც არ ღირს გატაცება, რადგან ამ დროს მადა ძლიერდება. თანაც ასეთი დატვირთვა ყველას როდი ძალუძს. გამოსავალი დაბალკალორიულ დიეტასა და განტვირთვის დღეებშია. მოგიწევთ უარის თქმა ცომეულზე, ტკბილეულზე. უნდა დაიცვათ დიეტა (ქვემოთ მოგაწვდით ნიმუშს), რომელიც დოგმა კი არ არის, დაახლოებითი სახელმძღვანელოა.

**დიეტა გულისხმობს შემდეგს:**

1. საკვები უნდა იყოს თითქმის უმარილო;
2. კვების რეჟიმი თავისუფალი, მაგრამ დღე-ღამეში მიღებული სითხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2 ლიტრს;
3. უეცრად აღძრული შიმშილობის დათრგუნვა შესაძლებელია კარამელით;
4. დიეტით მკურნალობა 3-4-კვირიანია;
5. დიეტაში დასაშვებია ცვლილებების შეტანა.

დაკლების შემდეგ ოპტიმალური წონის შესანარჩუნებლად კარგი იქნება, 1-2 კვირაში ერთხელ განტვირთვის დღეების გაკეთება. გთავაზობთ მენიუს განტვირთვის დღეებისთვის:

1. ვაშლის დღე: 3 კგ ვაშლი და 1 ლიტრი მაწონი;
2. კიტრის დღე: 1,5 კგ ახალი კიტრი და 1 ლიტრი ასკილის ნახარში (უშაქროდ);
3. სალათის დღე: 2 კგ ახალი ბოსტნეული და ხილი მცენარეული ზეთით ან არაჟნით და 1 ლ მოცხარის წვენი, 1 ნატეხი შაქრით;
4. ბრინჯ-კომპოტის დღე: დღეში

6-ჯერ თითო ჭიქა კომპოტი (უშაქროდ) და წყალზე მოხარშული ბრინჯის ფაფა (200გ) 2-ჯერ დღეში;

5. მაწვნის დღე: 1,5 ლ მაწონი;

6. საზამთროს ან გოგრის დღე: 2 კგ საზამთრო ან 300 გ მოხარშული გოგრა 5-6 მიღებაზე.

ჰიპერტონიის მკურნალობა არ არის იოლი საქმე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ წნევის დაქვეითებას ხვრინვის შემცირება მოსდევს. როგორც წესი, ინიშნება წნევის დამწევი საშუალებები და შარდმდენები. წამლის შერჩევას მხოლოდ ექიმი ახდენს. ფიტოთერაპია ამ შემთხვევაში ნაკლებეფექტურია.

ხვრინვის მკურნალობას მეტად ეფექტურს ხდის ნიკოტინზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებსა და შეძლებისდაგვარად, საძილე საშუალებებზე უარის თქმა.

ჰაერგამტარმა მილებმა, სხვადასხვა სახის ენის დამჭერებმა, აგრეთვე სპეციალური პრეპარატებით და ჟანგბადით მკურნალობამ არ გაამართლა.

ძილში სუნთქვის შეჩერების მკურნალობის უკიდურეს მეთოდს ქირურგიული ჩარევით სასუნთქი გზების კორექცია წარმოადგენს.

მაშ ასე, ნუ დაგთრგუნავთ ის ფაქტი, რომ ხვრინავთ და ფარ-ხმალი კი არ დაყაროთ, არამედ — იმკურნალეთ. გახსოვდეთ, სიცოცხლე მშვენიერი და საოცარი რამაა და ნუ შეიმოკლებთ მას.

**დიეტა:**

**1-ლი დღე:**

საუზმე: ვინეგრეტი, 1 ჭიქა მაწონი, 2 ნაჭერი შავი პური.

სადილი: ბრინჯის წვნიანი, თევზი წიწიბურას გარნირით, 1 ჭიქა მაწონი, 1 ნაჭერი შავი პური.

ვახშამი: მოხარშული ჭარხალი ვაშლითა და მცენარეული ზეთით, ხაჭო უშაქროდ.

**მე-2 დღე:**

საუზმე: მოხარშული ხორცი ჭარხლის პიურეთი, ერთი ნაჭერი შავი პური, ლიმონის წვენი.

სადილი: ბოსტნეულის წვნიანი, 2 კვერცხის ომლეტი, ვაშლი, ხილის წვენი (არ უნდა იყოს ტკბილი), ერთი ნაჭერი შავი პური.

ვახშამი: ახალი კომბოსტოსა და შავი ქლიავის სალათა, ერთი ნაჭერი უმარილო ყველი, 1 ჭიქა ვაშლის ნახარში.

**მე-3 დღე:**

საუზმე: ძეხვი („დოქტორსკი“) მოშუშული კომბოსტოთი და ერთი ნაჭერი შავი პურით. მაწონი.

სადილი: თევზის წვნიანი, ბრინჯხაჭოს პუდინგი, ვაშლი, ერთი ნაჭერი შავი პური.

ვახშამი: ახალი სტაფილოს, ნიგვზის, ვაშლისა და მცენარეული ზეთისგან მომზადებული სალათა. 1 ჭიქა მაწონი.

**მე-4 დღე:**

საუზმე: უცხიმო ხაჭო, ერთი ნაჭერი უმარილო ყველი, შავი პური კარაქით. ჩაი ლიმონით.

სადილი: მაწვნის წვნიანი, მოხარშული თევზი ყაბაყისა და სტაფილოს პიურეთი, ერთი ნაჭერი შავი პური, 1 ჭიქა მაწონი.

ვახშამი: რძეზე მომზადებული წიწიბურას ფაფა, ხილის სალათა.

**მე-5 დღე:**

საუზმე: მოხარშული კვერცხი, კარაქიანი შავი პური, ახალი ჭარხლის სალათი, სხვადასხვა ჩირის ნახარში.

სადილი: ხორცის ბულიონი შავი ორცხობილათი, მოხარშული ხორცი ბრინჯის გარნირით, მაწონი.

ვახშამი: ხილის სალათა ნიგვზითა და მცენარეული ზეთით, ნაკლებცხიმიანი ხაჭო.

**მე-6 დღე:**

საუზმე: 2 კვერცხის და ძეხვის („დოქტორსკი“) ომლეტი, ვაშლი, სხვადასხვა ჩირის ნახარში.

სადილი: ხილის წვნიანი, მოხარშული ბრინჯი, 1 ჭიქა მაწონი, 1 ნაჭერი შავი პური.

ვახშამი: მწვანე მუხუდო, 1 ნაჭერი უმარილო ყველი, მაწონი.

**მე-7 დღე.**

საუზმე: მოხარშული სიმინდი, მოხარშული თევზი, ვაშლი და მაწონი.

სადილი: ქათმის ბულიონი შავი პურით, მოხარშული ქათმის ხორცი ბოსტნეულის გარნირით და 1 ჭიქა მაწონი.

ვახშამი: ახალი კომბოსტოს, სტაფილოს, ნიგვზისა და მზესუმზირის ზეთის სალათა, უცხიმო ხაჭო. ■





## ამინდის ცვლილება იმუნიტეტზე მოქმედებს

ამინდის მკვეთრი ცვლილება იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს. ამიტომ ხშირდება ამ პერიოდში მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექცია — ბევრ ადამიანს აქვს სურდო, ხველა, ცემინება. ეს რომ არ დაგვემართოს, პირველ რიგში უნდა გავიკაჟოთ ორგანიზმი და C ვიტამინის გაზრდილი დოზის მიღებით გავიძლიეროთ იმუნიტეტი. სასურველია, ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი მივიღოთ ნატურალური ვიტამინებით მდიდარი ლიმონი, გრეიპფრუტი, მოცვი, ასკილი, მოცხარი.

შეეცადეთ, ჩაიცვათ სეზონის შესაფერისად — ზაფხული ხომ დიდი ხანია, დაგვემშვიდობა და დროა, უფრო თბილად ჩაიცვათ.

ორგანიზმის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სინათლის დეფიციტი, რაც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საკმაოდ მძაფრად ვლინდება. ეცადეთ, ოთახში რაც შეიძლება მეტი სინათლე შემოუშვათ. სინათლე, თუნდაც ელექტრონათურისა, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს და აძლიერებს მის დამცველ ფუნქციებს;

ხშირად დაიბანეთ ხელები: ვირუსი გადადის არა მარტო ჰაერით, არამედ ჭუჭყიანი ხელების მეშვეობითაც.

ეპიდემიის პერიოდში მაქსიმალურად მოერიდეთ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებს;

იმუნიტეტის სტიმულაციისათვის არსებობს საკმაოდ ეფექტური მცენარეული საშუალელები: ექინაცეა, ჟენშენი, იმუნალი.

## სვით ციტრუსთა წვენები

გარე სამყარო რომ მეტისმეტად დაბინძურებულია, ყველასთვის ცნობილია. ამიტომაც ადამიანები ყოველწლიურად ტეხენ განგაშს და ძალისხმევას არ იშურებენ გარემოს დასასუფთავებლად. მაგრამ ჩვენს ორგანიზმს ხომ არანაკლებ ესაჭიროება გაწმენდა — ამაზე კი არავინ ფიქრობს. შექმნილ საგანგაშო სიტუაციაში ადამიანის ორგანიზმს მხოლოდ თვითგაწმენდის უნარი შველის. თუმცა მასში მაინც გროვდება ტოქსინები (შხამები), მძიმე ლითონთა მარილები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმს ტოქსინებისაგან მშვენივრად წმენდს ციტრუსების წვენები. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ დროდადრო გავისუფთაოთ ორგანიზმი ფორთოხლის, გრეიპფრუტისა და ლიმონის წვენების ნარევით, რომელიც ასე უნდა დამზადდეს: თითო ჭიქა ფორთოხლისა და გრეიპფრუტის და 1/2 ჭიქა ლიმონის წვენების ნარევი განაზავე 4 ჭიქა წყალში და სვით ცოტ-ცოტა დღის განმავლობაში. გახსოვდეთ, წვენი ახალგამოწურული უნდა იყოს.



## ნუ მოიწყენთ

სევდა ჯანმრთელობისთვის საზიანოა — ეს ჰიპოთეზა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ინგლისელმა მეცნიერებმა. თურმე ხანგრძლივი დეპრესია ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის დარბილებას, რაც მოტეხილობების წინა პირობაა. თურმე დეპრესიის დროს მკვეთრად ქვეითდება ესტროგენებისა და სხვა სასქესო ჰორმონების დონე, რომლებიც ძვლების მდგომარეობაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ თუ „ქრონიკული სტრესი“ გაწუხებთ, აუცილებლად შეიმოწმეთ ორგანიზმში მინერალური მარილების დონე და ამასთან, იზრუნეთ, რომ ორგანიზმმა ყოველდღიურად მიიღოს კალციუმის პროფილაქტიკური დოზა.

## ნაკლები ძილი — მეტი ავადმყოფობა

ხშირად ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები არ აქცევენ ყურადღებას ქრონიკულ „გამოუძინებლობას“, ფიქრობენ — მერე რა, რომ ღამის ძილზე მხოლოდ 5 საათს ვხარჯავთ, განწყობილება ხომ შესანიშნავი გვაქვსო! მაგრამ ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები გვაფრთხილებენ: მათ, ვისაც დღე-ღამეში 6 საათზე ნაკლები სძინავთ, დიაბეტის განვითარების რისკი 35%-ით მეტი აქვთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ძილის უკმარისობისას ორგანიზმში იკლებს ჰორმონ ლეპტინის დონე, რომელიც ხელს უშლის ზედმეტი წონის განვითარებას. ჭარბი წონა კი ზრდის მეორე ტიპის დიაბეტით დაავადების რისკს. სწორედ ამიტომ ექიმები ერთსულოვნად გვირჩევენ: აუცილებელია, იძინოთ დღე-ღამეში არანაკლებ 8 საათისა. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.





# ადამიანი

## ამერიკაში შუბად ცნობილი ქართველი მომღერლის ნიუ-იორკული ცხოვრება



**გორში დაიბადა და გაიზარდა. 4 წლიდან ჯერ ანსამბლ „ცისარტყელაში“, შემდეგ კი სტუდია „აი იაში“, პედაგოგ ნანა სამხარაძესთან მღეროდა. მეც სწორედ ქალბატონი ნანასგან გავიცანი — ფესტივალ „გაზაფხულის ზარებისთვის“ სხვა ბავშვებთან ერთად, ლიკაც შევარჩიეთ. ბავშვის ასაკისთვის უჩვეულოდ სერიოზული და სევდიანი გოგონა ჩანდა, ოდნავ უცნაურიც; იშვიათად იღიმოდა, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ რაც მართალია, მართალია — კარგად კი მღეროდა. მერე, წლიდან წლამდე იხვეწებოდა, ოსტატდებოდა და თითქოს, გაცილებით მოღიმარიც გახდა. ამბობს, ბუნებით მამას ვგავარ: ისიც ნაკლებად ემოციურია და ძუნწად მოსაუბრე, ალბათ ამიტომაც, ერთმანეთს გამორჩეულად ვუგებთო...**

**წარმატებას დიდი შრომით მიაღწია. გერშვინის** Summer Time **პირველად 13 წლისამ შეასრულა, ყველა მოხიბლა და მას შემდეგ, ეს სიმღერა თითქოს, სავიზიტო ბარათად ექცა — დღემდე ასრულებს, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვა ინტერპრეტაციით.**

***ირმა ხარშილაძე***

*2004 წელს ერთდროულად ორი, იმხანად „დებიუტანტი“ პროექტის — „ნუცას სკოლისა“ და „ჯეოსტარის“ ფინალისტი გახდა და მისი სიმღერა ბევრმა შეიყვარა. ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა და კულტურის უნივერსიტეტის პარალელურად, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სასწავლებლის საესტრადო ფაკულტეტი დაამთავრა და სხვადასხვა პრესტიჟულ ბარში მღეროდა. ასეთი ნიჭიერი, ცნობილი და პერსპექტიული მომღერალი კი ერთ მშვენიერ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და, სამწუხაროდ, უკვე მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით გვიწევს მასთან ურთიერთობა.*

*26 წლის მომღერალი* ***ლიკა შუბითიძე*** *თავის ამერიკულ ცხოვრებაზე — იმედგაცრუებასა თუ წარმატებაზე, ტკივილსა თუ სიხარულზე, იმედსა და სიმღერაზე ოკეანის გაღმიდან გვიამბობს.*

— ალბათ გიკვირთ, თუკი სამუშაოს პრობლემა არ მქონდა, რატომღა წამოვედი ამერიკაში?.. რამდენიმე წლის განმავლობაში მიყვარდა ადამიანი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს ამერიკაში ორწლიანი სასწავლო სტიპენდია მოიგო. 2008 წლის აგვისტოში უნდა გამგზავრებულიყო, ამიტომ სასწრაფოდ და გასაიდუმლოებულად, ხელი მოვაწერეთ. ჩემებმა კი იცოდნენ, შეყვარებული რომ მყავდა, მაგრამ ჩემს დაქორწინებას აგვისტოში, ომის დროს, როდესაც გორს ბომბავდნენ (ჩემი ოჯახის წევრები ხომ გორში ცხოვრობდნენ), — ვერაფრით წარმოიდგენდნენ. მეუღლე ერევნიდან ამერიკაში წავიდა, მე კი დღე-დღეზე ვიზას ველოდებოდი და იძულებული გავხდი, ოჯახის წევრებისთვის სიმართლე მეთქვა.



გავიცანი აფროამერიკელი რეპერი ბიჭი, ჰიპ-ჰოპის შემსრულებელი დეიმონ დევისი და მასთან ერთად რამდენიმე სიმღერა ჩავწერე

**— მოკლედ, ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ქვეყანა ინგრეოდა, შენ კი — ყურებამდე შეყვარებული 23 წლის გოგონა, მზად იყავი, ოკეანე გადაგელახა...**

— ჩემებს ხელმოწერის ამბავი რომ ვუთხარი, შოკში ჩაცვივდნენ. ოჯახს, რასაკვირველია, ძალიან ვაფასებ, მაგრამ მათაც იციან: თუ რამის გაკეთებას განვიზრახავ, დაბრკოლება არასდროს მაფერხებს — ყოველთვის წინ მივიწევ. ამიტომაც, ჩემს გადაწყვეტილებებს პატივს სცემენ. აგვისტოს ომსა და ხელმოწერის ამბავს ამერიკაში ჩემი გამგზავრებაც რომ დაერთო, ძალიან ინერვიულეს, მაგრამ ველარაფერს შეცვლიდნენ.

**— მეუღლის სახელს რატომ არ გვიმხელ?**

— მისი სახელის თქმას დიდი მნიშვნელობა აღარც თქვენთვის აქვს და აღარც ჩემთვის, რადგან ჩვენი ურთიერთობა ძალიან ცუდად დასრულდა — 8 თვეში დავცილდით (*ჩაფიქრდა*)... თუმცა, არც სახელისა და გვარის თქმაა პრობლემა — ჩემი მეუღლე ვახტანგ

გომელაური იყო, პროფესიით ფსიქოლოგი. ამერიკაში სოციალური მუშაკების პროგრამით მოხვდა. მე კი ყველაფერი ჩვენი ურთიერთობისთვის, სიყვარულისთვის გავაკეთე და უდიდესი მსხვერპლი გავიღე — ჩემები ყველაზე მძიმე მომენტში მივატოვე. თანაც, იმხანად ჩემს პროფესიულ წარმატებებსა და წინსვლაზე საერთოდ არ მიფიქრია.

— **მამაცი გოგონა ყოფილხარ!.. მერე რა ხდებოდა, როგორ იმკვიდრებდი თავს უცხო ქვეყანაში?**

— მეუღლესთან ერთად მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში ვცხოვრობდი. კარგა ხანს საქართველოდან გამოყოლილი, ომის შემდგომი ღრმა დეპრესია მტანჯავდა. როცა ოდნავ გამოვცოცხლდი, ინტერნეტით აღმოვაჩინე რაღაც ბენდი, რომელიც ცნობილ ამერიკულ ჰიტებს უკრავდა. ამ ბენდთან ცოტა ხანს ვიმუშავე — მუსიკისადმი მისი წევრების არასერიოზული დამოკიდებულება არ მომეწონა და წამოვედი. ამასობაში გავიცანი აფროამერიკელი რეპერი ბიჭი, ჰიპ-ჰოპის შემსრულებელი დეიმონ დევისი და მასთან ერთად რამდენიმე სიმღერა ჩავწერე. დეიმონი XX საუკუნის უძლიერესი მუსიკოსის, ჯაზმენ მაილს დევისის შთამომავალი და თავადაც უნიჭიერესი ადამიანია. კიდევ ერთ მუსიკოსთან — საქსოფონისტ ჯეი ზელენკასთან ერთად ჩავწერე ალბომი, რომელიც მალე გამოვა. ეს არ გახლავთ კომერციული მუსიკა, იმპროვიზაციაზეა დაფუძნებული, საგანგებო მსმენელი ჰყავს და „თავისუფალ ჯაზსაც“ ამიტომ ეძახიან. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო მუსიკაა.

— **როგორც ჩანს, ბევრ სტილში მოსინჯე შესაძლებლობები.**

— ასე გამოდის... მიყვარს ექსპერიმენტები. მუსიკაში ჩემთვის დოგმა არ არსებობს და არც ისეთი ჟანრი, რომელსაც არ ვიმღერებ.

— **მუსიკის პარალელურად, მინდა, პირად ცხოვრებაზეც მესაუბრო. შენ და შენს მეუღლეს ხომ ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი, ჰოდა, ასე უცებ რატომ გაიყარეთ, რა მოხდა?**

— ოჯახური ცხოვრება, მარტო, ერთმანეთის პირისპირ დარჩენა ძალიან რთული ყოფილა, ამას ჩემი სტრესიც დაერთო და... მოკლედ, ერთმანეთს ველარ გავუგეთ (*იღიმის*). საოცარია, არა? მეც მიკვირს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე მოხდა. ვფიქრობ, მეც საკმაოდ რთული ადამიანი და არცთუ იოლად ასატანი ვარ. სამწუხაროდ, თანაცხოვრება არ გამოგვივიდა.

— **ნანობ, რომ დასცილდი?**

— არა. ახლა ბევრად უკეთესად ვარ, რადგან სტრესული მდგომარეობიდან უკვე გამოვედი. იმ შტატიდანაც კარგა ხანია, წამოვედი, თანაც — მარტო და ალბათ ხვდებით, არც ეს ნაბიჯი იყო იოლი. ახლა ნიუ-იორკში ვცხოვრობ, ჩემს ყოფილ მეუღლეზე არაფერი ვიცი და არც მაინტერესებს... როცა ნიუ-იორკში მოვდიოდი, მხოლოდ ის ვიცოდი, სად დავბინავდებოდი, დანარჩენზე კი აქვე უნდა მეზრუნა. მეუღლესთან დაცილების ამბავი ჩემებს არც შევატყობინე — არ მინდოდა, კიდევ ენერვიულათ. მერე, ნელნელა ყველა სტრესმა გამიარა და სიმართლე ოჯახსაც გავუმხილე. რაკი ყველაფერი გადავიტანე და კარგად ვიყავი, ვიცოდი, ჩემებიც გადაიტანდნენ — მშობლისთვის ხომ მთავარი, შვილის კარგად ყოფნაა?!. მართალია, უცხო ქალაქში მარტო ცხოვრება რთული იყო, მაგრამ დადებითი მხარე ამასაც ჰქონდა — საკუთარი ძალებით ბევრი რამის გაკეთება მოვახერხე და ეს ძალიან წამადგა. ჯერ კიდევ სენტლუისური დეპრესიისას მუსიკის წერა დავიწყე. ნიუ-იორკში ჩემი საავტორო მუსიკა გაცილებით დაიხვეწა — მუსიკას, ტექსტსა და არანჟირებასაც თავად ვაკეთებ. უკვე საალბომო მასალა დავაგროვე და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, ვინც მის კარგ სტუდიაში ჩაწერის საშუალებას მომცემს... ნიუ-იორკში რამდენიმე კარგ ადამიანს შევხვდი და მათი წყალობით ბევრი დაბრკოლება გადავლახე. მათ პატივისცემასა თუ თანადგომას ალბათ, ვერასდროს გადავიხდი... ერთი წელიწადია, მეუღლეს ოფიციალურადაც გავეყარე — ფორმალური მხარე აქ, საკონსულოში მოვაგვარეთ. სხვათა



შორის, შეხვედრაც მოგვიხდა და უკვე მტკივნეულიც არ აღმოჩნდა მისი ნახვა.

— **შერიგება არ სცადა?**

— კარგად მიცნობს — იცის, რომ კატეგორიული ვარ და ჩემი წასვლა საბოლოოდ წასვლას ნიშნავდა, ასე რომ, ცდას აზრი არ ჰქონდა... მუსიკალურ



ყველა კონცერტზე ვმღერი ქართულ სიმღერებს, რადგან ამ კონცერტებს ჩემი ქართველი მეგობრებიც ესწრებიან

ცხოვრებას კი ვაგრძელებდი და სხვადასხვა კლუბში გამოვდიოდი, მაგრამ ერთხანს მოხუცის მომვლელადაც ვმუშაობდი — შემოსავალი მჭირდებოდა... ახლა საბუთებიც მოვაწესრიგე და „მწვანე ბარათს“ ველოდები, მერე კი საქართველოშიც ჩამოვალ, სავარაუდოდ — გაზაფხულზე. აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ. რამდენიმე გამოსვლა უკვე მქონდა. სხვათა შორის, 4 ოქტომბერს, მანჰეტენზე, ერთ-ერთ ბარში ერთსაათიან კონცერტს გავმართავ ქართველ ბიჭთან ერთად, რომელიც ტაბლაზე უკრავს (*ლიკასთან ინტერვიუ კონცერტამდე ჩაიწერა და შთაბეჭდილებაზე ამიტომაც ვერ გვიამბო, მაგრამ გვჯერა, ყველაფერმა დიდი წარმატებით ჩაიარა. — ავტ.*).

— **ლიკა, დიდი განსხვავებაა ამერიკელ და ქართველ მსმენელს შორის?**

— ყველა ამბობს, ქართველი მსმენელი განსაკუთრებულად მკაცრიაო. აბა, რა გითხრათ?.. მანდ ტაში არ მაკლდა. აქაც მოსწონთ ჩემი მუსიკა, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ როგორც უცხოპლანეტელს, ისე მიყურებენ (*იცინის*): მე ხომ სტანდარტულ მუსიკას არ ვასრულებ, ამიტომ ჩემი ყოველი გამოსვლა მათ გაოცებას იწვევს.

— **რა ჰქვია შენს მუსიკას?**

— ექსპერიმენტული დავარქვი და მასში ყველაფერი გავაერთიანე — დაწყებული ქართული ფოლკლორიდან, დამთავრებული ელექტრონული მუსიკით. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური კარგად ვიცი, მაინც ქართულად ვაზროვნებ და ეს ჩემს მუსიკასაც ეტყობა. უფრო სწორად, ამერიკელებმა არ იციან, რას ნიშნავს ქართულად აზროვნება, მაგრამ ხვდებიან, რომ ჩემი კარგი ინგლისურით მათ რაღაც უცხოსა და მათთვის საინტერესოს ვასმენინებ. გარდა ამისა, ყველა კონცერტზე ვმღერი ქართულ სიმღერებს, რადგან ამ კონცერტებს ჩემი ქართველი მეგობრებიც ესწრებიან და მშობლიური სიმღერების მოსმენა მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— **უფრო ხშირად, რომელ ქართულ სიმღერებს მღერი?**

— ჩემს საავტორო ქართულ სიმღერებსაც და ცნობილებსაც, განსაკუთრებით ხშირად, ჩემს უსაყვარლეს სიმღერებს — „თუ ასე ტურფა იყავი“ ან „სულიკო“. სხვათა შორის, „თუ ასე ტურფა იყავის“ ავანგარდისტულ-ელექტრონული არანჟირება გავაკეთე, თბილისში გავგზავნე და ჩემს მეგობარ დაჩი დარჩიას მოვასმენინე, რომელიც ჩემი სამი კლიპის რეჟისორი გახლავთ. როგორც ვიცი, ეს კლიპები საქართველოს ტელეარხებზე ახლაც ტრიალებს. მოკლედ, დაჩის სიმღერის ჩემეული ვარიანტი ძალიან მოეწონა და კლიპის გადაღებაც მოიწადინა. ის თბილისიდან მკარნახობდა, აქ რა გადამეღო: ხან მეგობრები მეხმარებოდნენ, ხან თავად ვიღებდი და მასალას „სკაიპით“ ვუგზავნიდი. დაჩიმაც გადაიღო კადრები საქართველოში; გორში დედაჩემი, მეგობრები, ჩემი ბებია-ბაბუაც კი აღბეჭდა ფირზე. მერე ყველაფერი შეაჯერა და ძალიან კარგი კლიპი გამოუვიდა. ცოტათი სევდიანიც კია. ალბათ, ამ კლიპს ქართველი მაყურებელი მალე იხილავს. მინდა, დაჩიმ იცოდეს, რომ მისი უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რადგან ყველაფერს აკეთებს, რათა ქართველ ხალხს ჩემი სიმღერა, სახელი და გვარი არ დაავიწყოს, აქ კი... ნიუ-იორკში საკუთარი ადგილის პოვნაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ უქმად არ ვზივარ. მერწმუნეთ, ჩემს საქმეს ვაკეთებ, ბევრს ვშრომობ და ვიცი, არასდროს გავჩერდები, ისევე, როგორც აქამდე არ გავჩერებულვარ და კიდევ ბევრ საინტერესო მუსიკას შევქმნი. სხვათა შორის, ამერიკაში სასცენო სახელიც მაქვს — შუბა; ვფიქრობ, მალე ჩემი ხალხიც იამაყებს ამ სახელით (*იღიმის*)... მინდა, ყველას მოგეფეროთ, მოგესიყვარულოთ, რადგან ძალიან მენატრებით გორელებიც, თბილისელებიც და საერთოდ, მთელი საქართველო; ისიც იცოდეთ: საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე ცუდ რამეებს რომ ამბობენ, არც მასეა საქმე. ცუდი და კარგი ყველა ერშია და დამერწმუნეთ — ქართველები ძალიან კარგები ვართ, ერთმანეთის გატანაც ვიცით, ერთგულებაც და დახმარებაც, ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნებით! ■

## *საზღვრებს მიღმა*

*მარინა ბაბუნაშვილი*

*ხშირად, დამსვენებლებს შორის ასეთი კითხვა-პასუხიც გამიგონია:*

*— სად დაბინავდი, ჰასანას იქით თუ აქეთ?*

*— ჯობდა, ჰასანასთან მეშოვა ადგილი, მაგრამ გადავსებული დამხვდა. ისე, მის სასტუმროსთან ახლოს ვარ, ცენტრში.*

*ასეა! ჰასანა ქობულეთის კოლორიტია, „ბრენდია“ და ადგილმდებარეობის განსაზღვრაც მისი სასტუმრო სახლის მიხედვით ხდება.*

*ჰასან ართმელაძე წარმოშობით გურული გახლავთ. მას მეორე სახელიც ჰქვია — შერმანდინი, მაგრამ ქობულეთში ამ სახელით არავინ მიმართავს. მის შორეულ გურულ წინაპარს ვიღაც მოუკლავს და ერთხანს სურების ტყეში, ფირალად ყოფილა გავარდნილი; მერე მოჰბეზრებია, კერია მონატრებია, ქობულეთში დასახლებულა და მას შემდეგ ართმელაძეების ერთი შტო ქობულეთში ცხოვრობს.*

— ადრე ჩვენი გვარი „ართუმელიძე“ ყოფილა. დღეს მე ლანჩხუთის სოფელ აკეთშიც მაქვს პატარა სამოსახლო, მაგრამ იქ ხშირად ვერ ვახერხებ ჩასვლას. აქ სასტუმრო ბიზნესში მთლიანად ჩართული ვარ და წინაპრების მიწისთვის ველარ ვიცლი, — *მეუბნება ბატონი ჰასანი.*

— **მართალია, ყველა გიცნობთ, მაგრამ ბევრს არ ეცოდინება, რომ ყოფილი სპორტსმენი ხართ და მძლეოსნობაში ბევრი ჯილდო გაქვთ მიღებული.**

— კი, ბატონო, წარსულის გახსენება ჩემთვისაც სასიამოვნოა. მამაჩემი 1937-38 წლებში ბათუმის პორტის დირექტორის მოადგილე იყო, მერე ქობულეთში გადმოვიდა ბაზრის დირექტორად. თვითონ სოფელ ქობულეთში დაიბადა და გაიზარდა. როცა ბაზრის დირექტორობიდან გაათავისუფლეს, სოფელს დაუბრუნდა. ახლა რომელ სახლშიც ვცხოვრობ, ჩემი ოჯახით, ის დედაჩემის იყო. ქობულეთელები ზაფხულობით ყოველთვის აქირავებდნენ ოთახებს — ეს შემოსავლის წყარო იყო და დედას არ უნდოდა დაეკარგა, ამიტომაც მამას სოფელში გადასვლაზე უარი უთხრა. ისინი არ განქორწინებულან, მაგრამ მთელი ცხოვრება ცალ-ცალკე იყვნენ: დედა აქ — საკურორტო ქალაქში, მამა იქ — სოფელ ქობულეთში. სამი შვილი ვყავდით: მე და ჩემი ორი და. ერთი და გარდამეცვალა; მეორე ბათუმში ცხოვრობს, მაგრამ აქაურობა ისე უყვარს, მაისიდან სექტემბრამდე ჩემთანაა.

პატარაობიდანვე დედას ყველაფერში ვეხმარებოდი. მიყვარდა, როცა რამეს დამავალებდა და მერე შემაქებდა, — ყოჩაღი ბიჭი მყავხარო! თუმცა ამ „ყო-

სასტიკად გვეკრძალებოდა და ტელეფონით რომ გვესარგებლა, მაშინვე „შმონი“ ჩატარდებოდა, სხვებსაც დავაზარალებდით.

**— ოს პატიმრებთან ოსურ-ქართულ კონფლიქტზე, შექმნილ ვითარებაზე თუ საუბრობდით?**

— იქ პოლიტიკა არ აინტერესებთ! ციხეში სულ სხვა ცხოვრებაა, იქ სხვა ინტერესები აქვთ. იქ ერთი პატიმარი გავიცანი, რომელიც 13 წელი „იჯდა“ და 2 წელიღა ჰქონდა მოსახდელი, მაგრამ ეს ფაქტი არ ახარებდა, ციხეში დარჩენა სურდა და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მისთვის წლები მოემატებინათ; ძალიან კარგად იყო მილიციასთან და ციხის ხელმძღვანელობასთან. ციხიდან თავისუფლად გადიოდა და შემოდიოდა; ბაზარშიც უშვებდნენ პროდუქტის, სიგარეტის მოსატანად და პატიმრებიც ატანდნენ „ობშიაკის“ ფულს. მოკლედ, იმ კაცს გაქცევა შეეძლო, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. ამბობდა, ციხე ჩემი სახლიაო!.. აი, ასეთი ადამიანებიც არსებობენ.

**— იმედი თუ გქონდათ, რომ ტყვეობას თავს დააღწევდით?**

— სულით არ დავეცით, ბედს არ შევურიგდით და სულ იმას ვფიქრობდით, როგორ გამოვპარულიყავით, გეგმებს ვადგენდით, ვკამათობდით. საკნიდან „მამისაანთუბანი“ (*სოფელი ერგნეთი*) ჩანდა და სულ იქით ვიყურებოდი. იმ მიდამოებს ხუთი თითივით ვიცნობ. გონებაში ერთი აზრი მიტრიალებდა: „როგორმე ლიახვთან უნდა მოვხვდეთ, იქიდან კი რამდენიმე წუთში სამშვიდობოს ვიქნებით“. სიზმარშიც სულ იმას ვხედავდი, თუ როგორ გავრბოდი ციხიდან: ხან აჯანყებას ვაწყობდით, ხან გვირაბს ვთხრიდით, ხანაც ომი იყო და ციხეს აფეთქებდნენ. ვნატრობდი, სიზმარში საიდუმლო გასასვლელი მენახა... ჩემები ძალიან მენატრებოდა. ერთი სული მქონდა, როდის დაიწყებოდა ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვება, რათა ჩვენ შესახებ გაკეთებულ სიუჟეტში ახლობლები მენახა.

**— გაქცევის შანსი თუ იყო?**

— ერთხელ ამის რეალური შანსი მართლაც მოგვეცა — ტყეში ჩანთის მოსაძებნად რომ წაგვიყვანეს, საზღვრამდე 30 მეტრიც არ იყო. იქ 2 საათი გვამყოფეს. ვიდრე მილიციელები იარაღს ამოიღებდნენ და გადატენიდნენ, საზღვრამდე მივირბენდით (მერე უკვე არა აქვთ სროლის უფლება), მაგრამ იქ მხოლოდ მე და ბუჩუკური ვყავდით წაყვანილი, დანარჩენები ციხეში დატოვეს და მათ გარეშე ხომ ვერ გამოვიქცეოდით?!

**— ტყეში რა ჩანთას ეძებდით?**

— დაკითხვის დროს ვთქვი, რომ მინდორში საჭმლით სავსე ჩანთა დაგვრჩა, ჰოდა, მეორე დღეს მის მოსაძებნად წაგვიყვანეს, სადაც რამდენიმე მანქანით თხუთმეტამდე შეიარაღებული კაცი გამოგვყვა. ადგილზე რომ მივედით, მანქანებიდან გადავიდნენ, ცოტა ხანში დაბრუნდნენ და გვითხრეს, — ვერ ვიპოვეთ და მოგვაძებნინეთო. ჩანთას მალევე მივაგენით, მაგრამ ის სულ სხვაგვარად გახლდათ შეკრული. ხელი რომ მოვკიდე, აღმოჩნდა, რომ ძალიან მძიმეც იყო. გვიბრძანეს, ჩანთა დაგვეცალა. გამოვაპირქვავე თუ არა, იქიდან ტროტილი და ხელყუმბარები გადმოცვივდა. თანაც ამ ყველაფერს ციფრული კამერით იღებდნენ. — ეს ჩვენი არ არის-მეთქი, — ვამბობდი, მაგრამ ვინ მომისმინა?! რაღაც ქაღალდები შემოგვაჩეჩეს და გვითხრეს, ხელი მოაწერეთო. — ჯერ გადაგვითარგმნეთ, ისე არ მოვაწერთ-თქო, — ვამბობდით. განრისხდნენ: ახლა ისე გცემთ, ადრინდელი ცემა ალერსად მოგეჩვენებათო.

მივხვდით, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და საბუთს ხელი მოვაწერეთ. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ჩვენი აღიარებითი ჩვენება იყო.

**— სასამართლომ რა განაჩენი გამოგიტანათ?**

— წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეგვიფარდეს. პატიმრებისგან ვიცოდით, რომ ტერაქტის მცდელობისთვის მინიმუმ 25 წელს მოგვისჯიდნენ. მოკლედ, ყველაზე ცუდისთვის ვიყავით მზად...

**— საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა...**

— როგორც თქვენთვის ცნობილია, ჯერ მე და ცაბაძე გაგვათავისუფლეს ანუ ჩვენ ერთი თვე ვიყავით ტყვეობაში, დანარჩენები — 47 დღე. როცა გამოგვიცხადეს, თავისუფლები ხართო, ყურებს არ ვუჯერებდით. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ ამავე დროს გულიც



— **და თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობდა?**

— ჩემი ოჯახი ძალიან მიყვარს, ცოლ-შვილზე წინ ვერავის დავაყენებ და თალიკომ ეს კარგად იცის, ამიტომაც ფლირტზე თვალებს ხუჭავდა ხოლმე. ახლა 68 წლის კაცი ვარ, ფლირტებიც და რომანებიც წარსულს ჩავაბარე.

— **როგორ დაიწყეთ თქვენი საოჯახო ბიზნესი?**

— ქობულეთში ბინები ყოველთვის ქირავდებოდა, მაგრამ იმდენი შემოსავალი არ მოჰქონდა, როგორიც ახლა. ამიტომ, ვისაც სოფელი ჰქონდა, ციტრუსს უვლიდა. მე და თალიკომ სოფელ ქობულეთში მანდარინის ნერგები ჩავყარეთ. დიდი მიწის ნაკვეთი გვქონდა და შესაბამისად, კარგი მოსავალიც მოგვდიოდა (სულ ბოლოს, 1990 წელს 17 ტონა მანდარინი მოგვივიდა). ციტრუსს აქვე ვაბარებდით და მერე ჩვენი მიმღები პუნქტებიდან უკიდეგანო რუსეთში იგზავნებოდა. ფულის აღების შემდეგ მოსკოვში მივდიოდით, ჩასაცმელ-დასახურს ვყიდულობდით და დროს ვატარებდით. ისე არ გამიგოთ, თითქოს საბჭოთა კავშირის დაშლაზე გული მწყდება; დასაშლელი უნდა დაშლილიყო, მაგრამ ციტრუსის პლანტაციებმა რომ ფასი დაკარგა, ეგაა დასანანი, არადა, ხომ არ მოვთხრით და მივაგდებთ? იცით, რამხელა შრომა უნდა?! როცა „პერესტროიკის“ დროს გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ ხალხს ნებას რთავდა, კოოპერატივები გაეკეთებინა, გადავწყვიტე ჩემი სახლის ქვემოთ და სანაპიროზე კაფეები გამეხსნა. მანამდე 8 ოთახი გვქონდა — 4 ზემოთ და 4 ქვემოთ. სახლს მესამე სართულიც დავაშენე, უკან კიდევ მივამატე რამდენიმე ოთახი და ახლა 130 საწოლი მაქვს. სხვათა შორის, კაფეების გახსნის ნებაც დამრთეს: სახლის ქვემოთ რომ კაფე მაქვს, იმას მთელი წლის განმავლობაში ვამუშავებ; სანაპიროზე როა, ის ზაფხულობით მაქვს გახსნილი. სანაპიროზე ადგილი უვადო იჯარით მომცეს, მაგრამ მოგვიანებით, ეს კაფე ბევრს შეეჩხირა თვალში და ორჯერ დამინგრიეს. ვიჩივლე, სასამართლოც მოვიგე, მაგრამ მავანთ მაინც ეზედმეტებათ. ვისაც უნდა, ჩამოვიდეს და აკეთოს ბიზნესი, ღმერთმა ყველას მოუმართოს ხელი, მაგრამ ეს ადგილობრივი ბიზნესმენის შევიწროების ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

— **თქვენ გავიწროებთ ვინმე?**

— აბა, რა ჰქვია, იჯარით აღებულ მიწაზე კაფეს რომ ააშენებ და დაგინგრევენ? რომ ვიჩივლე, გამგეობიდან მეორე დღეს მოვიდნენ და მითხრეს, — უფლება გქონია და შეგიძლია, ისევ ააშენოო. ვიცი, რომ ადამიანებს შენების პროცესი უყვართ, მაგრამ ნგრევისა თუ იზიდავდათ, ვერაფრით წარმოვიდგენდი. მერწმუნეთ, არც მორალური, არც ფინანსური კომპენსაცია არ მოუციათ. რა მექნა, ხელახლა ავაშენე. რაც აგურით არის აშენებული, ის ზამთარშიც რჩება, ფიცრებით გაკეთებულს კი სექტემბრის ბოლოს ვშლი და მაისში ხელახლა ვაშენებ — ზამთრის პერიოდში იმისთანა შტორმი იცის, რომ დავტოვო, ზვავი დაშლის და წაიღებს.

— **ალბათ, ბევრ ცნობილ ადამიანს დაუსვენია თქვენთან.**

— ოთარ კობერიძე ყოფილა ჩემთან, ჯემალ და გია ბაღაშვილები... სხვა მსახიობები და პოლიტიკოსებიც მსტუმრობენ ხოლმე. შეფ-მზარეული მყავს ერთი, ციალა დიასამიძე, იმისთანა საჭმელს აკეთებს, განურჩევლად წვნიანისა თუ ცომეულისა, თითებს ჩაიკვნეტთ. მუსიკოსებიც კარგი მყავს. ჯემალ ბაღაშვილი, თავისი ოჯახით, სულ ჩემთან მოდის. ციალას გამომცხვარი ხაჭაპური პირველად რომ ჭამა, აღფრთოვანება ვერ დაფარა: მეგონა, კარგი ოთახები და გემოვნებიანი მუსიკოსებით გაითქვი სახელი, თურმე ხაჭაპური მთლად გადასარევი გქონიაო. 2004 წელს, როცა აჭარაში არჩევნები მეორედ გაიმართა, თბილისიდან ჩამოსული ბევრი დამკვირვებელი და „ნაციონალი“ ცხოვრობდა ჩემთან. ასლანამ კაცი გამომიგზავნა, — ნუ გყავს ეგ სტუმრები, გაყარე მაქედანო! მაშინ ვთქვი, რომ ჩემთვის სტუმართმასპინძლობის ტრადიცია ყველაზე მაღლა დგას და ჩემთან მოსულს, ის ვინც უნდა იყოს, კარს ვერ დავუკეტავ-მეთქი. ასლანასთვის რომ მეყურებინა, აქ ზოგი მისი მომხრე მოდიოდა, ზოგიც — მოწინააღმდეგე და რა მექნა, მისი ინტერესებისთვის მომერგო ჩემი ბიზნესი? სასტუმრო ყველასთვისაა და არ მესმის, რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა პოლიტიკური მრწამსი აქვს! ახლანდელი პრეზიდენტის ბებიაც ისვენებდა ჩემთან. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები მქონდა, მასთან ერთხელაც არ დამიჩივლია... 1998 წელს ქალბატონმა სანდრამ ამერიკელი და ჰოლანდიელი სტუმრები მომიყვანა. მახსოვს, ნოემბრის მიწურული იყო, ძალიან ციოდა. ჰოდა, გათბობის სისტემა მაინცდამაინც მაშინ გამოვიდა მწყობრიდან, მილები გასკდა და სახლს ველარ ვათბობდი. ლამის გავგიჟდი, გავვარდი და გაზის ღუმლები შევიძინე. მოგვიანებით, როცა უცხოელებს ვუთხარი, — ხომ გაგათბოთ ამ ღუმლებმა-მეთქი? — იცით, რა მიპასუხეს? — თქვენმა ქვეყანამ ისე გაგვათბო, სიცივე არც კი გვიგრძნიაო.

— **ალბათ, უცნაური დამსვენებელიც გეყოლებოდათ...**

— უჰ, რამდენიც გინდათ. ერთხელ შინაბერა ქალი მოვიდა და მეუბნება, — ისეთი ნომერი მინდა, მყუდროდ და იზოლირებულად რომ ვიყოო. ორადგილიანი ლუქსი ნომერი ვუჩვენე. — არა, ორადგილიანი არ მინდა, ერთიანი მომიძებნეო. ერთადგილიანი არ მაქვს და შევთავაზე, — ორადგილიანში შედი და ერთის ფული გადამიხადე-მეთქი; ამაზეც უარი თქვა. მაშინ მოვკიდე ხელი, ჩავისვი მანქანაში და ჩოლოქთან რომ სასაფლაოა, იქ მივიყვანე, — ა, ესაა „ერთსაწოლიანი ნომერი“, მყუდრო და იზოლირებული, კაციშვილი არ შეგაწუხებს-მეთქი. მოკვდა სიცილით და ბოლოს და ბოლოს, ორსაწოლიან ოთახში ინება დასვენება.

— **ზღვისპირას დაბადებულ-გაზრდილმა ალბათ, ცურვა ძალიან კარგად იცით...**

— ცურვა უსაზღვროდ მიყვარს, მაგრამ ახლა შორს შესვლას ვეღარ ვბედავ. ასაკოვან სპორტსმენს, მით უფრო მძლეოსანს, ფეხები აწუხებს. მეშინია, ცურვისას ძარღვი არ გამენასკვოს, ამიტომ ვერ ვრისკავ, არადა, ახალგაზრდობაში ისე შორს მივცურავდი, რომ ნაპირს ვეღარ ვხედავდი ხოლმე. ზღვა კარგია, მაგრამ უზარმაზარი სტიქიაა და ძალიან არ უნდა გაუთამამდე.

— **დახრჩობას ბევრი გადაგირჩენიათ?**

— კი, საკმაოდ ბევრი. იმ პერიოდში, როცა რუსები ჩამოდიოდნენ, სეზონი ისე არ ჩაივლიდა, უბედურება არ მომხდარიყო, რადგან ისინი ჭკუამხატენი არიან. მახსოვს, პატარა ღელვისას წყალში თამამად შედიოდნენ და იმდენს ვერ ფიქრობდნენ, რომ ცოტა ხანში ღელვა გაძლიერდებოდა. შესვლით შედიოდნენ, გამოსვლა კი უჭირდათ და იყო ერთი ორომტრიალი. რამდენიმე წლის წინ ამბავი მომიტანეს, — ჯემალი (ჩემი შვილი) იხრჩობაო. თოკს ხელი ვტაცე და ზღვისკენ გავვარდი. ვხედავ, ჩემი შვილი ერთი ბიჭის გადარჩენას ცდილობს, არადა, აშკარაა, რომ ორივეს უჭირს, ცოტაც და აზვირთებულ ტალღებში ჩაიკარგებიან. მაშველ რგოლს თოკი გამოვაბი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ვისროლე — ჯერ ჯემალი ჩაებღაუჭა, მერე ის ბიჭი. ახალგაზრდები ნაპირზე ძლივს გამოვიყვანე. ბიჭი ცაგერელი აღმოჩნდა. მან ცოტა ხანში ქორწილი გადაიხადა და მთელი ოჯახი დაგვპატიჟა. რა თქმა უნდა, წავედით და კარგადაც მოვილხინეთ. დამსვენებლებისთვის კარგი პირობების შექმნა და მომსახურება შემოსავლიანი ბიზნესის მთავარი პირობა კი გახლავთ, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი მაინც, მათი გულწრფელი მადლიერებაა, რაც საოცრად მახარებს და მსიამოვნებს. იმდენი ადამიანი დავიახლოვე, იმდენი მეგობარი შევიძინე, რომ თამამად შემიძლია ვთქვა: — ახლა მე მართლაც, უმდიდრესი კაცი ვარ! ■

# ეჭვი, ნარკომანია და ფრჩხილების კვნეტა

## ანუ მავნე ჩვევების გამო დანგრეული ოჯახები

**ეჭვიანობა რომ სენია და არ იკურნება, ამაზე თითქმის აღარავინ დაობს, მაგრამ ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს გრძნობა დიდი სიყვარულის მანიშნებელიცაა. როგორი ზომიერიც უნდა იყოს ეჭვიანობა, როცა შენს მეორე ნახევარს ეს ეჭვი სრულიად უსაფუძვლოდ უჩნდება, ალბათ, გული აუცილებლად დაგწყდება და ამის გამო უსაყვედურებ კიდეც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამის ნიადაგზე ოჯახებიც ინგრევა.**

ლიკა ქაჯაია

*თუმცა, ეს არცაა გასაკვირი იმ ფაქტებთან შედარებით, რომლის გამოც ჩემმა რამდენიმე რესპონდენტმა დაანგრია ოჯახი. მაგალითად, ერთ-ერთი ყმაწვილი ახალშერთულ ცოლს იმიტომ დაშორდა, რომ ის ფრჩხილების კვნეტით ირთობდა თავს, მეორე კი იმიტომ, რომ მის ცოლს სიგარეტი ჰყვარებია, თანაც — ნამეტნავად; ერთ-ერთმა გოგონამ კი აღიარა, — ჩემი ქმარი წინდებს სადაც იხდიდა, იქ ტოვებდა და ამიტომაც გავეყარეო.*

**მილენა,** *22 წლის:*

— ნაადრევად გავთხოვდი და შედეგიც სახეზეა — უკვე ქმარს გაშორებული ქალის სახელი მაქვს და აწი ვინღა შემირთავს? თუმცა, იმიტომ არ დაგიკავშირდით, რომ ეს შემომეჩივლა თქვენთვის, უბრალოდ, მაღიზიანებს იმ მოზარდების მესიჯები, რომლებიც დახმარებას გთხოვენ მაგალითად, ასეთი პრობლემის გამო: ჩემი შეყვარებული უსაფუძვლოდ ეჭვიანობს და რა ვქნაო? რა უნდა ქნან და, უნდა დაშორდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემსავით, ოჯახი დაენგრევათ... თავის დროზე მეც უტვინო ვიყავი. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ხალხნო, მერწმუნეთ, ეჭვიანობა ოჯახის პირველი მტერია! შეყვარებულობის პერიოდში ვფიქრობდი: ვინაიდან ზოგჯერ ვერ მხედავს, ჰგონია, რომ ამ დროს სხვასთან ერთად ვარ და ამიტომ ეჭვიანობს-მეთქი. დედაჩემი მეჩხუბებოდა: თავს ნუ დაიღუპავ. ეტყობა, შენი შეყვარებული ბუნებით ეჭვიანია და მერწმუნე, თუ ცოლად გაჰყვები, ოდესმე თავბედს დაიწყევლიო, მაგრამ არ დავუჯერე: როცა მისი ცოლი ვიქნები და გვერდით დამიგულებს, რატომღა იეჭვიანებს-მეთქი? ჰოდა, დავკარი ფეხი და მასთან ერთად გავიპარე. სულ რაღაც ორ თვეში თავი ისე შემაძულა, რომ გამუდმებით იმას ვფიქრობდი, თავი მომეკლა თუ ქმარს გავცილებოდი?! ბოლოს, როგორც ხედავთ, არჩევანი გაყრაზე შევაჩერე; თვითმკვლელობა ვერ გავბედე, რადგან უფლის სამსჯავროზე წარდგომის შემეშინდა.

— **კი, მაგრამ ასეთს რას აკეთებდა, 2 თვეში თავი რომ შეგაძულა?**

— სახლში ვინც უნდა შემოსულიყო, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ჩემი უახლოესი ნათესავი ბიჭი იქნებოდა თუ მისი ახლობელი, ყველაზე ეჭვიანობდა. გამუდმებით რაღაც ეჩვენებოდა და ეგონა, რომ ყველა ღალატობდა. ერთხელ ბიძაშვილი მესტუმრა. ლევანი შინ არ იყო და როცა მოვიდა, დაინახა, რომ ბიძაშვილთან ერთად სავარძელში ვიჯექი და მას ჩემთვის ხელი მხარზე ჰქონდა მოხვეული. იმწუთას ვითომ არაფერი შეიმჩნია, მაგრამ სახე შეეფაკლა და მივხვდი, რაღაც არ ესიამოვნა. ბიძაშვილის მკლავებისგან თავი გავითავისუფლე და — სუფრას გავშლი-მეთქი, — მოვიმიზეზე. როცა სტუმარი გავისტუმრეთ, ლევანმა კისერში წამავლო ხელი და მითხრა: როგორ არ გრცხვენია, საკუთარ ნათესავთან რომ მღალატობ? იცოდე, ჩემი ხელიდან გიწერია სიკვდილიო! ვეხვეწე, ვემუდარე, ასე ნუ მექცევი, რაღაც გეჩვენება-მეთქი, მაგრამ ამ სიტყვებმა უფრო გააცოფა: თურმე მოჩვენებებიც დამწყებიაო... მოკლედ, იმ საღამოს ისე დამალილავა, სახლიდან მთელი ორი კვირა არსად გავსულვარ და მეგობრებსაც უარს ვეუბნებოდი ჩემთან სტუმრობაზე — არ მინდოდა, ვინმეს ასეთ დღეში ვენახე, რადგან ლევანი მართლა მიყვარდა, მაგრამ ყველაფერს ჰქონია საზღვარი და ერთხელაც, როცა საკუთარ მამაზეც კი იეჭვიანა, დედაჩემი დავიბარე: ან აქედან წამიყვან, ან თავს მოვიკლავ-მეთქი. რა თქმა უნდა, დედამ სასიკვდილოდ ვერ გამიმეტა და შინ წამომიყვანა.

— **ლევანს შენთან შერიგება არ უცდია?**

— როგორ არა, მაგრამ არაფერი რომ არ გამოუვიდა, მითხრა: ვიცი, თავისუფლება გინდოდა. ჰოდა, ახლა გათხოვილი ქალის სახელი გექნება და როგორც გინდა, ისე „იპარპაშებ“, მაგრამ იცოდე, ყველგან ჩრდილივით აგედევნები, ფაქტზე წაგასწრებ და „დაგბრიდავო“. მართლაც, ის სულ უკან დამდევდა, მოსვენებას არ მაძლევდა. ერთხელაც, მშობლებთან ერთად მოვიდა, პატიება მთხოვა და მითხრა, ამ სენისგან განვიკურნე და დამიბრუნდიო. მე სულელმაც დავუჯერე და შევურიგდი, მაგრამ სულ მალე ისევ დავშორდი, ამჯერად — სამუდამოდ! სხვათა შორის, ვიდრე საქმეში პოლიცია არ ჩავრიე, ვერ მოვიშორე. ასე რომ, ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს და ამიტომ ყველა იმ მოზარდს, ვისაც ასეთი პათოლოგი შეყვარებული ჰყავს, ვურჩევ, ცხოვრებას ნუ დაინგრევს, ასეთი ადამიანის მეორე ნახევრობაზე არც კი იფიქროს!

*ისინი, ვინც „თინეიჯერულ პონტებს“ კითხულობენ, ხშირად მისვამენ კითხვას, თუ სად ვპოულობ ასეთ არაჩვეულებრივ, ზოგჯერ ძალიან სასაცილო რესპონდენტებს? ახლა მინდა, ამ კითხვაზეც გიპასუხოთ: უმეტესობა თავად მიკავშირდება, მათ ამბებს ვიწერ, ვაგროვებ და ბოლოს, ერთ თემად ვკრავ; ზოგ რესპონდენტს კი თავად ვეძებ ტელეფონის ან ინტერნეტის მეშვეობით. ასე რომ, ღმერთმა ნუ გამოლიოს ამქვეყნად უცნაური ადამიანები, თორემ ალბათ, სამუშაოს დავკარგავ...*

**ნიკა,** *20 წლის:*

— ჩემი ამბავი შესაძლოა, ცოტა სასაცილოდაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მერწმუნეთ, სასაცილოა არაა, როცა გვერდით გყავს ადამიანი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ფრჩხილებს იკვნეტს.

— **ახლა არ მითხრა, რომ შეყვარებულს ამის გამო დაშორდი...**

— შეყვარებულს კი არა, ამის გამო



ცოლს დავშორდი.

— **კი, მაგრამ ვიდრე მოიყვანდი, არ იცოდი, ასეთი ჩვევა რომ ჰქონდა?**

— შენ წარმოიდგინე, არ ვიცოდი. ლალიკო მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი და ძალიან მომეწონა. მეგობარს მაშინვე ვთხოვე, — ეს გოგო „დამაჯახე"-მეთქი. — რა „დაჯახება" უნდა, აგერაა და თავად „დაეტაკეო". მოკლედ, ლალი საკმაოდ ახლოს გავიცანი, მაგრამ ასეთი მავნე ჩვევა თუ ჰქონდა, არ მეგონა. მხოლოდ ერთხელ წაიღო ხელი პირისკენ, მაგრამ იმდენად ცოტა ხნით, რომ ამისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია... მოკლედ, აღმოჩნდა, რომ მასაც მოვეწონე და დაბადების დღის შემდეგ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს; არც პაემანზე ყოფნისას ჩაუწყვია პირში თითები — ეტყობა ცდილობდა, ჩემთვის თავი შეეყვარებინა და საამისოდ ყველანაირ მსხვერპლზე მიდიოდა. ფრჩხილები მხოლოდ მაშინ დაიკვნიტა, როცა სიყვარულში გამოვუტყდი, მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს ნერვიულობის ნიადაგზე გააკეთა. თანაც, მისი კოცნის სურვილით იმდენად ვიყავი გაბრუებული, რომ ეს ფრჩხილების კვნეტა რაღაცნაირად, მესიამოვნა კიდეც, მაგრამ როცა ცოლად შევირთე და მთელი დღე პირში თითებგაყრილს ვუყურებდი, სიმართლე გითხრათ, მისი კოცნის სურვილიც კი აღარ მიჩნდებოდა.

— **ადამიანს, რომელიც ფრჩხილებს იკვნეტს, ეს ხელებზე აშკარად ეტყობა.**

— შენ წარმოიდგინე, ლალის ყოველთვის გრძელი და კოხტა ფრჩხილები ჰქონდა. მიკვირდა კიდეც, — ამხელა ფრჩხილით საოჯახო საქმეების კეთებას როგორ ახერხებს? ნუთუ, უსაქმურია-მეთქი?.. თურმე, დაწებებული ჰქონია და ამას ხომ არ გამიმხელდა?! როცა ქორწილის შემდეგ ფრჩხილები მოიხსნა და ხელებზე დავხედე, ლამის გული წამივიდა... ჩემი რჩეული, იმის ნაცვლად, რომ სახლი დაელაგებინა ან სადილი მოემზადებინა, მთელი დღე ფრჩხილებს იკვნეტდა და როცა ვუთხარი, — იქნებ სხვა რამე გააკეთო და ეს მავნე ჩვევა დაივიწყო-მეთქი, იცით, რა მიპასუხა? — ბავშვობიდან ამას ვჭამ და ახლა როგორ შევიცვლები? თანაც, ფრჩხილის ძირები ძალიან მტკივა და საქმეებს ვერ გავაკეთებო. კაცო, ცოლი რომ არ გკოცნის და გეუბნება, — მაცალე, ჯერ ჩემი ფრჩხილები უნდა დავიკვნიტოო; საქმეს არ აკეთებს, — თითები ძალიან მტკივაო და კერძს შენ არ აკეთებინებ იმიტომ, რომ გეშინია, ქვაბში კარტოფილის ნაცვლად ფრჩხილები არ ჩაყაროს, ასეთი ცოლი რა ჩემ ფეხებად გინდა? ჰოდა, მეც



გავუშვი, რა. ჰმ, მისმა მშობლებმა კი სულ „ჩმორი" მეძახეს, მერე ხმა გაავრცელეს, — არაკაცი იყო; იცოდეთ, მაგას ქალი არ მიათხოვოთ, თორემ გოგოს დაღუპავთ. ისიც კი არ იცის, ქალთან როგორ უნდა მოიქცესო. სასაცილოა, არა? შენ კი გეცინება, მაგრამ კახეთში გოგონები მართლაც აღარ მეკარებიან. მეტიც, ჩემი დანახვისას სიცილით იგუდებიან... გოგონებო, არ დაიჯეროთ, რომ მე ცოლის შენახვა და მოვლა არ შემიძლია. თუ „თითიმწოვარები" არ იქნებით, გპირდებით, რომ გულს არც ერთ თქვენგანს არ დავწყვეტ.

**გიუნა,** *22 წლის:*

— კაცო, რომ მეგონა, ცოლი მოვიყვანე, აღმოჩნდა, რომ მე გავთხოვილვარ ანუ კაცი შემირთავს, რა.

— **ეგ როგორ?**

— როგორა და, რომ შეხედავდი, მშვენიერი გოგო იყო, არც ფერი დაეწუნებოდა და არც — ხორცი. მოკლედ, ყველაფერი თავის ადგილას ჰქონდა, მაგრამ ცოლად რომ შევირთე, მკერდის ნაცვლად, ხელში ბამბა შემრჩა, დილაობით ულვაშებს იპუტავდა ის შობელძაღლი და ზოგჯერ, წვერსაც იპარსავდა. ეგ ჯანდაბას, ხელის გატრუსვა არ გამიგონია მე!... კაცო, ბრაზი მომივიდა საკუთარ თავზე და ვიფიქრე, — კაცი ხომ არაა ეს შობელძაღლი-მეთქი, მარა ქალის ორგანოებიც რომ ჰქონდა? მერე დაფეხმძიმდა კიდეც... ღამით გული არ მიმდიოდა, მაგრამ ქმრის მოვალეობას მაინც ვასრულებდი. ერთხელ შევატყვე, რომ სიგარეტის სუნითა ყარდა და მაშინ კი შევუძახე ჩემს თავს: არა, ეგ ნამდვილად კაცია და შესაძლოა, მალე მუშაობაც დაიწყოს, შენ კი წინდები გარეცხვინოს-მეთქი. სხვა რამეებიც ვიფიქრე, მაგრამ ახლა იმას აქ ვერ დავწერ... მოკლედ, სანამ ის შობელძაღლი რაიმეს მიზამდა, სახლიდან გავუშვი.

— **ფეხმძიმე ქალი სახლიდან როგორ გააგდე?**

— ხომ გითხარი, კაცი იყო, ოღონდ დაფეხმძიმება შეეძლო-მეთქი. არა, ნუ იცინი, სიმართლეს გეუბნები.

— **სახეზე ბეწვი ბევრ გოგოს აქვს...**

— კაცივით? შენ იპარსავ წვერ-ულვაშს? ეწევი? ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ მოწევა? ქალი სიგარეტს რომ მოსწევს, თანაც მალულად, ის მერე სხვა რამეებსაც გააკეთებს, მოგატყუებს.

— **იქნებ ამის თქმა უნდოდა, მაგრამ იცოდა, რომ ვერ გაუგებდი და ამიტომაც დაგიმალა...**

— ჰო, ეგ რომ მცოდნოდა, ცოლად როგორ მოვიყვანდი? არ მევასება, ქალები რომ „აფუილებენ" და რა ვქნა? ეგ არაფერი, ფეხმძიმობის დროს მაინც არ მოეწია, ბავშვს მაინც გაფრთხილებოდა...

— **შენ გაუფრთხილდი შენს შვილს? ფეხმძიმე ქალი თავიდან მოიშორე...**

— როცა გააჩენს, მივაკითხავ და ბავშვს წამოვიყვან.

— **არა მგონია, დედამ შვილი გაიმეტოს და გამოგატანოს.**

— მაშინ ვუჩივლებ და დავამტკიცებ, რომ ის ქალი არაა. სხვა თუ არაფერი, მკერდიც არა აქვს და რძე როგორ ჩაუდგება.

— **ხელოვნური საკვებით გაზრდის.**

— კაცო, შენ ლენინის ნათესავი ხომ არა ხარ?

— **ლენინი რა შუაშია?**

— აბა, რაა, ჯიბრში რომ ჩამიდექი? ვიფიქრე, ჩემს გასაჭირს მოვუყვები, გულთან მიიტანს და იქნებ, რაიმეთი დამეხმაროს-მეთქი, შენ კი დამცინი...

— **აბა, მე რით უნდა დაგეხმარო?**

— ამხელა ჟურნალი გაქვთ და ნუთუ არ გამოჩნდება ისეთი გოგო, რომელსაც შევეცოდები და ცოლად გამომყვება? ოღონდ, ის წვერ-ულვაშს არ უნდა იპარსავდეს და არ უნდა ეწეოდეს!

— **სანაცვლოდ, შენგან რას მიიღებს?**

— დიდ სიყვარულს.

— **გოგონების უმეტესობა შენი მატერიალური მდგომარეობით დაინტერესდება და იმიტაც, მუშაობ თუ არა სადმე...**

— თელავის რაიონიდან ვარ და ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში, მაგრამ სად, ამას ჯერ ვერ გეტყვით... ისე, რად მინდა თქვენი მაჭანკლობა,

ისედაც ვიშოვი კაი გოგოს.

— **ღმერთმა ხელი მოგიმართოს. შვილს როდისთვის ელოდები?**

— დღე-დღეზე უნდა გაჩნდეს. ბიჭია და იმედია, დედამისს კი არა, მე დამემსგავსება.

— **ისე, შეყვარებულობის პერიოდში ვერ შეატყვე, სახეზე თმა რომ ჰქონდა?**

— აბა, როგორ უნდა შემეტყო, როცა გარიგებით შევირთე? მხოლოდ ერთხელ შევხვდი მარტოს და მაშინაც ისეთი დაბანილ-დავარცხნილ-გაპუდრული მოვიდა, რომ თავგზა ამიბნია და თავი შემომასაღა...

— **იმედია, იპოვი ისეთ მეორე ნახევარს, როგორიც გინდა. ისე, საინტერესოა, თავად თუ ეწევი?**

— არა, არ ვეწევი და არც არასდროს მომიწევია!

— **რაიმე მავნე ჩვევა არა გაქვს?**

— მხოლოდ ის, რომ თმაზე ხშირ-ხშირად ვისვამ ხელს, მაგრამ არა მგონია, ამით ვინმეს ვაწუხებდე; და კიდევ, თითების გატკაცუნება მიყვარს.

*არ ვიცი, თითების ტკაცუნი ან თმაზე ხელის სმა ვინმეს აღიზიანებს თუ არა, მაგრამ ჩემი მეოთხე რესპონდენტი ქმარს წინდების გამო დაშორდა.*

**თამუნა,** *19 წლის:*

— ჩემზე 11 წლით უფროს ბიჭს გავყევი ცოლად. ის არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაგრამ ერთი უცნაური თვისება ჰქონდა — წინდებს იქ ტოვებდა, სადაც იხდიდა. ჰოდა, მისი ეს უცნაურობა ყელში ამომივიდა და დავშორდი.

— **ასეთი მიზეზის გამო ოჯახის დანგრევა, ცოტა არ იყოს, სასაცილოა...**

— რატომაა სასაცილო? ნუთუ, ქართველ კაცს ცოლი მართლაც, მხოლოდ იმისთვის მოჰყავს, რომ მან მისი ბინძური წინდები აგროვოს და რეცხოს? ახალმოყვანილ ქალს ბალიშის ქვეშ „ნასკს" რომ დაგიდებენ, ეს სასიამოვნოა?

— **კი, მაგრამ ბალიშის ქვეშ რატომღა დებდა?**

— იმიტომ, რომ იატაკზე მისი დაგდებაც კი ეზარებოდა. შეეძლო, წინდა სამზარეულოში, მაგიდაზე დაეგდო ან მაცივრის თავზე მოესროლა. ერთხელ დაქალები მესტუმრნენ. ამ დროს მეუღლეც დაბრუნდა სამსახურიდან, ფეხსაცმელი სასტუმრო ოთახშივე გაიხდა და ცხადია, წინდებიც იქვე დაყარა. მე სამზარეულოში ვტრიალებდი და როცა გამოვედი, თავზარი დამეცა — ჩემი მეგობრები წინდებს უყურებდნენ და თან, ცხვირზე ხელს იფარებდნენ. ცხადია, ალბათ წასვლაც კი უნდოდათ, მაგრამ ჩემი მოერიდათ. მათ მოვუბოდიშე და „ნასკი" სასწრაფოდ გავიტანე. მე და ჩემს ყოფილ მეუღლეს სწორედ იმ დღეს მოგვივიდა კონფლიქტი, რომლის შედეგადაც, ერთმანეთს დავშორდით.

— **საინტერესოა, რამდენხნიანი ცოლქმრობა გაკავშირებდათ?**

— სულ 9 თვე მქონდა გათხოვილი ქალის სახელი, მერე კი დავშორდი.

— **და შერიგების მცდელობა არ გქონიათ?**

— არა, მე მასთან დამბრუნებელი ნამდვილად არ ვარ და არც ის მოიკლავს თავს უჩემოდ. თანაც, ნამდვილი ქართველი კაცია...

— **რას გულისხმობ?**

— ამბობს, რომ ცოლი იმისთვის მოიყვანა, რომ დაურეცხოს, დაუუთოოს და სახლი დაულაგოს, თორემ ქალების მეტი რა ყრიაო? ჰოდა, წავიდეს ახლა და ქუჩაში ეძებოს პატიოსანი ქალები.

*P.S. არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ ქართველ მამაკაცებზე, მაგრამ არა მგონია, ყველა ქართველი პირდაპირ მაგიდაზე ყრიდეს დასარეცხ ტანისამოსს. ასე რომ, გოგონებო, გათხოვების ნუ შეგეშინდებათ...* ■

# თინეიჯერები გვწერენ

**ფაცო:**

„გზა" საუკეთესო ჟურნალია, ვენაცვალე მის შემქმნელებს! ძალიან მომწონს პროვოკატორი და კარგი იქნება, თუ მას ახლოს გაგვაცნობთ ანუ იქნებ, მის შესახებ რაიმე გამოაქვეყნოთ. მერწმუნეთ, ეს თქვენს ყველა მკითხველს გაახარებს".

**სალი, 23 წლის:**

„რატომ არ ბეჭდავთ მასალებს დიდ მხატვრებზე, კომპოზიტორებზე? მერწმუნეთ, მათი ცხოვრება დღევანდელი ქართველი შოუბიზნესის წარმომადგენლების ცხოვრებაზე არანაკლებ საინტერესოა. გირჩევთ, გეზი „სიყვითლისკენ" არ აიღოთ. ძალიან მომწონს, ცხოვრებისეულ მასალებს რომ ბეჭდავთ და ზოგჯერ „გზის" გვერდებს ჩვეულებრივ ადამიანებსაც რომ უთმობთ".

**ნინო:**

**„მაინტერესებს, იმ ბავშვებს, ვინც თქვენთან ამესიჯებენ, ტვინი აქვთ? აბა, როგორ შეიძლება, ტვინი გქონდეს და თავად ვერ გასცე პასუხი კითხვას: შეყვარებულთან ყოფნა გინდა თუ არა?"**

— საყვარელო, ტვინი ყველას აქვს, მაგრამ საქმე ის არის, თუ რამდენად დანაოჭებულია ის. არ ვიცი, ვის რამდენი ნაოჭი აქვს, მაგრამ შემიძლია, ტვინის შესახებ საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდო. ალბათ, ბევრის მსგავსად, შენც გსმენია, რომ ტვინის უჯრედები ნაცრისფერია. სინამდვილეში, რუხი მხოლოდ გარდაცვლილთა ტვინი ყოფილა, ცოცხალი ადამიანისა კი წითელი ფერი გახლავთ.

ისიც გეცოდინება, რომ დროთა განმავლობაში, ტვინის უჯრედები კვდება (ამის მიზეზად შეიძლება, ალკოჰოლი, სიგარეტის მოწევა, სტრესი და სხვაც დაასახელონ) და აღარ აღდგება. მართალია, მოხუცებს მეხსიერება ხშირად ღალატობთ და აზროვნებაც უქვეითდებათ, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობენ. თუ ხშირად ისეირნებ სუფთა ჰაერზე, მიიღებ ჯანსაღ საკვებს და ამოხსნი ინტელექტუალურ სავარჯიშოებს, გონებას ხანდაზმულ ასაკშიც არ დაემდურები.



და კიდევ, არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანს რაც უფრო დიდი ტვინი აქვს, მით უფრო ჭკვიანია. ეს მითიც საეჭვო ყოფილა და როგორც ამბობენ: ცნობილი მეცნიერისა და ენციკლოპედისტის, კიუვის ტვინი 2 კგ-მდე იწონიდა, ხოლო არტურ კონან დოილისა — 800 გრამამდე.

თურმე, მთქნარებისას ფილტვებში მეტი ჟანგბადი ხვდება, შედეგად კი ტვინი სისხლით მარაგდება და ადამიანი მხნევდება.

ამბობენ: ადამიანი ტვინის მხოლოდ 10%-ს იყენებსო, მაგრამ დადგინდა, რომ უბრალო ამოცანის შესრულებაშიც კი ტვინის ყველა უჯრედი მონაწილეობს... ■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, ბრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## შენი ყელი



შენი ყელი... ამბობენ, რომ შენი სწორი ყელი
ლერწამია შარბათისა ძველი, მაშრიყელი.
არა! უფრო ამსგავსებენ... რას? არ ვიცი, თუ რას:
მარმარილოს ცისარტყელას, თუ სადაფის სურას?!
მე კი... მე კი გამოვძებნი სურათს ჯერ არყოფილს:
შენი ყელი მე მაგონებს გედის ათლილ პროფილს.

ორჯერ გნახე! და ორჯერვე ისე ავკეკლუცდი,
რომ ბუნებრივ სიკვდილს, ჩემო, რა ვქნა – აღარ ვუცდი.
მსურს გიმზირო და ამ მზერით გაგარჩიო სხვაში,
რომ გავქვავდე, როგორც ბუზი მარგალიტის ქვაში.

აი, ეხლაც თეატრში ხარ... და თეატრის სკამებს
შენი ყელის არემარე მორცხვად აკამკამებს.
ისე ნაზად აძლევ სალამს ყველას... ყველას... ყველას...
რომ წარბების მათრახებით ჰხატავ ცისარტყელას:

და ლორნეტის ორი მინა ისე ხარბად მზვერავს,
რომ არ ვიცი, რით გავუძლო მაგ ჯადოსნურ მზერას.
ისე გშვენის მძივ-გულქანდა ყელზე მონართავი,
რომ... ახ, ნეტა, მე შენს ყელზე ჩამოვიხრჩო თავი.

*იოსებ გრიშაშვილი*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### ზ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-38

**ზეობა** (ისტ.) — ვისიმე მეფობის ხანა.
**ზვარი** — დიდი ვენახი.
**ზვავი** — ზევიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი ან მიწა.
**ზვავი** — ამპარტავანი, ზვიადი.
**ზვარაკი** (ძვ.) — მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; 2. გადატ. (წიგნ.) მსხვერპლი.
**ზიზია** — ახალი, ლამაზი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი... — ბავშვის ენაზე).
**ზიზილ-პიპილა** — ჭრელი იაფფასიანი სამკაულები.
**ზიკზიკა** (საუბ.) — მორთული, მოკაზმული.
**ზილი** — საშუალო ხმა სამხმიან სიმღერაში.
**ზიმზიმი** — ჩოჩქოლი, ჟრიამული.
**ზინათი** სპ. (ძვ.) — სიმდიდრე, ძვირფასი ნივთები, განძეულობა.
**ზინდანი** — 1. პატარა გრდემლი; 2. ოქრომჭედლის პატარა კვერი.
**ზინზლი** — გამჯდარი ოფლისა და ცხიმის ჭუჭყი.
**ზიპი** — თხევადი ცხიმი, მიღებული ზოგი ზღვის ცხოველისა და ზოგი თევზის ქონისაგან.
**ზმა** — გალექსილ თქმაში შერჩეული ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომლის შეერთებით გამოდის ახალი სიტყვა.
**ზმუკი** — წყევლაა; ჩვეულებრივ ითქმის ვისიმე მომაბეზრებელი ოხვრის, კვნესის, ზმუილის მსგავსი ხმიანობის, ზმუკუნის საპასუხოდ.
**ზოდიაქო** — ბერძ. (ასტრ.) — ცის სფეროს წარმოსახვითი სარტყელი — მზის წლიური მოძრაობის გზა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მიხეილ ჯავახიშვილი

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მწერალი, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე და 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი ადამაშვილი იყო. იგი 1880 წლის 8 ნოემბერს სოფელ წერაქვში (მარნეულის რაიონი) დაიბადა. ჯავახიშვილი ჯერ წინამძღვრიანთკარის, შემდეგ ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლობდა, რომელიც ოჯახში დატრიალებული უბედურების გამო (ავაზაკებმა მოუკლეს დედა და და), არ დაუმთავრებია. მამამისი კი ოჯახის ტრაგედიას გადაჰყვა.


მიხეილ ჯავახიშვილი ქალიშვილთან ერთად

მიხეილი საქართველოში 1901 წელს დაბრუნდა და აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას შეუდგა; რედაქტორობდა გაზეთებს — „ივერია", „გლეხი". რეპრესიების გამო მწვავედ აკრიტიკებდა მეფის ხელისუფლებას. ჯავახიშვილის ადრინდელი, 1903-1908 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები („ჩანჩურა", „მეჩექმე გაბო", „კურკას ქორწილი") გულწრფელ თანაგრძნობას ულვივებდა მკითხველს უბრალო ადამიანებისადმი.

1907 წელს მწერალი გაერიდა ხელისუფალთა დევნას, ერთხანს პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა, იმოგზაურა ევროპაში. 1909 წელს კი სხვისი პასპორტით დაბრუნდა საქართველოში. 1910 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1913 წლამდე დონის როსტოვში ცხოვრობდა, 1913 კვლავ სამშობლოში დაბრუნდა.

თხუთმეტწლიანი დუმილის შემდეგ მოთხრობა — „ტყის კაციით" დაიწყო მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების პერიოდი. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი XX საუკუნის ქართულ რეალისტურ რომანს, შექმნა ავანტიურული („კვაჭი კვაჭანტირაძე"), სოციალური („ჯაყოს ხიზნები"), სათავგადასავლო („გივი შადური"), ისტორიული („არსენა მარაბდელი"), ფილოსოფიური („თეთრი საყელო") რომანები. თარგმნა გი დე მოპასანის, ანტონ ჩეხოვის და სხვათა თხზულებანი. 1933-1934 წლებში გამოვიდა ჯავახიშვილის რჩეულ თხზულებათა ოთხტომეული. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე.

**„იმავე წამს კუჭატნელის ფეხებმა არსენას ზურგზე გადაიელვა, ხოლო მარაბდელი ბიჭი უკვე დოინჯშემოყრილი იდგა და მიწაზე შეფართხალებულ ფალავანს ღიმილით დასცქეროდა".**

*რომანი „არსენა მარაბდელი"*

1930 წელს ქართული ლიტერატურის კლასიკის აკრძალვის გამო ჯავახიშვილი დაუპირისპირდა ტროცკისტ — მალაქია ტოროშელიძეს, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტსა და განათლების სახალხო კომისარს. ლავრენტი ბერიას ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს აკრძალვა მოიხსნა და ჯავახიშვილმაც მცირე ხნით მხარდაჭერა მიიღო. თუმცა 1936 წელს „ქალის ტვირთის", სოცრეალისტური რომანის ადრეული ნიმუში, გამოქვეყნების შემდეგ ბოლშევიკ აქტივისტთა მწვავე კრიტიკას ვერ გაექცა.

1937 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირის შენობაში პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. კავშირის სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პოეტის საქციელი ანტისაბჭოთა პროვოკაციად შერაცხეს. მიხეილ ჯავახიშვილი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც პოეტის გამბედაობას მხარი დაუჭირა. ოთხ დღეში, 26 ივლისს, კავშირის პრეზიდიუმმა კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება: „მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაშუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს". მისი მეგობრები და კოლეგები, მათ შორის ციხეში მყოფნიც, აიძულეს, ჯავახიშვილი ელიარებინათ, როგორც კონტრრევოლუციონერი ტერორისტი. პროტესტის ნიშნად მხოლოდ კრიტიკოსმა — გერონტი ქიქოძემ დატოვა კავშირის სხდომა.

ჯავახიშვილი 1937 წლის 14 აგვისტოს დააპატიმრეს და „ალიარებაზე" ბერიას თანდასწრებით, წამების ქვეშ ხელი მოაწერინეს. სასჯელი იმავე წლის 30 სექტემბერს დახვრეტით აღასრულეს. მწერლის არქივი განადგურდა, მის ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა. მოგვიანებით მისი ძმაც დახვრიტეს, მეუღლე კი გადაასახლეს. მიხეილ ჯავახიშვილზე ცენზურა მხოლოდ 1950-იანი წლების ბოლოს მოიხსნა. რეაბილიტაციის შემდეგ კვლავ გამოიცა მისი ნაწარმოებები.

■


მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე


19/XII 1924.



# მამელუკი

## ნაწყვეტი

X

გემის ფართე ბაქანზე ტყვეები უთავბოლოდ ეყარნენ. მათში რამდენიმე ჭაღარაც ერია. უმრავლესობა კი, ქალი თუ კაცი, ახალგაზრდობა იყო, ათიდან ოცდაათ წლამდე. ზოგს ფეხზე სრულებით არაფერი ეცვა. ზოგს რაღაც ჭინჭებში ჰქონდა ფეხები შეხვეული, ზოგს ზედატანიც რაღაც ნაფლეთებით ძლივძლივობით ჰქონდა დაფარული. აქა-იქ, ტყვეებს შორის, წითელქუდიანი ოსმალებიც მოსჩანდნენ, უშველებელი შოლტით ხელში. ესენი ტყვეთა მეთვალყურენი იყვნენ. თავიანთ შოლტებს ისინი ხშირად ძლიერ მარჯვედ ხმარობდნენ. სულ მცირე რამ მიზეზისათვის, ზოგჯერ ისე, თავშესაქცევადაც, გადაუტყლაშუნებდნენ ხოლმე უბედურ ტყვეებს ტიტველ მხარ-ბეჭზე.

სიცივისა, შიმშილისა და ხმელ იატაკზე პირუტყვივით გდებით არაქათგამოლეულნი და ბევრი ტირილისაგან თვალებჩალურჯებულნი ეყარნენ თავისთვის, ვინც სად მოხვედრილიყო. დაღვრემილნი, გულმოკლულნი და სასომიხდილნი, დამფრთხალი ნადირივით აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს თავიანთი მდგომარეობა თვითონაც არა სჯეროდათ... ხანდისხან ზოგიერთთა თვალებში იმედის ნაპერწკალიც აანთებდა, ალბათ, ეს იყო ნაყოფი ან მხურვალე ლოცვისა, ან ტკბილი ოცნებისა. მაგრამ დრო მიდიოდა, შველა კი არსაიდან სჩანდა და მოსალოდნელიც არსაიდან იყო. ირგვლივ პირქუში, მოუსვენარი, წამდაუწუმ ამავალ-დამავალი ზღვა სჩანდა. წინ წყალი, უკან წყალი, მარჯვენივ წყალი და მარცხნივ წყალი...

მაღალი ანძის ძირს ახალგაზრდა ტყვე ქალი იჯდა. ტანთ ეცვა შედარებით სუფთა, შინ მოქსოვილი ბამბის კაბა. თვალებზე ლეჩაქი ჩამოეფარა და თითქმის სულ ტიროდა.

ტიროდნენ და მოსთქვამდნენ სხვებიც. ოხერი კაცის გული ყოველგვარ მდგომარეობას, ყოველგვარ უბედურებას შეეგუებ-შეეთვისება. ზოგმა უკვე გამოიტირა თავისი თავი. ინაღვლა, იტირა, თავი ქვას ახალა... ბოლოს ხელი ჩაიქნია და მომავალს გულგრილად დაუწყო ყურება.

განსაკუთრებით ჩქარა შეეჩვივნენ თავიანთ ახალ მდგომარეობას ახალგაზრდები. თავდაპირველად ისინი სხვებზე მეტს სწუხდნენ, ბღაოდნენ, ხელებსა და ფეხებს აქნევდნენ, მაგრამ ისევ ჩქარა დამშვიდდნენ და ჩქარა სიცილ-თამაშიც დაიწყეს, თუმცა ხანდისხან გადაეკვროდა ბინდი მათ პირისახეს, გაახსენდებოდათ მშობლები, სახლკარი, სამშობლოს ველ-მინდვრები, აუტოკდებოდათ ახალგაზრდა გული, აემღვრეოდათ თვალები და ცრემლი, ცრემლი, ერთადერთი მათი ნუგეში, კამკამით ჩამოვარდებოდა იმათ ლოყა-ნიკაპზე.

— ჰასან, რა ვუყოთ, სულ ტირის და ტირის ის წყეული ქალი? მესამე დღეა, რაც ფოთი დავტოვეთ, და კიდევ არა ცხრება ის გიაურის შვილი, — სიცილით უთხრა ერთმა მეთვალყურემ მეორეს, — რჯულის მადლმა, ყურთასმენა წაიღო მაგის მოთქმა-წუწუნმა.

— გინდა, დავამშვიდო? მაგის ვაივუი მეც არ მაძლევს მოსვენებას. წუხელ ისეთ დროს გამომაღვიძა მაგის გოდებამ, ისეთი კარგი სიზმარი გამაწყვეტინა, რომ კინაღამ მივედი და გადავუჭირე ეს ჩემი მათრახი.

— ალბათ, ქმარი თუ აგონდება. ო... ხო, ხო, ხო!.. — უშნოდ დაიღრიჯა ოსმალო.

— ჩვენ აქ რა ვართ? ვითომ ჩვენზე უკეთესი ვაჟკაცი იქნებოდა მისი ქმარი? მართლმორწმუნე პირისახით რაც გინდ უშნო იყოს, გიაურს მაინც სჯობიან, — ამაყად წარმოსთქვა ჰასან მეთვალყურემ და მტირალ ქალს მიუახლოვდა.

— ეი, შენ, ჰაანუმ! ა, ჰაანუმ! თირილი რა თირილი, გაჩუმდა, გაჩუმდა... შენი არ... ესმის? — დამტვრეული ქართულით მიუბრუნდა ოსმალო მტირალ ქალს.

გაოცებულმა ქალმა პირისახეზე მიფარებულ ლეჩაქს გადასწია და შავგვრემანი, ცრემლით დანამული თვალებით ოსმალოს შემოხედა...

ვნებათა ღელვით გაბრუებულმა ჰასანმა ერთი ხელი ქალს მხარზე უბოდიშოდ დაადო და მეორე ძუძუებისაკენ წაიღო.

ქალმა შეჰკივლა, მოძალადეს ხელი ხელში სტაცა და ასადგომად წამოიწია, ოსმალომ კი ხელი კისერზე მაგრად შემოჰხვია და საკოცნელად მიიწია, მაგრამ ამ დროს ვიღაცას ხელი ისე მძლავრად მოხვდა ბეჭზე, რომ საჩქაროდ ქალს ხელი უშვა და გაცოფებულმა უკან მოიხედა. მის გვერდით ტყვე იდგა — ასე ოცდაათი წლის კარგა ჩასკვნილი ვაჟკაცი. ტანზე დახეული ჩოხა ეცვა, თავზე ნაბდის პატარა ქუდი ეხურა.

— შე ურჯულოვ, შენა! მაგას თავისი მწუხარება და დამცირება არ ეყოფა, რომ შენც ნამუსი არ ახადო? მაგის ლეჩაქი შენთვის დამიხურავს ემაგისთანა ვაჟკაცობისათვის, — დასჭყივლა თვალებანთებულმა ტყვემ.

— ოჰ, გიაურ! ვის უბედავ ხელის მიკარებას, — წამოიძახა ოსმალომ და ქამარში გარჭობილ შოლტისაკენ ხელი წაიღო, მაგრამ ტარზე ხელის მოკიდება და მომარჯვება ვერ მოასწრო, რომ გემის ბაქანზე პირაღმა გაშხლართული იწვა.

შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ტყვე ქალებმა წივილ-კივილი ასტეხეს. საჩქაროდ მოცვივდნენ მეთვალყურეები და უწყალოდ მოურთეს შოლტი მოჩხუბარ ტყვეს. გამწარებულმა ხელი გაიქნია. სწვდა ერთ-ერთ მეთვალყურეს, წაართვა შოლტი და თვითონაც გადუჭირა მარჯვენივ და მარცხნივ. რა თქმა უნდა, ტყვესაც ბევრი მოხვდა, ნახევრად ტიტველი ზურგი ბევრგან ლურჯად აებურთა, მაგრამ ორი-სამი მეთვალყურე მაინც კიდევ მიაწვინა. ამის შემყურე დანარჩენმა ტყვეებმაც ვერ მოითმინეს, წამოიშალნენ, დაავლეს ხელი რაც მოხვდათ...

ჩქარა გემის უფროსი, ვაჭრები და სხვა შეიარაღებული ბიჭებიც გამოჩნდნენ.

— რა ამბავია? რა მოხდა? დაწყნარდით, დაშოშმინდით! — იძახოდა ალი-უსუფი.

მათ დანახვაზე ტყვეები ცოტ-ცოტად დამშვიდდნენ.

— აი ამან, აი ამან, ეფენდი! — უთითებდა ერთი მეზღვაური ოფლში გაწურულ ზურგ გასისხლიანებულ ტყვეზე. — ამან ასტეხა ჩხუბი, მეთვალყურე ჰასანს სულ ცხვირიდან ძმარი ადინა.

— ეს ხომ ზაიდოლას ახალციხელია! — გაისმა რამდენიმე ხმა.

— უეჭველია, მაგი იქნება ამბოხების თავი... — ყვიროდა იბრაჰიმ. — დაჰკათ მაგას ასი შოლტი!..

— მოიცა, ნუ ჩქარობ, გავიგოთ, რაშია საქმე, — აუჩქარებლად წარმოსთქვა ალი-უსუფმა.

— ასი კი არა ორასი უკვე დაურტყამთ... მიზეზი უნდა ვიცოდეთ, — უკმაყოფილოდ ამბობდა ზაიდოლა.

— რაც გინდა იყოს, ასეთი მოვლე-

ნა გემზე მოსათმენი არაა! ერთი ორი ჩემი მეზღვაურთაგანიც ნაცემია, — ყვიროდა გემის უფროსი...

— შფოთის ამტეხს და უნამუსოს რატომ ორასიც არ ერგება? — დაიყვირა მოთმინებისაგან გამოსულმა ერთმა ჭაღარა ტყვემ. — ოსმალებო, თავს ნუ ირცხვენთ! უსამართლოდ ნუ ირჯებით! გვაკმარეთ ამდენი დამცირება, თორემ იცოდეთ, ჩვენც დავიღუპებით, მაგრამ თქვენც ამოგაყოფინებთ თავს ამ ზღვის უფსკრულში! სულერთია, რაღა დაგვრჩენია ამის მეტი! მაინც დაღუპულნი არა ვართ? ღვთისა და კაცისაგან განწირულნი და მოძულებულნი!

ჭაღარას სხვებიც მიჰყვნენ. ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ, ყველამ თავი წამოჰყო.

— დაე ყველას სათითაოდ ყელი გამოგვჭრან. რა დაგვკარგვია, ამ ქვეყნისა მაინც ხომ აღარა ვართ! — ყვიროდნენ ტყვეები.

— დაჩუმდით! დაწყნარდით! გამაგებინეთ, რაშია საქმე? იძახოდა ალი-უსუფი, მაგრამ არც ისე ადვილი იყო მოთმინებიდან გამოსულ, გააფთრებულ ტყვეთა დაცხრობა. როგორც იყო, ცოტ-ცოტად გამოირკვა შფოთის ატეხის ნამდვილი მიზეზი.

— არც ასე შეიძლება, ალლაჰს ვფიცავ, — დინჯად ამბობდა ალი-უსუფი, — ყოველნაირ საქციელს საზღვარი უნდა ჰქონდეს... ამ შემთხვევაში ჰასანი შემცდარია. დედაკაცს ისე აშკარად, ისიც დღისით, ამგვარად არ უნდა მოპყრობოდა.

— მოპყრობოდა კი არა, ხელითაც არ უნდა მიჰკარებოდა! — ცხარობდა ჩოფურა. — ჰასან ხომ ჩემი მეთვალყურე არ არის! რა უფლების ძალით ერეოდა სხვის საქმეში? მაგრამ ვიცი, ეს სულ იბრაჰიმის ოინებია!

— ერთი ჭკუაზე მოდი, და! — წამოჭარხლდა იბრაჰიმი. — ჩემი კი არა, თუ მათქმევინებ, შენი ოინებია. ორი წუთი კიდევ რომ დამცლოდა, შენს ახალციხელს ნარდში მოგიგებდი...

— მე მითხოვნია, შენმა მეთვალყურეებმა ჩემს ტყვეებს ხელი არ ახლონ, — ყვიროდა ზაიდოლა და ქამარში ჩარჭობილ ფიშტოს მალ-მალ სინჯავდა.

— გაგონილა? იწამეთ ალლაჰი! — ცხარობდა თავის მხრივ იბრაჰიმი. — კაცნო, ვერ გამიგია, რა ოინებს მწამებს ეს ადამიანი! ჩვენ ნარდს აი, იქ, გემის დარბაზში ვთამაშობდით, ფეხი იქიდან არ მომიცვლია...

— ერთი ახლა თქვენცა... როგორ გეკადრებათ, სოვდაგრებო! — ჩაერია გემის უფროსი. — პირველად მეც ტყუილად ავჩქარდი. სრულებით დამავიწყდა, რომ ეს გურჯები დაუცხრომელი ხალხია და მათთან სიფრთხილეა საჭირო. ღვთის გულისთვის, დაარიგეთ მეთვალყურეები, თორემ ხუმრობა იქით იყოს და ნუ გავაღიზიანებთ, თორემ საშიშია. როგორ გგონიათ? არ ყოფილა მაგალითი, რომ ტყვეებს გემი დაეღუპოთ?

— აი ჭკუა! მაშინ რად არ გახსოვდა, როცა ხალხს ტყვეების საცემრად იწვევდი? — დინჯად შენიშნა ეფენდი ალი-უსუფმა. — შენც ფიცხი კაცი ხარ. იცოდე, არავითარ საქმეში აჩქარება და აღელვება არ ვარგა. რამდენს მეტს იყვირებ და იშფოთებ, იმდენს უფრო გააფუჭებ საქმეს. მეთვალყურეებს სასტიკი ბრძანება უნდა მივცეთ, დედაკაცებთან განსაკუთრებით ძლიერ თავდაჭერილად იყვნენ. მივიდეთ, ბატონო, სტამბოლში, ფეხი დავდგათ დედამიწაზე და მერე, ვისაც როგორ მოესურვოს, შენს ტყვეს, თუ გინდ სცემე, თუ გინდ ტყავი გააძრე, ვინ გიშლის? იქ ქე მაინც, შენ მიერ ჩადენილ საქმეზე შენვე აგებ მარტო პასუხს. აქ კი, შე ოხერო, რას ამბობ, ერთი მრუდედ გადადგმული ნაბიჯით შეიძლება თავიც დაიღუპო და ამოდენა ხალხიც დაღუპო.

ალი-უსუფმა გემის უფროსთან ერთად ტყვეები დაიარა, ზოგს უსაყვედურა, ზოგს მოეფერა, ზოგს დაემუქრა და ერთი-ორი საათის განმავლობაში ყველანი დაამშვიდა. ■






დასაწყისი იხ. „გზა“ №24-39

რუსუდან ბერიძე

— როგორ? რით? — თითქმის ერთად წამოიძახეს ლაშამ და ნათიამ.

— ნუცა და ლალიკო სოკოს საკრეფად იყვნენ ტყეში და უკან ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ: მთელი კალათი მოაგროვეს. გზაში შემხვდნენ და ნაწილს გადმოგიყრითო, მითხრეს, მაგრამ მომერიდა და არ გამოვართვი. ეტყობა, ღმერთს ჯერ კიდევ აქ ვჭირდები, — პირჯვარი გადაიწერა ქალმა.

— მერე? — მოთმინების ძაფი გაუწყდა ლაშას.

— მერე მთელი სამი დღე სოფელში აღარ გამოჩენილან. მაგათი სახლი აგერ იმ კორტოხზე დგას, — ქალმა ხელი ამაღლებული ადგილისკენ გაიშვირა — ვიფიქრე, ჩამოსვლა დაეზარათ-მეთქი. მეოთხე დღეს ლალიკო თბილისში აპირებდა დაბრუნებას, სამსახური მეწყებაო. და იმ დღესაც რომ სოფელში თვალი ვერავინ მოჰკრა, გულმა რაღაც ცუდი მიგრძნო და მეზობლის ქალთან ერთად იქით ავაკითხე. ნეტავ, ფეხი მომტეხოდა და იქ არ ავსულიყავი. თავთავიანთ საწოლებში საწყლები უსულოდ იწვნენ. ეტყობა, სოკოთი მოიწამლნენ. ეტყობა, კი არა, ასე იყო.

— ეს ექსპერტიზამ აჩვენა? — დაინტერესდა ლაშა.

— რაო, შვილო? — ვერ გაუგო ქალმა.

— პოლიციას, ექიმს არ გამოუძახეთ?

— რომელი პოლიცია, შვილო, რისი ექიმი? ვერა ხედავ, სადა ვცხოვრობთ? ჩვენი გამკითხველი აქ მარტო მაღალი ღმერთია. ჰოდა, საწყალი ნუცა და ლალიკოც იმან წაიყვანა. ჩვენ კიდევ როგორც შეგვეძლო, პატივი ისე ვეცით და მიწას მივაბარეთ.

— ეს როდისღა მოხდა?

— სამშაბათს. ნახვიდან მეორე დღესვე დავასაფლავეთ. მეტი გაჩერება აღარ შეიძლებოდა, საწყლები უკვე ისეთ დღეში იყვნენ... ისე, ლალიკო კიდევ ჰო, მაგრამ ნუცასი კი ცოტა მართლა გამკვირვებია, ეს როგორ მოუვიდა? მთელი ცხოვრება სოკოს აგროვებდა... მაგრამ ეტყობა, მაგათი ბოლოც ეგ იყო. ხომ გაგიგონიათ, სიკვდილმა თქვა, კაცი ისე ვერ მოვკალი, მიზეზი არ ეპოვათო... — ქალმა თავი დანანებით გადააქნია.

— როგორ ფიქრობ, ესეც არეშიძის ჩადენილია? — ჰკითხა ლაშას ნათიამ სოფლიდან გამოსვლისას.

— ეჭვიც აღარ მეპარება. საკმარისია, ვინმემ იცნოს, რომ ის ადამიანი მაშინვე უცნაურ ვითარებაში იღუპება.

— მაგრამ ტატა ხომ არ იცნობდა არეშიძეს?

— ტატასთან დაკავშირებით სხვა ვარაუდი მაქვს. ეტყობა, ის ამ ამბავში ჩემს ჩასათრევად გამოიყენეს და როგორც კი თავისი საქმე გააკეთა, მაშინვე თავიდან მოიშორეს.

— რა საშინელებაა! და ახლა როგორღა აპირებ ამ მართლა შეშლილი არეშიძის მოძებნას? ხელჩასაჭიდი ხომ პრაქტიკულად არავინ და არაფერი დარჩა!

— რატომ? მისი მშობლები? ეჭვიც არ მეპარება, რომ მათ ზუსტად იციან, არეშიძე სად იმალება.

— შეიძლება, ასეცაა, მაგრამ შენ მაინც არ გეტყვიან.

— ვათქმევინებ. უფრო სწორად, ავუხსნი, რომ მათი შვილი უკვე ფსიქიკურად არაჯანსაღია და გარშემო მყოფებს დიდ საფრთხეს უქმნის. არა მგონია, არ დამიჯერონ. თუნდაც იმიტომ, რომ ამ საფრთხისგან უკვე თავადაც აღარ არიან დაზღვეულნი. კაცმა არ იცის, მათ შვილს კიდევ რა სიგიჟე მოუვა თავში...

ლაფაურს არეშიძეების ბინის კარი ნაცნობმა მოსამსახურემ გაუღო.

— ისევ შენა ხარ? — გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა ჟურნალისტი ქალმა. — რაღაც მოუხშირე აქ სიარულს, ხომ იცი.

— მოგესალმებით, ქალბატონო მარო, — შორიდან მოუარა ლაშამ.

— გაგიმარჯოს. ისევ არეშიძეების სანახავად ხარ, ხომ, მოსული?

— დიახ, სასწრაფოდ უნდა ვნახო.

— ისევ არ გაგიმართლა. ბატონი ლევანი საფრანგეთშია წასული ცოლის სანახავად.

— ძალიან სამწუხაროა, — შეწუხდა ლაშა.

— ცოტა ხნის წინ ტელევიზორში გნახე. აკი გაზეთში ვმუშაობო?

— ორივეგან ვმუშაობ, — ლამის მექანიკურად უპასუხა ქალს ფიქრებში წასულმა ლაშამ, რომელსაც თავში ახალმა აზრმა გაუელვა: — ბატონი ლევანის ბიძაშვილის ნახვა მაინც თუ შემიძლია?

— რომელი ბიძაშვილის? — გაუკვირდა მაროს.

— ვახტანგის მამის.

— აკი ადრეც გითხარი, რომ ვახუნას მამა საგიჟეთშია-მეთქი, — გაღიზიანდა მარო, — ჰოდა, თუ ასე ძალიან გინდა მისი ნახვა, იქ უნდა მიაკითხო.

— როგორ? მე ხომ მას ორი კვირის წინ ზუსტად აქ, ამ კარის ზღურბლზე ველაპარაკე და სრულიად ნორმალურიც მომეჩვენა.

— არ გეწყინოს, შვილო, მაგრამ მოჩვენებები დაგწყებია. ვახუნას მამა ამ სახლში მეც კი არასდროს მინახავს და შენ საიდან უნდა გენახა.

— დამიჯერეთ, ვნახე. მეტსაც გეტყვით, თავისი პასპორტიც კი მაჩვენა.

— რაღაც ძალიან მაგრად გეშლება, — მაროს ახლა უკვე თანაგრძნობა ჩაუდგა თვალებში, — იმ კაცს არ შეეძლო შენთან ლაპარაკი, რადგან საავადმყოფო ერთი წამითაც კი არ დაუტოვებია. თანაც, ეს რომ მართლა მომხდარიყო, აუცილებლად მეცოდინებოდა. ორი და თუნდაც სამი კვირის წინაც აქ ჩემი და ბატონი ლევანის გარდა არავინ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

— უცნაურია... — გაკვირვება ვეღარ დამალა ლაშამ. — მაშინ იქნებ, ის მაინც მითხრათ, შემთხვევით თავად ვახტანგს ხომ არ შემოუვლია მშობლებთან?

— ეგეც არ გაგიგია? — დანანებით გადააქნია თავი ქალმა. — ორი წლის წინ თვითმფრინავი ჩამოვარდნილა და მაშინ დაღუპულა ის უბედური...

არეშიძეებისგან წამოსულ ლაშას საბოლოოდ აებნა თავგზა. მას უკვე ვეღარაფრით გაერკვია, სინამდვილეში რა ხდებოდა: ვინ ავიაკატასტროფაში იყო დაღუპული, ვინ ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტილი და თავად მას ვინღა დახვდა და ელაპარაკა არეშიძეების ბინაში. „თუ ამ აბდაუბდაში პატარა სიცხადის შეტანას მაინც ვერ მოვახერხებ, მალე ალბათ, თვითონაც გავუზერავ“, — ფიქრობდა ქალაქის ფსიქიატრიული საავადმყოფოსკენ მიმავალი ლაფაური და

თან უკვე იმაზეც კი მკითხაობდა, იქ ვილა დახვდებოდა.

— შეიძლება? — საავადმყოფოს მთავარი ექიმის კარი ფრთხილად შეაღო მან.

— მობრძანდით, — მაშინვე შეიპატიჟა ჟურნალისტი შუახნის სანდომიანმა მამაკაცმა, რომელსაც სახეზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა, ხშირ წარბებქვეშ შემალულ თაფლისფერ თვალებში კი უნდო გამომეტყველება ჩასდგომოდა. — თუ არ ვცდები, ლაშა ლაფაური უნდა იყოთ, ხომ?

— ნამდვილად არ ცდებით.

— დაბრძანდით, — ექიმმა სკამზე ხელით ანიშნა ლაშას, — მაინც რამ შეგაწუხათ? არ მითხრათ ახლა, თქვენზე გადაცემის გაკეთება მინდაო...

— არა, მე... — დაიწყო ლაშამ, მაგრამ მასპინძელმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალა:

— ეტყობა, მარტო სულით ავადმყოფებილა აკლია დღევანდელ სატელევიზიო ეკრანს, ხომ? — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მან ლაშას. — თუმცა მე თუ მკითხავ, იქ სწორედაც რომ ჯანმრთელი ადამიანების სიმცირე უფროა. საერთოდ კი ახლა ყველაზე ძნელი იმის გარკვევა გახდა, ვინ ფსიქიკურად ნორმალურია და ვინ — არა. თუმცა მგონი, თემას გადავუხვიე. მაშ, რისთვის მობრძანდით?

— საქმე ისაა, ბატონო რეზო, რომ მე თქვენთან როგორც ჟურნალისტი კი არა, როგორც კერძო პირი, ისე მოვედი.

— გასაგებია. მაშინ ის მიბრძანეთ, როგორც კერძო პირი, აქ რამ მოგიყვანათ?

— თქვენს კლინიკაში მყოფი ერთი ადამიანის ამბის გაგება მინდოდა.

— აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე, — მცირე ხნით ჩაფიქრდა ექიმი და შემდეგ დასძინა: — საერთოდ, გარეშე პირებს ჩვენს პაციენტებზე ინფორმაციას არ ვაწვდით, მაგრამ ვფიქრობ, თქვენთვის გამონაკლისის დაშვება მაინც შეიძლება. ოღონდ ერთი პირობით: ჩვენი საუბარი ამ საავადმყოფოს კედლებს არ უნდა გასცდეს.

— რა თქმა უნდა, ბატონო რეზო. ის კი არა და, მეც ძალიან გთხოვთ, რომ არც თქვენ უთხრათ ვინმეს ამ საუბრის შესახებ.

ექიმმა ლაშას ცოტა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ მაინც დაეთანხმა:

— კარგი, ასე იყოს. კონკრეტულად მაინც ვინ გაინტერესებთ?

ლაშამ გვარი დაუსახელა.

— რამე მოხდა? — დაინტერესდა ექიმი.

— ძალიან ბევრი რამ მოხდა. და შესაძლოა, ეს სწორედ ამ ადამიანთან იყოს დაკავშირებული. მოკლედ, აუცილებლად უნდა გავიგო, რამდენად დიდია ამ ყველაფერში მისი როლი.

— გასაგებია, — ფეხზე წამოდგა ექიმი და მისაღებში მჯდარ მედდას არეშიძის ავადმყოფობის ისტორიის მოტანა დაავალა.

მედდა მალევე გამოჩნდა და მთავარ ექიმს საქაღალდე გადასცა, ამ უკანასკნელმა კი ჩანაწერს თვალით სწრაფად გადაურბინა.

— შიზოფრენია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, კატატონია... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია მან. — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ადამიანი სრულიად შეურაცხადია. თუ რამე არ მეშლება, მან ცოლის დაღუპვის გამო მიიღო ფსიქოლოგიური შოკი.

— მე ცოტა სხვა ამბავი მაქვს მოსმენილი.

— მაინც? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ექიმმა.

— არეშიძეს ცოლი კი არ მოუკვდა, სხვა მამაკაცთან გაექცა.

— შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ საკუთარი თავი დაარწმუნა იმაში, რომ ცოლი დაეღუპა. ეს სასტიკი რეალობისგან ერთგვარი თავდაცვითი რეაქციაა. როგორც ჩანს, ვერაფრით შეძლო იმის გადატანა, რომ ცოლმა მას სხვა არჩია და ამიტომაც ქალი მის წარმოსახვაში უბრალოდ მოკვდა.

— ამისგან განკურნება თუ არის შესაძლებელი?

— არა. მხოლოდ პროცესის დამუხრუჭება შეიძლება. ადამიანის ტვინი ხომ ელექტრონული მიკროსქემასავითაა. და თუ მასში ერთხელ რაღაც მოიშალა, „რემონტს“ უკვე აღარ ექვემდებარება.

— და თქვენს პრაქტიკაში გამოჯანმრთელების შემთხვევა არასდროს ყოფილა?

— რატომაც არა, იყო. ოღონდ მე ამას გამოჯანმრთელებას ვერ დავარქმევდი. უბრალოდ, მხოლოდ მდგომარეობის დროებითი გაუმჯობესება ხდება და ასეთი ადამიანი გარეგნულად სავსებით ნორმალურადაც კი გამოიყურება. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ დროებითია და მდგომარეობის ხანმოკლე გაუმჯობესებას კიდევ უფრო დიდი ჩავარდნა მოსდევს ხოლმე.



— არეშიძეს თუ დამართვია მსგავსი რამ?

— დროებით გამოჯანმრთელებას გულისხმობთ?

— დიახ.

— არა, რადგან მას გამღიზიანებლებზე რეაქციის სრული უქონლობა აღენიშნება.

— მაშინ გამოდის, რომ თქვენი საავადმყოფოს დატოვებაც არაფრით შეეძლო...

— ეს სრულიად გამორიცხულია, რადგან ასეთი პაციენტები ჩვენთან განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

„მაშ ვის დასჭირდა ლევან არეშიძის ბიძაშვილად თავის გასაღება და ამ მიზნით თვით მისი პასპორტის მითვისებაც კი?“ — ჩაფიქრდა ლაშა.

— კიდევ რა მაინტერესებს, იცით? — მიუბრუნდა ის შემდეგ მთავარ ექიმს. — ასეთი დაავადება შთამომავლობით, მაგალითად, მამიდან შვილზე თუ გადადის?

— აქაც ყველაფერი პირობითია, — გაეღიმა ექიმს, — უხეშად რომ ვთქვათ, „გიჟი“ ნებისმიერ ჩვენგანში ზის. ოღონდ, ზოგ ადამიანში ის პრაქტიკულად, ზედაპირზეა ამოსული, სხვების შემთხვევაში კი სიღრმეშია მიმალული. და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვისი სიგიჟე როდის ამოხეთქავს. ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ ზოგს დაუფიქრებლად ნასროლი სიტყვაც კი დენთის კასრივით აფეთქებს, ზოგი კი თავზე წისქვილის ქვის დატრიალებასაც კი უმკლავდება. ანუ ყოველ ცალკეულ ადამიანს ბევრისგან განსხვავებული, ასე ვთქვათ, მხოლოდ მისეული ემოციური აფეთქება სჭირდება, რათა მასში ფსიქიკური დარღვევა მოხდეს. უბრალოდ, იმ ადამიანებს, ვისი მშობლებიც ამ თვალსაზრისით უკვე ავად არიან, ფსიქიკური გადახრის მეტი შანსი აქვთ.

— ანუ სულ ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენი პაციენტის ვაჟს შიზოფრენიისადმი მიდრეკილება ჰქონდეს?

— სავსებით შესაძლებელია. თუმცა სულაც არ არის აუცილებელი, რომ ის მასაც ასეთივე ფორმით გამოუმჟღავნდეს.

— და მაინც, კონკრეტულად რაზე შეიძლება წავიდეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი?

— თუ პარანოია აქვს — ყველაფერზე.

— მკვლელობაზე წასვლა თუ შეუძლია?

— თავისუფლად. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შორს არის „კლინიკა“ წინ წასული. გატყობთ, თქვენ რაღაც კონკრეტული გაშფოთებთ, ხომ ასეა?

— დიახ, საქმე ისაა, რომ თქვენს პაციენტ არეშიძეს ვაჟი ჰყავს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ძალიან სერიოზული სამეცნიერო საქმიანობით იყო დაკავებული. თუმცა ბოლო დროს არათუ საქმიანობას, არამედ საკუთარ ადგილსამყოფელსაც კი ისე ასაიდუმლოებს, ისე გულმოდგინედ ემალება ადამიანებს, რომ ვფიქრობ, დევნის მანიით უნდა იყოს შეპყრობილი.

— რამე ჩაიდინა? — თითქოს უკვე პირდაპირ კითხულობდა ლაშას აზრებს ექიმი.

— ეს ჯერ მხოლოდ ჩემი ვარაუდია. უბრალოდ, მინდა ვიცოდე, შეუძლია თუ არა დევნის მანიით შეპყრობილ ადამიანს დანაშაულის ჩადენა?

— ანუ მკვლელობის ჩადენა, ხომ?

— დიახ.

— კი. ასეთი შემთხვევები ცნობილია და, თანაც, საკმაოდ ბევრი. პარანოიით შეპყრობილ ადამიანებს სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები აქვთ. და ეს ჰალუცინაციები მათთვის იმდენად რეალურია, რომ ასეთ მომენტებში თავის გაკონტროლება უბრალოდ არ შეუძლიათ.

„გამოდის, რომ სულ ადვილი შესაძლებელია, ვახტანგ არეშიძე პარანოიკი იყოს და მძიმე დანაშაულიც ჩაედინოს. თავისი გენიალური ტვინის წყალობით კი ყველაფრის ისე ორგანიზებაც მოეხერხებინა, რომ გარეგნულად მკვლელობა უბედურ შემთხვევას დამსგავსებოდა და ეჭვი არავის გასჩენოდა“, — დაასკვნა თავისთვის ლაშამ და შემდეგ ისევ მთავარ ექიმს მიუბრუნდა:

— კონსულტაციისთვის დიდი მადლობა, ბატონო რეზო. ბოლოს ერთი თხოვნა კიდევ მაქვს.

— ბრძანეთ.

— არეშიძის ნახვა თუ შემიძლია?..

ცოტა ხანში ლაშა და მთავარი ექიმი უკვე საავადმყოფოს გრძელ დერეფანს მიუყვებოდნენ, რომელიც უსასრულო თეთრ ლაბირინთს უფრო მიაგავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ექიმი ერთ-ერთ პალატასთან შედგა. კარის ოთხკუთხა ღიობში სქელი მინა იყო ჩასმული. მინის იქით, ოთახის შუაგულში კი მაღალი ასაკოვანი მამაკაცი იდგა და მოპირდაპირე კედელს გულმოდგინედ აკვირდებოდა. ლაფაური ამ ადამიანს პირველად ხედავდა...

— აქ მარტო აღარ დავრჩები, — უკვე ბავშვივით ჭირვეულობდა ნათია. — სულ პატარა ხმაურზეც კი შიშით გული მისკდება.

— სულ ტყუილად, — მის დამშვიდებას ცდილობდა ლაშა. — დღისით აქ ხელს არავინ გახლებს. მე ხომ ყველა საკეტი შევცვალე და ურდულიც დავაყენე.

— მერე რა?

— ის, რომ გარედან ამ კარის გაღებას ვერაფრით შეძლებენ, თუ, რა თქმა უნდა, კილოგრამი ტროტილი არ გამოიყენეს.

— აუ, რა დამამშვიდა?! შენ გგონია, იმათ კილოგრამი ტროტილის შოვნა გაუჭირდებათ?

— რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, ამას არ გააკეთებენ.

— ვითომ რატომ არ გააკეთებენ?

— იმიტომ, რომ ამ სახლში ჩემ გარდა კიდევ ათობით ადამიანი ცხოვრობს.

— სულ არ ენაღვლებათ, ვინ სად და რატომ ცხოვრობს. ასე რომ, მორჩა! ან ამის შემდეგ სადაც წახვალ, თან წამიყვან ან არადა, ცოტა ხანში მეც ისე გავუბერავ, როგორც შენი არეშიძე.

— კარგი, — მოკლედ მოუჭრა გოგონას ლაშამ, — მოემზადე, ამაღამ საქმეზე მივდივართ.

— რა საქმეზე? — შეცბა ნათია.

— ადგილზე ნახავ.

ლაფაურმა არეშიძეებთან პირველივე სტუმრობისას მიაქცია ყურადღება, რომ მათი ბინის შესასვლელ კარს უბრალო თურქული საკეტი ჰქონდა, რომლის გაღებაც ბავშვსაც კი არ გაუჭირდებოდა, და ახლა მათ სახლში მოხვედრა მანაც სწორედ ამ გზით გადაწყვიტა.

შუაღამე უკვე გადასული იყო, ლაშა და ნათია არეშიძეების სახლთან რომ აღმოჩნდნენ. სადარბაზოში მბჟუტავი ნათურა ენთო, ყოველი შემთხვევისთვის ლაფაურმა ისიც მოხსნა.

— რომ დაგვიჭირონ? — ძლივს წაიჩურჩულა შიშით აკანკალებულმა ნათიამ.

— თუ ფრთხილად მოვიქცევით, არ დაგვიჭერენ, — დაამშვიდა ის ლაშამ და არეშიძეების კარი საკმაოდ ოსტატურად გააღო.

— ეს სადღა ისწავლე? — გაოცება ვერ დამალა ნათიამ.

— სხვა დროს მოგიყვები. ახლა კი საქმეს მივხედოთ. — კარი ფრთხილად შეაღო ლაშამ და როგორც კი ორივე შიგნით შევიდა, ასევე ფრთხილად და უხმაუროდ მიხურა.

— აქ რა უნდა გავაკეთოთ? — მაინც ვერ ისვენებდა ნათია.

— ლევან არეშიძის ბლოკნოტი უნდა მოვძებნოთ. მოსამსახურე ქალმა მითხრა, ის იქ ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრებსა და სატელეფონო ზარებს ინიშნავსო. ასე რომ შენ აქ ეძებე, — საწერ მაგიდაზე ანიშნა მან გოგონას, — მე კი სხვა ოთახებს შემოვივლი.

ნათია მეცნიერის საწერ მაგიდაზე გაშლილი ქაღალდების დათვალიერებას შეუდგა.

— აქ არაფერია. მხოლოდ ლექციების გეგმები და საქმიანი ჩანაწერებია, — ხმადაბლა გასძახა მან მეორე ოთახში მყოფ ლაშას.

— წიგნის თაროებზეც მოათვალიერე, შეიძლება, იქ იდოს.

— აქაც არაფერია. უკვე ყველაფერი დავათვალიერე.

— კარგად მოძებნე. სადღაც აუცილებლად უნდა იყოს.

ორსაათიანი უშედეგო ძებნის შემდეგ ლაფაური ბედს დანებდა. ის და ნათია ტყავის რბილ სავარძლებში ჩაესვენნენ და კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ.

— იქნებ არეშიძეს ყველა ინფორმაცია კომპიუტერში შეაქვს? — სიჩუმე დაარღვია ბოლოს ნათიამ.

— არა მგონია. კომპიუტერი პირადი ჩანაწერების შესანახად ნაკლებად გამოდგება. ამისთვის ადამიანთა უმეტესობა ყოველთვის ბლოკნოტს ან რაღაც ამის მსგავსს იყენებს.

— ვითომ რატომმაო?

— იმიტომმაო, ჩემო კარგო, რომ რაღაცის სწრაფად ჩასაწერად ან ჩასანიშნად კომპიუტერი მოუხერხებელია. ის ხომ ჯერ უნდა ჩართო, მერე სისტემის ჩატვირთვას დაელოდო და ასე შემდეგ... ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება.

— გავიგე, — დატუქსული ბავშვივით მოიბუზა ნათია, — როგორც ყოველთვის, მართალი ხარ, მაგრამ ეს რაღაა?

— რა? — უხალისოდ ჰკითხა თვალებმილულულმა ლაშამ.

— აი, ეს, — ხელში აიღო გოგონამ რაღაც პატარა ნივთი, — მამაკაცის პორტმონეს ჰგავს.

ლაშამ თვალები გაახილა და ნივთს კიდევ უფრო უხალისოდ გადახედა:

— ეგ პორტმონეს კი არა, კალკულატორს უფრო ჰგავს. კი, ნამდვილად კალკულატორია.

ამასობაში ნათიამ „კალკულატორ-პორტმონე“ გახსნა კიდეც და ინტერესით დაუწყო თვალიერება.

— ნეტავ, კალკულატორს ანბანი რაღაში სჭირდება?

— რაო? — კინაღამ სავარძელი ამოატრიალა ფეხზე უსწრაფესად წამომხტარმა ლაშამ. — ნათუშკი, იცი, რომ ნამდვილი გენიოსი ხარ?

— რა მოხდა? — გაუკვირდა გოგონას.

— რა და სწორედ ეს არის არეშიძის ბლოკნოტი, ოღონდ — ელექტრო.

ლაშა უკვე სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, ნათია კი სიამაყით გაბადრულიყო. მერე ლაფაურმა ელექტროწიგნაკი ჩართო და მის მეხსიერებაში ქექვა დაიწყო.

— არის! — სიხარულით შესძახა მან. — აი, ერთი თვის წინანდელი ჩანაწერი: „ვახტანგი უნდა მოვიდეს. სახლში ადრე მოსვლა არ უნდა დამავიწყდეს“.

— ესე იგი, ლევან არეშიძე ყველას უმალავდა, რომ მისი შვილი ცოცხალია, მაგრამ რატომ?

— შეიძლება, ხვდებოდა, რომ ისიც ავად იყო და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვედრისგან იფარავდა... — ლაშა ელექტროწიგნაკის გულმოდგინე თვა-

ლიერებას განაგრძობდა. — აი, კიდევ ერთი ჩანაწერი. ლევან არეშიძე წერს, ვახტანგი ქუთაისში მიფრინავსო.

— გამოდის, რომ არეშიძე თბილისში უკვე აღარ არის, — თავისთვის ჩაილაპარაკა რომელიღაც ფოტოალბომის თვალიერებით გართულმა ნათიამ.

— შეიძლება, ასეცაა. თუმცა გაიგებ, მის დამთხვეულ ტვინში რა ხდება?

— მაშინ უკვე შენც აღარაფერი გემუქრება.

— არ ვიცი, არ ვიცი... არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ეს გიჟი მკვლელობას კი თვითონ გეგმავდეს, მაგრამ შესასრულებლად სხვებს ქირაობდეს.

— დარწმუნებული ხარ?

— რა თქმა უნდა, არა. ეს უბრალოდ ჩემი ვარაუდია. თუმცა...

— ერთი ამ ფოტოს შეხედე, — გააწყვეტინა უცბად ნათიამ ლაშას და ალბომი გაუწოდა.

ფოტოს, რომელზეც სამნი — ლევან არეშიძე, მისი მეუღლე ელენე და ვიღაც პირქუში მამაკაცი იყვნენ აღბეჭდილნი, ქვემოთ ასეთი წარწერა ჰქონდა: „გახსოვდეთ, რომ მე ყოველთვის თქვენ გვერდით ვარ. ვახტანგი.“

ლაფაურმა მამაკაცი მაშინვე იცნო: არეშიძეებთან მეორე სტუმრობისას მან თავი ლევან არეშიძის ბიძაშვილად გააცნო...

— ალო, კახა, შენა ხარ? — სიხარულით ჩასძახა ყურმილში ლაშამ. — რა კარგია, რომ სახლში დაგიჭირე... ლაშა ვარ, ბიჭო... ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს... კარგი, მოვდივარ...

ნახევარი საათის შემდეგ ლაშა და ნათია ქალაქის პრესტიჟულ უბანში მდებარე ერთ-ერთი ბინის კართან იდგნენ. აქ ადრე ცნობილი ჰაკერი კახა სხიერელი ცხოვრობდა. ლაშამ ის სრულიად შემთხვევით გაიცნო. ერთხელ, ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე გაიელვა ცნობამ იმის შესახებ, რომ ვინმე კახა სხიერელმა, მეტსახელად კახა ვერელმა ერთ-ერთი საიდუმლო უწყების მონაცემთა ბანკი „გატეხა“ და კარგა ხნით თავისუფლების აღკვეთაც ემუქრებოდა. ლაფაური რისი ლაფაური იქნებოდა, რომ ესოდენ საინტერესო შემთხვევა ხელიდან გაეშვა და ყველაფერი დაწვრილებით არ გაეგო. შედეგად კი გაირკვა, რომ სხიერელი კარგა ხანს თავადვე აფრთხილებდა ამ უწყებას — ინფორმაციის ძალიან სუსტი დაცვის სისტემა გაქვთ და დროზე მიხედეთო. მაგრამ როცა მისი გაფრთხილება ყურად არავინ იღო, უწყების დაცვის სისტემა თავადვე გამოიყვანა მწყობრიდან, რის შესახებაც სამართალდამცველებსაც თავადვე შეატყობინა. იმათაც არ დაახანეს და დააპატიმრეს. თუმცა ლაფაურის რეპორტაჟის შემდეგ, სადაც მან სხიერელი ფაქტებით დაიცვა,



იმდენად სერიოზული ხმაური ატყდა, რომ უცნაური ჰაკერი მალევე გამოუშვეს. მას შემდეგ ლაშა და კახა დამეგობრდნენ, თუმცა ერთმანეთის სამსახურით ერთხელაც აღარ უსარგებლიათ. ახლა კი ლაშა დარწმუნებული იყო, რომ მას მხოლოდ სხიერელი თუ დაეხმარებოდა. ამ ადამიანს ხომ მსოფლიოს ნებისმიერი საინფორმაციო ბანკის სულ თავისუფლად „გატეხაც“ კი შეეძლო.

კახა სხიერელის ბინა ჯაშუშურ ცენტრს მოგაგონებდათ. ყველგან პრინტერები, სკანერები და სხვა ორგტექნიკა იყო გაფანტული, საწერი მაგიდა კი პროგრამირებაზე დაწერილი წიგნებით, ლაზერული დისკებისა და დისკეტების კოლოფებით იყო გადაჭედილი. სხიერელი კომპიუტერის მონიტორთან ათენაღამებდა და ჭამა რომ არ ყოფილიყო საჭირო, ალბათ შინიდან ფეხს საერთოდ არსად გაადგამდა.

— შემოდი, ახლავე მოგხედავ, — ხელი გაუწოდა მან ლაშას, ნათიას კი მორცხვად დაუკრა თავი.

თმაგაჩეჩილი და წვერმოშვებული სხიერელი ტყიდან ახალგამოვარდნილს ჰგავდა. ნათიას დანახვაზე მან იმდენად დაიმორცხვა, რომ ჯერ — ჯიუტი თმის სწორება და ჭიპამდე ჩახსნილი პერანგის სასწრაფოდ შეკვრა, შემდეგ კი ოთახის მილაგებაც კი დაიწყო. თუმცა ლაშამ ის მაშინვე შეაჩერა, რადგან იქაურობის სულ ოდნავ მოწესრიგებასაც კი რამდენიმე დღე მაინც დასჭირდებოდა.

— მაშინ ყავას მოგიდუღებთ, — ახლა სამზარეულოსკენ გაიწია კახამ, მაგრამ ამჯერად უკვე ნათიამ იმარჯვა:

— თქვენ აქ საქმეს მიხედეთ, ყავას კი მე მოგიდუღებთ, — გაუღიმა მან დარცხვენილ მასპინძელს და სამზარეულოში გაუჩინარდა.

კახაც მაშინვე მონიტორს მიუჯდა, სასწრაფოდ გამორთო და შემდეგ ისევ ლაშას მოუბრუნდა:

— აბა, ახლა ამიხსენი, რამ შეგაწუხა?

— ძალიან სერიოზული საქმე მაქვს და უნდა დამეხმარო.

— თუ რამე შემიძლია, აგერ ვარ, ძმაო. მითხარი, კონკრეტულად რა გინდა?

— ერთ ადამიანზე ინფორმაცია უნდა მომაპოვებინო.

— ვინ არის ის ადამიანი? ბანკირი, პოლიტიკოსი, ქურდი თუ სულაც მკვლელი? — ისევ კომპიუტერისკენ შებრუნდა კახა. — რომელი ხაზით უნდა ვეძებო?

— ქართველი მეცნიერია, ოღონდ კარგა ხანს რუსეთის თავდაცვაზე მუშაობდა.

— კარგი, მომეცი მონაცემები და ახლავე შევამოწმებ.

რამდენიმე წუთში ეკრანზე შეტყობინება გამოჩნდა: „ინფორმაცია გრიფით „საიდუმლო“. ხელმისაწვდომობა შეზღუდულია“.

— რა გიყო, ძმაო, — ხელები გაშალა სხიერელმა, — ხომ ხედავ, რომ ჩვენი აქ შესვლა არ შეიძლება.

— ეგეთებში შესულხარ? — ლაშამ უკან მაინც არ დაიხია. — თვითონ არ მეუბნებოდი, ჩემთვის აკრძალვები და წინააღმდეგობები არ არსებობსო?

პასუხად კახამ ჯერ მხრები აიჩეჩა და მხოლოდ ამის შემდეგღა დასძინა:

— ცდა, რა თქმა უნდა, შეიძლება... მაგრამ თუ გაიგეს, რომ ეს მე გავაკეთე, ხომ იცი, თავს სადაც ამომაყოფინებენ...

— ჰოდა, მიდი, მოიფიქრე რამე! ჩემგან გესწავლება, რა უნდა გააკეთო, რომ ასე არ მოხდეს?

— მაქვს ერთი პატარა პროგრამუკა, — გაეღიმა კახას და თან ლაშას თვალი ეშმაკურად ჩაუკრა, — ორი დღის წინ „ვშობე“. ჰოდა, ახლა მოვსინჯავ. მგონი, რაღაც უნდა გამოვიდეს. — მან შემდეგ ლაზერული დისკი მოიმარჯვა.

ათიოდე წუთის შემდეგ დისპლეიზე ახალი შეტყობინება გამოჩნდა:

„ხელმისაწვდომია მხოლოდ სამსახურებრივი მოხმარებისთვის“. ამას მოსდევდა არეშიძის ბიოგრაფია, რომელიც ლაშამ უკვე ზეპირად იცოდა.

— იქნებ, ისიც მომიძებნო, კონკრეტულად რაზე მუშაობდა? — სთხოვა მან კახას.

სხიერელმა კლავიატურას ისევ სწრაფად გადაურბინა და დისპლეიზეც ახალი ინფორმაცია გამოჩნდა: „უახლესი სარაკეტო ტექნოლოგიების შემოღების საფუძველზე შეიარაღების ახალი სახეობების შემუშავება“, რასაც თითქმის მაშინვე კიდევ ერთი ცნობა მოჰყვა: „დაფინანსების შეწყვეტის გამო პროგრამა არ დასრულებულა. მონაცემები დაკარგულია“...

„აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე... — ჩაფიქრდა ლაფაური. — ეტყობა, არეშიძემ რაღაცნაირად მაინც მოახერხა პროექტის დასრულება და ახლა მისი მომავლის გამო ფრთხილობს. ფრთხილობს კი არა, უკვე კბილებითაც კი იცავს და ამიტომაც დაუნდობლად კლავს ყველას, ვინც მას ადრე იცნობდა ან ახლა იცნობს. ერთი სიტყვით, უკვე ნამდვილი გიჟია“...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# რომანტიკა თუ დანაშაული?!



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა" №31-39

სისხლმა ძარღვებში მოძრაობა შეწყვიტა და ერთ ადგილას გაჩერდა. კი არ გაჩერდა, ფიზიკის კანონის თანახმად, წინაღობა რომ დახვდა, ინერციით უკან დაიწყო დახევა, რამაც ჩემი „ალმურმოდებულობა" გამოიწვია. ლადოს დამფრთხალი კნუტივით მივაჩერდი, რომელმაც ნიკადან მზერა ჩემზე გადმოიტანა და ეთნოგრაფიული ინტერესით შემათვალიერა. ისეთი გაკვირვებული სახე ჰქონდა, თითქოს შვიდ საოცრებათაგან მის წინ ერთ-ერთი აღმართულიყო... ალექსანდრიის შუქურა... თუ ხეოფსის პირამიდა... თუ სემირამიდას დაკიდებული ბაღები...

— ახალი მსხვერპლია? — თვალი არ მოუშორებია ჩემთვის, ისე ჰკითხა ნიკას...

ჩემმა კავალერმა თავი ღიმილით გადააქნია და მოსულს ირიბად ახედა.

— ჰო... ნადირობის სეზონი გავხსენი. დაკმაყოფილდი? — უპასუხა და ნიკაპზე შენელებული მოძრაობით ჩამოისვა ხელი, თითქოს წვერს ივარცხნისო.

— ამისთანა ლამაზ გოგოს პატრონი არ გყავს? — უცნობმა ამჯერად შეკითხვა ჩემი მისამართით „გამოისროლა". ისედაც დაძაბული... და არეული... და გადარეული მთლად ავირდავირიე...

— შენ თუ რამე გაქვს სათქმელი, მითხარი, ლადო, მაგას შეეშვი, — ოლიმპიური სიმშვიდით შენიშნა ნიკამ.

— შე-ენ? შენ რა უნდა გითხრა, ბიჭო! საერთოდ, ხარ კი იმის ღირსი, რომ ხმა გაგცე? — ზიზღით აიმაღლა ხმა მამაკაცმა.

— ჰოდა, წადი მაშინ! — იმავე ტონით გააგრძელა ნიკამ.

— ნუ მასწავლი, რა უნდა გავაკეთო! ისიც გეყოფა, ჩემი და რომ მოინელე! გგონია, გაპატიე? ცხოვრების ბოლომდე არ მოგასვენებ, იცოდე! სადაც უნდა იყო და როგორც უნდა იყო!

— წადი, ლადო, შენს მაგიდას დაუბრუნდი! თუ რამე გაქვს სათქმელი, სხვა დროს შევხვდეთ და საღ გონებაზე ვისაუბროთ, პრობლემა არ არის.

— და რატომ ახლა არა? გგონია, მთვრალი ვარ?

— მე არაფერი მგონია. უბრალოდ, აქ სალაპარაკო სიტუაცია არ არის.

— არა, ხომ? იმიტომ, რომ შენმა ახალმა კონკიამ არ გინდა, სიმართლე გაიგოს?

ნიკას სახე გაუფითრდა. ერთიანად დაეჭიმა ძარღვები ყელზე და ნიკაპი აუცახცახდა. არც მე ვიყავი უკეთეს დღეში. „კონკიას" ხსენებამ საბოლოოდ გამანადგურა.

— წადი-მეთქი, მგონი, გასაგებად გითხარი! — მუქარით სავსე ხმით ამოთქვა ჩემი ოცნების მამაკაცმა და ფეხზე წამოიჭრა.

ორივენი ერთმანეთის პირისპირ მომუშტული ხელებით იდგნენ. არ ვიცი, რა მოხდებოდა, ამ დროს კიდევ ერთი უცნობი რომ არ გამოჩენილიყო, რომელიც მათ გაშველებას შეეცადა.

— რა გჭირთ, ხალხო, რა დღეში ხართ! — დაბალმა, ჯმუხმა მამაკაცმა ლადოს ხელი მხარზე მოხვია და იძულებით ძალით გაარიდა. — სად გგონია, ძმაო, თავი, რა ლაწირაკივით იქცევი, ამის დროა ახლა? წამოდი, გელოდებიან, სირცხვილია! — და შფოთის ხასიათზე მოსული „ძმა" ჯიკავ-ჯიკავით წინ გაიგდო, თან ბოდიში მოგვიხადა: — მე მაპატიეთ, თუ შეიძლება, ნასვამია და ვერ ზომავს. არ გეწყინოთ, თქვენი ჭირიმე!

კვლავ მარტონი დავრჩით... მე ნიკას მზერას არ ვაშორებდი, ნიკა — იატაკს... მე — გაოცებული და იმედგაცრუებული, ნიკა — განერვიულებული და... თავმოყვარეობაშელახული.

— შეგიძლია, ამიხსნა, აქ რა ხდება? — აღელვების დასაფარავად, ძალიან ხმადაბლა ვკითხე.

— არა! — მოკლედ მომიჭრა, თავი ასწია და თვალებით გამბურღა. — ეს შენ არ გეხება!

— არც კონკია? რიგით მერამდენე ვარ, ის მაინც მითხარი, — არ ვისვენებდი.

— შენ პირველი ხარ, ვინც ურიგოდ გამოვატარე, — ცალყბად გამიღიმა.

— ამისთვის დიდი მადლობა, — ხმა ამიკანკალდა...

ოღონდ ახლა ტირილი არ წამსკდეს, ოღონდ ახლა არა, ღმერთო!

— მადლობად არ ღირს... რაც უნდა მოხდეს, შენ ჯერჯერობით ჩემი კომპანიის თანამშრომლად ითვლები, ასე რომ... ნებისმიერ შემთხვევაში, გამარჯვებული მაინც მე ვარ.

— და მე?

მივხვდი, რომ ეშინოდა, ჩემთვის თვალი გაესწორებინა, ამიტომ კვლავ იატაკს „ჩაახუტა" მზერა.

— შენ... შენ წაგებული არ ხარ... საკმარისია?.. ძალიან გთხოვ, ახლა ეჭვიანი ქალივით სცენებს ნუ გამიმართავ... მოვა დრო და ყველაფერს აგიხსნი.

აღმაშფოთა მისმა პასუხმა. თავში მომაწვა საშინელი ტკივილი. თითქოს მარწუხები წამიჭირეს საფეთქლებზე... თან ძლიერი პულსაცია არ ჩერდებოდა... უფრო ძლიერი... კიდევ... კიდევ...

— ლოლა, კარგად ხარ? — მისმა შეშფოთებულმა ხმამ გამომაფხიზლა.

— არა, კარგად არ ვარ.

— მოდი, წავიდეთ აქედან, — თქვა და ოფიციანტს ანიშნა, ანგარიში მოგვიტანეო...

— წავიდეთ?

— ჰო, ახლავე! — სწრაფად წარმოთქვა და ხელი დამიჭირა. — მენდე, გთხოვ, — მერე ძლიერად მომიჭირა მაჯაზე თითები და გააგრძელა, — უბრალოდ, წარმოიდგინე, რომ საათმა თორმეტი ჩამოკრა და ჩვენი ეტლი მალე გოგრად გადაიქცევა. ასე არ არის იმ ზღაპარში?

— რომელ ზღაპარში, ჩემამდე სხვას რომ უყვებოდი? — არ დავინდე.

— შენ არაფერი იცი... ამიტომ ნაადრევად ნუ განმსჯი... გთხოვ... — მუდარით აევსო თვალები.

პირველად ვნახე ასეთი უმწეო და დაუცველი... ოფლით დაწინწკლოდა შუბლი... შემეცოდა... და შევიბრალე... და დავმორჩილდი...

მანქანაში ორივე ჩვენ-ჩვენთვის ვფიქრობდით. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მაგრამ ვერაფერს ვეკითხებოდი, სანამ თავად არ გაუჩნდებოდა ამის სურვილი. ვინ იყო ის გოგონა, ვისზეც ლადო ლაპარაკობდა? რა აკავშირებდა ნიკას მის დასთან? შემთხ-

ვევით, ეს ის მდივანი ხომ არ არის, ამ დღეებში რომ გაექცა? სახელი მაინც ეხსენებინათ, მარიკას ვკითხავდი და რაღაცას მაინც გავიგებდი... იქნებ თავად მიამბოს, რა ხდება? რას იზამს ახლა, კორპუსთან ჩამომსვამს და დამემშვიდობება? არა, ეს შეუძლებელია! ამას არ ვაპატიებ!.. მაგრამ რა პრეტენზიები მაქვს მასთან? სიყვარული ამიხსნა? რამეს შემპირდა? არც ერთი და არც მეორე... მაშინ რა მინდა? რისთვის უნდა მოვთხოვო პასუხი? იმისთვის, რომ ვიღაცას ჩემამდე გული ძალიან ატკინა? მერედა, მე ვინ მეკითხება?

ფიქრებიდან მანქანის დამუხრუჭების ხმამ გამომარკვია. ნიკამ რომელიღაც ვიწრო, ჩაბნელებულ ქუჩაზე გადაუხვია და ფარები ჩააქრო. მერე მთელი ტანით მობრუნდა ჩემკენ... სიბნელეში მხოლოდ მისი თვალები ანათებდა ფოსფორივით... მივხვდი, რაც უნდოდა. სანამ მოვიფიქრებდი, გამეპროტესტებინა თუ არა, დამასწრო, ჩემკენ გადმოიხარა და სურვილით აცახცახებულმა მკლავებში მომიქცია... სულმოუთქმელად მკოცნიდა... თავდაპირველად ვერ ვგრძნობდი, მსიამოვნებდა თუ არა მისი ცხელი მკერდის შეხება, მისი გაწაფული თითების მოუსვენარი მოძრაობა ჩემს სახესა და მკერდზე... მერე კი...

როგორ მომწყურებია მისი ალერსი... ჩემი სხეულის ყველა უჯრედი, ყველა წერტილი სასიყვარულო თამაშებს ყოფილა დანატრებული. მინდოდა, ყველაზე მიმალულ ადგილებს მისწვდომოდა მისი ტუჩები, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება განმეცადა, თითქოს უკანასკნელად ვხვდებოდი და დახარბებული ვიყავი... ერთადერთი, რაც უცნაურად მომეჩვენა, მისი ცივი ტუჩები იყო... რატომ უნდა ჰქონოდა ვნებით გახელებულ მამაკაცს ტუჩები ცივი?

— მინდიხარ... — წარმოთქვა ჟინმორეულმა და სწორედ ამ ერთი სიტყვით გააფუჭა ყველაფერი...

წამსვე მოვეგე გონს და ხელი ვკარი, რომ მომეცილებინა.

— წავიდეთ! — ყინულივით ცივი ხმით განკარგულება გავეცი.

— მოიცა... კიდევ ცოტა ხანს... — სუნთქვაგახშირებულმა ძლივს დაილაპარაკა.

— წავიდეთ, ახლავე! — ოდნავადაც არ შევარბილე ტონი.

მაშინვე გასწორდა და საზურგეს მიეყრდნო... ერთხანს ორივენი ჩუმად ვისხედით.

— მაპატიე... ველარ გავაკონტროლე თავი, — დახშული ხმით დაიწყო თავის მართლება.

— ეგ არაფერი, — რბილად ვუთხარი, — თავის გაკონტროლება შენზე არანაკლებ გამიჭირდა, — „სოლიდარობა“ გამოვუცხადე, თუმცა ტონი არც ახლა შემიცვლია.

მძიმედ ამოიხვნეშა, მერე თავი უკან გადასწია და ოდნავ ჩემკენ შემოაბრუნა.

— შეიძლება, ერთი რამ გთხოვო?

— თხოვნას გააჩნია.

— ამაღამ ჩემთან დარჩი.

— არა, ეგ გამორიცხულია.

— და პირობას გაძლევ, ახლოსაც არ გაგეკარები. უბრალოდ, მარტო არ მინდა ყოფნა... გთხოვ.

პასუხისგან თავი შევიკავე.

— ძალიან გთხოვ...

— არ ვიცი... — ამოვიოხრე.

— გემუდარები... ცუდად ვარ, ლოლა, ძალიან ცუდად, გესმის?

— მესმის...

— ჰოდა. დარჩი, კარგი? სახლში ვერ წავალ, დედაჩემის თავი არ მაქვს... ეგრევე შემატყობს, რაც მჭირს და კითხვებს დამაყრის...

გადაწყვეტილება ჩემდა გასაკვირად მივიღე:

— კარგი, დავრჩები, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით.

— არა, მაგ პირობას ვერ მივიღებ! — მიმიხვდა. — უფრო სწორად, სხვა დროს, ოღონდ ამაღამ არა, ნუთუ არ შეგიძლია, გამიგო?

— შემიძლია...

— ესე იგი, ჰო-ო?

— ჰო, — მივუგე და „სიცელქის“ დროს ჩამოშლილი თმის გასწორებას შევუდექი.

— დავლიოთ რამე? — ოთახში რომ შევედით, ნიკამ მკითხა.

— გაქვს დასალევი? — ჩანთა დივანზე მივაგდე და ფეხსაცმელი გავიხადე, რომელმაც ფეხი ძალიან მატკინა.

— შენ რა, ორივე ფეხზე გაცვია? — ღიმილით მომიტრიალდა.

— აბა? არ უნდა მეცვას? — გავიოცე.

— რა ვიცი... მეგონა, ცალი კიბეზე გაგძვრა... წესით, ასე უნდა მომხდარიყო...

— დღეიდან აღარ ვარ კონკია, — სევდა გავურიე ნათქვამს და თვალი თამამად გავუსწორე.

თითქოს ტყვია მოხვდაო, ისე შეირხა... ნაკვთები გაუქვავდა...

— და აღარასდროს მომმართო ასე! — შეუვალი ვიყავი.

ორი ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ... ფეხშიშველმა ორი ნაბიჯით მეც უკან დავიხიე... კიდევ გადმოდგა... კიდევ დავიხიე...

— ხომ შემპირდი, ახლოს არ გაგეკარებიო? — ჩურჩულით შევახსენე.

— მე კონკიას შევპირდი, შენ კი არა, — შეცვლილი ხმით მითხრა და მომიახლოვდა.

უკან დასახევი აღარ მქონდა... კედელს ავეკარი. ახლა რომ კოცნის უფლება მიმეცა, თავს ველარ მოვერეოდი...

— გეშინია? — ნიშნის მოგებით აზიდა წარბები.

— არა, — თავხედურად ჩავხედე თვალებში.

— და გინდა, ასე დამტოვო? — უფრო ახლოს მოვიდა და შუბლი შუბლზე მომადო. მისი ცხელი სუნთქვა სახეში მცემდა.

— როგორ ასე? — ჩემი ჩურჩული მე ძლივს მესმოდა.

— გომბეშოდ... შენ ხომ გახვედი ზღაპრიდან... მე რა ვქნა? მაშინ კვლავ ადამიანად მაქციე. ამის წამალი მხოლოდ შენ იცი, — ლაპარაკ-ლაპარაკში მკლავებზე წამეტანა.

— არ ვიცი... რა უნდა გავაკეთო? — ათრთოლებულმა ხელისგულები მკერდზე მივაბჯინე, რომ შემეჩერებინა.

— უნდა მაკოცო... თან ეს უბრალო კოცნა არ გეგონოს... ამ კოცნით სიყვარული უნდა გამოხატო, — მისმა ხელებმა ნელ-ნელა ჩემი ყელისკენ აიწია.

— არ მიყვარხარ, — ვიცრუე.

— მატყუებ... და შენ უკეთ იცი ეს, — ძლივს გასაგონად ლაპარაკობდა, თან ცხვირით ჩემს თმაში „დახეტიალობდა“, — მაგიჟებს შენი სურნელი... შენი სურნელი... მანგოც... ალოეც... ავოკადოც... მაგნოლიაც... კიდევ? დამეხმარე, თორემ ველარ ვიგონებ.

— ხახვი! — ჩემსავე ნათქვამზე ამიტყდა სიცილი, არადა, რა დროს სიცილი იყო!



— ხახვი-ნიორი-კამა-ოხრახუში, — ერთ სიტყვასავით სხაპასხუპით მიაყარა და უეცრად შემიშვა ხელი, — დამცინი, არა?

— არა, ნიკა, რა სისულელეა... გავიხუმრე მხოლოდ...

— სახუმაროდ მშვენიერი დრო შეარჩიე.

— მაპატიე... ვიფიქრე...

— დამცინი... და ახია ჩემზე... — აინუნშიც არ ჩააგდო ჩემი თავის მართლება, — იცი, როგორ მინდოდა, დღეს შენთვის საუკეთესო საღამო მეჩუქებინა? ვერც კი წარმოიდგენ... სამწუხაროდ, არ გამომივიდა... ამასთან ერთად, შენი ნდობაც დავკარგე... ალბათ სამუდამოდ.

— ამ საღამოს შენ ბევრი ფული დაკარგე და არა ჩემი ნდობა, — შევუსწორე.

— ფულის დედაც... ერთადერთი რამ არ მინდა... შენს თვალში ნაძირალა გამოვჩნდე.

— არც მიფიქრია, — თვალები დავხუჭე, არ შემეძლო, მისი გასაცოდავებული სახის ყურება.

— მინდა, ერთი რამ იცოდე. შენამდე კონკია არასდროს ყოფილა! არავისთვის მიმიმართავს ასე, გეფიცები... ეს იმას უნდოდა, კონკია ყოფილიყო. მთხოვდა, ასე დამიძახეო... მე კი ამ სახელს მისთვის ვერ ვიმეტებდი... ვერც ერთ ქალს ვერ მოვარგე... ერთის გარდა... ის ერთი კი შენ ხარ.

მესიამოვნა მისი სიტყვები, რომელიც რატომღაც, შორიდან ჩამესმა. თვალები გავახილე. დივანზე იჯდა ჩემგან მოშორებით და თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა.

— სხვისი ნათხოვარი კაბებით დადიოდა, სანამ გავიცნობდი... მერე ავავსე საჩუქრებით... დავხუნძლე... ზედმეტი მომივიდა ალბათ... ამიტომაც მიტირა დედა...

ხმას არ ვიღებდი, ფეხის მონაცვლებასაც ვერ ვბედავდი, არ გავაწყვეტინო-მეთქი... არადა, მარცხენა ფეხი დამიბუჟდა. თითების ამოძრავება ვცადე, თუმცა, ამან არ მიშველა...

— ქალი შემაძულა საერთოდ... მისი ასაკის ქალი...

— რამდენი წლის იყო? — შეკითხვა თავისით გამექცა და ენაზე ვიკბინე, თუმცა უკვე გვიან იყო.

— ალბათ შენი ხნის... დაახლოებით, — მიპასუხა და დადუმდა, კარგა ხანს სიტყვა არ დაუძრავს.

— მერე? — ველარ მოვითმინე.

— სხვა დროს იყოს... ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მოდი, დავლიოთ, — ბოლო წინადადება ხმამაღლა წარმოთქვა, მუხლებზე დაიტყაპუნა ხელისგულები, წამოდგა და ოთახიდან გავიდა... ალბათ სამზარეულოში... ალბათ სასმლის მოსატანად.

დრო ვიხელთე და ფეხი მოვინაცვლე... როგორ მომეშვა...

— ეს ბინა იმიტომ ვიქირავე, რომ ვერავინ მომაგნოს. განსაკუთრებით იმ ადამიანებმა, ვინც მის თავს მახსენებს, — შემობრუნდა თუ არა, გააგრძელა, თან მაგიდაზე ბოთლი და ჭიქები შემოდგა, — მის გამო საუკეთესო ძმაკაცი დავკარგე. იმ პერიოდში ასე მეგონა, ყველაფერი დამთავრდა... მეზიზღებოდა ჩემი თავი... მას მერე ქალის არ მჯერა... მათ შორის არც შენი... მაპატიე, მაგრამ ასეა. ყველა ქალს ერთი რამით აქვს ტვინი გაცხელებული... არ გეწყინოს... ისე შეგიძლიათ კაცის დალალატება, თვალსაც არ დაახამხამებთ, თუკი მას ვერაფერს გამორჩებით.

შეპასუხება არ მიცდია. შეიძლება, სადღაც მართალიც იყო. გამორჩენის მიზნით ბევრი ქალი ცდილობს მამაკაცთან დაახლოებას, თუმცა ამ მხრივ არც კაცები არიან გამონაკლისები.

— მოდი, ამ უცაბედად „ირიბად დაცურებულ“ ღამეს გაუმარჯოს, კარგად რომ დაიწყო და ცუდად რომ გაგრძელდა... იმედია, ლამაზად დამთავრდება. — ორაზროვნად წარმოთქვა და ჭიქა გამომიწოდა.

ახლოს მივედი და გამოვართვი. ფეხი ჯერ კიდევ მიბჟუოდა. მის პირდაპირ დავჯექი... შევხედე... შავბნელი აზრებით დასძაბოდა მამაკაცური შუბლი... ღარები გასჩენოდა თითქოს...

— გაუმარჯოს! — ვთქვი მეც.

ორივემ თითქმის ერთდროულად დავლიეთ... და ერთდროულად დავცალეთ... და ერთდროულად დავიჭყანეთ... და გაგვეცინა... ერთდროულად...

— ერთიც? — ქვემოდან ამომხედა.

— ერთიც, — თავი დავუქნიე და ახლა მე ჩამოვასხი.

ღიმილით ადევნებდა თვალს ჩემს ხელს. „კაცურად“ ჩამოვასხი, არაფერში „ჩავჭრილვარ“.

— გენაცვალე მაგ თითებში! — შესძახა და ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა.

მეორე ჭიქა უსიამოვნოდ გადავიდა ყელში... წამიც და მომეკიდა სასმელი... ცუდ გუნებაზე დავდექი... გულიც დაიღალა კონიაკით დამძიმებული სისხლის ძარღვებში მიმოქცევით... თანდათან დაგროვებული ბოლმა უეცრად ერთად მომაწვა... ახლა სამყარო ყველაზე საზიზღარ სიტყვებს მოისმენს... რომელსაც მე ვიტყვი... სიძულვილით... მონანიებით... სისასტიკით სავსე აღსარებას... და ნიკა ამ „წმინდა“ წუთების მოწმე გახდება...

— მე კიდევ მამაკაცებს ვერ ვიტან! იმიტომ, რომ ყველა კაცი ერთნაირია! დალალატება შეუძლიათო... თქვენ უქმნით ამის პირობას და იმიტომ... გამორჩენა უყვართო... არ იცით ყურადღების ფასი და იმიტომ... — „ვაჯაზებდი“ ჩემთვის. — და საერთოდ, ქალის ფასი არ იცით... მათი მოტყუება ერთი სიტყვით შეგიძლიათ... ერთი შეხედვით... ისინიც იჯერებენ, ბოლომდე იხარჯებიან თქვენ გამო და მერე კონკიასავით იმედის თვალით ელოდებიან ზღაპრის კეთილ დასასრულს... რომელიც არა და არ დგება... და არც არასდროს დადგება... იმიტომ, რომ კონკიები მარტო ზღაპრებში არიან... რეალობაში კი მხოლოდ იმედგაცრუებული ქალები არსებობენ, — მონოლოგი დავამთავრე და იმწამსვე მივხვდი, რომ ჩემმა უაზრო „აღსარებამ“ შვება ვერ მომგვარა... პირიქით, უარესად გამიფუჭა გუნება...

თვალებგაფართოებული მისმენდა. მერე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა... მერე კედელთან შეჩერდა, ზურგით მიეყრდნო და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. ხმას არ იღებდა...

— ცოტა შევთვერი... ჯობია, წავიდე, — ჩავილუღლუღე და ავდექი...

ნიკა კედელს მოშორდა... მომიახლოვდა... მომეხვია... ჩემს ლოყას ახსოვდა მისი ლოყა... ხელს — მისი ხელი... თითქოს ერთხელ უკვე იყო ასე... საუკუნის წინ... როცა პირველად მოვედი ამქვეყნად... მაშინაც ეს ოთახი იყო... ასეთივე დაძაბული და სამარისებური სიჩუმე იდგა... მაკოცა... ტუჩები ცივი ჰქონდა... ესეც მახსოვს... მგონი, დეჟავიუ განვიცადე... სახე ავარიდე.

— არ გინდა, — ვთქვი.

— რატომ?

— არ გინდა, — თავმოყვარეობის გამო ვთქვი ეს... არადა, ამწუთას ვის სჭირდებოდა ჩემი თავმოყვარეობა, ვის დაჰკარგოდა...

ნიკაპქვეშ საჩვენებელი თითი ამომდო და თავი ამიწია... მერე თვალებშუა გამიტარა მზერა და შიგ სულში ჩამიძვრა... შემდეგ ხელი კვლავ შემიშვა... შებრუნდა და ფანჯარას მიუახლოვდა...

— წადი... ნება შენია... — გულგრილად წარმოთქვა.

როგორც ჩანს, ჩემსას მივაღწიე — ისედაც უსიამოვნო საღამო უარესად უსიამოვნო გავუხადე... ფიქრებით მოფერება დავუწყე... ვეუბნებოდი ყველაზე თბილ სიტყვებს... და ყველაზე ნაზს... და ყველაზე სასიამოვნოს... და ყველაზე საჭიროს... ისეთ სიტყვებს, რომლებიც არასდროს მითქვამს მისთვის... და, როგორც ვატყობდი, ალბათ ვერც ვერასდროს ვეტყოდი...

თვალებით ფეხსაცმელს და ჩანთას დავუწყე ძებნა... როგორ არ მინდოდა წასვლა...

ხომ გაგიგონიათ, თავს ზევით ძალა არ არისო? ეს ის მდგომარეობაა ალბათ, როცა ძალა ერთ მხარეს გექაჩება, შენ კი სხვა მხარეს იწევ... მე ვიყავი ახლა ამ მდგომარეობაში...

გასასვლელისკენ დავიძარი... როგორ დამმძიმებია სხეული... თვალის ქუთუთოებიც... ცრემლებმა დაამძიმა ალბათ... და სევდამ...

— დარჩი! — ნიკას ხმამ ოთახი ექოსავით გაავსო.

აი, ახლა კი ვიგრძენი შვება... სხეულიც მსწრაფლ შემიმსუბუქდა... თვალის ქუთუთოებიც, იმიტომ, რომ ცრემლებმა გზა ლაწვებისკენ გაიკვლიეს... შვების ცრემლებმა...

„დარჩი!“ — რა ლამაზი სიტყვაა... რა საყვარელი... რა სასურველი... რა საჭირო... და დროული...

— წამო, თეთრეულს მოგცემ, გამოიცვალე, — ცივ-თბილი ხმით საძინებელში შემიძღვა.

— იყოს, არ მინდა ახალი, რაც არის, იმაში ჩავწვები, — მორჩილი ბავშვივით მივყევი უკან.

— იმაში სხვა იწვა. არ მინდა, სხვის ნაწოლში ჩაგაწვინო, გასაგებია? — მკაცრად მომიგო და გარდერობი გამოაღო. — აქ არის, შენ თვითონ აიღე! — მერე თავჩაღუნულმა გვერდით ჩამიარა, რომ ჩემი ცრემლების მიზეზი არ ეკითხა. — თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე...

ახლა რა დამაწვენდა ან რა დამაძინებდა! ან რა მომასვენებდა! — თეთრეული საწოლზე მივაგდე და უკან გამოვედი. ნიკა დივანზე იჯდა და კონიაკს წრუპავდა.

— წყალი წასულა, დაბანა გამორიცხულია, — თქვა ჩემს დანახვაზე.

— არა უშავს, ავიტან... მარტო სვამ? — მივედი და გვერდით მოვუსკუპდი.

— ჰო.

— მეც დამისხი.

— არ გინდა, დათვრები და მერე უარეს სისულელეებს მომახლი.

— მაშინ არც შენ დალიო.

— აბა, რა ვაკეთო?

— ვილაპარაკოთ.

— რაზე?

— რა ვიცი, რამეზე.

— შენ რა დედაჩემივით მელაპარაკები... იმანაც ასე იცის — ნიკაკო, ვილაპარაკოთ რამეზე, — ხმა ქალივით დაიწვრილა და მიმიკითაც ქალს მიჰბაძა.

თავი ვერ შევიკავე და გულიანად გავიცინე. ისიც ამყვა. როგორ უხდებოდა სიცილი... მის შუბლზე აღბეჭდილი შავბნელი აზრები სადღაც გაქრა, სახეზე ნათელი გადაეფინა.

— მაშინ შენს იტალიურ გარდერობზე ვისაუბროთ, — გამხიარულდა.

— ოოოჰ! არ გვინდა! — კეკლუცად გავაპროტესტე.

— აბა, რა გინდა? არ მითხრა ახლა, კიდევ ხათუნაზე მომიყევიო, თორემ გავგიჟდები!

ჰოპ! არის! სახელი წამოსცდა. ამის მოსმენა მინდოდა მხოლოდ! ხვალ ყველაფერს გავარკვევ... უმისოდაც. მოვკვდები და მიწიდან ამოვიღებ ინფორმაციას, ქვეყანას შევაწრიალებ და გავიგებ, რა დაუშავა ასეთი მას ხათუნამ, თუ მან ხათუნას!

— არა, არ მინდა, — დაყვავებით ვუთხარი და თავი მხარზე დავადე.

— დაგამძიმე ამ საღამოს, არა? ჩემი ბრალია... სხვაგან უნდა წამეყვანე, შევცდი.

— არა, რა სისულელეა, უკვე დამავიწყდა, რაც მოხდა.

— კი, როგორ არა! დაგიჯერებ!.. დედიკოსაც ასე ატყუებ ხოლმე?

დედაჩემის მოულოდნელმა ხსენებამ შემაკრთო. წელში გავსწორდი და ჩავახველე.

— მე დედა არ მყავს... — ჩუმად ვთქვი.

— არ გყავს? ეგ რა მითხარი... მაპატიე... — თავი უხერხულად იგრძნო და შეწუხებულმა მხარზე მომხვია ხელი. — დიდი ხანია?

— თერთმეტი წელია... მამამ გამზარდა... და ბებიამ... და ბაბუამაც...

— ესე იგი, მართლა კონკია ყოფილხარ.

— ჰო, ოღონდ ნათხოვარი ტანსაცმლით არ დავდივარ, — წარბები ავზიდე.

— აბა, ეს იტალიური კაბები საიდან? კეთილი ჯადოქრის ჯოხის აქნევით?

— იტალიიდან. ზოგს ბებია ყიდულობს, ზოგსაც — მე თვითონ... რომში.

— სამოგზაუროდ დადიოდი?

— არა, დედა იყო იტალიელი. ბებია-ბაბუა იქ ცხოვრობს.



— მართლა? გადამრიე! რა გვარის დედა გყავდა?

— გატუზო... ბაბუა რომში ცხოვრობს, ბებია სიენადან არის, იქაც აქვთ სახლი.

— რას ამბობ! მაფიოზი ბაბუა გყოლია, გატუზოებს მთელი კლანი აქვთ, იცი?

— ვიცი, მაგრამ ჩემებს მაგათთან საერთო არაფერი აქვთ, — გავიღიმე.

— ესე იგი, „მაფიოზა“ კონკია ხარ, არა?.. ოოო! გამოდის, თითის აწევით უნდა გელაპარაკო, თორემ თუ გაწყენინე, დამბრიდავენ, — ხუმრობდა ნიკა.

— ასე რომ, ჭკვიანად იყავი, — ავკისკისდი.

— არადა, ერთ ულამაზეს ფრანგს ჰგავხარ ძალიან... იტალიელს, თანაც მაფიოზის — ისე რა.

— ვის ვგავარ? — მივხვდი, ვისაც გულისხმობდა, მაგრამ ვითომ ვერ მივხვდი.

— სოფი მარსოს, ჩემი ოცნების ქალს.

— მართლა ვგავარ? მერედა, ამას მიმალავდი აქამდე?

— ვიფიქრე, თავში არ აუვარდესმეთქი.

— უკვე ამივარდა... შენამდე იცი, რამდენმა მითხრა?

— ვხვდები და ამიტომაც არ გეუბნებოდი. არ მინდოდა, სხვების ნათქვამის გამეორება... ცოტა თვალების ფერშია განსხვავება.

— გააჩნია, რა მაცვია... მუქ ფერებში თვალებიც მიმუქდება.

— ვიცი, ბრმა არა ვარ... იტალიაში ხშირად დადიხარ?

— ყოველ წელს თითქმის... წელს ველარ წავედი მხოლოდ, მამა იყო ცუდად და...

— მამას რა დაემართა?

— ინფარქტი... უნივერსიტეტიდან დაითხოვეს და ინერვიულა, ამიტომაც მჭირდებოდა სამსახური.

— გასაგებია... ყველაფერი გა-სა-გე-ბია... — დამარცვლით ჩაილაპარაკა და უეცრად მომიტრიალდა.

— მოდი, ახლა ერთს გაკოცებ და წადი, დაიძინე, თორემ შენი სიახლოვის ატანა აღარ შემიძლია. ცუდად მხდი.

მისი სიტყვებისგან თვალსახეგაბრწყინებულმა პირ-ცხვირი მივუშვირე. მაკოცა... მოწყურებულად... ხანგრძლივად... ვერ მელეოდა... და ეგრევე გაუცივდა ტუჩები! რა უცნაურია...

— კარადაში ახალთახალი პიჟამა დევს პარკში, ქალის. იარლიყი მოაცალე და ჩაიცვი. ხვალ კი თან წაიღე, გჩუქნი, — ჩურჩულით მითხრა და ცხვირით ლოყაზე გამეხახუნა.

თვალებით მივეფერე და „ჩემს ოთახს“ მივაშურე. ტანთ გავიხადე, სამკაულები მოვიხსენი, უკვე ნაჩუქარი ლურჯი პიჟამა ჩავიცვი და ლოგინში შევხტი. შუქი არ ჩავაქრე... ყოველი შემთხვევისთვის... პირობა კი მომცა, მაგრამ ნასვამი კაცის ნდობა შეიძლება?.. რა ვიცი...

თვალები დავხუჭე... ახლა არაფერზე შემეძლო ფიქრი, მაგრამ ხვალ... რაღაცრაღაცებს აუცილებლად გავარკვევ და მერე ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენ. ხვალ ყველაფერი სხვანაირად იქნება, თუ... ამაღამ კიდევ არ მოხდა რამე...

უეცრად თითქოს რაღაც გაფხაჭუნდა. შეშინებულმა თავი წამოვწიე... დავინახე, როგორ ნელა ჩამოიწია კარის სახელურმა... გულმა ბაგაბუგი დამიწყო... დაუკაკუნებლად შემოვა? ამას არ იზამს! საწოლზე წამოვჯექი და კარს მივაშტერდი... მოლოდინმა გული გადამიწურა... ის აჭიანურებდა შემოსვლას... კარის გაღებასაც... დაკაკუნებასაც... მე კი ათრთოლებული ველოდი მის გამოჩენას... და იმას, რაც მერე უნდა მომხდარიყო... შინაგანად მზად ვიყავი ამისთვის... ალბათ, გაცნობის პირველივე დღიდან... უბრალოდ, არ ვაღიარებდი აქამდე, რადგან ბოლომდე საკუთარ თავთანაც არ ვიყავი გულახდილი... არასდროს... ეს კარგია თუ ცუდი?.. არ ვიცი...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# შეცდომა თუ მცდარი ვერსიის გასწორება

## თათარაშვილი, ხიზანიშვილი, მამულაშვილი...

ჟურნალ „გზასთან“ ერთად „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემას მკითხველთა დიდი მოწონება ხვდა და, ყალბი თავმდაბლობა გვერდით რომ გადავდოთ, შეგვიძლია, სიამაყით ვთქვათ, რომ პროექტმა გაამართლა: უამრავი ადამიანი, მათ შორის ახალგაზრდები, გაეცნენ ქართული პროზის მარგალიტებს, ბევრმა კი ერთხელაც წაიკითხა საყვარელი მწერლების ნაწარმოებები.



იეთიმ-გურჯი-დაბლიშვილი-დაბალიშვილი-მედაბლიშვილი



უიარაღო-თათარიშვილი-თათარაშვილი

კრიტიკა რომ ყველა საქმეს სჭირდება, ეს ახალი ამბავი არ არის; ცხადია, კეთილგანწყობილ და ჯანსაღ კრიტიკას ვგულისხმობთ და ჩვენც არაერთხელ მადლიერებით მიგვიღია და გაგვითვალისწინებია ჩვეულებრივი მკითხველისა თუ პროფესიონალი ლიტერატორების შენიშვნები.

ამ მცირე წერილის დაწერა ჟურნალის დღევანდელ ნომერთან ერთად გამოსულმა, „საგანძურის“ 32-ე ტომმა (უფრო სწორად — წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ანონსმა) გვაფიქრებინა, რომელმაც ზოგიერთი განსაკუთრებით ყურადღებიანი მკითხველის ინტერესი გამოიწვია და სხვადასხვა ინტერნეტფორუმსა და სოციალურ ქსელში თავისი შენიშვნები მოგვწერა; არც რედაქციაში დარეკვას დაგვზარდნენ და „შეგვისწორეს“ — რომ „მამელუკის“ ავტორი, უიარაღოს ფსევდონიმით ცნობილი ქართველი მწერალი, კონდრატე თათარაშვილი იყო და არა თათარიშვილი. წყაროდ, უმეტესობა ქართული სამაძიებლო სისტემას — Google-ს მიუთითებდა. ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ არათუ ამ და სხვა ბევრ ინტერნეტრესურსში, არამედ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“ უიარაღოს ნამდვილ გვარად „თათარაშვილია“ მითითებული, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამჯერად ჩვენ მიერ არჩეულ ვერსიას შეცდომად ვერ ვაღიარებთ. ხანდახან, თუ საკმაოდ ხშირადაც, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც“ ცდებოდა — Google-სა და სხვა არააკადემიურ ინტერნეტგვერდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ საკითხს: უიარაღო 1929 წელს გარდაიცვალა და მის სიცოცხლეში გამოცემულ წიგნებს სწორედ „თათარიშვილი“ აწერია და არა „თათარაშვილი“, რასაც ვერ იტყვი იმავე პერიოდის ჟურნალ-გაზეთებზე, სადაც ორივე ვარიანტია გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოთეკებშიც „თათარიშვილზე“ უნდა მოძებნოთ, თუკი უიარაღოზე რაიმე ლიტერატურას ეძებთ, და თვით ჩვენი ახალგაზრდა მკითხველის (ძირითადად ახალგაზრდებმა დაგვირეკეს, რაც თავისთავად სასიამოვნოა) „საყვარელ“ ინტერნეტშიც (იმავე Google-ში), თუკი „კონდრატე თათარიშვილს“ მიუთითებთ, არანაკლებ ინფორმაციას მიიღებთ. სხვათა შორის, ქართულ ფსევდონიმთა ლექსიკონიც „ჩვენს“ ვარიანტს ემხრობა.

მიზეზი, ცხადია, ძნელი მოსაძებნია. ვფიქრობთ, ეს უმეტესად იმიტომ მოხდა, რომ „თათარაშვილი“ უფრო გავრცელებული გვარია საქართველოში, ვიდრე „თათარიშვილი“. ამიტომ ერთხელ ვიღაცას შეეშალა, მერე სხვამ გადაწერა, მერე კიდევ სხვამ არ მიაქცია ყურადღება ამ შეცდომას და ა.შ.

ეს რომ ასეა, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ უიარაღოს მაგალითი ერთადერთი არ არის ქართულ ლიტერატურაში (და საერთოდ, სინამდვილეში): ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და ისტორიკოსის, „ივერიის“ ერთ-ერთი წამყვანი ავტორის და თვით დიდი ილიას პირადი მეგობრის, ნიკოლოზ ურბნელის ნამდვილ გვარადაც, ხან „ხიზანაშვილს“ წერენ დღემდე და ხან „ხიზანიშვილს“ (ალბათ, აქაც იმავე მიზეზის გამო: ის კაცი ხიზანაშვილი იყო, მაგრამ „ხიზანიშვილი“ უფრო გავრცელებული გვარია საქართველოში).

„თბილისის ტრუბადურად“ წოდებული იეთიმ-გურჯის შემთხვევაც ანალოგიურია: ზოგან „დაბლიშვილად“ მოიხსენიებენ, ზოგან „დაბალიშვილად“ და ზოგან სულაც — „მედაბლიშვილად“.

სხვა, ნაკლებად ცნობილ ლიტერატორებზე აღარაფერს ვიტყვით და ყველაზე ცნობილით — იოსებ გრიშაშვილით დავასრულებთ თემას: ნახეთ ენციკლოპედია, ნახეთ სხვადასხვა გამოცემა და ნახეთ ინტერნეტრესურსებიც — „მამულაიშვილის“ გვარად, აქაც, როგორც დასახელებულ შემთხვევებში, უფრო გავრცელებული — „მამულაშვილია“ ნახსენები.



იოსებ გრიშაშვილი-მამულაიშვილი-მამულაშვილი



ნიკო ურბნელი-ხიზანიშვილი-ხიზანაშვილი

გარდა უკვე აღნიშნული მიზეზისა, შეამჩნევდით, რომ შეცდომები ყოველთვის ისეთ მწერლებთან დაკავშირებით არის დაშვებული, რომლებიც ძირითადად ფსევდონიმებით სარგებლობდნენ.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, კიდევ ერთხელ ვარწმუნებთ მკითხველს, რომ კვლავაც დიდი ყურადღებით მოვეკიდებით მსგავს საკითხებს და დიდი მადლიერებით მივიღებთ მათ ყველა მოსაზრებასა თუ შენიშვნას.

■


„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“
ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!
მსოფლიო დეტექტივების სეიფი
საქმე №17
ფრიდრიხ დიურენმატი
ავარია
საქმე №16
4-დან - 11 ოქტომბრამდე
ჟორჟ სიმენონი
ყვითელი ძაღლი
ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)
საქმე №18
11 ოქტომბრიდან
ბუალო – ნარსეჟაკი
ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს
უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1-დან - № 15-მდე
(ჯეიმს ჰედლი ჩეიზი, ართურ კონან დოილი, სიდნეი შელდონი, აგათა კრისტი, ჯადსონ ფილიპსი, როს მაკდონალდი, ჯონ დიქსონ კარი, ჯო ჰორზი, დეშილ ჰემეთი, ბორის აკუნინი, ჩარლზ პ.სნოუ, დიკ ფრენსისი, რაიმონდ ჩანდლერი და სეიტო მაცუმოტო )
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

# გზავნილები

*მარი ჯაფარიძე*

გულთბილი სალამი მკითხველს და სრულიად გულწრფელი ბოდიში ერთ ტაქსის მძღოლს... თუ „გზავნილებს“ კითხულობს, იქნებ ცოტა გულზე მოეშვას და გაბრაზებამ გაუაროს. მოკლედ აგიხსნით, რა მოხდა: მკითხველს უნდა ახსოვდეს ჩემი ერთი „სიტუაცია“, სადაც იმის შესახებ ვყვებოდი, როგორ წავაგე „ჯოკერში“ ტაქსის მძღოლად მუშაობა და „თავანი“ პირნათლად ჩავაბარე. ჰოდა, დღეს ეს ჩვენი „პროვოკატორი“ (გზის პირველ გვერდზე „პროვოკაციებს“ რომ „აცხობს“) მოვიდა და მეუბნება, შენთან ერთმა ტაქსის მძღოლმა რაღაც დამაბარაო. თურმე, როდესაც გაუგია, რომ მისი მგზავრი „გზის“ თანამშრომელი იყო, უთქვამს: კაცო, ვინ ყოფილა ეს მარი ჯაფარიძე, ლამის დამღუპა კაციო... პროვოკატორი რის პროვოკატორი იქნებოდა, თუ საქმის ვითარებას არ იკითხავდა? ჰოდა, თურმე აღმოჩნდა, რომ ეს ტაქსის მძღოლი ერთ მშვენიერ დღეს დაუყაჩაღებიათ. ამას უთქვამს, ბიჭებო, მთელი დღეა დავდივარ და 15 ლარზე მეტი ვერ ვიშოვე, მოგცემთ ამ სიმწრით ნაშოვნ თანხას და თავი დამანებეთო. შენაო, ძია კაცო, შემთხვევით ხომ არ გაჟრიალებსო? — ყაჩაღებს უკითხავთ. — ჟურნალ „გზას“ არ კითხულობ? ჟურნალისტი რომაა, მარი ჯაფარიძე, იმან ნაძლევი წააგო და ერთი დღე იტაქსავა, 300 ლარი გააკეთა გამოუცდელმა გოგომ და შენ, გამოცდილმა ტაქსის მძღოლმა 15 ლარზე მეტი ვერ იშოვე? ეგ ხომ აბსურდიაო... მოკლედ, ამ ჩვენს პროვოკატორს კარგად უცინია... ტაქსის მძღოლს კი უთქვამს, მარის გადაეცი, მითხრას, სად ტაქსაობდა, იქნებ მეც 2 „კაპიკი“ ვიშოვოო. აი, ასეც ხდება თურმე... ახლა თუ ის ყაჩაღი ამას კითხულობს, ვთხოვ, გამომეხმაუროს... ნუ შეეშინდება, პოლიციაში არ „ჩავუშვებ“, უბრალოდ, მაინტერესებს, როგორ გამოიყურება ჩემი ფანი, რომელიც ტაქსის მძღოლებს აყაჩაღებს. ახლა კი თქვენს მესიჯებს მივხედოთ:



# უთანასწორო ქორწინება

## ქორწინება-განქორწინება

„უთანასწორო ქორწინებაზე ერთი, მგზავნელებში ძალზე ცნობილი და პოპულარული ამბავი გამახსენდა: ერთ პატარა, გამხდარ, არაპროპორციულ, რომ ჰკითხო „ბრედ პიტ“ ბიჭს ქალაქელი, საკმაოდ ლამაზი, შეძლებული და კარგი ოჯახის შვილი გოგო შეუყვარდა. მერე მეგობრებს მისი ტელეფონის ნომერი მოგვცა, გაიცანით, რა გოგო დავისაკუთრეო. გოგო საკმაოდ ლამაზი სულის ადამიანი აღმოჩნდა, ბიჭი კი... ერთ დღეს შეკრება დათქვეს, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა. ხინკალმა, რომელიც ხინკლის გარდა ყველაფერი იყო და ლუდმა თავისი ქნა. ლაპარაკის სალერღელი აუშალა ამურის ისარგაყრილ ჭაბუკს და ლუდისგან აწითლებულ გოგონას მიმართა: გოგოვ, ძალიან მამწონხარ, მიყვარხარ და გაფასებ, ცოლად უნდა მოგიყვანოო... დარბაზში, სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ველოდით გოგოს „თანახმა ვარს“... ჯერ მამწონხარ, სწორად თქვი და დავფიქრდებიო, გოგოც არ ჩანდა გულგრილი. აკოცეს, ჩაეხუტნენ ერთმანეთს და მინინიშნობაც შედგა. ბიჭმა სმას უმატა და „ნასკი გამხადე, ქალოო“ არ უთქვამს, თორემ დაგულებულ გოგოს ახლა უკვე სხვანაირად აუჭიკჭიკდა... რესტორნიდან მე — მეჯვარემ და ნეფე-პატარძალმა სიძესთან გადავინაცვლეთ, რომ გეკითხათ, ქეიფის გასაგრძელებლად... სახლში არავის არაფერი სცოდნია, მოსალოდნელი ქორწილისა და ერთკაციანი მაყრის შესახებ. :) სიძის მამამ იქ ამბავი დაატრიალაააა?! სულ მაგიდაზე აპარტყუნა ხელები და ჩქარა წადით აქედანო, გვიყვირა. — ქმარო, — ხმაშიკანკალშეპარულმა პატარძალმა ქმარს მიმართა, რომელიც ისეთი მთვრალი იყო, თვალებს ძლივს ახელდა... ახლა წადით და ხვალ, ხვალ მოგიყვან ცოლადო, ამოილუღლუღა. წავიყვანე ატირებული, გათხოვილ-განქორწინებული გოგო ჩემთან და გავათენებინე ქორწინების პირველი ღამე. :) ჩემი მეგობარი აღარ მელაპარაკება, შენ წამართვი ცოლიო. ჩემი ბრალი იყო რამე? რა ვიცი, რა ვიცი... :) რუისპირი (YELLOW)“.

## იმედი ბოლოს კვდება

„დათოს ერთიანად აეწეწა ცხოვრება. მამა თაღლითობისთვის დაიჭირეს, გაჭირვებით გამოიყვანეს ციხიდან. მერე ისევ დაიჭირეს, მაგრამ ამჯერად უძლურები იყვნენ, უფულობის გამო. დედამ მალე საყვარელი გაიჩინა და მასთან ერთად წავიდა. დათოს მხოლოდ ბებია დარჩა, ისიც გამუდმებით ეჩხუბებოდა, სწყევლიდა, სისხლს უშრობდა. ბიჭი გაბოროტდა, აღარ იცოდა, რა ექნა და ისევ თვითონ უშველა თავს. თბილისში წავიდა, ხატების გაყიდვა დაიწყო და როგორღაც ირჩენდა თავს. თავისუფალ დროს, ხშირად ახალგაცნობილ მეგობრებთან ერთად ატარებდა. იქ ერთი გულთბილი გოგო გაიცნო და თავის გულისნადებს მას უმხელდა. გოგოს ძალიან ეცოდებოდა, ამხნევებდა და ყოველთვის პოულობდა ისეთ სიტყვებს, დათოსთვის სულ პატარა იმედი მაინც რომ ჩაესახა. დათოს დღითი დღე აოცებდა გოგო, უფრო მეტად კი მაშინ გააკვირვა, როცა სთხოვა, ცოლად მომიყვანეო. დათოს შერცხვა, გაუკვირდა და ძლივს ამოთქვა სათქმელი: ხომ იცი, რა მდგომარეობაც მაქვს, მაგას როგორ მთხოვო? მაგრამ ნატომ მის კითხვას კითხვა დაახვედრა: ჩემ მიმართ რას გრძნობო? ბიჭმა გულახდილად გაუმხილა, რომ მისნაირ გოგოზე ვერც კი იოცნებებდა. ნატო ძალიან გაახარა პასუხმა. მაშინ მომიყვანე ცოლად და ჩემთან ვიცხოვროთ, სანამ მუშაობას დაიწყებო. დათოს არ უნდოდა სხვის ხარჯზე ცხოვრება, მაგრამ ნატო არ მოეშვა და დაოჯახდნენ. ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ნატოს ყოველდღე მეგობრები მიჰყავდა შინ, დათო უშლიდა, მაგრამ არ ემორჩილებოდა, ჩემს სახლში რასაც მინდა, იმას ვიზამო, ეუბნებოდა. ეს სიტყვები გულს უკლავს საბრალოს. სიდედრთანაც სულ უთანხმოება ჰქონდა. ყოველდღე ჩხუბობდნენ. დანგრევის პირასაა მათი ოჯახი. დათოს შინ დაბრუნებაც არ უნდა, მაგრამ ღვთის წყალობით სამსახური იშოვა და ბინის ყიდვა დაისახა მიზნად. ცოლი ძალიან უყვარს და იმედი აქვს, როცა მარტო იცხოვრებენ, ბედნიერები იქნებიან. იმედი ხომ ბოლოს კვდება. ლუნა“.

## მისის და მისტერ სმიტები

„მარი 19 წლის, ნიჭიერი, პერსპექტიული ჟურნალისტი და უბრალოდ, ლამაზი გოგონა იყო. სულ ერთი სემესტრი სწავლობდა ჩვენთან. ისეთი მკაცრი და მიზანსწრაფული იყო, ეტყობოდა, რომ ყველას „გადაუვლიდა“, საკუთარი სურვილისთვის. დიდად არ მოვწონდი, რადგან ყოველთვის ლექტორების ფავორიტი ვიყავი და მეჯიბრებოდა სწავლაში. ამიტომ ვერ დავმეგობრდით, მაგრამ მისმა არჩეულმა გზამ საკუთარი ოცნებებისკენ გული ისე დამწყვიტა, თითქოს ახლობელი დავკარგე. მარი „ოცნების ქვეყნიდან“ ჩამოსულ, 40 წლის, მსუქან, ბლანჟეიან, მელოტ და კიკინიან ბიძიაზე გათხოვდა. არასდროს დამავიწყდება ფოტოები, რომლებზედაც ნორჩი პატარძალი ღიპიან სიძეს ცუდად დაფარული ზიზღით კოცნის, თითებზე აელვარებულ ბრილიანტებს კი ხელში დაკავებული ბოკალის მოძრაობით უსვამს ხაზს. 1 კვირის შემდეგ ახალგამომცხვარი მისის სმიტი ქართულად გამარჯობასაც აღარ ამბობდა. 1 თვეში კი სამუდამოდ დატოვა საქართველო. მანამდე კი ლექციებზე მოსულმა აღნიშნა: მე ამერიკაში მივაღწევ იმას, რომ ყველა ქართველს შეშურდეს ჩემიო. უთანასწორო კი არა, ამაზრზენი იყო ეს ქორწინება. მისტერ სმიტმა ფულით იყიდა ახალგაზრდა მეუღლე, მარიმ კი დიდი მიზნის მისაღწევად დიდი (120 კგ-იანი) საშუალება გამოიყენა. ეჰ... პარიჟანკა“.

## აშენებული და ნასწავლი

„ახალი სასწავლო წლის დადგომასთან ერთად, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარდა, აქტიურ და შეიძლება ითქვას, ზედმეტად აქტიურ ცხოვრებას შეუდგნენ რეპეტიტორები... ბავშვების მიზიდვის პრინციპიც განსხვავებულია. ზოგი დაბალი ფასით ცდილობს მოსწავლეების მიზიდვას, ზოგი პირიქით, — მაღალ ფასს ადებს, იფიქრებენ, ძალიან მაგარი ვარ, ძვირსაც იმიტომ ვიღებ და ავშენდებიო... ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია — იმდენი აბიტურიენტი დადის თითოეულთან, შეიძლება მისული უკან გამოგაბრუნონ, ადგილი აღარ გვაქვსო... მეც, უნარების 2-საათიანი, საკმაოდ დამღლელი გაკვეთილის შემდეგ სახლში ვბრუნდებოდი, ვირისტვინნაჭამი სიფათით, კუჭი კი ძლივსღა ითმენდა ამდენ უჭმელობას და „სასწრაფოს“ „სირენასავით“ წივილით მემუქრებოდა, როცა ძველ ჰობის მივმართე და „მარშრუტკის“ მოლოდინში, ხეზე გაკრული განცხადებებას კითხვა დავიწყე... ერთ-ერთი რეპეტიტორი ბავშვების მიღებას აცხადებდა. გადავწყვიტე, დამერეკა და მივსულიყავი. სახლში მისულმა კუჭი დავამშვიდე და ტელეფონის ნომერი ავკრიბე. — ალოო! — და ენა ჩამივარდა... ცოტა ჩახლეჩილი, მაგრამ საოცრად ქალური, ნაზი და რომ იტყვიან, „სექსი“ ხმა ჰქონდა და მივხვდი, რომ ის ის იყო, ვისაც ჩემთვის ცოდნა უნდა გაეზიარებინა. შაბათს, დილით მოდი, დავილაპარაკოთ, დღეები და საათები შევათანხმოთო. როგორც წესი, ყველგან ვაგვიანებ ხოლმე, მაგრამ 9 საათზე მისასვლელი 7:30-ზე მივედი, მომავალ „მასწთან“. ცოტა ხანს ველოდე და ზარი დავრეკე. კარი მაღალმა, გამხდარმა და საოცრად საყვარელმა ქალმა გააღო, მოდიო, მითხრა და გამიღიმა. ერთი კი ვიფიქრე, ამისთანა გოგო გასათხოვარი ვინ დატოვა-მეთქი, რომ ოთახიდან დაბალი, ნახევრადმელოტი, ნახევრადშიშველი და ძალიან ბანჯგვლიანი კაცი გამოვიდა. ეს ჩემი ქმარიაო, საშინლად არადამაჯერებელი ღიმილის დართვით დასძინა ელენე „მასწმა“... ელენე კიდევ უფრო მაგარი ქალი გამოჩნდა ქმრის გვერდით... სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს უნდა მევლო, ვინაიდან შაბათი დასვენების დღეა, დილით მოდი 9-ზე და დავიწყოთო... პირველი გაკვეთილის მსვლელობისას იმავე ოთახიდან მაღალი, გამხდარი და საკმაოდ სიმპათიური ყმაწვილი გამოვიდა — ეს ჩემი ბიძაშვილიაო, გამაცნო. ყოველ გაკვეთილზე (იშვიათი გამონაკლისის გარდა), იმავე ოთახიდან სულ მამიდაშვილ-ნათლულ-მეგობარ-მაზლიშვილები გამოდიოდნენ. ერთ დილასაც, ჩვეულებრივად მივედი გაკვეთილზე და ჩემმა, მარადსტუმრიანმა მასწავლებელმა მკითხა: ცუდად გამოვიყურები? — პირის გაღებაც აღარ დამაცადა, ფურცელი გამომიწოდა და ჩქარა, აფთიაქში გაქანდი და ეს წამალი მიყიდე, მულიშვილი გამიხდა ცუდად, გთხოვ, იჩქარეო... მეც გავრბოდი. გეფიცებით,

ისეთი სისწრაფით მივქროდი, „03“ შემირცხვენია... შევედი აფთიაქში, სასწრაფოდ ავადმყოფისთვის მჭირდება წამალი, გამატარეთ-მეთქი, მივწიე რიგში მდგომი ხალხი და ფარმაცევტს ფურცელი გავუწოდე, ეს წამალი მინდა-მეთქი... ახალგაზრდა, თეთრხალათიანმა გოგონამ გულიანი კისკისი ატეხა და პაკეტი გამომიწოდა. ჩემი „მასწის“ სახლის წინ ბირჟა იყო, მივესალმე ბიჭებს. ამ დროს ერთ-ერთმა გამაჩერა და მკითხა: ძმაო, ხშირად გხედავ ამ სახლში და რამდენს იხდიო? 80 ლარს თვეში, კვირაში სამჯერ მოვდივარ-მეთქი, ამაყად ვუპასუხე... ვააა, ჩვენ რა, მდიდრები გვნახა? შენ ყოჩაღ, ძმაო, იაფს გართმევს, მიდი, მიაწექიო. თქვენც დადიხართ-მეთქი? ვიკითხე, ვინაიდან ჩემს „მასწს“ ნათქვამი ჰქონდა, შენს მეტი მოსწავლე არ მყავსო. რას ამბობ, ძმაო, ნახევარი თელავი მაგასთან დავდივართ, მაგის დავაჟკაცებული ვართო, თქვა და გულიანად ახარხარდა, ეს ხარხარი კი ჩემს ხელში დანახული წამლის სახელწოდების წაკითხვამ, მუცლის ტკივილის გამომწვევ სიცილად აქცია... „იან-გერრონ-2“ — პოტენციის ასამაღლებელი წამალი ყოფილა, მულიშვილისთვის... ის ბანჯგვლიანი კაცი მართლა მისი ქმარი ყოფილა, ერთ-ერთი ცნობილი საადვოკატო ფირმის თანამშრომელი, დიდი ღიპითა და უუუფრო დიდი რქებით თავზე. აი, ასეა, რა, რისი შნოც არ გაქვს, ის არ უნდა მოინდომო კაცმა... ერთი რამ კი, ცხადია: ჯერ ასე არასდროს გამხარებია გაკვეთილზე წასვლა. იცით, რამდენი რამე ვისწავლე უკვე? გაიხარე, შაშკინ! პ.ს. ავშენდი, ხალხოოო! რუისპირი (YELLOW)“.

## საშინელი საიდუმლო

„ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ჩემთვის ვიჯექი და ძალიან ახლო ნათესავი (თითქმის ერთად გავიზარდეთ) გვერდით მომიჯდა. უჩვეულო დაძაბულობით მითხრა, რაღაც უნდა გაგანდოო. ვუთხარი, რომ მზად ვიყავი მოსასმენად და გაგონილმა ისეთი თავზარი დამცა, ადგილზე გავშეშდი, რაიმეს თქმის მაგივრად დავმუნჯდი და რაღაც გაურკვეველ ბგერებს გამოვცემდი. საიდუმლო კი ასეთი იყო: თურმე გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვია და თავის ბიძაშვილს, როგორც კაცს, ისე უყურებდა. მათი ურთიერთობა ცალმხრივი არ იყო. კაცს კი ცოლ-შვილი ჰყავს! აი, ამის შემდეგ კი დამეკარგა ყველას მიმართ ნდობა. როგორია, როცა შენს ორ უახლოეს ნათესავზე ამას გაიგებ? არასოდეს უნდა მოინდომო სხვისი საიდუმლოს გარკვევა. ეს მე არც მომინდომებია, მაგრამ მაინც გამანდო ამბის მოქმედმა პირმა. ხევსურის ასული“.

## უსაფუძვლო ბრალდება

„ჩემ მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობს — გია. პატიოსანი კაცის სახელი აქვს, ყველა დიდ პატივს სცემს. ცოლს გაცილებულია. თურმე იგი გაგიჟებით ჰყვარებია, მაგრამ შვილი არ უჩნდებოდათ. ექიმთან მისულა და გაუგია, რომ უშვილო იყო, მაგრამ ცოლს ვერ უთხრა. რამდენიმე თვის შემდეგ ცოლმა „ახარა“, ორსულად ვარო. ქალი ისე სასტიკად სცემა, რომ ბავშვი შეიწირა. ცოლმა რა თქმა უნდა, მიატოვა. მალე ხელმეორედ დაქორწინდა და მეორე ცოლიც დაორსულდა. თურმე რა... ჩვენ რომ ექიმებს ვეძახით და სინამდვილეში მკითხავები რომ არიან, სხვისი ანალიზების პასუხები ამცნეს ამ პატიოსან კაცს. მეორე ცოლთან ჰყავს 2 ანგელოზი. თამო“.

## უნებლიე ხელშემწყობი

„ძნელია ოცნებებით ცხოვრება. განსაკუთრებით მაშინ, როცა იცი, რომ ახდენა არ უწერია და არც ბოლო უჩანს. ნია უზომოდ იყო შეყვარებული ნიკაზე, მაგრამ გამხელის ეშინოდა, რადგან იცოდა, ხელს ჰკრავდა. ძმაკაცის დის სიყვარული ბიჭებისთვის მიუღებელია. არადა, უყვარდა, შეიძლება სიყვარული არც ყოფილა და უბრალოდ მოსწონდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. ნიას ეგონა, გაუნელდებოდა ბიჭის მიმართ სიმპათია, მაგრამ უფრო მეტად ხიბლავდა ბიჭი. ნიკა ძმაკაცისგან სახლში ხშირად მიდიოდა. იქნებ სწორედ იმიტომ, რომ იქ ნია ეგულებოდა? თუმცა ეს მხოლოდ მისი ფანტაზიები იყო. საათობით შეეძლო ნიკას თვალებში ეცქირა, ისიც ძმაკაცისგან მალულად, ხარბი მზერით წვავდა და ათრობდა, მისი ტრფობით გაგიჟებულ გოგოს. ნია ჩუმად იყო, ოჯახს ძალიან აწუხებდა მისი უცნაური დუმილი. ერთი თვის შემდეგ, ნიამ თავისი მალული სიყვარულის ამბავი მეზობელ გოგოს საიდუმლოდ გაუმხილა. ლიკამ ანუგეშა, გაუგო კიდეც, მაგრამ გულის სიღრმეში არ ესიამოვნა, რადგან ნიკაზე მასაც თვალი ჰქონდა დადგმული. ცოტა ხნის შემდეგ, ლიკა, ვითომ ნიაზე ჯავრობდა და მის მშობლებს გაუმხილა, თქვენს გოგოს ნიკა უყვარს და მის გამო იტანჯებაო. ნიას ძმა საშინლად გაუბრაზდა, ნიკასაც მიეჭრა და ლანძღვა დაუწყო, ჩემს დას „სხვა თვალით“ როგორ შეხედეო?! ნიკამ ვერაფერი გაიგო, მერე ნელ-ნელა ყველაფერი გაარკვია. ნიას ძალიან რცხვენოდა. მერე დრო გადიოდა, არაფერი ახალი არ ხდებოდა მათ ცხოვრებაში... მერე უეცრად „იქუხა“ — ნიკა და ნია გაიპარნენ. მშობლებს გული მოუვიდათ, მაგრამ უკან აღარ დააბრუნეს გოგო. ისინი ბედნიერები არიან... უამრავ ლამაზ დღეს ჩუქნიან ერთმანეთს. ნიამ კი შურიან მეზობელს, რომელსაც საიდუმლო გაუმხილა, ყველაფერი აპატია და მისი მადლობელიც დარჩა. მას რომ არ გაემხილა საიდუმლო, ყველაფერი ისევ ისე დარჩებოდა და მისი ცხოვრებაც ასეთი ლამაზი აღარ იქნებოდა. ლუნა“.

## სიმართლე

„სამსახური დავიწყე ერთ კერძო, სამშენებლო კომპანიაში, სადაც უძალიანმაგრესი ხალხი მუშაობს, თავისი უფრო მეტი დადებითი, ვიდრე უარყოფითი თვისებებით. ნელ-ნელა მეც „აბაროტი“ ავიღე, თან ყურები მაქვს „დაცქვეტილი“, რათა თქვენთვის საინტერესო (სასაცილო) ამბებს გამოვკრა ხელი. ერთი თანამშრომელი ბიჭი მყავს, რომელმაც ეს-ესაა, თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ოპერაცია გაიკეთა. სანამ მოამზადებდნენ, ერთ ექთან გოგოს დაუახლოვდა და ლამაზი სიტყვებით თავბრუ დაახვია. — რა ლამაზი გოგო ხარ, აქედან უშენოდ არ წავალ, ბათუმში ვცხოვრობ, სამსართულიანი სახლი მაქვს, „დაჟე“ ბოსელი მაქვს, 2 დიდი ძროხით, ყველი და მაწონი არ მოგაკლდებაო. შეიფერა ამ გოგომაც, საუკეთესო პალატაში გადააყვანინა და სჭირდებოდა თუ არა, ნემსებს უკეთებდა. დადგა ოპერაციის დღეც, გაუკეთეს ნარკოზი... ეგ არაფერი... როცა ნარკოზიდან გამოდიოდა და ის ექთანი დაინახა, დაიწყო, მარა რა დაიწყო: — შეენ? შენ „ვაფშე“ სარკეში იყურები? რას ჰგავხარ, შენ ცოლად მოგიყვან კი არა, ჩემს ბოსელში არ დაგაბამ, ძროხებთან ერთად, ტან-ფეხი შენ არ გივარგაო... ნუ, მიაყარა და მიაყარა თურმე. დილით, როცა კარგად გამოფხიზლდა და ბიჭებს ჰკითხა, ჩემი ექთანი სად არისო (არაფერი ახსოვდა), უთხრეს — რომ არ შემოვიდეს, არ გაგიკვირდეს, გუშინ ისეთი ამბები დააწიეო. გაუცინია და — რასაც მართლა ვფიქრობდი, ის მითქვამსო. ასე რომ, კარგად დაფიქრდით, სანამ ნარკოზს გაიკეთებდეთ (ღმერთმა არ დაგაჭირვოთ), სათქმელი წინასწარ დაიზეპირეთ. გკოცნით. აბლახანუმი“.

## უჭმელოვიჩი თუ პოდხალიმოვიჩი?

„ჩაი დავიდგი ჩემი საყვარელი ჭიქით და თითებმა თავისით დაიწყო ერთი სახალისო ამბის ბეჭდვა: არსებობს ასეთი ტერმინი და თანამდებობა — „ოდეერი“, რომელიც წარმოადგენს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის სრულიად ლეგალურ საქმიანობას, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში. მიზანი კი სახელმწიფო უშიშროების ინტერესების დაცვაა. ჰოდა, ასეთ „ოდეერად“ დაინიშნა ჩვენთვის უკვე ნაცნობ დათას სამსახურში მათი დიდი ხნის მეგობარი, ჯიბო. ამავე პერიოდს დაემთხვა დათას განყოფილებაში ერთი ალალი, კოლორიტული და მეტად ემოციური ახალგაზრდა, დასავლეთელი ადამიანის დანიშვნაც. ამ კაცს უჭმელოვიჩი შეარქვეს, ვინაიდან სულ შიოდა, ხოლო ოპერატიული საქმიანობის სპეციფიკა არც იცოდა და მაინცდამაინც არც აინტერესებდა. ერთხელაც, უჭმელოვიჩი სამსახურში მეტად დაფიქრებული და შეშფოთებული მისულა და თანამშრომლებ-

ისთვის ახალი ამბავი მეტად საიდუმლოდ გაუზიარებია: ხომ იცით, მე ყველგან მყავს საჭირო ხალხი და იგენმა მითხრენ, მაი ჯიბო ასე რომ გვემეგობრება... მაი... მოგზავნილი ყოფილაო... ბიჭებს წარბიც არ შეუხრიათ, ისე გაიკვირვეს და სთხოვეს, დაწვრილებით და დეტალურად მოეთხრო, რა ბედი ელოდათ. უჭმელოვიჩმაც არ გააწბილა: მაი კაცი აქანე არ მუშაობს. მაი იქანე მუშაობს — საჩვენებელი თითი მაღლა ასწია, რასაც თანამშრომელთა მხრიდან კიდევ ერთი გაკვირვების ტალღა მოჰყვა: როგორ, ჩვენი ქსივა აქვს, ჩვენთან როგორ არ მუშაობს? გვითხარი ერთი, სად მუშაობსო? უჭმელოვიჩმა, აქეთ მეიწით, გეტყვითო და ამოიჩურჩულა: უშიშროების სამინისტროში, ჯიბო ჩეკისტიაო და შემდეგ დაამატა: მაი აქანეც მუშაობს და იქანეც... იქანე მუშაობს, თუ მუშაობს, — საჩვენებელი თითი ისევ ჭერში ჰქონდა აშვერილი, — რასაც აქანე ვაკეთებთ ჩვენ, ყოლიფერს იქანე მიარბენინებს. აფერი წამოგცდეთ მაგასთან ზედმეტი, ნამეტანი არ აქებენ, ყოლიფერზე წამსვლელიაო, ასე გამაფრთხილეს... — ბიჭებს ერთი გადახარხარება სიცოცხლეს ერჩივნათ, მაგრამ თავი შეიკავეს და მოვლენების განვითარებას დაელოდნენ. ხელსაყრელმა შემთხვევამაც არ დაახანა. რამდენიმე კვირის შემდეგ განყოფილების თანამშრომლები და ხელმძღვანელობა ერთერთ აგარაკზე შეიკრიბა და მოილხინა. შეზარხოშებულმა ჯიბომ ჭიქა ასწია და ბიჭები სათითაოდ დალოცა. თან წარსულიც შეახსენა. მოულოდნელად, უჭმელოვიჩს მიაშტერდა კუშტად და მკაცრად უთხრა: ამ ბიჭებთან ერთად ბევრი მაქვს გამოვლილი და უკვე ოჯახებით ვართ ახლოს, ერთმანეთის სიხარული გვიხარია და მწუხარება გვადარდებს. ამათ იციან, რისი გამკეთებელი ვარ, შენ კი!.. უჭმელოვიჩს პირში ლუკმა, ხელში — ჩანგალი და თვალები საწყლად გაუშეშდა. დათა და მისი მეგობრები კარს ეცნენ, ჯიბო კი იმავე ტონით აგრძელებდა: — შენ კი, თავი უნდა ისახელო და ჩვენს საძმოს ღირსეულად შემოუერთდე. — უჭმელოვიჩმა უნდოდ გადახედა თანამშრომლებს და რაღაც ამდაგვარი ამოილუღლუღა: „ვემსახურები დედასამშობლოს“. შემდეგ ისიც ადგა სახეზემიტკლისფერდადებული და აივანზე გაქცეულ თანამშრომლებს შეუერთდა, სიგარეტი გააბოლა და მეგობრებს მიმართა: — ქე იცით თქვენ, ყველგან მყავს მე საჭირო ხალხი... და იგენმა ნამეტანი მიქეს ჯიბო... რომ დეეყრდნობი და რო გაგიტანს ბოლომდე, იმფერია, ამ კაცის აუგს ვერ გეიგებ ვერსადო... ბიჭების ხარხარი ცას სწვდებოდა, დათამ კი ძლივს ამოღერღა: უჭმელოვიჩი კი არა, პოდხალიმოვიჩი ხარ შენ“.

## ქათმებზე მონადირენი

„ახალი წლის წინა საღამო იყო. მე და ჩემი მეგობარი აჩო სოფელში ვიყავით და კისტის თოფით ჩიტებზე ვნადირობდით. დაახლოებით 8 წლისები ვიქნებოდით ორივენი. ათი კოლოფი ტყვია იყიდა და „ნადირს“ მარტო ერთი ბუმბული გააძრო. შემდეგ კლუბის ეზოდან დამიძახა: — წამო, ქათმები დავაფრთხოთო! მეც გავყევი ქათმების „დასაფრთხობად“. პირველმა ვისროლე მე და ვერ „დავაფრთხე“, შემდეგ მან ისროლა და ისე დააფრთხო, რომ ქათამს ვეღარ გაეგო, სად თავი ჰქონდა და სად — ფეხები. უბედურს, თავში მოხვედრია ტყვია. დადგა ახალი წელი, მე და მონადირე აჩო საწოლში ვწევართ და ვლაპარაკობთ. ამ დროს გვესმის ხმა: ვაა, მობრძანდით! მეკვლე მოსულაო, ვთქვით. რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, რომ უცებ აჩო მეძახის: ვახო, უსმინე, ჩვენზე ლაპარაკობენო. აღმოვაჩინეთ, რომ ის ქათამი მეკვლესი ყოფილა. გავიგეთ თუ არა ეს, სასწრაფოდ წამოვხტით და მივედით სუფრასთან, თავის გასამართლებლად. ბებიაჩემი ეუბნებოდა: არა, კაცო, ესენი ვერ იქნებოდნენ, ჩიტი ვერ მოუკვლიათ და ქათამს მოკლავდნენო?! იმ კაცმაც — ჰო, გოჩა იქნებოდა, დედამისს ისე უყვარს ქათმის ხორციო. ჰო, მასე იქნებოდაო, დაეთანხმა აჩიკოც და ამოვისუნთქეთ. ისე, მე რისი მეშინოდა? ჩემი ბრალი ხომ არ იყო, მაგრამ მაინც ხომ თანამზრახველი ვიყავი? ვაკო“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მინდა, ვინმეს გული გადავუშალო... მახსოვს, ბევრჯერ გქონდათ საუბარი წამალდამოკიდებულ ადამიანზე. ყველა ნარკომანი არ კარგავს ადამიანობას, მინდა ეს გჯეროდეთ. ნუ შეიძულებთ მათ, ისინი ხომ ამით მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენ. ბევრჯერ მსმენია, როგორ ლაპარაკობდნენ ჩემს საყვარელ ადამიანზე, რადგან ის ნარკომანია. არ გეგონოთ, ქალვაჟური სიყვარული მაკავშირებდეს მასთან ან მეგობრული. ეს ის ადამიანია, ვინც მაგალითს უნდა მაძლევდეს. შეიძლება იკითხოთ, რა მაგალითს მოგცემს ნარკომანი ადამიანიო, მაგრამ ასე არაა... მისგან ბევრი კარგი ვისწავლე, გამუდმებით მიმეორებს, რომ ცუდი ადამიანი არ არსებობს. ყველა უნდა მიყვარდეს. იცით, მას ყველა უყვარს. ხვდება, რაც ხდება მის თავს, მაგრამ რატომღაც მაინც ნარკომანი ჰქვია... გული მტკივა, როცა ვუყურებ, როგორ ნადგურდება. მან საკუთარი თავი დაიღუპა და ჩვენ გული გვატკინა. მიყვარს და ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ შესაძლოა, მალე დავკარგო, წამალმა ბოლო მოუღოს... ნუ შეიძულებთ მათ, გთხოვთ... ილოცეთ მათთვის... ინკოგნიტოდ დამტოვე, მარ. გულნატკენი“.

„მარ, რა ინტრიგანი ხარ, ჰა? საიდუმლო იმისაა, რომ არ გათქვა, შენ კი... სხვის არა, მაგრამ ჩემს საიდუმლოს გაგანდობ: ბავშვობიდან არ მომწონდა ქართველი ქალების ცხოვრება. რატომ? 24 საათის განმავლობაში სახლში „ბლუებივით“ სხედან და ხაჭაპურებს უცხობენ მეუღლეებს, ბავშვებს „ყრიან“, თან ელაქუცებიან დედამთილ-მამამთილებს (რა მარაზმიაა). ვფიქრობ, ცხოვრება გაცილებით საინტერესო და მაგარია. იტალიაში ვარ გათხოვილი. ახლა საქართველოში ჩამოვედი, რადგან ქმარს დავშორდი. მალე ქონების ნახევარს მივიღებ ქმრისგან — აგარაკს და მანქანას. მე კი ბავშვს ვუთმობ. ის კარგი მამიკო იქნება, ვიცი. P.S. არ მიყვარს ბავშვები. მე მხოლოდ გრიალი მინდა და ცხოვრებით ტკბობა. თამუ-ნი“.

„ძალიან ბევრი შეცდომა მაქვს ცხოვრებაში დაშვებული, რომელსაც ახლა ძალიან ვნანობ. მართლა მთელი გულითა და სულით ვინანიებ და მინდა, უფალმა მაპატიოს. იმედია, თქვენც გამიგებთ და ჩემს გულისტკივილს ცოტათი მაინც შემიმსუბუქებთ. დედა გაჭირვებით გვზრდიდა მე და ჩემს დას. იმისთვის, რომ ჩვენთვის არაფერი მოეკლო, დღიურ მუშად მუშაობდა და იმ ფულით საჭმელს ყიდულობდა. ზოგჯერ ნახევრადმშიერი ვიძინებდით, რადგან არ გვყოფნიდა საჭმელი. ზამთარში შეშას ჩვენ ვჭრიდით ტყეში. დედაჩემს ხან მე და ხან ჩემი და მივყვებოდით და ასე ტანჯვით ვაგროვებდით, მერე კი დედაჩემს ზურგით მოჰქონდა. ძველ „ფეჩს“ მეზობელი გვათხოვებდა ხოლმე. უმეტესად, კვამლი გამოდიოდა და თვალები გვეწვოდა, მაგრამ ამას ვინ აქცევდა ყურადღებას? საღამოს „ფეჩთან“ დავსხდებოდით და გათოშილ სხეულს ვითბობდით. ღმერთო... რამდენი ტკივილი, ცრემლი, სიბრალული და ზოგჯერ დამცინავი მზერა მახსოვს, ჩემი ბავშვობიდან... საცოდავი დედა... გული მეწვება, ის დღეები რომ მახსენდება. ვიხსენებ ჩემს პატარა დაიკოს... ერთხელ სიცხისგან იწვოდა, ჩვენ კი წამლის საყიდელი ფული არ გვქონდა. ვისხედით მე და დედა და ვტიროდით. არ ვიცოდით, რა გვექნა... იცით, გაჭირვებამ ბევრი რამ მასწავლა. ადამიანად ჩამომაყალიბა... მართალია, ამდენი რამ გადავიტანე, მაგრამ უფლის მადლობელი ვარ მაინც. ვისწავლე ცუდისა და კარგის გარჩევა. დავაფასე ბედნიერება და მომავლის იმედი მაქვს... ადამიანები ძალიან მიყვარს. დიდი სიყვარულით, მიკადუ“.

„ჩემს მეზობლად ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. საწყალი კაცი ავადმყოფია, თუმცა ამის მიუხედავად, ოჯახს მაინც არჩენს. მუშაობს, დილის 7 საათიდან ფეხზე დგას იმისთვის, რომ სახლში პური მიიტანოს. ცოლიც მუშაობს, მაგრამ ფული მხოლოდ საკუთარი თავისთვის აქვს, სულ ცუდად ექცევა საწყალ ქმარს. კაცის გასაჭირს უმუშევარი და ლოთი შვილიც ემატება. საბრალო, სულ იმაზე ფიქრობს, ცუდად არ გავხდე და ოჯახი მშიერი არ დავტოვოო. სახლში მოსულს კი კაპასი ცოლი წყევლას არ აკლებს, სულ ლანძღავს. რა ქნას, საწყალი, ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ დღეს მაინც მყარად დგას, ღმერთი სწყალობს. ჯენიფერა“.

■

***მომდევნო ნომრის თემა იქნება — „გამართლებული და გაუმართლებელი რისკი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:***
marorita77@yahoo.com

# „ეჭვიანი ადამიანი ავადმყოფია...“

## „ეგ ბიჭი ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევს“

**„გზის“ №38-ში დაიბეჭდა ნიას მესიჯი. ის გვწერდა, რომ მისი შეყვარებული ყველაფერზე ეჭვიანობს. „უნდა, რომ მის გარდა არავისკენ გავიხედო, ოჯახის წევრებისა და ნათესავების ჩათვლით. დაშორება გადავწყვიტე, მაგრამ თავის მოკვლა სცადა. დედამისმა დამირეკა და შემევედრა, — შვილს ნუ მომიკლავო. რა ვქნა?“**

*ლიკა ქაჯაია*

**შოკა:**

„შენს ადგილას რომ ვიყო, დედის თხოვნას ყურად ვიღებდი, „ლოვეს“ დაველაპარაკებოდი და ვეტყოდი, — ჩემთან ყოფნა თუ გინდა, ეჭვიანობას უნდა შეეშვამეთქი. თუ მოინდომებ, ამაში მის დარწმუნებას შეძლებ. მავნე ჩვევა ყველა ადამიანს აქვს და თუ შენ შეგიძლია, ამის გამო დაშორდე, მაშინ გამოდის, რომ არ გყვარებია და დაშორების მიზეზიც გიპოვია. გთხოვ, სხვის შვილს სასიკვდილოდ ნუ გასწირავ. ამქვეყნად იდეალური არავინაა. თუ გიყვარს, მავნე ჩვევის მოშორებაში დაეხმარე“.

**გრუზინკა:**

„იცი, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება. ეჭვიანი ადამიანი ძალიან მეცოდება; არა მგონია, მასთან მომავალი გქონდეს, მაგრამ მაინც დაელაპარაკე, იქნებ გაგიგოს და უსაფუძვლო ეჭვიანობას შეეშვას“.

**მური:**

„ჩემო კარგო, ის თავს არ მოიკლავს! კაცი მშიშარა არსებაა და ამას ვერ შეძლებს... ჩემი რჩევა გაითვალისწინე“.

**ქისუნია:**

„თუ ერთმანეთი გიყვართ, რატომ უნდა დაშორდე? მეც მყავდა ეჭვიანი „ლოვე“ და ახლა ვნანობ, რომ დავშორდი. თანაც, შენმა შეყვარებულმა თავის მოკვლა მოინდომა და არ გირჩევ, ასე მოექცე კაცს, რომელსაც უყვარხარ (ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შენც გიყვარს). წარმატებები!“

**რუისპირი:**

„ეს სიტუაცია არც ისეთი მძიმე და საგანგაშოა, როგორც შენ გგონია. ჩემი აზრით, სიყვარულის აზრზეც არა ხარ. შენმა შეყვარებულმა (არა აქვს მნიშვნელობა, ეჭვიანია თუ აგრესიული) თავის მოკვლა სცადა ანუ მზად იყო, საკუთარი სიყვარულის დასამტკიცებლად თავი გაეწირა, ის ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს გჩუქნიდა, შენ კი იმის ნაცვლად, რომ ამას განიცდიდე, ცუდად იყო და ექვსნახვრეტიან აგურს ეძებდე, რაზე ფიქრობ? ჩემი აზრით, ახლა მხარში უნდა ამოუდგე (თუნდაც, ცოტა ხნით), აუცილებლად უნდა გაამხნევო და



ამ სტრესის დაძლევაში დაეხმარო. ეჰ, აჯობებს, ჯერ სიყვარულის შეყვარება ისწავლო“.

**მაგდანელა:**

„ეგ ბიჭი ავადმყოფია და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევს. გირჩევ: გაუმკლავდი ერთ პრობლემას და აირიდო — უამრავი. წარმატებებს გისურვებ, ძვირფასო“.

**წყევლა:**

„ვაიმე, ეს რა ხალხში ამოვყავი თავი?! მგონი, ჩემ გარდა ყველას პრობლემა აქვს: ზოგს ოჯახური, ზოგს — გონებრივი, ზოგს კიდევ, სასიყვარულო. ნია, კაცი, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს არად აგდებს, შენ ხეირს არ დაგაყრის. ეტყობა, ფსიქიკურად არამდგრადია“.

**სვანის ასული:**

„რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ის შენით მანიპულირებდეს, მაგრამ ვაითუ ზედმეტად ემოციური ადამიანია და მართლა გარისკოს... მერე, შენ მთელი ცხოვრება სინდისი დაგტანჯავს და ვერასდროს იქნები ბედნიერი. ამიტომ ვფიქრობ, მასთან კატეგორიული ტონით ლაპარაკი არ გამოგადგება, დიპლომატიაა საჭირო. პირველ რიგში, დედამისი დაამშვიდე. თუ იმ ბიჭს ნამდვილად უყვარხარ და მის მიმართ შენც შემოგრჩენია გრძნობა, ერთი შანსიც მიეცი; დაარწმუნე, რომ უნდა გენდოს, რომ მის სხვაზე გაცვლას არ აპირებ და თუ პათოლოგი არ არის, გაგიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოტა ხნით მისი თვალთახედვიდან უნდა გაქრე ან სულაც, იქნებ სადმე გაემგზავრო, ვითომ საქმის ან ჯანმრთელობის გამო, ან ისე მოიქეცი, რომ თავადვე მიგატოვოს — ხომ იცი, როგორი გოგონებიც არ მოსწონს და მის ანტიიდეალად იქეცი“.

**თაკო, ბუზღუნა:**

„ჩემო კარგო, დაფიქრდი, ნამდვილად გიყვარს თუ არა? სიყვარული ბევრს მოგათმენინებს. მას შენი დახმარება სჭირდება; უნდა აუხსნა, რომ საეჭვიანოს არაფერს აკეთებ. ბოლოს და ბოლოს, გიყვარს და ამ სიყვარულის გადასარჩენად ორივემ უნდა იბრძოლოთ, მაგრამ ისიც გაიაზრე, რომ შესაძლოა, ცხოვრება გაიმწარო. წარმატებები! ღმერთი გფარავდეს“.

**ლუნა:**

„საყვარელ ადამიანზე ეჭვიანობა ბუნებრივი რამაა, მაგრამ რა თქმა უნდა, გადამეტებული არც ეგვარგა და არც სხვა რამ. თუ გიყვარს, მის მავნე ჩვევებსაც უნდა შეეგუო, მისგან წასვლით ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებ. ჯობდა როგორმე, მისთვისაც აგეხსნა, რომ ეჭვიანობის საბაბი არ მიგიცია. სიყვარული ურთიერთგაგებასა და თანაგრძნობაზე უნდა იყოს დაფუძნებული... თუ შენ გამო თავის მოკვლა დააპირა, თანაც, დედამისმა დაგირეკა და გთხოვა, მის შვილს დაბრუნებოდი, ე.ი. საქმე სერიოზულად ყოფილა და მისი მიტოვების უფლება არა გაქვს. დავიჯერო, ადამიანს სასიკვდილოდ გაიმეტებ? თავი მის ადგილას წარმოიდგინე. მარტოობისთვის კაციც ცოდოა და ქალიც. ძალიან იშვიათია, რომ ქალის გამო კაცი ასე იტანჯებოდეს. დაუბრუნდი მას და მერე დრო გიჩვენებთ, ერთად იქნებით თუ არა. გკოცნი“.

**მილენა:**

„მესმის შენი. ერთადერთი გამოსავალი ეკლესიაში სიარულია. ეცადე, იქ შენი „ლოვეც“ მიიყვანო. ღმერთი აუცილებლად დაგეხმარება“.

**ნემო:**

„მე თუ მკითხავ, სწორად მოიქეცი, რომ დაშორდი. ის ფსიქოპათი ყოფილა და ცხოვრებას გაგიმწარებდა. დედამისს ასე უთხარი: შენ შვილზე რომ დარდობ, ცოტა სხვის შვილზეც იფიქრე-თქო. კარგი იქნება, თუ მასთან ურთიერთობას საერთოდ გაწყვეტ“.

**ლალუშკი:**

„ერთი რამ დაიმახსოვრე: თუ არ გიყვარს, მისი ნუ შეგეშინდება. იცოდე, ის თავს არ მოიკლავს, რადგან სიცოცხლე ძალზე ტკბილია“.

**ლონდა:**

„ვაი, შე საწყალო, როგორ მეცოდები! ნიაკო, გთხოვ, მაგ კაცს ცოლად არ გაჰყვე, თორემ ცხოვრებას სამუდამოდ დაიმახინჯებ. გეფიცები, ამას პირადი გამოცდილებიდან გეუბნები — ეჭვიანმა ქმარმა სიცოცხლის წლები გამინახევრა. ჯერ შეყვარებული ხარ და ცოლად რომ მოგიყვანს, წარმომიდგენია, რა დღეშიც ჩაგაგდებს. ეჭვიანობა მავნე ჩვევა კი არა, პათოლოგიაა“.

**პეპელა:**

„მგონი, შენი შეყვარებული ავადმყო-

ფია. ეგეთი მანიაკური ეჭვიანობა თქვენს სიყვარულს კარგს ვერაფერს უქადის და თავს ტყუილად ნუ გაიუბედურებ. უთხარი ან შეიცვალოს და პატივი გცეს, ან სამუდამოდ დაგივიწყოს. P.S. ხშირად, დედის რეაქცია ჩვენზეც ახდენს გავლენას. არ მოტყუვდეთ, მაგრამ ნურც გულგრილები იქნებით“.

**უცნობი:**

„საყვარელო, ასეთი ადამიანის გვერდით ბედნიერი ვერასდროს იქნები, ეჭვით დაავადებული კაცი არასდროს შეიცვლება! მერწმუნე, თვითმკვლელობით უბრალოდ, გაშინებს. ურჩიე, ეკლესიაში იაროს, მოძღვარი აიყვანოს და სულს უშველოს“.

**სუტო:**

„ჩემო კარგო, ყველაფერი წარმავალია, თვით წარმავლობის გარდა. დრო გჭირდება, რათა დაივიწყო... რა ვიცი, შენთვის უკეთესი როგორც იქნება, ისე მოიქეცი“.

**ნანა, ქართლელი:**

„შენს შეყვარებულს ფსიქიკა შერყეული ჰქონია — თავს ასეთები იკლავენ. შეყვარებულობის დროს თუ ასეთი ეჭვიანია, წარმოიდგინე, მისი ცოლი რომ გახდები, მერე რას იზამს?! ჩემო კარგო, დედამისს ყურადღებას ნუ მიაქცევ, მას მხოლოდ თავისი შვილის კეთილდღეობა უნდა, შენზე კი საერთოდ არ ფიქრობს. ეს ჩემი რჩევაა, თორემ თუ სუსტი ფსიქიკის, ეჭვიანი ადამიანის გვერდით ცხოვრება შენი მოწოდებაა, მაშინ ბედნიერებას გისურვებ, მომავალ ტანჯულ ცხოვრებაში!“

**დათუკა:**

„თუ გიყვარს და მასთან ყოფნა გინდა, არ დაშორდე. ჯობია, დაელაპარაკო და შეაგნებინო, რომ საეჭვიანო არაფერია. დაშორება გამოსავალი არაა“.

**მარიო:**

„ჩემო ნია, ბიჭები ხშირად აშინებენ გოგონებს და ეგ მუქარა სიმართლე არ გეგონოს. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — შეყვარებული ვის არ ჰყოლია, მაგრამ საფლავში ვინ ჩაყოლიაო? ეჭვიანობა კი იმას ნიშნავს, რომ მაგრად, ოღონდ ეგოისტურად უყვარხარ. დამიჯერე, ეს ყველაფერი დროებითია, გადაუვლის. ასე რომ, არ დაშორდე ან თუ მაინც დაშორებას გადაწყვეტ, დარწმუნებული იყავი, რომ ის საკუთარ თავს არაფერს დაუშავებს“.

**გიჟუკა:**

„ჩემო კარგო, არ ვიცი, რა გირჩიო. მესმის, რომ საშინელ მდგომარეობაში ხარ, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება. გირჩევნია დაშორდე, რადგან ეჭვიან ადამიანთან ბედნიერი ვერასდროს იქნები. თუ მართლა უყვარხარ, არ უნდა იეჭვიანოს. გაკოცე“.

**ნატალი 37:**

„ეჭვიან მამაკაცთან ცხოვრება საშინელებაა და გირჩევ, დაშორდე. უთხარი, რომ არასდროს გათხოვდები და საერთოდაც, საზღვარგარეთ გინდა წასვლა, სწავლის გასაგრძელებლად. რა ვიცი, იქნებ ამის გამო მაინც შეგეშვას... თავს კი ალბათ, არ მოიკლავს, ნუ დარდობ“.

**ბესტია:**

„კარგია, დაშორება რომ გადაწყვიტე, რადგან ეჭვიანი ადამიანი სიცოცხლეს გაგიმწარებს. ხომ ხედავ, უკეთესი გზა ვერ უპოვია და თვითმკვლელობა გადაწყვიტა. ეტყობა, უნებისყოფოა და მისნაირი ადამიანის გვერდით ცხოვრებას ნამდვილად არ გირჩევ. საკუთარ გრძნობებს პატივი ეცი, შენ უკეთესს იმსახურებ!“

**თაკო:**

„ცუდ დღეში ყოფილხარ. მშვიდ გარემოში დასხედით და აუხსენი, რომ თუ ასე გააგრძელებს, თქვენი სიყვარული დაინგრევა. მისი პასუხებიც მოისმინე, იქნებ მასაც აქვს სათქმელი. მერწმუნე, უეცრად ხელის კვრას და მიტოვებას ჯობია, დაელაპარაკო. წარმატებებს გისურვებ! უფალი გფარავდეს ცხოვრების სავალ ბილიკზე“.

**ანო:**

„ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო, ის თავს არ მოიკლავს, უბრალოდ, შენი შეშინება უნდა... თუ არ გერიდება, დედამისი კარგად გამოლანძღე — ეტყობა ლამაზი ხარ და რძლად ამიტომაც უნდიხარ. ფეხი არ აგიცდეს. გკოცნი“.

**გოგონა:**

„ჩემო კარგო, ორი აზრი არაა და ფიქრიც ზედმეტია — უნდა დაშორდე, თორემ სიცოცხლეს გაგიმწარებს! როგორც არ უნდა უყვარდე, მისნაირი ფსიქოპათის გვერდით ცხოვრება არ ღირს. იცოდე, თავი არ გაიუბედურო, გაუწონასწორებელ ადამიანებს მოერიდე. ბედნიერად“.

**ნათი-ნათი 21:**

„ცუდ დღეში ხარ. ძნელია, ასეთ ადამიანს დაუკავშირო ცხოვრება. წარმოიდგინე, ახლა რომ ასე საშინლად გექცევა და უაზროდ ეჭვიანობს, ცოლად რომ გაჰყვები, მერე რას იზამს? ჯობია დაელაპარაკო და დაშორდე, თორემ ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევს. აბა, ბედნიერად და წარმატებები, ჩემო კარგო“.

**ქაჯების დედოფალი 11:**

„ძვირფასო, როგორც მივხვდი, ის ბიჭი აღარ გიყვარს. თუ ასეა, დაელაპარაკე და ადამიანურად სთხოვე, თავი დაგანებოს; გააგებინე, რომ მის გვერდით ბედნიერი ვერ იქნები. წარმატებები!“

**ანი 22:**

„ჩემო კარგო, არავის აქვს შენი ცხოვრების მართვის უფლება. შენი შეყვარებული მუქარით რას მიაღწევს? თავს ნუ გაიუბედურებ, მის კაპრიზებს ნუ აჰყვები, დედამისს კი უთხარი, რომ შვილი სამკურნალოდ ფსიქოლოგს მიუყვანოს, შენ კი თავი დაგანებონ და მშვიდად ცხოვრების საშუალება მოგცენ“.

**მაირა:**

„თუ დამიჯერებ, ეგ ბიჭი ნამდვილი ფსიქოპათია და ჯობია, დაშორდე. შეიძლება, ახლა გემუქრება, მაგრამ დამიჯერე, ვერაფერს გააკეთებს. აი, დედამისი კი ნამდვილი ეგოისტია — იმაზე არ ფიქრობს, რომ მისი ავადმყოფი შვილის გვერდით უბედური იქნები“.

**სალი-კაპო:**

„გამარჯობა. გირჩევ, იმ ბიჭისგან თავი შორს დაიჭირო, სიბრალულმა არ შეგიპყროს. დამერწმუნე, ის ახლაც ისეთია, როგორიც იყო და ვერაფერი შეცვლის“.

**პაწუკა:**

„ლოვეს“ ნუ დაშორდები და ისეთ რამეს ნუ ჩაადენინებ, რასაც მერე მთელი ცხოვრება ინანებ. შეურიგდი... რა იცი, იქნებ უკვე გამოსწორდა?! შანსი მიეცი, მისთვის ხომ უსაყვარლესი ადამიანი ხარ. ღმერთი გფარავდეს“.

**თათული:**

„ჩემო კარგო, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ, „ლოვე“ მეც თავის მოკვლით მემუქრება, მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ ასე არ მოიქცევა... ცუდია, რომ გიყვარს. საკუთარ თავზე იფიქრე და ვიღაც იდიოტის გამო ცხოვრებას ნუ გაიმწარებ. იცოდე, ვინც იმუქრება, ის არაფრის გამკეთებელია. ასე რომ, დაივიწყე“.

■

# „გული ტკივილით მაქვს სავსე...“

**უცნობი:**

„არ ვიცი, ამ მესიჯს გამომიქვეყნებთ თუ არა, მაგრამ თავს საშინლად ვგრძნობ და მინდა, ჩემი ტკივილი ვინმეს გავუზიარო. ახლა ქობულეთში ვარ, გული ტკივილით მაქვს სავსე, სული კი — დამძიმებული. მოკლედ, ყველაფერი „სკაიპის“ ბრალია... ძველ სიყვარულს ვივიწყებდი, როცა გიო გავიცანი. მალე ერთმანეთი შეგვიყვარდა, 5 თვის მერე შევხვდი კიდეც. მის გამო ყველა „პაკლო“ ჩამოვიშორე. მერწმუნეთ, ჩვენ ბევრი ტკივილი გადავიტანეთ ერთად, რადგან უსამართლოდ მოგვექცნენ. რას ვგულისხმობ? — მის გამო ქუჩაში უმიზეზოდ გამომლანძღეს, ამატირეს, ჩვენ კი მხოლოდ წმინდა, ბავშვური გრძნობა გვაკავშირებდა. ალბათ, მსოფლიო ჩვენ წინააღმდეგ იყო განწყობილი, მაგრამ ესეც გადავლახეთ... მალე ის თურქეთში წავიდა და იქიდან გულცივი, უყურადღებო დამიბრუნდა, 2 დღეში კი სხვა გოგო შეიყვარა და „ოდნო“ მისი ფოტოებით აავსო... ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ, ვერ აგიწერთ. მისგან ასეთ საქციელს ჩემი მეგობარიც არ მოელოდა. ნეტავ, ასეთი რა დავაშავე?..“

*P.S.* ***მაშ ასე, თუ უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***



## ქალები

1. ვარ 24 წლის, 155 სმ სიმაღლის, თბილი, წესიერი და უბრალო სულის, რომანტიკული გოგო, სხვებისგან განსხვავებული. მინდა ვიპოვო ნამდვილი სიყვარული, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობ.

2. ვეხმაურები 38-ე ნომერში, მე-10 მესიჯის ავტორს. გთხოვთ მომწეროთ მისი ნომერი.

3. ვარ 40 წლის, გასათხოვარი, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი, განათლებული, სუფთა წარსულით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, თბილისელ მამაკაცს.

4. 39-ე ნომრის მე-14 მესიჯის ავტორს მიეცით ჩემი ნომერი.

5. გავიცნობ სერიოზულ, ღირსეულ მამაკაცს, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. სასურველია, იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი. ვარ 42 წლის, ქვრივი, სერიოზული, სიმპათიური, მაქვს ბინა.

6. ვარ 25 წლის, 167 სმ. სიმაღლის, თბილი, მოწესრიგებული და რეალისტი. მინდა ვიპოვო ნამდვილი სიყვარული და შევქმნა ლამაზი ოჯახი.



## კაცები

7. ვეხმაურები 38-ე ნომრის მე-2 განცხადების ავტორს, ქალბატონ ეკატერინეს. მე ზაზა ვარ, 41 წლის. შეიძლება სმსით შეხმიანება.

8. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინიან და მანქანიან ქალბატონს, 35 წლამდე. განათხოვრებიც შემეხმიანეთ. ვარ 40 წლის, წესიერი კაცი.

9. გავიცნობ 35 წლამდე მანდილოსანს. ვარ 26 წლის, დაოჯახებული, სიმპათიური მამაკაცი. ვარ ჯარისკაცი.

10. ვეხმაურები მე-19 ნომერში, რიგით მე-5-ს, 33 წლის გოგოს. ვარ დასაქმებული, დედისერთა, მშრომელი, არ ვსვამ. როდის და როგორ შევხვდეთ? მომწერეთ რამე მინიშნება.

11. ვეძებ დიდ სიყვარულს, დაოჯახების მიზნით. გავიცნობ 17-დან 25 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. გროზნი28.

12. ვარ ქერა, ცისფერთვალება, მაღალი, სიმპათიური ბიჭი, 24 წლის. ვეხმაურები ნატალის.

13. გთხოვთ ნატალის გადასცეთ ჩემი ნომერი.

14. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სერიოზულ ადამიანს, დასაქმებულს, 42 წლამდე. ვარ 36 წლის, ვცხოვრობ სოფელში.

15. ვარ 180 სმ სიმაღლის, 30 წლის, სამსახურით, მანქანით. გავიცნობ 25-30 წლამდე გოგოს. ვინც გამიგებს, არ წააგებს. წავიდა როკენროლი.

16. ვარ 50 წლის, ნორმალური შეძლებისა და გარეგნობის მამაკაცი. გამომეხმაუროს გაცნობის მსურველი ქალბატონი.

17. ვარ 25 წლის, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ გოგოს. გელოდებით. ლევანი.

18. ვეხმაურები 39-ე ნომრის პირველი მესიჯის ავტორს. ვარ 60 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოლიდური მამაკაცი. გთხოვთ, დამიკავშირდეთ. თენგო.

19. ვარ 58 წლის, უმაღლესი განათლებით. „გზის“ 39-ე ნომერში ვეხმაურები 48 წლის ქალბატონს, რომელსაც სურვილი აქვს, ჰყავდეს მეგობარი. გთხოვთ, დამაკავშიროთ.

20. ვცხოვრობ კახეთში, ვარ დასაოჯახებელი, 37 წლის. 180/76.

21. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვისაც სურვილი გაქვთ, მომწერეთ. მხოლოდ გორელებმა ან თბილისელებმა. ლუკა.



## ვეძებ

22. ვეძებ ახალციხეში მცხოვრებ, ლევან მაისაშვილს. ვთხოვ, დამიკავშირდეს.



## სხვადასხვა

• ზღვაზე დავისვენე! დავისვენე, ეს სიტყვის მასალად, თორემ მაგარი ჭაპანწყვეტა მადგა და თბილისში უძილობით დაშტერებული და ხუთკილოდაკლებული ჩამოვედი. არა, წასვლას კი არ ვაპირებდი, მაგრამ 4 ღამე რომ გავათენე, ერთ აწ უკვე ყოფილ მიჯნურზე ფიქრში, კი ვიკადრე წამატარებლება. ნუ, ჩემი ავადმყოფი ტვინი რას არ მოიფიქრებს და, ამჯერად ზღვაზე მოლბერტი წავათრიე, ქალი შემოქმედებით წვაში გადავარდნას ვაპირებდი. ადრე მეგონა, საქართველოში ყველაზე მეტი სომეხი ჩემს უბანში ცხოვრობდა, მაგრამ ნუურას უკაცრავად! ქობულეთი ან პირდაპირ ვორონეჟში გადაიტანეს, ან სრულიად სომხური დიასპორა ჩამოვიდა აქოთებული ზღვის სანახავად (მაგას ჯერ კიდევ ვადგენ). მოკლედ, ჩამოსვლიდან მეორე დღეა, გამოვედი დილით ოთახიდან, პახმელიაზე ვარ, თავი მისკდება, „ნაბეღლავზე“ ნირვანასავით ვოცნებობ და ამ დროს, ჩემი მეზობელი (მმმაგარი სიმპათიური) ბიჭი დავლანდე. სომეხია, ქართულის „ინჩი“ არ გაეგება და ხელში „ნაბეღლავი“ უჭირავს! ბუნდოვნად მახსოვს, მგონი არტურა ჰქვია (წინა ღამით ველაპარაკე რუსულად და არ გავუმხილე, სომხურს სალამურივით რომ ვაკვნესებდი) და გავრისკე: — არტურ, ეს მინერალე იმ ჰამარეს ბერუმ? არტურ, ეს „ნაბეღლავი“ ჩემთვის მოგაქვს-მეთქი? — სომხურად დავუყვირე. ისე შეხტა, გეგონება, სომხური პირველად გაიგო და გაკვირვებისაგან დამუნჯებულმა, პირში ენის მოტრიალება რომ შეძლო, ზესტაფონური „რაიიიი?!“-ს მსგავსი, იიიიიიიინჩო?! ამომჩხავლა... ის დღე იყო და, ჩემმა სომხებმა, არიქა, პირველად ვნახეთ სომხურად მოლაპარაკე ქართველიო და მოჰქონდათ და მოჰქონდათ ფეშქაშები! პლაჟზე „ულეჟანკოდ“ (ბოდიში მომითხოვია, შეზლონგი უნდა მეთქვა, „სვეწკურად“ მასეა) არ მაწვენდნენ და გარეთ გამოსულს „ზონტიკით“ დამდევდნენ. ახლა კიდევ ვინმე თუ იტყვის, სომხები ჯიგარდამწვარი ხალხიაო, არ უნდა ამოუვიდეს ენაზე მაზოლი? ჰა? არა? ჰო, კაარგი, როგორც გინდათ... ჩიხტიკოპიანი დილეტანტი.

•030, ჩემთვის არც დღეს არის დაბადების დღე და არც 7-ში. ნეტავ სულ არ დავბადებულიყავი. ვიცი, რომ მილოცავ და ვიცი, შენს გულში რაც ხდება ახლა. არა უშავს, ჩვენ ხომ ძლიერები ვართ, გავუძლებთ ამ ტანჯვას. თვალს სანამ გავახელ, წარმოვიდგენ, როგორ მილოცავდი ამ დღეს და ვიცხოვრებ ასე, სხვა რა გზა დამრჩა? სული სადღაც დავკარგე. ასეთი არასდროს ვყოფილვარ, დამუნჯებული, ცივი, უგულო. მგონი — ბოროტიც. არ მინდა, მაგრამ ცხოვრებამ სხვა გზა არ დამიტოვა. ნეტავ რა მელის? ამაზე ფიქრმაც დამღალა, ბაჩი. სასამართლოში ვარ, სიხარულო. ასეთი ყინული ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს. ესეც უნდა გამევლო? ალბათ — ჰო. გავუძლებ, ჩვენ ძლიერები ვართ, რას აღარ უძლებს ჩემი გული... ბევრს გაუძლო, კიდევ გაუძლებს, ეს ხომ გული აღარ არის... წნევები ვითომ არ გაქვს? ორშაბათს რომ მეტყვი, რომ კარგად ხარ და ჩემს თავს მივხედო, ამასაც გაუძლებს გული და კიდევ ბევრს გაუძლებს შენი ბაჩი. აწი დავიწყებ ბრძოლას, გამოვა რაღაც, ვიცი. მთავარია, შენ იყო კარგად. ნუ ნერვიულობ, ახლა მჭირდები, სიხარულო. გაკოცე ბევრი, ძალიან. კიდევ გილოცავ ამ დღეს. შენც მილოცავ? ვიცი, მესმის და გხედავ კიდეც, ასე არ არის? გაიცინე და გამხიარულდი, თუ გიყვარდე. არ მოიწყინო, პირველში იმდენი იმდენი კოცნა გამომიგზავნე, რომ დღემდე მეყო. ასე რომ, არ ინერვიულო დღეს მაინც. ჩემი თხოვნა იქნება ეს და დიდ საჩუქრად ჩავთვლი ამას. მიყვარხარ და მერე როგორ?! ვინ იცის, როგორ მენატრები, თითქოს ცარიელია სახლი, ჩემი გულიც ცარიელია, არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება, ვიცი. მიყვარხარ და გკოცნი უამრავს.

•ვდგავარ და ვუცდი პირველის ნახევარს. რას ვფიქრობ? არაფერს. ნეტავ, შენ რას ფიქრობ, რას აკეთებ, ფანჯარასთან დგახარ? ალბათ. რა საზიზღარი და აუტანელია ეს ცხოვრება. გკოცნი ბევრს.

•030 და ბაჩი, უფალი იყოს თქვენი მფარველი. უკვე ჩვენი ოჯახის წევრებივით ხართ. არ დანებდეთ, თქვენი სიყვარული ყველაფერს მოერევა. გამაგრდით. კლეოპატრა.

•მარია, ამდენს რას მედიალოგები, თავანი გაქვს წაგებული? ისე, მეოცნებე ყოფილხარ, წარმატებებს კი პატარა ნაბიჯებით აღწევენ და არ გიცდია, რეინჯ როვერამდე, ჯერ ჟიგული გეყიდა? :-) შენა და, რეინჯ როვერზე თუ ოცნებობ, ალგზნებულობამოცულობის დროს ბრეტ პიტზე არ ოცნებობ? :-) წყევლა, შენ კრულვას დაქალი ხარ, ხომ? ჰოდა, გადაა... ერთმანეთს. :-) მარია, შენი და წყევლას მესიჯების ღვიძლდასმით წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მოლაპარაკე საპირფარეშოები ხართ. მისტერ.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის" გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

•მალხაზი მამიკო, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. ღმერთი იყოს შენი მფარველი. შენი მონატრებული შვილები, მამუკა და მარიამ გრძელიძეები.

•ედელვაის, რატომ დამივიწყე? არ გრცხვენია? ჩემი ნომერი ითრიე და მომწერე. ზურა, სიგიჟემდე მიყვარხარ, ჩემო ცხოვრებავ და იმედია, არ დაგვაშორებენ. თქვენი დიკი ანგელი.

•მახო, ქუცუნა, გოგოებს გვენატრები ძალიან. სულ შენზე ვლაპარაკობთ, ძალიან გვაკლიხარ. იმედია, ეს ერთადერთი ოქტომბერი იქნება, 15-ში ერთად რომ არ ვიქნებით... გკოცნით.

•მაარ, როგორ ხარ, საყვარელო? დიდი ხანია, აღარ მომიწერია და ძალიან მომენატრეთ ყველა. მოკითხვა კლეოპატრას და ედელვაისს. ნეტიკო.

•პრივეტ მარ და საყვარელო მგზავნელებო. გიყვარდეთ ერთმანეთი. ისევ მოვედი შენთან, მოგიტანე ყვავილები, ახლა კი ვდგავარ, ვუყურებ შენს ცივ სახეს, თვალებში გიყურებ და გეუბნები — მიყვარხარ! მე შენი თვალები მიყვარს... რა უცებ დაიწყო ყველაფერი და რა უცებ გაქრა. დღეს კი ვდგავარ შენს საფლავთან, ვუყურებ შენს ცივ სახეს, თვალებში გიყურებ და გეუბნები — მიყვარხარ! მე შენი თვალები მიყვარს... შენს საფლავთან ლამაზი ხე დგას, მინდა, ის ხე ვიყო. ყოველ დილით გავიღვიძო, ჩაგხედო თვალებში და გითხრა — მიყვარხარ! მე შენი თვალები მიყვარს... გავა დრო, იქნება სხვა მოვიდეს, შენზე უფრო ჭკვიანი, ლამაზი, მე კი მაინც შენთან მოვალ და გეტყვი — მიყვარხარ! მე შენი თვალები მიყვარს... მარ, დიდი მადლობა წინასწარ. ის ადამიანი, ვისაც ეს სმს ეძღვნება, ცოცხალია და მე ისევ ისე მიყვარს... მოეფერეთ ერთმანეს, ნუ ჩხუბობთ. „გზის" მუდმივი მკითხველი.

•შენს გზას გავყურებ ცრემლიანი თვალებით, წახვედი და არაფერი მითხარი, გული მუდამ შენ მოგელის ყოველთვის, დარდით არის აღვსილი ღამენათევი. მტკივა გული, შენს სურათს რომ ვუყურებ, დამტოვე და გადახვედი უფალთან, მე ხომ მუდამ ისევ შენ გზას გავყურებ, ამ შენს ლამაზ ნაკვალევს და მიყვარხარ. გაკოცეეეთ... მიყვარხართ... ციკო-ედელვაისი.

•ახლა ათს ათი წუთი უკლია (საღამოს დროით), შაბათია და 34 ნომერი ავტობუსის უკანა სავარძელზე მოკალათებული მგზავრი აშკარად „გზავნილებს" კითხულობს. :) მიმიკა ხშირად ეცვლება და მომინდა კიდეც მისვლა, მაგრამ ისეთი ინტერესით კითხულობს ნახევრად სიბნელეში, ხელი ვერ შევუშალე. :) ე.ი. წყნეთშიც მგზავნელობენ? სარვიეტა.

•მამა, როგორ ხარ? კახეთში ვიყავით რთველში. ყველაფერი გავაკეთე, 1 წამითაც არ შემისვენია, ბევრი გვეხმარებოდა, მერე წელი ამტკივდა და ცოტა ცუდად გავხდი.

•დათო73, ჩემო სიცოცხლევ, თავს გაუფრთხილდი. რომ გნახე, იმის მერე ჭკუაზე არ ვარ. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და მჭირდები. ჩემი დარდი ხარ, მენატრები უაზროდ. თეონა.

•მეც, ზურაბივით ქართლის კედელში ჩაშენებული გყავარ შუამდე... ნახევრად მაინც რადგან გადავრჩი, ნახევრად მაინც ვიგრძნობ ჟრუანტელს. გაიჭრიალა მომავლის კარმა, ჩაესო ურჩხულს ხმალი ვადამდე და ვეკითხები ნაომარ არმაზს: ჩემო ძვირფასო მთებო, სადამდე? ლაკვასტი.

•მარ, ჩემო საყვარელო, ბევრმა მგზავნელმა დამირეკა და მირჩია, არ დამებრუნებინა პასუხი სუპერსთარის სმს-ზე, მაგრამ არ შემიძლია, ეს ასე დავტოვო. მოკლედ, ასე: სახეზე მიღებული ტრავმის გამო რამდენიმე წლის წინ ოპერაცია დამჭირდა. სამწუხაროდ, ექიმმა მთავარი ნერვი გადამიჭრა შემთხვევით, რამაც სახის კუნთების პარალიზება გამოიწვია. სრული რეაბილიტაციისათვის, აგერ უკვე მეხუთე წელი დამჭირდა. მეტისმეტმა წამლებმა ორგანიზმი გადატვირთა და კუჭის სიმსივნის გაჩენის საფრთხე შექმნა. სისხლში რკინა არ მქონდა, რაც უშვილობას იწვევს. თუ არ ჩავთვლით ნერვულ შოკს და არითმიას, ღვთის წყალობით ვიმკურნალე და ყველაფერი კარგად მაქვს. ბევრჯერ არ მქონია წამლის ფული და მაესტრო დამხმარებია. გივი, ოდნავ მაინც თუ ერკვევი მედიცინაში, გეცოდინება ის პროფესორები, რომლებიც ჩემს გამოჯანმრთელებაზე ზრუნავენ: მ. ქისტაური, ნ. უგულავა და და შ. ჯაფარიძე. რომ ამბობ გვატყუებდიო, რითი გინდოდა დარწმუნებულიყავი? ლოგინად ჩავარდნილი გინდოდა გენახე თუ მკვდარი? იცი, ძალიან მინდა, ეს ყველაფერი ტყუილი იყოს და მართლა არ გადამეტანა ამდენი. მეტი არ ვიცი რა გითხრა, ბოროტი რომ ვიყო, გისურვებდი, იგივე გადაგეტანა, მაგრამ ვერ გიმეტებ, მე ხომ შენნაირი არ ვარ. მე განდიდების გამო თვალცრემლიან მეგობრებს ქუჩაში არ ვტოვებ, შენ კი ტოვებ... შენ სულ შენს ნიჭზე ლაპარაკობ, სხვებს კი ამცირებ. ჰო, როგორ ამხნევებ ხოლმე? უნიჭო ხარ, არაფერი გამოგივა და დადევი მაი მიკროფონი! შენს შესახებ ვიკითხე და საკმაოდ სასაცილო კომენტარები მოვისმინე. თავს შევიკავებ, არ ვიტყვი, მაინც ცოდო ხარ. უბრალოდ, ერთს გეტყვი: გაიკითხე, ვინ რას ამბობს შენზე და გაითვალისწინე. უფრო მეტი იმუშავე შენს ვოკალზე, რომ აწი შენმა ლექტორებმა ნიჭიერი სტუდენტების სიაში მოგახვედრონ. შეგიძლია აქ, „გზის" ფურცლებზე იბოგინო და იხტუნო, რადგან აქიდან 90% არ გიცნობს და 99% შენს სანაცნობოს არ იცნობს. აი, მე კი შენც და შენს სანაცნობოსაც ვიცნობ. შენი პედაგოგები, ლექტორები, რომელთანაც კარზე კაკუნით დადიხარ, ჩემი მეგობრები არიან და ჯობს დაწყნარდე. რა გკლავს, მითხარი რა? მიუხედავად იმისა, რომ დამჩიჩინებდი, უნიჭო ხარო, შენზე მეტს რომ მივაღწიე შენს ქალაქში ეს გაღელვებს? SCARLET.

•გამარჯობა მარი, როგორ ხარ? მარ, იცი, მეც მარი მქვია და შენი გაცნობა მსურს. შენი ნომერი „გზაში" ვნახე და მინდა, „გზავნილებში" მესიჯი გამოვაგზავნო. ორ მესიჯად. ხომ შეიძლება?

•დიდი სიყვარულით მოვიკითხავ მარტოსულსა და სევდიან პრინცესას. კლეოპატრა, ძალიან მაგრად წერ, ჩემი ნიჭიერი დაიკო ხარ. ოლეგარიოს გზავნილები მომენატრა ძალიან. გაკოცეთ. ფლამინგო.

•ბანალურმა კითხვებმა შემაწუხა: რატომაა, რომ ადამიანებს სხვისი ტანჯვა უფრო სიამოვნებთ, ვიდრე საკუთარი ბედნიერება? რატომ გამოსდით ადამიანებს ყველაფერი კარგი ცუდად? რატომ ურჩევნიათ ადამიანებს დამალონ სიმართლე და ილაპარაკონ სხვის ცოდვებსა თუ შეცდომებზე? რატომ... რატომ... რატომ... ქაჯების დედოფალი.

•რა უბედურება გჭირთ, ხალხო? არ შეგიძლიათ, მოეშვათ ბოლმა მესიჯებს? ვისი რა საქმეა, კლეოპატრა საკუთარ ლექსებს გზავნის თუ სხვისას, ან სწეეტ-ის გზავნილები თუ არ მოგწონს, გადაახტი და ნუღარ წაიკითხავ, ვააჰ. აღშფოთებული ვარ, რაა. მეც მეცამეტე გოჭივით გამოვხტი, ვითომ? ფიფქია.

•მოგესალმებით და გეფერებით, ქ-ნ. ნანი. არ დავკარგულვარ (თუმცა, უჩინმაჩინის ქუდს მოვირგებდი სიამოვნებით. პრინციპში, ჯადოსნური ჯოხი უფრო მჭირდება. ეჰ, რაღა დროს ზღაპრებია?). ჰოდა, იმას გეუბნებოდით, არ დავკარგულვარ, უბრალოდ, მთლად უბრალოდ მიპასუხა მარიამულის მიერ გადმოცემული ნომრის მფლობელმა, სხვაგან მოხვდიო, როცა ბედნიერი ხმით ვითხოვე, ქ-ნ. ნანის უხმეთმეთქი. აი, ასე ვერ დაგიკავშირდით და განვიცდი. მინდოდა, პირადად მოგსიყვარულებოდით. 8.98.31.01.93. ესაა ჩემი ნომერი და თუ შეგიძლიათ, თქვენ შემომეხმიანეთ. ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ თქვენთან დაკავშირების ალტერნატიული ხერხი აღარ დამრჩა. გაფასებთ და პატივს გცემთ. P.S. დეიიი, ანუ ემიგრანტო, გმადლობ, რომ არსებობთ. გმადლობ, რომ მამხნევებთ და გმადლობ სიყვარულისთვის. ღმერთი გფარავდეთ, ჩემთვის ძვირფასო ადამიანო და მხნეობა, სულის მხნეობა და სიმშვიდე დაგბედებოდეთ. P.P.S. ჯაყისმანელო, მაპატიე, შემოგეჭერი და მაინც — ნეტარია ადამიანი, სიყვარულის ასეთი განცდა თუ შეუძლია და გამოხატვის ასეთი ინტენსივობა. უფალი შეგეწიოს და დაგილოცოს ეს დიდი გრძნობა, ბედნიერი ფინალისთვის. P.P.P.S. მოკითხვა აზიელს (ძალიან გაფასებ), ნიბუს და დამავოის (მომენატრეთ). 9717, მიხარია შენი ახმეტელობა, აქვე ყოფილხარ, ა..ა..ა, ხელის გაწვდენაზე. თუ მოვიჩრდილე, შეიძლება დაგინახო კიდეც. რუიი, დამაფიქრე! დაბოლოს, ბოლოს კი არადა, თავშივე უნდა მეთქვა: ენიგმა, მჭირდები! მემე.

•ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, ჰოოოვ, რანუნი, მე

# გზავნილები

## მობილი-ზაცია

შროშანი მეგონავო, ჰოოოვ, რანუნი, ვინც ამ სტრიქონს გამიშიფრავს, ჩემი გული ალალ მისი — მეგობრობისთვის (სერიოზულად ვთქომ). მემე.

• ძალიან დიდი მადლობა ჩემო საყვარლებო, მოლოცვისთვის. გკოცნით ბევრს. P.S. ცდუნებავ, გაბედნიერებას გილოცავ. P.S.S. თბილისო, მენატრები. :( ჭრიჭინა.

• იყო ოცნება, იყო შენზე გულით ლოცვანი, ალიონის ისევ შენზე ფიქრში შეხვედრა, იყო იმედი, ტანჯვა, რწმენა, იყო გლოვანი, იყო, დამთავრდა, წარსული აღარ განმეორდება. იყო გულის მღელვარება შეხვედრებისგან, წამით დაბნევა, მერე ღიმილით გაფერადება, სიხარული, ამ სიახლოვის ნეტარებაში და ჩემი გულის უცნაური ამღელვარება. იყო წრფელი, უანგარო გრძნობათა კონა, ბედნიერებით შენთან ყოფნის წამის დაფარვა, იყო თორემ, ყველაფერი უეცრად მოკვდა, იყო, მაგრამ ყველაფერი უკვე დამთავრდა. ბელურას. კლეოპატრა.

• გადარეულო, შენი გულის გასახეთქად მაინც დავწერ. :) კლეოპატრა.

• აქ აშკარად მაგარი ნაშობა იჩითება. ტკბილო, შეშლილო, წყევლა, ალქაჯო, მოდით მამიკოსთან, გამეცანით. გიკბინათ ლევანმა.

• ისევ ეს ფიქრი გდევს წლიდან წლამდე, საითაც უნდა მიაპყრო მზერა, სულ გინდა, რაღაც გულით რომ გწამდეს და სადღაც კიდევ რაღაცის გჯერა. გჯერა, რომ ფესვებს წლები არ უშლის, ისევ იფეთქონ მწვანე ყლორტებად... ლექსში, შვილებში და სიყვარულში ჩვენი სიცოცხლე განმეორდება. განმეორდება ურწმუნო ნუ ხარ (რწმენის დაკარგვა შესაზარია!), ბედნიერია, ბრმად ვისაც უყვარს და მორწმუნენი ნეტარ არიან. განმეორდება, რაც გიმგზავრია, რაც გიპოვნია, რაც გაგფრენია! მაგრამ ცხოვრება თუ სიზმარია, გულდასაწყვეტიც არაფერია! ლაკვასტი.

• არ იფიქროთ, რომ ან ვინმეს საქმეში ვერევი ან ვინმეს მხარეზე ვარ. მართალია, მისტერის ხანდახან ბევრი საქციელი და სმსი არ მომწონს, მაგრამ სიამოვნებით ვკითხულობ მის ნაწერებს. მგონი მთლად „შენ მოუკვდი დედაშენს“, „შე არდასაბადებელოც“ არაა და ნუ ილანძღებით. ჩვენ სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს. თანაც, მისტერი ქვევრივითაა, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. :) კლეოპატრა.

• ლაკვასტ, უნიჭიერესი ადამიანი და ჩემი აღმოჩენა ხარ. ძალიან მიყვარხარ. კლეოპატრა.

• ჩემი თბილუკა დაიკო ფლამინგო მიკალსო ძალიანო, კლეოპატრამოო. გაკოცე დაი.

• მინდა იმათ მივმართო, ვისაც თავის მოკვლა უნდა. თვითმკვლელობა გამოსავალი რატომ გგონიათ? ეს ლაჩრობაა და მეტი არაფერი. ვერავის თვალში ამაღლდებით ამ საქციელით, ეს ყველაზე უკანასკნელი გამოსავალია (თუ კი შესაძლებელია, ამას გამოსავალი უწოდო), საკუთარი სხეულისა და სულის ხელყოფა ისევე არ შეიძლება, როგორც სხვისი სხეულისა და სულისა... ჩაიკეტეთ რამდენიმე საათით ოთახში და იფიქრეთ, რა იქნება მერე. გამოსავალი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ძებნა უნდა... ქაჯების დედოფალი.

• გამარჯობა ჩემო კარგო მარი, ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე, რომ ჩემმა დედამ წაიკითხოს. ჩემო კარგო და საყვარელო დედა, მინდა მთელმა საქართველომ და „გზის“ მკითხველმა გაიგოს, რომ ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ტელეფონზე ყოველ კვირას გელაპარაკები და მეუბნები, არ მესმის შენი ხმაო, მე კი მესმის შენი ხმა დე, ძალიან გთხოვ, თავს მიხედე და მე ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ შენს ხმას გავიგონებ, ჩემო ტკბილო და დატანჯულო დედიკო. მაპატიე, რომ მიგატოვე და ასე შორს ვარ შენგან 1000 მადლობას გიხდი დედა, რომ გამაჩინე და სიკეთე მასწავლე. მიყვარხარ დედა, შენი ირინა. გერასიმე.

• ნანა მისირელს მინდა ვუთხრა დიდი მადლობა, რომ მგზავნელების ჩამონათვალში ჩამწერა. ძალიან გამახარე, ჩემო კეთილო. სიხარულისგან ვიტირე. ყველანი მიყვარხართ. გერასიმე.

• მოგესალმები ქალბატონო მარი, ვინაიდან და რადგანაც მე 82 წლის გახლავართ და არ შემიძლია ტექსტის აკრეფა, ჩემი ახლობლის დახმარებით გწერთ. მე ლტოლვილი გახლავართ (სოფ. ერედვიდან). ბოლო დროს ჩემი ტკივილი და გულისნადები ფურცელზე გადამაქვს და ლექსად ვწერ. რამდენიმეს თქვენი ნებართვით შემოგთავაზებთ: ერედვო, ქართლის მერვედო, გულ-იყავ შიდა ქართლისა, უსამართლობას ებრძოდი, ქომაგი იყავ ხალხისა. აქამდის მაგრად იდექი, არ გეშინოდა თათრისა, ახლა კი მუხლმა გიმტყუნა, შემოგესია მტარვალი, ბავშვებიც კი არ დაინდო, ხალხი დახოცა მრავალი, ბომბა და ბომბა სოფელი, შემოგვისია ტანკები, ჯერ სულ გაძარცვა სოფელი, მერე გადაწვა სახლები. სოფელში ისევ დაძრწოდნენ, როგორც ველური ძაღლები, ეს რა ჰქნა მაგ ურჯულომა, დაგვიწიოკა ბალღები. შალვა ბაციკაძე.

• ამ ლექსს ჩვენს პრეზიდენტს, ბატონ მიშას ვწერ: როცა გხედავ, გეცინება, ნეტავ რა გაქვს სასაცილო, გიჯობს ხმალი შემოირტყა, მტერი საზღვარს გააცილო. მაღალ მთაზე დაბანაკდი, ტყვია მტერს არ ააცილო, ჯობს ციმბირში გადარეკო, ყინულებში ჩააცივო. დაღვრემილი ლტოლვილები იქნებ ამით გააცინო. მოვა დრო და პრეზიდენტო, კი გექნება სასაცილო, კავკასია და რუსეთი, ერთმანეთს რომ დააცილო. ეცადე, რომ საქართველოს მტრისა რისხვა ააცილო. საქართველოს ყველა მტერი, ჯოჯოხეთში გააცილო. შალვა ბაციკაძე.

• ძალიან მომწონს ჯაყისმანელისა და ლაკვასტის გზავნილები. ეს ის გამონაკლისი მგზავნელები არიან, რომელთა ლექსებს გვერდს არასდროს ავუვლი. ქ-ნ. ნანის ლექსებზე ძალიან ვხალისობ. განსაკუთრებულად „სიძის ლექსი“ მომეწონა. რუისპირს (ამჟამად გაყვითლებულს) დეპრესიის ნიშნები აქვს. პარიჟანკას კი მინდა ვუთხრა, რომ კარგი ადამიანია. დაბოლოს, ბათუმელებო, ნუ ჩხუბობთ, რაა... ოღონდ თქვენ ნუ იჩხუბებთ... მაგდალენა.

• ცუდი კაცია პუტინი, უნდა გავხადოთ მუნდირი, სასამართლოზე გადავცეთ და ციხე მივცეთ მუდმივი... უნდა გადადგე პუტინო, შენ ხალხს ვერაფერს ვერ არგებ, ბოროტი ხარ და უტვინო... ნეტავ რაზე აირჩიეს, რა აქვს პუტინს რჩეულისა, მას სახე აქვს სნეულისა, გამოხედვა წყეულისა. ვიცი, მალე დამთავრდება მედვედევის კარიერა, პუტინის რჩევით მოქმედებს, თავი რომ აქვს ცარიელა... შალვა ბაციკაძე.

• მოდის ლიახვი, პატარა, ცივი, სუფთა, კამკამა. ნეტავი მე იქ მამყოფა, მის ნაპირებზე მატარა. მაჩვენა მისი დინება, მისი ტალღები ნარნარა, მორევში გადავეშვები, მხოლოდ ტრუსიკის ამარა. გავცურო, გავინავარდო, ხან ძირს ჩავყვინთო, ხან — არა... შალვა ბაციკაძე.

• წუთისოფელო, რა ხარო, ორითავ თვალებით ბრმა ხარო, ავსა და კარგსა ვერ არჩევ, აბა მითხარი, რა ხარო. შენს მკერდში გული არა გაქვს, აგორებული ქვა ხარო. ცუდი ხარ, წუთისოფელო, ყველაფერს შენა ჩმახამო, არსად არ გამოაკლდები, სუყველგან შენა სჩანხარო... შალვა ბაციკაძე.

• მარი, ათენიდან გწერ. იქნებ ვინმეს ჰქონდეს პასუხი, თუნდაც მამაოს. რატომაა, მთელი საქართველოს ქალები აქ რომ ვართ? ღმერთმა რა მისია დაგვაკისრა? ვფიკრობ, ის მამაკაცები უნდა დაისაჯონ, ვისაც შრომა ეზარება და ისე უნდა აყვავდეს საქართველო. მია.

• დიდი მადლობა ნანა მისირელს, მოკითხვისთვის. მეც მოვიკითხავ, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ვალელებს თბილი სალამი ჩემგან... ასევე მოვიკითხავ წყევლას. დიდი მადლობა... ფლამიიი, გენაცვალე მაგ გულში, მეც ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანი. მთლად მასეც ნუ გადაირევი, მასე კარგიც არ ვარ. :) კლეოპატრა. შეუდარებელი ხარ მართლა, წინსვლას გისურვებ. ჩემი ედე გაელვება მთლად დაგვეკარგა. დაბრუნდი, გოოგოო! ლუნა, გადარეულო, 9717, გრუზინკა, გიჟპოეტა, ძალიან მიყვარხართ, ჩემო ჭკვიანებო, აღფრთოვანებული ვარ თქვენი აზროვნებითა და გონიერებით, მგზავნელებო... პატივისცემითა და უდიდესი სიყვარულით, ლაკვასტი.

• მარ, არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. ვნატრობდი შენს გაცნობას, ნატვრა ელისოს წყალობით ამიხდა. წინა ხუთშაბათს ახალციხეში გაგიცანი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „გზას“ და „გზავნილებს“ დიდი ხანია ვკითხულობ, მაგრამ მოწერას ვერ ვბედავდი. ამიერიდან ხშირად მოგწერ. იმედია, მიმიღებთ. გაკოცეთ. ნუკა, ახალციხიდან.

• მე თქვენი რედაქცია მინდა ავაფეთქო, ტყუილის მეტს არაფერს წერთ, ამ ჟურნალში. სიმართლე მაინც დაწერეთ.

• მინდა, საკუთარი სიამოვნებით ვიცხოვრო! ასე ამბობს სხეულის მონა და ცხოვრობს კიდეც, ამგვარად. მისი სული სხეულისა და გრძნობებშია ჩაფლული. ზეცაზე, სულიერ საჭიროებებზე, სინდისისა და მოვალეობის მოთხოვნილებებზე არ ფიქრობს, არც უნდა და არც შეუძლია ამაზე ფიქრი. მან იცის მხოლოდ სიამოვნებათა სხვადასხვაგვარი სახეობები, მარტო ამაზე შეუძლია საუბარი და მსჯელობა. რამდენი სიკეთეცაა დედამიწაზე, რამდენი მოთხოვნილებაც აქვს მის სხეულს, სიამოვნებათა იმდენი სრული სფეროა, გრძნობებს აყოლილისთვის და თითოეული მათგანისათვის მასში ჩნდება განსაკუთრებული მიდრეკილება. ტკბილეულის მოყვარეობა, ძღომამდე ჭამა, განებივრება, კეკლუცობა, სიზარმაცე, გარყვნილება. მიდრეკილებები, რომელთა ძალაც უთანაბრდება ბუნების კანონთა ძალას. დაიწყებს ადამიანი გემოვნებით ტკბობას და ხდება გემოთმოყვარე, ფერთა თამაში ასწავლის მას კეკლუცობას, ხმათა მრავალფეროვნება ლაქლაქს, ჭამის მოთხოვნილება უბიძგებს ძღომისაკენ, თავდაცვის მოთხოვნილება სიზარმაცისაკენ, სხვა მოთხოვნილებები გარყვნილებისაკენ. რადგან სხეულის მეშვეობით ბუნებასთან ცოცხალ კავშირში იმყოფება, სულიერად სხეულს დამორჩილებული ადამიანი, ბუნებისაგან იმდენი არხით სვამს სიამოვნებებს, რამდენი მიმართულებაც არის მის სხეულში და სიამოვნებებთან ერთად იწოვს იგი ბუნების ძირითად სულს — მექანიკური, უნებლიე მოქმედებს სულს. ამიტომ, რამდენადაც ადამიანს მეტი სიამოვნებები აქვს, იმდენად ვიწროა მისი თავისუფლების წრე და ვინც ყველა სიამოვნებას ფლობს, შეიძლება ითქვას, იგი სხეულის ტყვეა... ვადიდოთ უფალი... ამინ! ლაკვასტი.

• წყევლა, არარაობა მისტერს კი არა, უმუშევრობას უნდა ერქვას. :) თუ ჰქვია უკვე? რა ვიცი, რა ვიცი... :) ლაკვასტი.

• CRAZY GIRL-ს. როგორ ხარ, საყვარელო? მესიამოვნა, ჩემი გაცნობა რომ გსურს. მეც სიამოვნებით გაგიცნობდი... ლაკვასტი.

• ქაჯების დედოფალო, შენ რამდენი საათი ხარ სვანი დღეში? გადარეული.

• მზის ჩასვლის ცქერამ გამიღვივა გულში სინაზე; უცბად დაფარა დიდმა ქედებმა მისი სხივების მჭრელი სინათლე; მის ამ ცქერაში ჩამომალამდა ღამის წყვდიადი; მარტომ ვინატრე ტურფა სილაღე და დავინანე, როცა ვიყავი სუფთად პირამდე; ვერ დავიძინე, ვერ მოვისვენე და ასე ფიქრით ვიყავ დილამდე... ცრაზყ გირლ, მოგიკითხავ. წყევლა, შენც მაგარი ხარ, ნიკი უმაგრეეეს გრუზინკა, კლეოპატრა, ლაკვასტი, ფლამინგო, გაიხარეთ, უფალმა გაგაძლიეროთ, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. ჯაყისმანელი.

• მისტეერ, ბედნიერი კაცი ხარ ძამი, წყევლა ისე გადაგეკიდა, როოოოომ... :) იმედია, დიდი ძუძუები აქვს და ლოცვა არ მოგაკლდება. :) ჰო, ვიღაცას სწეეტ-ის ფართხალი არ მოსწონს? ახალი საავადმყოფოები შენდება. ხომ იცი, რისი თქმაც მინდოდა? ყველა ჩვენგანმა ჩვენი ჭია ისე გავახაროთ, სხვის უკვე გახარებულ და გაზრდილ ჭიას, განვითარებაში ხელი არ შევუშალოთ, ოკ? :-) რუისპირი (YELLOW).

• სალამი გზავნილეთის მცხოვრებნო და სტუმრებო. სალამი, პირმშვენიერო მარი. საოცარი განცდა დამეუფლა, როცა შენი პრეამბულა წავიკითხე. მარი, ვერ წარმოიდგენ. ბულვარში, ჩოგბურთის თამაშისას რამდენჯერ დამიგდია ჩოგანი, რათა „ვეტერანთა კლუბში“ თავმოყრილი მოხუცებისათვის მეცქირა და მათი წარსული განმეჭვრიტა, შეძლებისდაგვარად. მართობდა და მაინტრიგებდა მათი თავმდაბალი დარდიმანდობა, ხმაში გარეული ბაბუური ხრინწი და დაკვირვებით მომზირალი, მრავლისმნახველმეტყველი თვალები. მადლობა მარი, ერთი ფრაზით რომ ამაფორიაქე და ამიშალე ნოსტალგია ბათუმსა და ბათუმელებზე. და ამ დროს ქალბატონი ნანი დუმბაძე მეკითხება, რა დაგიშავეო. თითქოს ვერ ხვდება, რომ მან და მისნაირებმა მომწამლეს, გამხადეს დამოკ-

იდებული და დამაავადეს გზავნილომანიით. ვერ ხვდება, რომ ყოველი ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე სულმოუთქმელად ველი ნანის, ლაკვასტის, პარიჟანკას, ნანა მისირელის (გაიხარე, ამ გახსენებაზე), რუისპირის, 9717-ის, SWEET-CRAZY-KIND GIRL-ების, გადარეულის, ლუნას, კლეოპატრას, ლედის, ლიმონას და სხვათა მრავალთა გზავნილებს. ყველაზე მეტად მახარებს, რომ ჩემს ერს სატირლად კი არა, საამაყოდ აქვს საქმე, რადგან ასეთი გულანთებული და გონებაშეურყვნელი შვილები ჰყავს. შეიძლება ათენში არ იციან, სად დაისვენონ და გაატარონ დრო, მაგრამ არც ის იციან, რომ ამქვეყნად დროის გატარების მეტად საინტერესო და სასიამოვნო საშუალება ასეთი ადამიანების პოვნა და მათი ნააზრევის გაცნობაა... მე, მაგალითად (ან როგორც ახალი მეგრელები იტყვიან FOR EXAMPLE), ყველანაირ დაღლილობას მომენტალურად მიხსნის იმის გაფიქრებაც კი, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია, სანამ თუნდაც ეს ხალხი იარსებებს. მგზავნელებს ყველას ოჯახი აქვს და იმ ოჯახის მონაბერი სულია, აქ რომ მოიტანეს. თავის მხრივ, გზავნილეთიდანაც არის წაღებული ნაპერწკალი და ის მთელ საქართველოს სიყვარულის ალში გახვევს. აი, ეს დამიშავეთ ქალბატონო ნანი და გთხოვთ კიდევ ბევრ, ბევრ ადამიანს დაუშავოთ, მარტო მე რას მერჩით? თქვენს დიდ პატივისცემას დაატარებს ულიბკა.

• თემაზე — „ასე ვჭამე სირცხვილი“, მე რომ დამემართა, მგონი ძალიან იშვიათი იყოს. ამ თემაზე კი დაგიწერეთ რაღაც გამოსაგზავნად, მაგრამ გამომგზავნი ვერ ვიპოვე. არ შეიძლება, ახლა რომ დამიბეჭდოთ? დედაჩემი 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. მწოლიარე ავადმყოფი იყო. სამი შვილი ვყავდით. როდესაც თავი შეუძლოდ იგრძნო, სამივე გვიხმო და დაგვიბარა: მე უკვე მივდივარ, არ იტიროთ და არც შავები ჩაიცვათ, ფიზიოლოგიური სიმწიფე მაქვს და უნდა წავიდე (თითქოს კურორტზე მიდიოდა). ერთი თხოვნა მაქვს: გემრიელი, ხვავიანი ქელეხი გამიკეთეთ, რომ ხალხი კმაყოფილი დაბრუნდეს სახლშიო. ტირილი არ გამაგონოთ, სულ სიცილ-ხარხარში დამასაფლავეთო! ჰოდა, ეს რომ მახსოვდა, აბა, დედას თხოვნას არ შევუსრულებდი? გასვენების დღეა, მთელი სანათესაო, მეზობლები, სტუმრები თბილისიდან და სხვა სოფლებიდან, ჩვენი სოფლის დედაკაცები, გავსებულია ჩვენი დიდი ოთახი. ერთმა მოხუცმა დაიწყო ტირილი: მშვენიერო, ტანწერწეტა მაშოოოო... დანარჩენებმა ბანი მისცეს — ოოოო! რა კარგი ქალი იყავ, ქალოოოოო... ოოოო... სოფელს ამშვენებდი შენი სილამაზითა, ქალოოოო... ოოოო... რა ლამაზი შვილები გყავს, ქალოოოო, ერთი ერთმანეთზე უკეთესები, ქალოოოოო... უცებ წამოვხტი ადგილიდან. აბა გაჩუმდი, რომელს ხედავ აქ ლამაზს, ნახევარფაბრიკატები დაგვსხა, მე ბოლო გამოშვება ვარ, ჯერ მე რას ვგავარ, ახლა ამათ შეხედეთ ხალხნო, ლამაზები არიან? ხალხი გაიტრუნა, უცებ ატყდა თავშეკავებული სიცილი. ფხუკ, ერთი მხრიდან, ფხუკ, — მეორედან, ალბათ გამოგიცდიათ, რა ძნელია, პანაშვიდზე სიცილის შეკავება. ყველა კარისკენ დაიძრა, ასწრებდნენ გასასვლელში. აი, ასე შევუსრულე დედაჩემს უკანასკნელი დანაბარები. ნანი დუმბაძე. ვუძღვნი ჩემს საყვარელ-უწმინდეს დედას, მაშო ახალკაციშვილ-კობიაშვილისას. გარდაიცვალა 1983 წლის 21/, სოფ. მარტყოფში. დედავ ძვირფასო, ყველა დედისგან გამორჩეულო, შენ სამკაული იყავ სოფლის, ცოცხლად მავალი, ყველას ხიბლავდა შენი სახე, გედივით ყელი, ენამზეობა, საუბარი, წრფელი და ქველი. მიკვირს, რამ მოგცა შენ ამდენი მხნეობა, რწმენა, როგორ ლამაზად დაასრულე სიცოცხლე ძნელი, პატიოსნებით, მოკრძალებით, მდიდარ ბუნებით თვით დაიმკვიდრე პატივისცემის სასუფეველი. კელაპტარივით ქალი იყავ, სითბოს მომცემი, სამი გოგონა სანთელივით აუნთე ღმერთსა, შენი გულიდან დაღებული ხარკი ყოველი შესაწირავით წმინდა იყო, ვფიცავარ ღმერთსა. სამაგალითოდ დაისაჯე უსიამტკბილოდ, შენ სათნოებავ, ამქვეყნიურო კენტად მავალო. ბედისწერამ კი შხამი გასვა არ შეგიბრალა, კეთილი ხალხის, ბრძენი ხალხის შთამომავალო. ჩემო დედიკო, რომ დაჭკნება შენი სახება, სახელი შენი უსპეტაკესი, ყველას გულებში შეგვენახება! ნანი დუმბაძე.

• ქალაჩუნა. ქიშვარდ ისაკაძე. გამოუტყდა კურდღელს ვაჟი, ცელქი და გიჟმაჟი: უკვე ბრწყინავს ჩემი ცოლის შერთვის გარიჟრაჟი, ჰოდა, თუნდაც წინ აღმიდგეთ მახლობელი ყველა, გადავწყვიტე, ჩვენს ოჯახში ვადედოფლო მელა! შვილო, ჩვენ ხან კომბოსტოს ვჭამთ, ხან უმწიფარ ჟოლოს, მელია კი... როგორც გინდა... არ ინანო ბოლოს! აღარ მინდა დარიგება შენი უწინდელი, ვაჟკაცი ვარ! მე ვინც მიყვარს, იმას ვუწყვილდები! თანაც ქალღმერთს ვისაკუთრებ, ნამდვილ ჭკუის კოლოფს, დამიჯერე, რძლის სიკეთით ცას ეწევი ბოლოს! უსიამო გრძნობამ დედას, დაუღარა შუბლი, მაგრამ რაკი ახდა ნატვრა, ძის — პატარა უფლის, დედამთილი რომ იტყვიან, შეუძლებელს სძლებდა, რძალს ხან ხოხობს მიართმევდა, ხან შინ გაზრდილ დედალს. კიდევ მეტი: პატარძალი ბედნიერმა აწმყომ, ტყის ხელმწიფის — ლომის ცოლის დარად გამოაწყო. სულ მალე კი პატარძლისგან ქმარს დაუდგა ბინდი, დედაშენთან ვერ ვიცხოვრებ, ყურები აქვს დიდი... — ყურები მეც... — ვიცი, გხედავ, ზუსტად ჰგავხარ დედას, მაგრამ ძლიერ რომ მიყვარხარ, შენს ნაკლს ვერა ვხედავ! — დედიკო რომ მოვიძულო, ოჯახს ჩვენ მოვუვლით? — თვეში ერთხელ გვესტუმროს და მოგვიტანოს ფული. სხვას კი ყველას აუკრძალე, ჩვენთან სტუმრად მოსვლა, თორემ ნაღდად არ აგცდება, სისხლით ცხვირის მოსვრა! მალე იქცა სინამდვილედ მელას ზრახვა მწარე: ავმა რძალმა ტკბილ დედამთილს თავი უკრა გარეთ! არვის, არც ერთ ცანცარაძეს არ ულებდა კარებს! ღამე კურდღელს ცოლის სიტყვა გულზე ხვდება ეკლად: მიყვარდი და მძულხარ, რადგან ჩემს დაკრულზე ცეკვავ! მომწყდი, თორემ მძორად ქცეულს გიხილავენ დილით! საწყალ დედის გზას დაადგა ქალაჩუნა შვილი... იმ დღეს ყველამ ნახა, ვისაც არ ეძინა ჭურში... მელა ბრგე და შავტუხა ქმარს, იხუტებდა გულში. კურდღლის ბედი ბევრს სტანჯავდა, ბევრსა სტანჯავს ახლაც, ვაშა! ვისაც ეს იგავი გულს არ დაუდაღავს. ნანი დუმბაძე.

• მარიშკა, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო. იცი, როგორ გამიხარდა ჩემი სმსები რომ ვნახე? ჯიგარი ხარ. ორიოდე სიტყვით მინდა მივმართო მგზავნელებს: რა გინდათ ერთმანეთისგან? ურთიერთობები ცალკე გაარკვიეთ, რაა, ჟურნალია თუ რინგი? პატივი ეცით ჯერ საკუთარ თავებს, მერე ჟურნალ „გზას“ და მერე მარი ჯაფარიძეს... არა, რაა, ამ მისტერისგან რა უნდათ, მაინც ვერ გავიგე, სულელი რომ იყოს, მოუვიდოდა აზრად ესოდენ მშვენიერი ლექსიკა? კარგი რაა, ხალხო, მასში მეტოქეს ხედავთ თუ რით ვერ დაიმსახურა თქვენი მოწონება? ვისიც დაიმსახურა, მასთან ბოდიში. თქვენი აზრები სრუუულებით არ აინტერესებს და ტყვილა ირჯებით. გამოსარჩლებას ჰგავს, მაგრამ ეს მას არ სჭირდება. უბრალოდ, სუბიექტური ვარ, ესაა და ეს. წავედი მე, თორემ სიტყვა გამიგრძელდა... ქაჯების დედოფალი.

• გამარჯობა მარი, როგორ ხართ? მე შინაბერა თინეიჯერი ვარ. დღეს დილით ჩემი მესიჯი რომ ვნახე „გზავნილებში“, კინაღამ გავგიჟდი. ეს ჩემთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო, სიტყვებით ვერ გადმოვცემ როგორ ემოციებში ჩავვარდი. გეფიცები მარი, დამიჯერე, მე მართლა არ მეგონა, დაბეჭდავდი. უბრალოდ, ჩემი გულისტკივილი მოგწერე. რომ გადავშალე ჟურნალი და თვალი მოვკარი ჩემს სიტყვებს, იცი, რა დამემართა? ცრემლებს ვერ ვიკავებდი და გაოგნებული დავცქეროდი, არ მჯეროდა და დაუსრულებლად ვკითხულობდი. მარი, ულრმესი, ულრმესი მადლობა, ამ მოულოდნელი სიხარულისთვის. ცხოვრების აზრი მაპოვნინე, ჩემი ახალი ოჯახი მაპოვნინეთ, ბრძოლის გაგრძელების სურვილი გამიახლეთ და იქნებ მოხდეს სასწაული და ჩემი იმედის სანთელი ისევ აინთოს. ამით მე მგონი ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო. მარი, ძალიან, ძალიან მიყვარხართ, მაგრად ჩაგეხუტე და გაკოცე. თქვენი მარად ერთგული, თინეიჯერი შინაბერა.

• მარი, როგორ ხარ? მართალია, პარასკევი არ არის, მაგრამ მცალია... ყველას მოგიკითხავთ, ძვირფასო მგზავნელებო. რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ. აბა, დროებით. ფიფქი.

• ერთი ბიჭი მიყვარდა გაგიჟებით, მზად ვიყავი, მისთვის ყველაფერზე წავსულიყავი და ცოლადაც გავყოლოდი. მან ცოლობა მთხოვა, მაგრამ აქ გავიჭედე... ოჯახმა ხელი შემიშალა, რადგან ჩემი შეყვარებული ჩემზე 12 წლით უფროსი იყო... ქუთაისელკა.

• მეც ძალიან მიხარია, ისევ ის ძველი, თბილი და ყურადღებიანი გიო რომ ხარ. მეც მომენატრე, წარმატებები, რუი... GRAZY GIRL, გაიხარე გენაცვალე, მეც გაგიცნობდი. კლეოპატრა, მიყვარხააააარ, შემოჭყლეტვამდეო... ლაკვასტ, ძალიან საყვარელი ხარ დაიკო, 9717, სად ხარ? გადარეულო, მავნე ხარ. ედე, ჩემო ლამაზო, ჭრიჭი, მახსოვხარ. მოვიკითხავ ფიფქიას, გრუზინკას და ჯაყისმანელს, ოლესა და ვერძს, კუტრინას და სხვებს... წყევლა — თამუნა, ზედმეტები მოგდის, ხომ ხედავ, შენსავით არავინ ილანძღება. დაანებე მისტერს თავი. ფლამინგო.

• ბევრჯერ დავაპირე მადლობის გადახდა იმ მგზავნელებისთვის და მკითხველებისთვის, ვინც ჩემთვის სითბოს არ იშურებს, მაგრამ ყოველთვის რაღაც მიშლიდა ხელს. ულრმესი მადლობა მათ, ვისაც არ ვავიწყდები და „მობილი-ზაციაში“ მკითხულობს ხოლმე. ნანა მისირელი, ფერია77, წყევლა, მიხარია, ჩვენთან რომ ხართ! მიყვარხართ. სიყვარულით მოვიკითხავ, ცრაზყ გირლ-ს, ედელვაისს, რუისპირს, სევდიან ქალს, ოლეს, ეთოს. მთელი გულით ვულოცავ ქალ ცდუნებას, ჭრიჭინას გათხოვებას და ბედნიერებას ვუსურვებ! შენი გაცნობა კი ძალიან გამეხარდა, ჩემო ლაკვასტ, უნიჭიერესი გოგო ხარ! ქალბატონო ნანი დუმბაძე, აუცილებლად დაგიკავშირდებით. მიყვარხარ! ჩემს ქერათმიან ანგელოზს, კამის და ჩემს მოხუცს, რომელსაც მალე გავიცნობ ალბათ, სიყვარულით მოვიკითხავ! მარიამულ, შენ კი დიდი მადლობა, საოცარი ადამიანები რომ შემძინე. დაბოლოს, მინდა ლიკა ქაჯაიას მადლობა გადავუხადო სითბოსთვის და ვუთხრა, რომ ძაალიან მიყვარს! ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ! ლუნა.

• სხვისი ტკივილი ჩემად რომ მიმაქვს,/ ალბათ ინებებს ამასაც ღმერთი,/ მარტოობის ჟამს, როცა მზეც ქრება,/ ვიცი, მინატრებს მაშინაც ერთი,/ ფიქრით იწყება ყოველი დილა,/ ფიქრით თენდება უმთვარო ღამე,/ შენს ღალატს გულში როგორ გავივლებ,/ რად გაიფიქრე ასეთი რამე,/ სიტყვა რა არის, თორემ გეტყოდი,/ მე უფრო მეტი რამ მინდა შენთვის,/ რა საჭიროა სიტყვები, როცა,/ ჩემი თვალებიც ბევრ რამეს გეტყვის./ ან რა ვიპოვო სხვა უკეთესი,/ რა არის ქვეყნად ტრფიალის ფასი,/ ვერც ამ სტრიქონებს გაუგებს რამეს,/ ვინც ვერ გაიგო ამ გრძნობის არსი,/ დილა თენდება ისევ ოცნებით/ და გულზე ტრფობის ალი მედება,/ რაღა ვინატრო ამაზე კარგი,/ ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება. ბელურას, კი არადა ჩეემს დიდ ბიჭს! :) ლუნა.

• გამარჯობა, ჩემს მეგობარს გავეხუმრე და რაღაც მოვატყუე. მინდა, თქვენი მეშვეობით ბოდიში მოვუხადო და იმედია, შემრიგდება. დიდი ბოდიში. კოლოთო.

• დღეს, 1-ელ ოქტომბერს ღიმილის დღე ყოფილა — ულიბკის დღე. ვილებ მოლოცვებს და თქვენც გილოცავთ, გასაოცარნო და ღიმილსიყვარულით აღსავსე ჩემო ერო, გზავნილეთის კოლორიტებო და მშვენიერო მარი. სულ ხალასი ღიმი იყოს თქვენი თანამგზავრი და სულ გაღიმებულს გევლოთ ამ ქვეყანაზე. პ.ს. ეგრე არ დარჩეთ, ოღონდაც. ულიბკა.

• ოცნება იყო, მერე ფიქრი სულის სიღრმიდან, იმედი წამით, ერთად ყოფნის ნეტარებაში, ოცნება მოკვდა, აღარაფერი დარჩა ფიქრიდან, მხოლოდ დაღლილი გული ჩურჩულებს მღელვარებაში. ოცნება იყო, იმედიც ჩუმად ხარობდა გულში, იყო შეხვედრის მოლოდინის ამღელვარება, მაგრამ დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა გუშინ, მე აღარ ვიბრძვი, მართლა არ ვიცი რა მემართება. ოცნება იყო, ფიქრთან ერთად ფერადდებოდა, ჩუმად ვიყავი, არაფერზე არ ვსაუბრობდი, გულში შენი სიყვარული მეპარებოდა, ხან ვცდილობდი, ხან კი მაინც ვერ გავურბოდი. ოცნება იყო, იყო, თორემ აღარ გადარჩა, ფიქრებიც კი სევდიანმა ქარმა წაიღო, დამიჯერე, არ მინდოდა შენი დაკარგვა, დამიჯერე, მაგრამ მაინც, გზები გაიყო. ბელურას. კლეოპატრა• .

• წყევლა, ეს ნიკი რატომ დაირქვი? წყევლა იცი? გადარეული.

## გზავნილები

• კლეოპატრა, ჩემო პუტკუნავ, :) როგორმე ავიტან. თამარი და ვახუნხულა, :) ჩემი ყინულის დედოფალი ვინ არისო? :) გადარეული.

• მარორიტა, ამწუთას გამეღვიძა და საშინლად მომინდა მომეწერა... მინდა, სტაჟიანი მგზავნელები მოვიკითხო — მეგრელი კანიბალკა (რომელიც დაიკარგა), პარიჟანკა (რომლის აზროვნებაც ყოველთვის მომწონდა), მონასტრის ბიჭი (რომელიც ასევე დაიკარგა), ყელლოწ (რომელიც დაკარგული მეგონა და თურმე რუისპირი არ ყოფილა?!) ელისო, ოლეგარიო, 9717 და კიდევ სხვები და სხვები.  ჰოო, კიდევ რა... ბიძაშვილი (ფიფქია) მინდა მოვიკითხო, ფისო მალე ჩამო, გვენატრები, თამარისში არა, იქ წასულიყავი, რა ჰქვია, ნუ, რაც ჰქვია... აუ, ისა, წიგნის გამოცემა მინდა და ვის მივაკითხო? დავით მეექვსეს მივაკითხავდი დიდი სიამოვნებით, ტრუპი რომ არ იყოს. :) ქაჯების დედოფალი.

• ღამეებს მოაქვს ათასი თვალი, ამობრწყინდება ისევ დილის მზე, მარტოობისა მოვა საათი, ნუ გინდა, ქვეყნად სხვა რამ სიმდიდრე. სხვის დასანახად ნუ დაიჩოქებ, ღამე დიდია, ღამით იფხიზლე, უფლის წინაშე მარტომ ილოცე, უფლის წინაშე მარტომ იტირე. ნუ დაგემჩნევა ნურასდროს ღელვა, მოჩვენებითი გქონდეს სიმშვიდე, გასხივოსნებდეს ლამაზი სევდა, გრძნობებს ყველასთან ნუ გააშიშვლებ. თუკი ლოდინმა ძლიერ დაგღალოს, კვლავ მოთმინება გამოიჩინე, შენს დღესასწაულს დაერქვა გლოვა, ნურასოდეს ნუ გაიცინებ... 9717.

• ჩემო კარგო, დავაკმაყოფილებ შენს ცნობისმოყვარეობას და გეტყვი, რომ ნანი დუმბაძე არის პატივსაცემი ქალი, უნიჭიერესი, უკეთილშობილესი, უთბილესი და უტკბილესი და არ ვიცნობ მაგ ქალს და მიყვარს. ისიც მგზავნელია, მაგრამ... არაა, ის უფრო მეტია. წყევლა.

• სიკვდილმა გაკოცა, შე მართლა მაძუნგალა მაიმუნო, :) ცრაზი, ჰო, მართალი ხარ, „წინა კაცის მაგალითი“ ძალიან ადამიანურად გამოიყურებოდა, ლამის ავქვითინდი, მაგრამ ბოლოს რომ მგზავნელი მისტერი დამეჯღანა... რომელ ადამიანობაზე ვილაპარაკოთ? წწაადდიი შშეენნი. წყევლა.

• მართლა, ერთმა ჩემმა მეზობელმა ჩააბარა წელს საშტერო სადებილოზე. თან სწავლა უფასოა. არავის უნდა? გამოცდების ჩაბარება? გადარეული.

• მარ, ისე, არასდროს მოგსალმებივაარ. გაუმარჯოს! მინდა, შენი ჟურნალის საშუალებით მოვიკითხო სიყვარულით ჩეემი ძმა, ზვიადი მგელაძე და ჩემი გველუკა ქალი, სოფო შაინიძე. მთლიანად აჭარას მოვიკითხავ. მიყვარხართ. წყევლა.

• თუ ვერ დადექი წყენაზე მაღლა, თუ ბოღმაჯავრი ვერ გადამალე, მოვა ვიღაცა, უხეში ვინმე და ერთი სიტყვით დაგასამარებს. თუ ვერ გაუძელ გაუძლის ტკივილს, თუ ეს ტკივილი წარმოაჩინე, ისევ ვიღაცის უხეში ხელი ახალ ტკივილებს შეგყრის საშინელს. თუ სიხარულის გაყოფა გიჭირს, თუ აღარ შეგრჩა ძველი სინაზე, ბოროტი ისევ იმძლავრებს შენზედ, ყველა კეთილი ძალის ჯინაზე! 9717.

• დიდი ხანია, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ ახლა გადავწყვიტე თქვენთვის წერილი მომეწერა. ვიცი, „გზას“ ჩემი შვილიც კითხულობს და მას მინდა, ეს გზავნილი მივუძღვნა. მომავალი საცოლე უკვე დანიშნა და ქორწილიც გადაწყვეტილია. უბრალოდ, რაღაც პატარა პრობლემა გაჩნდა, რამაც ჩემი შვილი და მისი სიცოცხლე (მომავალი მეუღლე) ძალიან დაანაღვლიანა. მინდა მივმართო ორივეს: შვილებო, ცხოვრება მშვენიერია, თავისი კარგითაც და პრობლემებითაც. ამიტომ ამ პატარა დაბრკოლებამ არ შეგაშინოთ, წინ ბევრი ლამაზი და ბედნიერი დღეები და წლები გელოდებათ, ერთად თანაცხოვრება დაიწყეთ ტკბილად, ცხოვრებაში დასახული მიზნებს არ გადაუხვიოთ და თქვენი ლამაზი სიყვარულის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება. მით უმეტეს, ჩვენი სახით მშობლებიც გვერდში გიდგავართ. სახელის დაწერას არ აქვს აზრი, ჩემი დიდი შვილი და საყვარელი რძალუკა ისედაც მიხვდებიან, ვინც ვარ.

• ეს რა დაწერე? :-) არა რა, ასეთი ....... თუ იყავი, რას წარმოვიდგენდი? :-) ნამუსი გარეცხილი გაქვს და თავმოყვარეობა მინუს ხარისხში გაქვს, მაიმუნო მისტერ. მარია.

## მობილი-ზაცია

• მგზავნელებიდან მაგრად მომწონს. მარია, ლუნა, ფინტიკოზა, პარიჟანკა, სუპერსთარი, ცრაზი გირლ, ლაკვასტი, ღმერთი გფარავდეთ. გეიხარეთ. წყევლა.

• შენც გეცოდება ხომ, მარია, ეგ დორბლიანი? მეეც... რა ვიცი, რა ვიცი... იქნებ მოხუცთა თავშესაფრის ნაცვლად ცირკში ან ზოოპორაკში დატოვო, ჰა? :) მარა მაქაც არ დაიტოვებენ მაგ ცოფიანს. :) წყევლა.

• წყევლა, შენც კარგი ხარ, მართლა. შენს მხიარულ გზავნილებზე ყოველთვის გულიანად ვიცინი. :-) ღმერთმა სულ მასეთი მხიარული გამყოფოს. გკოცნი. ჰო, მართლა, ლაკვასტის ლექსი ამოვიკითხე კაცებსა და ქალებზე. რამდენი წელია, ეგ ლექსი ვიცი და ნამდვილად სხვა ავტორი ჰყავს და რა ვიცი, რა ვიცი... ბამბუჩა.

• თამარი დეიდა, რა დაქოქილი ხარ?! აღმაგზნებს შენი სმსების კითხვა. გამეცანი, რა. ლევანი. მპუა.

• ასე უგონოდ, ასე ულვთოდ რომ არ მიყვარდე, მე უშენობას ავიტანდი უფრო ადვილად და მაშინ ალბათ, არც არასდროს გიღალატებდი, შენს მოლოდინში სხვებთან ღამეს არ გავათევდი!გავერთობოდი უწყინარი კარტის თამაშით, ახალ სპექტაკლზე წავიდოდი ან ლუდხანაში დავითვრებოდი და თუ ბოლოს, ესეც არ მეყო, ნათესავებთან მისვლა-მოსვლას დავამყარებდი, სადმე სუფრაზე მოვყვებოდი ახალ ანეკდოტს, გავიცინებდი და მით სევდას განვიქარვებდი, რომ არ მიყვარდე ასე ულვთოდ, ასე უგონოდ, მაგრამ მიყვარხარ და არ ვიცი, რა ვქნა უშენოდ, საით წავიდე, ვის მივმართო, თავს რით ვუშველო, ვით ავაჩქარო მოლოდინის ზანტი მსვლელობა, რომ ვიგრძნო შენით სანატრელი მოუცლელობა? და რომ სიკვდილი მარტოობამ არ მაძებნინოს, ვნებას მოვუხმობ, უშენობა გამაძლებინოს. მიხეილ ქვლივიძე. აღფრთოვანებული ვარ ამ პოეტით. სვანის ასული.

• ნუ დაიფასებ თავს ახლა, წყევლა ქალი, „ზატო“ მევასება ალქაჯი ქალები, რა. სვეეტ, შენი გრძელი ენაც გამომადგება. გიკბინეეთ, დამიპირადეთ. ლევანი.

• ქაჯების დედოფალი ხარ თუ ჯოჯოხეთის მაშხალა, ყურადღებით ახლა: მაგ დორბლიანს მეტყველების და აზრის არაფერი გააჩნია. შენზეც ეგეთი წარმოდგენა შემექმნა. სხვაგვარად მაგ დორბლიანს უნიკალურ და ინდივიდუალურ ადამიანად რომელი ჭკუადამჯდარი მოიხსენიებს, თუ არა შენ და დადუ? :) წყევლა.

• ქაჯების დედოფალო, კეთილი იყოს შენი ფეხი გზავნილებში. ისე, იყავი ღირსი, მარის ნომერი რომ მოგეცი? ჰმმმ, ამდენი ხანია, „გზას“ კითხულობ და მარის ნომერი არ იცოდი. სუპერპირველ რიგში ვკოცნი ოლეს. მერე მინდა საშინლად მისტერის გაცნობა, იმიტომ რო ისეთები ლანძღავენ, თვითონვე რომ არიან ეგეთები (არ უნდა გარჩევები, აქ ვისზე ვამბობ, უსირცხვილესობაა, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს). მისტერ, გავიცნოთ ერთმანეთი? მაინტერესებს, ნეტავ ჩემზე მეტად გინდა პირველობა? კამ-კამა.

• მაო, საყვარელო, მაგას რად უნდა თქმა მერე, ა? ეგ ხომ უდავოა. ცდები, რო ამბობ, ყველა მაგას ეჩხუბებითო. ან რაში უნდა ვაჯობოოთ? შტერული აზრების ნთხევაში თუ მაღალფარდოვანი სიტყვების სროლაში? (ყოველ შემთხვევაში, მას ასე ჰგონია). შეენც, ქაჯების დედოფალსაც, აუ, დადუ კინღამ დამავიწყდა. მივხდი მიზეზს, დორბლიანობა გადამდებია. :) მარია, იქნებ ამათაც დაეხმარო, ა? თუ მეტისმეტია? მესმის შენიც. კაე, წავე. წყევლა.

• მის რეალ, სოფი20, რუისპირ, კუტრინა, კლეოპატრა, მოკითხვა თქვენ, დაკარგულებო. ფიფქია.

• უთანასწორროა ქორწინება, როცა გათხოვებიდან 1 თვეში საკუთარ თავს ჰკითხავ: ნუთუ მე უკეთესს არ ვიმსახურებ ცხოვრებაში? აი, რა ვკითხე ერთ დილას საკუთარ თავს და პასუხიც თავადვე გავეცი — შენ ნამდვილად უკეთესს იმსახურებ! ეს იყო მსოფლიოში ყველაზე უთანასწორო ქორწინება, რომელსაც წერტილი მალევე დავუსვი, სრულიად შეგნებულად. ერთხელაც ყველა იმედგაცრუებისა და გაკოტრებული ოცნებების სანაცვლოდ, აუცილებლად მოვა სიყვარული, რომელიც გაამართლებს ყველა მოლოდინს. მე ამის ჯიუტად მჯერა მიუხედავად იმისა, რომ ამბობენ, თითქოს ლამაზ ქალებს არ უმართლებთ! ვნახოთ. :) ნატალია.

• ოჰ, კარგია, თუ ერთხელ მაინც იგრძენი სირცხვილისმაგვარი რაღაც, შენს ცხოვრებაში. ე.ი. მთლად ღვთისპირიდანგადავარდნილი არ ყოფილხარ და სადღაც, გულის სუუუუულ პაწაწკუნა ნაწილში ადამიანური რაღაც გაგაჩნია. სიმართლე გითხრა, ისე გამიხარდა, ევრიკაიმასთან შედარებით არაფერია. მისტერს.

• ვაიმე, რამდენი ვიცინე, ბენ ლადენს ხომ არ მოძვრიო. :) საღოლ, მაგარი იყო. წყევლა, შენც შეამჩნიე მისტერის რაობა, ხომ? მართლა სასაცილო იყო. მაგდალენა.

• შენ კარგა ხანია, გამდედრდისორგანოვი, მისტერუხა. ეგ საერთოდ უსაქმურობისა და უტვინობის ბრალია. მანდ კი იმას აკოცნინე, ოჯახში ვინც კაცს გეძახის და შენი იმედი აქვს, ვირთა ბელადო. მაგდალენა. პ.ს. ბინძურს ბინძურად უნდა ელაპარაკო.

• ქაჯების დედოფალო, მისტერს რას უნდა ვერჩოდე, ეგლა მაკლია. ვერთობით უბრალოდ. საუცხოო ეგზემპლარია და... :) მიგიღებთ, მა რას ვიზამთ, აქაურობას ქაჯების დედოფალიღა აკლდა და აი, შენც მოხვედი. კეთილი იყოს შენი მობრძანება. დარწმუნებული ვარ, ინდივიდუალუუუურ მისტერს და მის არაჩვეულებრივ ლექსიკას გამოიყენებ შენი ლექსიკის გამდიდრებისათვის. პირადად მე (არ ვიცი, რატომ, მაგრამ...) მირჩევნია, ჩემი მეტყველება გალაკტიონის დახმარებით დავხვეწო. პატივისცემით, მაგდალენა.

• ნანი დუმბაძე ვინაა და „მობილი-ზაციის“ ერთადერთი ქალბატონი. ყოვლად უკონფლიქტო, კეთილი და პოეტური. დადებითი მუხტით რომ აგავსებს. მე ჩხუბისა და აყალ-მაყალის დედოფალი ვარ, მით უფრო, უზრდელ, მისტერისნაირებს ვერ ვაიგნორებ, მაგრამ ნანი დუმბაძისნაირი მშვიდი და დარბაისელი თუ გავხდი ოდესმე, უფალს მადლობას ვეტყვი. ამჟამად კი თავს ვერაფერს ვუხერხებ. თუმცა, ჯერ მხოლოდ 22 წლისა ვარ და მეშველება რამე, იმედია. მარია.

• შეენ, ჩემო კარგო, ჩემი ლექსი არ წაიკითხო, ჩემი საქმის საძრახისი არსად იკითხო, ყველაფერ ამას გირჩევნია, დარგო ვარდები, თორემ არ მოგშორდება ჩემზე დარდები, მე კარგად ვიცი, ახალგაზრდა ქალის ბუნება, შენ ვერ გაუძლებ ჩემი ლექსის ძლიერ ცდუნებას, ყველაფერ ამას გირჩევნია დარგო ვარდები, თორემ... არ მოგასვენებს ჩემზე დარდები, შენ ახლა ფიქრობ, ნეტავ ახლა მანახა ერთი, თავისი თავი რომ ჰგონია მაღალი ღმერთი, დიდი ამბით დამაჯერებლად რომ წერს სტრიქონებს, თავისი თავის შესამკობად სიტყვებს იგონებს. მაგრამ... მოიცა, ცოტა ხანში გულს გადაგიშლი, ასე რატომ გწერ, ამას ცოტა ქვევით აგიხსნი, ვინც ფულისთვის ცოლს მოიყვანს ან გათხოვდება, ერთი ირწმუნე, იმ დღიდან ის მათხოვრდება. წყევლა.

• JERRY, არ მეგონა, ჩემს ნაბოდვარს ვინმე ყურადღებას თუ მიაქცევდა, მაპატიე, ჩემმა ლექსებმა თუ დაგგრუზა. ICE-LADY.

• მომენატრა ბავშვობა, მხიარული გართობა, მულტფილმების ყურება, საბურავების ცეცხლით ხურება, სტადიონზე წოლა, აქეთ იქით უაზრო და სიცილიანი რბოლა, მეგობრებთან თამაში, შეჯიბრი მოპარული ხილის ჭამაში, სიცხისგან წყლების შესხმა, ლიმონათის ერთი ბოთლიდან შესმა, ბიბლიოთეკაში ხლაპუშკების სროლა და ქარივით ქროლ(ვ)ა. ხელებგაშლილი ბზრიალი, შურდულების ტრიალი და ყინულებზე სრიალი. დასრულდა ბავშვობა, დასრულდა გართობა. ყველაფერი გულდასაწყვეტად ჩაბრდა წარსულს, სასიამოვნო წლებს გაჰყვა, წასულს. უკვე მეუცხოვება და უსტუმრებელია უბნის ბუნება, რა უცნაურია, ნეტავ, რატომ დამინოსტალ-

გიავდა გუნება? თითქოს აღარ მინდა დიდობა, რადგან მიწევს ცხოვრების შეცნობის გიდობა, მინდა ისევ ვიყო ღლაპი და დასვრილი ხელით ვტლიკო ტყლაპი! მისტერ.

• ეჰ, როგორ მომენატრა გურჯაანი. რამდენი ხანია, არ ვყოფილვარ, არადა, რა მაგარი ბებო მყავს იქ, სუფთა სტალონე იყო ახალგაზრდობაში. მით უმეტეს, თავის 3-მეტრიან ჯოხს რომ დაავლებდა ხელს და შაჰ-აბაზივით ქნევა-ქნევით რომ მომდევდა. ახლა კი ტკბილი გასახსენებელია, მაგრამ მაშინ იყო, თუ იყო, კალაბოკა ვიყავი და ამ ბებიაჩემის ჯოხის დანახვაზე გავხდი და ახლა ისე ვარ, აგურებს ვიწყობ ჯიბეში, რომ ქარმა არ წამიღოს. აბაა... კიდევ, სომეხი არწიომას ბაღში რომ გადავიპარებოდით, რაც გინდა, სულო და გულო, ყველაფერი ჰქონდა, დავდგებოდით ბიჭები და ვჭამდით და ვჭამდით, თუ მოგვისწრებდა და იყო ერთი ამბავი, ვინ რომელ მხარეს გაკაფავდა ბუჩქებს სირბილით და შემდეგ ეკლებს ვითვლიდით. ეჰჰ, კარგია კახეთი რა, გურჯაააანოო, შენ კახეთის გული ხარრრ... ადუ.

• ულრმესი მადლობა ემილიას, ასეთი სიყვარულისთვის... მე ხომ მაქვს ჭკუა გადაკეტილი და მკითხველებზეც თუ გადმოდის, ცუდადაა საქმეე... უიი, ჩუუ, ეგ მარის არ ვუთხრათ, თორემ ხომ გამომიწერა საგზური ჯურღმულ-იორკში, მინიმუმ 1 თვით... მე კი ეგ არ მინდააა... ვერც ამოვალ იქიდან ცოცხალი და თუ ეგრე მოხდა, ნუ მაწყენინებთ და იმ ადგილს დაარქვით მერე SWEET-GIRL-YORKY. ასევე დიდი მადლობა მოკითხვისთვის ნანა მისირელს. ჰოოდა კიდევ, ძალიან გამიხარდა თაისის დაბრუნებააა... დანარჩენი ძველებიც რომ გაგვიხსენებდნენ, კარგი იქნებოდა. ჩორი-ჩორი დამეგოსტა „ოდნოში“ და ისე გამახარააა... მომნატრებია ეგ საზიზღარი და ვერც მივმხვდარვარ... ჩემი გიჟქალა ხარ შეენ. შემოგევლეთ ყველას... ერთ თმახუჭუჭა არსებას კი მოვჩეჩავ გემრიელად... SWEET-GIRL.

• რუუი, გენაცვალე, წყენა არაფერ შუაშია... უბრალოდ, ნებისმიერი სახის, თუნდაც სუუულ მცირე აფერისტობაზეც კი ჩემს ისედაც მილეულ გულს კრუნჩხვა ეწყება... მარტო ჩემთან მიმართებაში არა, საერთოდ, ზოგადად... გიჟუნია, გმადლობ მოკითხვისთვის. SWEET-GIRL.

• მარიკუნააა... იცი, როგორ მოენატრე შენს ტკბილუკასოოო? რა ცუდია, რომ ვერ გნახულობ ხოლმეე რაა... იცი, რა გავიგე? ასე თქვეს, თურმე სწეეტს მარი მოჯადოებული ჰყავს და „გზავნილებს“ იმიტომ უბეჭდავს ხოლმეო... მარ, აბა კარგად გაიხსენე, შარშან ზაფხულში ჩემი მოწოდებული ხომ არაფერი გიჭამია? მოჯადოებული მოგაწოდე, იქნებ და იმის მერე შეგიყვარდი... ისა და, მე რომ მიყვარხარ, შენც მოჯადოებული რამე მაჭამე, ვითომ? მეტი საქმე არ მქონდაო, არაა? ეეეჰ, სიყვარული არ იცის ამ ხალხმა თორეემ, მაგაზე მეტი ჯადოქრობა რაღა უნდათ... მიყვარხართ, თქვენით მოჯადოებული SWEET-GIRL.

• თაამუნია ძვირფასოო, შენ თუ პირის, იგივე სალიმილ-სასიცილე აპარატი გივი თარგამაძესავით ფუნქციამორღვეული გაქვს, ეგ რა ჩემი და ჩემი „გზავნილების“ ბრალია? იმკურნალე და დამერწმუნე, გემრიელადაც გაგეცინება. ეს მეგობრული რჩევა... ჰოდა, კიდევ რა... 2-3 წლის წინ ფსიქოლოგიის კურსებს როცა გავდიოდი, პრაქტიკებისთვის ერთ-ერთ საგიჟეთში გამამწესეს და იქ მყავდა შენნაირი ტერმინოლოგიის მქონე, რამდენი პაციენტი. ჰოდა, ეჭვი მაქვს, რომელიმე იმათგანი ხომ არ ხარ? სამწუხაროდ, სახელები ყველასი აღარ მახსოვს და შესაძლოა თამუნაც, ანუ შენც იყავი ერთ-ერთი და ვიმედოვნებ, რომ ჩემი ფსიქოლოგიური კურსის ჩატარების დამსახურებაა ის, რომ ჟურნალის კითხვა შეგიძლია და აი, უკვე სმსის წერაც... ნერვებს მოუფრთხილდი ძვირფასო... რა იცი, რა ხდება... SWEET-GIRL.

• მარია, მარიააა... ეგ დიდი ხანია ვიცი, რომ აქ ყველა თავის ჭიას ახარებს, მაგრამ ამ ჭიების გახარებ-გამრავლება-დაჭუპრება-დაპეპვლა სხვისი ნერვების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს, ხომ მართალია? SWEET-GIRL.

• ვახოო, თუ ნიკის ჩუქება არ გინდა, ეგ თქვი შენ და გაფრენილის ნიკს ნუ მთავაზობ, თორეემ... ამას უყურე ერთი? გეგონება, ჩემზე დალაგებული იყოს. თმას რა ვუყავი და ვუყავი... რაღაცა უცნაური ხომ უნდა მექნა? ჰოდა, ჩემგან რაც ყველაზე წარმოუდგენელი იყო, ის გავაკეთე... ნუ, რა ყოჩაღი ვაარ?! კაი, მოვინელე უკვე ჩემი ქოჩორი და აღარ შემახსენოთ ჩემი გმირობანი, თორემ რაც დამრჩა, ამასაც მივიჭრი და ვიქნები მერე ხოტორა-გირლი... ჰე-ჰეე, რა საყვარლად ჟღერს?! SWEET-GIRL.

• მამაჩემმა სახლთან ბაღში დარგო ნერგი, ვაშლის ხე./ დილით ადრე ბაღთან სახლში დავიბადე თურმე მე./ ორნივ ერთად ვიზრდებოდით, წყალს ვუსხამდი მიწას მე,/ ერთმანეთთან ვმეგობრობდით, ერთად ვიყავთ მე და ხე./ ხეს ნაყოფი ახარებდა, შვილები კი მე,/ აი, ასე შევაბერდით ამ ცხოვრებას მე და ხე./ ბაღში გაველ, მომენატრა მეგობარის ნახვა მე. თურმე უკვე წაქცეულა საცოდავი ჩემი ხე,/ გული დამწყდა, ვიგრძენ მალე, მეც მომელის იგივ დღე,/ ეს რა შრიალი მომესმა, ვინ მეძახის ამ დროს მე?/ გავიხედე, დაკოჟრილ ხეს უყლორტია ნორჩი ხე,/ სახლიდან კი მეძახიან, შენ ბაბუა გახდი დღეს!/ ო, განგებავ, დაილოცოს შენი ძალა, შენი ზნე,/ სიცოცხლე რომ უკვდავყავი, თუმც შეგვცვალე მე და ხე./ ახლა ვიცი, ახლა მჯერა, სიცოცხლეა, მძლეთამძლე,/ არასოდეს წაიშლება ბაღში ხე და სახლში მე./ ხალხური. ნენო.

• სილამაზე თუმცა არის ნაზი, შეუძლია წინ აღუდღეს მეწყერს... ვასილ ბოსტაშვილი.

• მართალი ხარ მისტერ, ახლა უკვე მივხვდი, რომ ნამდვილად ტყუილად დავწერე იმსიგრძე სმს და გავითხელე ჯიბე. მართლაც ვერავითარი შედეგი და სარგებელი ვერ ვპოვე. პრინციპში, ყველას ხომ ჩვენი გზა გაქვს და ღმერთმა სულ გამარჯვებული გატაროს შენს არჩეულ, მართლაც და ორიგინალური აზროვნებით გაჯერებულ გზაზე. მე მაინც ვთვლი, რომ მართალი გითხარი, თუმცა რაც არ გინდა, ღმერთმა არ მოგცეს. :-) იმედია, დიდი იმედგაცრუება არასოდეს გეწვევა. გულწრფელად გისურვებ წარმატებებს. ბამბუჩა.



# გილოცავ!

• ჩემს საყვარელ ძმისშვილს, ულამაზეს ქეთი უტიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 1-ელ ოქტომბერს. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო ცისფერთვალება მზეთუნახავო.

• გიგა ნარიმანიშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიხარულს. გფარავდეს უფალი. მიყვარხარ. მზია მამიდა.

• ბუდუნა გრძელიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. მამუკა და მარიამი.

• მალხაზ გრძელიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ გამოჯანმრთელებას, მალე გათავისუფლებას და ულევ სიხარულს. ირმა და მანანა.

• მალხაზ გრძელიძეს: საყვარელო მამიკო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ გამოჯანმრთელებას, ულევ სიხარულს და მალე ჩვენთან ყოფნას.

• სოფო დავითულიანს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ჭკვიანო და ლამაზო ფერიავ, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერი ოჯახის შექმნას. მანანა ბებო.

• ნატო კუპრაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ულევ სიხარულს, შენს საყვარელ შვილებთან და მეუღლესთან ერთად. მანანა.

• ქუთაისში საყვარელ დაიკოს, თამარ ხიჯაკაძეს და დისშვილს, ფიქრია გურეშიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და უფლის წყალობას გისურვებთ. ვოვა და მიშიკო.

• ჭრიჭინას და ქალ ცდუნებას ვულოცავთ გაბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ, იდღეგრძელეთ და იბედნიერეთ! ტირიფი73 და მგზავრი.

• გურიაში ქუთათელაძე მანანას ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი არსებობს ამ ქვეყანაზე. მანო, დილით მინდა მზემ გაჩუქოს სიყვარული, ამ სიყვარულს დარაჯობდეს ღამით მთვარე, რაც ამქვეყნად სიყვარული გამიგია, შენ გაჩუქე, სათითაოდ მიითვალე. გკოცნი და გილოცავ, ჩემო ლამაზო. ნესტანი.

• გურულო გოგატაძე, ჩხაიძე ლია, გილოცავ 13 ოქტომბერს და გისურვებ ლამაზ, ბევრ წელს შენს ოჯახთან და კეთილ ხალხთან ერთად. ძალიან გამიხარდა, გურიაში რომ ყოფილხარ. ნეტავ მეც ვიყო მაქეთ. ნესტანი.

• ეთუნა ზაუტაშვილს: ჩემო სიხარულო, ჩემო ოცნებავ და სიცოცხლის აზრო, ბებოს ლამაზ თვალებავ, შენი ღიმილით ცა მეხსნება და ყველა ტკივილი მავიწყდება. დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი, ბედნიერი, წარმატებული ყოფილიყავი ცხოვრებაში. შორიდან გეფერები. მენატრები. მინდა დავბრუნდე მალე და აღარასოდეს განვიცადოთ ის დიდი ტკივილი, ჩვენი დაშორებით. მიყვარხარ ძალიან. შენი სიცოცხლის დამფიცებელი, ეთო ბებო.

• დაბა სუფსაში მცხოვრებ ქალბატონ ვარდო და რუსიკო ტიკარაძეებს მინდა მივულოცო ქეთინოს იუბილე, 14 ოქტომბერი და ვუსურვო ბევრი ლამაზი წელი. ხართ ბედნიერი ბებია და დედა. ასეთი კარგი ადამიანის გაზრდისთვის. იმრავლოს თქვენმა გვარმა. ნესტანი.

• ათენში მცხოვრებ ქეთინო მოისწრაფაშვილს ვულოცავ 14 ოქტომბერს. გისურვებ ჯანმრთელობას და ლამაზ წლებს. ქეთი, ყველა ვედრება ღმერთმა გისმინოს, ტკბილი სიზმარი ცხადად გენახოს და ამ ლამაზ დღეს აგსრულებოდეს, რაც რომ ხატის წინ გულით გენატროს... გფარავდეს ღვთის მადლი. ნესტანი.

• დროებით ათენში მცხოვრებ ნესტან ტვილდიანს ვულოცავ 14 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ჩანაფიქრი ოცნების ახდენას. მალე ქმარ-შვილთან დაბრუნებას. ბედნიერ, ლამაზ ცხოვრებას. ნესტან, არასდროს გქონოდეს ასეთი განცდა და ნოსტალგია, რაც აქ გამოსცადე. გისურვებ ბედნიერ, ლამაზ წლებს. ნათია და ნინი.

6 ოქტომბერს გადარეულს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. გაიხარე, ვახუნხულააააა. :):) ფლამინგო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## როგორ ებრძვიან ალკოჰოლიზმს სხვადასხვა ქვეყანაში



სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, ნორვეგია, შვედეთი) მაღალგრადუსიანი ალკოჰოლური სასმელი მხოლოდ სახელმწიფო მაღაზიებში იყიდება. ისინი ყოველდღე 10-დან 18 საათამდე, ხოლო შაბათს — 10-დან 15-მდე მუშაობენ. კვირას სასმელი არ იყიდება. სურსათის მაღაზიაში ნებადართულია ლუდით ვაჭრობა, მაგრამ მყიდველმა საბუთი უნდა წარადგინოს, რომ სრულწლოვანია.

ნორვეგიაში „მშრალი საუკუნის" პერიოდი 1756 წლიდან 1816 წლამდე მოქმედებდა. ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა დღესაც შეზღუდულია.

ფინეთში ერთ ჯერზე მხოლოდ 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმლის ყიდვა შეიძლება. ისიც სამუშაო დღეებში — 10-დან 17 საათამდე, შაბათს — 14-მდე. კვირას სასმელი არც ამ ქვეყანაში იყიდება. ასეთივე წესი მოქმედებს პორტუგალიაშიც. სხვათა შორის, იქ (თურქეთის შემდეგ) ყველაზე არამსმელი მანდილოსნები ცხოვრობენ.

ესპანეთში, სტადიონების მახლობლად ალკოჰოლური სასმელი არ იყიდება. კატალონიის ტელევიზიით აკრძალულია სასმლის რეკლამის ჩვენება. სხვა რეგიონის ტელევიზიებში ნებადართულია 21-დან 6 საათამდე. გარდა ამისა, კატალონიის ბარებში სასმლის სმის „ბედნიერი საათებია" მითითებული. სხვა დროს სასმლის გაყიდვა აკრძალულია. კანონის დარღვევისთვის დაწესებულია ჯარიმა 6 ათასიდან 600 ათას ევრომდე.

ამერიკის სხვადასხვა შტატში განსხვავებული კანონი მოქმედებს. კალიფორნიის ბარებსა და მაღაზიებში სასმლით ვაჭრობა ღამის 2 საათიდან დილის 6-მდე აკრძალულია. კოლორადოში ძლიერი ალკოჰოლური სასმელი მხოლოდ ღვინის მაღაზიებში იყიდება, 3,2-პროცენტიანი ლუდი — სურსათის მაღაზიებში. მრავალ ქვეყანაში აკრძალულია სასმლით ვაჭრობა შობის დღესასწაულზე, არჩევნების დღეს და კვირას.

გერმანიაში ბენზინგასამართი სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე სასმლით ვაჭრობა აკრძალულია. გარდა ამისა, გაიზარდა ალკოჰოლის ფასიც: 0,5-ლიტრიანი არაყი და შნაფსი 9 ევრო ღირს.

ღვინის ქვეყანაში — საფრანგეთში ალკოჰოლის რეკლამა (ტელევიზიაში, პრესაში, ინტერნეტში) აკრძალულია. გარდა ამისა, შეზღუდულია სასმლის გაყიდვაც.

2008 წლიდან ბრაზილიის რესტორნებში, ავტოსადგურებსა და ავტომაგისტრალებზე ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა აიკრძალა.

ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში, მაგალითად, საუდის არაბეთში სასმლის წარმოება, იმპორტ-ექსპორტი და მოხმარება კანონით აკრძალულია.

■

## ის, რაც აქამდე არ იცოდით...

სიტყვა — „პედაგოგი" ძველი ბერძნულიდან მოდის. ასე ერქვა მონას, რომელსაც ბავშვის სკოლაში მიყვანა და წამოყვანა ევალებოდა. პედაგოგებად ძირითადად იმ მონებს ირჩევდნენ, რომლებიც ერთგულებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ სხვა სამუშაოს შესრულება არ შეეძლოთ.

დედამიწა ერთადერთი პლანეტაა, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია. მაგალითად, მარსი რომაულ მითოლოგიაში ომის ღმერთია, ვენერა — სიყვარულის და ა.შ.

1970 წელს სტოკჰოლმის (შვედეთი) მუნიციპალიტეტში სამსახურში აიყვანეს სივ გუსტავსონი, რომელიც სხვადასხვა ჯიშის ძაღლის „ენაზე" ყეფდა. ყოველ დილით მერიის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად სივი ქალაქის ქუჩებში დადიოდა და ყეფდა. მის ხმას ძაღლები პასუხობდნენ. სხვა თანამშრომლები კი ადგენდნენ, საიდან ისმოდა ძაღლის ხმა და შესაბამისად ჯარიმდებოდნენ ის ოჯახები, რომლებიც ძაღლის შენახვაზე ბეგარას არ იხდიდნენ.

რუსი არისტოკრატები და იმპერატორის ოჯახის წევრები უკანონო შვილებს გვარის ნაწილებს აძლევდნენ. მაგალითად, ტრუბეცკოის შთამომავლები ბეცკოით იწერებოდნენ. გოლიცინების კი მხოლოდ ლიცინს ან გოს მიიღებდა. შესაძლებელი იყო აგრეთვე გვარის მარცვლების გადაადგილებაც. ასე ლუნაჩარსკის გვარი ჩარნალუსკისგან წარმოიშვა.



ერთ-ერთმა გამომცემელმა გაზეთში ალექსანდრე დიუმას რომანის „სამი მუშკეტერის" დაბეჭდვა გადაწყვიტა. მწერალს ჰონორარს აბზაცების მიხედვით უხდიდნენ. ამიტომ დიუმამ ახალი პერსონაჟი ათოსის მსახური გრიმო მოიგონა, რომელიც ბატონის კითხვებზე მხოლოდ „კის" და „არას" პასუხობდა. მოგვიანებით, გაზეთში წიგნის გაგრძელება „ოცი წლის შემდეგ" დაიბეჭდა. ამ დროს მწერალს ჰონორარს სიტყვების რაოდენობის მიხედვით უხდიდნენ და გრიმოც უფრო მრავლისმთქმელი გახდა.

■

# ყველაზე უჩვეულო ჰობი



## ავტოტატუ

ტაივანელი პენსიონერი — 71 წლის ლი ზონკხიონგი თავისუფალ დროს ავტომობილებზე ბუდისტური წიგნებიდან ტექსტებს წერს. ლი ავტოსახელოსნოში მუშაობს და მსურველებს მანქანაზე ტექსტებს უწერს. ზონკხიონგის შვილიშვილი ფულს აგროვებს, რომ ბაბუას ავტობუსი უყიდოს, რათა მოხუცს წმინდა ტექსტების დასაწერად უფრო დიდი შესაძლებლობა მიეცეს. ■





## „გარდაცვლილი“

ზოგი მარკებს აგროვებს, ზოგი — ძვირად ღირებულ ნივთებს. 47 წლის ჩაკ ლამბა კი თავს მკვდრად ასაღებს. პრესაში მას The Dead Body Guy ეძახიან. უკვე 5 წელია, ჩაკს თავისი საიტი აქვს. საკუთარ თავს „გარდაცვლილ“ მდგომარეობაში ფოტოებს უღებს და საიტზე ათავსებს. მის ფოტოებს ხშირად ჟურნალ-გაზეთები ბეჭდავენ. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. ახალი იდეების განხორციელებაში ჩაკის მეუღლე და 6 შვილი ეხმარება.

## პოპულარული

ინგლისელ პოლ იაპოუს ძალიან უყვარს საკუთარი თავის ტელევიზორში ყურება; ამიტომაც, ტელეკომპანიების ახალი ამბების რედაქციებიდან წინასწარ იგებს, საინფორმაციო გამოშვებების დროს რა ადგილიდან იქნება პირდაპირი ჩართვა და რეპორტაჟის დროს, ჟურნალისტის უკან დგება. უკვე რამდენიმე თვეა, რაც პოლი რეპორტიორებზე პოპულარული გახდა და ხალხი ეკრანზე მის გამოჩენას უფრო ელოდება, ვიდრე ჟურნალისტებისას.

## ქველმოქმედი

სამსახურის დაკარგვის შემდეგ რიდ სანდოიჯი მიხვდა, რომ ქალაქში მისნაირი გაჭირვებული ადამიანები ცხოვრობენ და მათი დახმარება გადაწყვიტა. იგი ყოველდღიურად 10 დოლარით ეხმარება უცნობ, გაჭირვებულ გამვლელებს. სანდოიჯი აწარმოებს დღიურს, სადაც იმ ადამიანებზე წერს, რომლებსაც დაეხმარა.

## აბების შემგროვებელი

ერთი დანიელი ექსტაზის სხვადასხვა ფერისა და ნახატის ტაბლეტს აგროვებს. მის კოლექციაში 2400 აბია. პოლიცია მას არ იჭერს, რადგან იცის, რომ მამაკაცი აბებს პირდაპირი დანიშნულებისთვის არ იყენებს.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან გელაშვილმა






# ნატო გელაშვილის „ედემის ბაღი“ და მისი პრანჭია გოგოები

**კომპოზიტორსა და მომღერალ ნატო გელაშვილს შინ ნამდვილი „ედემის ბაღი“ აქვს; მისი სახლი სავსეა ოთახის უამრავი მცენარით. ქალბატონი ნატოს დილა ყვავილების ალერსითა და მოვლით იწყება. იცის, მისი ოჯახის ულამაზეს ბინადართ რა უყვართ და რა — არა.**

ეთო ყორღანაშვილი

— მიმაჩნია, რომ ოთახის მცენარეები ადამიანებივით არიან: ესმით, მოქმედებენ, სტკივათ... ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემი განწყობილება გადასდებიათ. ყვავილებს გულით ვუვლი. როდესაც მინდა, რომ მცენარე გავახარო, ის აუცილებლად ხარობს. დილით, ბავშვების სკოლაში გაცილების შემდეგ, ყვავილებზე ზრუნვას ვიწყებ, რაც საკმაოდ დიდ დროს მართმევს. ზაფხულში კი პრობლემა ჩნდება ხოლმე: თუ სახლში ვინმე არ დარჩა, მცენარეები გამიხმება. ამიტომ ყვავილების მოვლა ჩემს მეუღლეს აქვს „მისჯილი“ და მცენარეებს ვახოს იმედად ვტობებ. თან, ვუწერ — თითოეულ მათგანს როგორ უნდა მოუაროს. თუ რომელიმე მცენარემ „მოიწყინა“, დაუყოვნებლივ მირეკავს! მოკლედ, ყვავილების მოვლაში მთელი ოჯახით ვარ ჩაბმული. უამრავი მცენარე მაქვს. მთელი აივანი უკავიათ — დასაჯდომი ადგილიც კი არაა. ასევეა, ოთახებშიც. ყვავილებში ვცხოვრობ.

— **ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენი ყვავილი გამხმარა?**

— კი, ყოფილა. აგერ იმ ქოთანში ნაზი, „პრანჭია“ ყვავილები მაქვს. არ ვიცი რა ჰქვიათ და ამიტომ „გოგოებს“ ვეძახი. მათი გახარება რთული აღმოჩნდა — რამდენიმე „მომიკვდა“. ბოლოს გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეცადა „გოგოების“ გახარება და მაინც არაფერი გამომივიდა. ავდექი, ქოთანი აივანზე გავდგი და ვთქვი: ამ ყვავილს ჩემს ცხოვრებაში აღარ მივეკარები-მეთქი. ზაფხულის მერე, სახლში რომ დავბრუნდი, სასწაულის მომსწრე გავხდი: მცენარე გახარებული დამხვდა (*იცინის*). მივხვდი, რომ სიცხე ძალიან უყვარს, წყალი კი მაშინ უნდა დაუსხა, როცა „მოიწყენს“. მერე „გოგოები“ „გაგიჟდნენ“... ახლა მათ ვამრავლებ კიდეც და სხვებსაც ვჩუქნი. ერთხელ დიდი, ჩინური ხე გამიხმა — ხელი მოვკიდე და ფოთლები მთლიანად ჩამოსცვივდა. ვიფიქრე, ნეტავ, მისთვის ბევრი სასუქი ხომ არ მომივიდა-მეთქი: რადგან დიდი მცენარე იყო, მეგონა, ბევრი სასუქი სჭირდებოდა და დავწვი. ეს ამბავი მტკივნეულად განვიცადე.

— **„გოგოების“ გარდა, კიდევ რომელ მცენარეს გამოარჩევთ?**

— ჩინურ ვარდს, რომელიც უზომოდ მიყვარს. მას დიდი, წითელი, ულამაზესი გაშლილი ყვავილი აქვს. მთელი ზაფხულის განმავლობაში ყვავის, ოღონდ ძალიან „ძუნწია“: მისი ყვავილი ერთი დღე ცოცხლობს. მახსოვს, ზაფხულში სახლში რომ დავბრუნდი, ერთდროულად, სამივე გაშლილი დამხვდა. აივანზე საოცარი სილამაზე იყო! ახლახან 2 ძვირფასი მცენარე მაჩუქეს და ზედ დავკანკალებ. მეზობლები ჩასაფრებულები არიან, რომ ტოტი მოსტეხონ: თურმე თუ რომელიმე მცენარის გახარება გინდა, მისი ტოტი აუცილებლად უნდა მოიპარო. მეზობელი რომ მსტუმრობს, ვერ წარმოიდგენ, უკან როგორ დავყვები, ყვავილს რამე არ მოსტეხოს (*იცინის*).

— **მცენარე თქვენ თუ მოგიპარავთ?**

— არა, არა (*იცინის*)...

— **როგორც თქვით, მცენარეები ცოცხალი ადამიანებივით არიან. მაგალითად, მორწყვისას თუ ეალერსებით?**

— კი, რა თქმა უნდა! ვესაუბრები, ვეალერსები და ვეჭორავები. თუ რომელიმე ხმობის პირასაა, „ვემუქრები“: დამლალე უკვე, გადაგაგდებ-მეთქი! ამის გამო, ოჯახის წევრები დამცინიან (*იღიმის*).

— **ეი. ოჯახის წევრები შინ უამრავ მცენარეს ეგუებიან, არა?**

— მცენარეები ამ სახლში პრობლემას არავის უქმნის. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ 8 წლის განმავლობაში 1-ოთახიან „ხრუშჩოვკაში“ ვცხოვრობდით. დილას რომ გავიღვიძებდი, თავთან ჩინური ვარდი მედგა. თან, მცენარეები დიდ ქოთნებში მქონდა ჩარგული — სახლში გასავლელი ადგილიც არ იყო! სულ ჩემი წივილ-კივილი ისმოდა: ნელა! ფრთხილად! ყვავილი, ყვავილი-მეთქი!.. — დე, სად გავიაროთო? — ბავშვები მეკითხებოდნენ (*იცინის*).

— **ყვავილები რომ გავახაროთ, აუცილებელია, მათი მოვლის პრაქტიკა გვქონდეს?**

— რა თქმა უნდა. ყველა მცენარეს უნდა გაუგო. მაგალითად, ერთი ყვავილი იმის გამო გამიფუჭდა, რომ ძალიან ბევრ წყალს ვუსხამდი. არ ვიცოდი, რომ წყალი არ უყვარდა...

— **მეყვავილეებთან კონსულტაციას არ გადიხართ — მცენარეებს როგორ მოუაროთ?**

— არა. ძირითადად, ვინც ყვავილს მაძლევს თუ მჩუქნის, მის მოვლასთან დაკავშირებულ რჩევებსაც მისგან ვიღებ. ეტყობა, კარგი „მოსწავლე“ ვარ — რჩევებს ვითვალისწინებ.

— **თქვენს ყვავილებში ყველაზე „ასაკოვანი“ მცენარე რომელია?**

— ყველაზე ხნიერი ჩინური ვარდია, რომელიც დღესაც ხარობს, თავისთვის „იპრანჭება“ — „ჭკუაზე“ არ არის! მყავს მისი „შვილი“, რომელმაც უკვე იყვავილა... მოკლედ, ჩემს სახლში „ედემის ბაღია“, მით უფრო — ზამთარში, როცა მცენარეები აივნიდან შინ შემომაქვს... როცა ვინმესთან სახლში შევდივარ და იქ ბევრი ყვავილი მხვდება, რატომღაც მგონია, რომ დიასახლისი მშვიდი და კაცთმოყვარეა. არ მესმის, როცა ამბობენ, — ქოთნის ყვავილებს ვერ ვიტანო! ალბათ, მოვლა ეზარებათ. მართალია, მცენარეების მოვლა შრომატევადი საქმეა, მაგრამ როცა შინ მცენარეები ყვავის, თითქოს შენს ცხოვრებაშიც რაღაც „ყვავილობს“... მინდა, ეს ყველამ შეიგრძნოს!..

■




„კვირის პალიტრის" კოლექცია
„დიდი მხატვრები"
წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები
წიგნი XII
რუბენსი
11-დან – 18 ოქტომბრამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!
„კვირის პალიტრის" ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები
დაუკავშირდით „ელვა.ჯი"-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

# „მე უპირველესად ფილოსოფოსი გახლავართ“

## ექსპერტი, რომელიც სამხედრო საქმეს სამეცნიერო კუთხით შეისწავლის

**ჩემმა კოლეგამ, რუბრიკა „ერუდიტის“ ავტორმა, თამუნა კვინიკაძემ საპატიო მიზეზის გამო, თავისი საქმე დროებით მე გადმომაბარა და თავსატეხიც გამიჩნდა — ადვილი სულაც არ არის, ქართველი კაცი საკუთარი ერუდიციის საჯაროდ გამომზეურებაზე დაითანხმო. გადავწყვიტე დახმარებისთვის ჩემი მუდმივი რესპონდენტებისთვის მიმემართა და აგერ უკვე მეოთხე ნომერია, ამ რუბრიკაში ექსპერტის მოწვევა მიწევს. ამ პროფესიის ადამიანები იშვიათი გამონაკლისები აღმოჩნდნენ, უარი არც ერთს არ უთქვამს და არც იმედი გაუცრუებია. ამაში ალბათ, მკითხველიც დამერწმუნება. ამჯერად ჩვენი რუბრიკის სტუმარი კახა კაციტაძეა. ის განათლებული ადამიანია, პროფესიით ფილოსოფოსია, ყოველთვის საინტერესოდ საუბრობს და ინტერვიუზეც უარს თითქმის არასდროს ამბობს.**



*ხათუნა ბახტურიძე*

### პრეამბულის მაგიერ

— **ბატონო კახა, რა ჟანრის ლიტერატურის კითხვა გიყვართ?**

— ყველაფერს ვკითხულობ, დეტექტივებიდან დაწყებული სამეცნიერო ლიტერატურით დამთავრებული. ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვა მინდა თუ არა, ყოველდღიურად მიწევს. ბოლო დროს, ძალიან ხშირად ნიკო მარის ნაწერებს ვეცნობი. მას ძალიან საინტერესო დაკვირვებები აქვს ქართულ ენაზე. იოანე ზოსიმეს შემდეგ ყველაზე საინტერესო მისი ნაშრომებია.

— **როგორ მოხდა, რომ პროფესიით ფილოსოფოსს საზოგადოება სამხედრო ექსპერტად გიცნობთ?**

— სხვათა შორის, ამ ხელისუფლების მომხრეები ჩემს ექსპერტობას ეჭვქვეშ აყენებენ. ეს სულაც არ მწყინს, რადგანაც მე სამხედრო საქმეს სამეცნიერო კუთხით შევისწავლი და ისეთი პრაქტიკოსი არ ვარ, როგორიც გიორგი თავდგირიძე და ვახო კაპანაძე არიან. ამაზე პრეტენზია ნამდვილად არა მაქვს. მე უპირველესად ფილოსოფოსი გახლავართ და მერე სხვა დანარჩენი.

— **როგორც ვიცი, გერმანული ენაც და ისტორიაც შესანიშნავად იცით. ამიტომ ერთ-ორ თქვენთვის მარტივ კითხვას დავსვამ. რომელ წელს მიღებული კონსტიტუცია მოქმედებს დღეს გერმანიაში?**

— გერმანიაში დღეს 1949 წელს მიღებული კონსტიტუცია მოქმედებს.

— **რომელი პარტიის წარმომადგენელია ამ ქვეყნის კანცლერი — ანგელა მერკელი?**

— ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის.

— **ეს ინგლისელი ფილოსოფოსი მოჩვენებების და მოლანდებების შიშით, ბნელ ოთახში მარტო ვერ ჩერდებოდა. ვისზეა ლაპარაკი?**

— ინგლისელია?

— **დიახ.**

— არ ვიცი.

— **ტომას ჰობსი.**

— ეს მართლაც პირველად გავიგე. ჰობსი პოლიტიკური ფილოსოფიის შემქმნელი და ღრმად მოაზროვნე ადამიანი იყო. ასეთი ფობიები თუ ჰქონდა, ნამდვილად არ ვიცოდი. ისე კი მაშინდელ ინგლისში ასეთი რაღაცების სჯეროდათ. ნიუტონიც კი ალქიმიის და შამანების მიმდევარი გახლდათ.

— **დაასახელეთ ცნობილი ავსტრალიელი მწერალი, რომელმაც სახელი ფსიქოლოგიური ნოველების წერით გაითქვა. შემდეგ კი ფაშისტებისგან დევნილმა, ბრაზილიაში ყოფნის დროს, ცოლთან ერთად, თავი საძინებელში მოიწამლა.**

— შტეფან ცვაიგი.

— **ამ იტალიელმა პოეტმა ისე დაწვრილებით აღწერა იმქვეყნიური ცხოვრება, რუჩაში რომ მიდიოდა, მასზე ამბობდნენ: „აი, მოდის ადამიანი, რომელიც საიქიოშია ნამყოფი“.**

— დანტე ალეგიერი.

— **დაასრულეთ ფრანგი მწერალ-მორალისტის — ჟან დე ლაბრუერის გამონათქვამი: „პოლიტიკაში დაბნეულობის წყარო ის არის, რომ ძალაუფლების მპყრობელნი მხოლოდ...“**

— ერთია.

— **არა. „საკუთარ თავზე ფიქრობენ“.**

— ლაბრუერი ბავშვობიდანვე დიდად არ მიყვარდა და აი გამოვლინდა კიდეც.

— **„ჭეშმარიტი არსით მოჩვენებას ჰგავს, მასზე ყველა საუბრობს, მაგრამ ცოტას თუ უნახავს“; რა არის ეს?**

— არ ვიცი.

— **სიყვარული.**

— საინტერესოა. მეგონა, ყოფიერება იქნებოდა. ვისი სიტყვებია?

— **ეს სიტყვები ლა როშ ფუკოს ეკუთვნის.**

— ლაბრუერისგან განსხვავებით ლა როშ ფუკო მიყვარს, ამის არცოდნა არ მეპატიება.

— **მაშინ ეს გეცოდინებათ, ლა როშ ფუკოს აზრით — „ის ყოველთვის სიყვარულთან ერთად იბადება, მაგრამ ყოველთვის მასთან ერთად არ კვდება“. რის შესახებაა ლაპარაკი?**

— ეჭვიანობის?

— **დიახ. 1832 წელს მილანის კონსერვატორიის დირექტორთან მივიდა ჭაბუკი და სთხოვა, მისთვის გამოცდა ჩაეტარებინათ. თავისი ნაწარმოების შესრულების შემდეგ მან რამდენიმე დღეში პასუხად მიიღო — „შეეშვით ფიქრს კონსერვატორიაზე და მოძებნეთ მასწავლებელი ქალაქელ მუსიკოსებს შორის“. დაასახელეთ მისი ვინაობა.**

— ვერდი.

— **გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის**

**დროს, პიკასოს ატელიეში ხშირად მიდიოდნენ გერმანელი ოფიცრები. მხატვარი ყველა მათგანს სამახსოვროდ აძლევდა თავისი ცნობილი სურათის ასლს, რომელზეც ასახული იყო ფაშისტების მიერ ესპანეთის დაბა გერნიკის განადგურება. ერთხელ ატელიეში მასთან მისულმა გესტაპოს აგენტმა ამ სურათზე ჰკითხა — ეს თქვენი ნამუშევარიაო? რა უპასუხა პიკასომ?**

— არა, თქვენიო.

— **დიახ, მართალია. ანატოლი ფრანსი ამბობდა: „არასოდეს ათხოვო წიგნები სხვას, თორემ მათ ვეღარასოდეს ნახავთ. ჩემს ბიბლიოთეკაში მხოლოდ ის წიგნები დარჩა, რომლებიც...“**

— „რომლებიც მე თავად ვითხოვე.“ თქვენი რესპონდენტების უმრავლესობას, რომელიც „ერუდიტში“ გყავთ ჩაწერილი, უამრავი წიგნი აქვს ჩემგან გაზიდული. აღმაშფოთებელი იქნებოდა, რომ მეც მათგან დაახლოებით ამდენივე წიგნი არ გამომეზიდა.

— **თქვენ ისე გიყვართ წიგნები, აუცილებლად გეცოდინებათ, სად იყო ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა?**

— ალექსანდრიაში.

— **„ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ის ვერასოდეს გახდება ექიმი“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, ჰიპოკრატეს, ალექსანდრე მაკედონელს, დიოგენეს თუ არისტოტელეს?**

— არისტოტელეს?

— **არა, ეს სიტყვები ალექსანდრე მაკედონელს ეკუთვნის.**

— მართალია, მე თავად დავწერე მაკედონელსა და არისტოტელეზე სტატია. არისტოტელე ალექსანდრეს მასწავლებელი მამის „ბლატით“ გახდა. მამამისი ცნობილი ექიმი იყო და ალექსანდრეს მამას — ფილიპესაც მკურნალობდა. როდესაც ალექსანდრეს გამზრდელის ადგილი გათავისუფლდა, მან შვილს საქმე „ჩაუწყო“. სხვათა შორის, ასეთი „ჩაწყობების“ გამო თავად არისტოტელესაც შეემთხვა უსიამოვნება. პლატონის გარდაცვალების შემდეგ, წესით, აკადემიის ხელმძღვანელი არისტოტელე უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ ის ყველაზე ნიჭიერი მოსწავლე იყო, მაგრამ მის ნაცვლად პლატონის ძმისშვილი დანიშნეს. მაკედონელის მაგივრად არისტოტელე იმიტომ გითხარით, რომ მამის გავლენით, ის მედიცინაზეც ხშირად წერდა.

— **რომელ მოძრაობას მიიჩნევდა ციცერონი ორატორისთვის შეუფერებლად: ფეხის ფეხზე გადადებას, თავის კანტურს, თითების თამაშს?**

— თითების თამაშს.

— **რა ერქვა ღვინის ღმერთის, დიონისეს სადიდებელ სიმღერას?**

— დითირამბი.

— **რომელმა რომაელმა სარდალმა გაანადგურა კართაგენი?**

— სციპიონ აფრიკელმა.

— **ტროელებმა ჰკითხეს ბრძენ მზვერავს — სინონს, თუ რატომ იყო ტროას ცხენი ასეთი დიდი. რა უპასუხა ვერაგმა მზვერავმა?**

— მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კვირის წინ ვკითხულობდი ჰომეროსს, არ მახსოვს.

— **„რათა ვერ შეძლოთ მისი ქალაქში შეტანა“. ძვ.წ.აღ-ის 491 წელს, სპარსეთის მეფე დარიოს I-მა საბერძნეთის დალაშქვრა გადაწყვიტა. მან საბერძნეთის ქალაქებში ბრძანებულებები დაგზავნა, რომლებშიც ეწერა: „ჩამაბარეთ მიწა და წყალი“. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ლაკონიელი სპარტელები როგორ მოექცნენ დარიოსის ელჩებს?**

— დახოცეს.

— **რა ჰქვია დროის 10-დღიან მონაკვეთს?**

— დეკადა.

— **რატომ ფარავენ იაპონელები ფასიან ქაღალდებს ლითონის თხელი ფენით?**

— არ ვიცი.

— **ქსეროქსის აპარატში მისი გამრავლება შეუძლებელი ხდება. სპორტის რომელი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის შემოკლებული სახელია ფიდე?**

— ჭადრაკის.

— **რას ნიშნავს ლათინური სიტყვა „აკვა“?**

— წყალს.

— **ლეგენდის თანახმად, პირველი ევროპელი, რომელმაც ისინი დაინახა, მაგელანი იყო და მათ „უცნაური ბატები“ უწოდა. რას ვეძახით ახლა ჩვენ მათ?**

— პინგვინებს.

— **რომელი სახელმწიფო ესაზღვრება ბოლივიას?**

— პარაგვაი, პერუ, ჩილე, ბრაზილია და არგენტინა.

— **ახალ ზელანდიაში ინგლისურის, მაორულისა და ახალზელანდიურის გარდა კიდევ რომელია ოფიციალური ენა?**

— ნიშნების ენა.

— **რა ჰქვია საფრანგეთის სახელწიფო ჰიმნს?**

— „მარსელიოზა“.

— **რომელი სპექტაკლით დაიწყო ქართული ეროვნული თეატრის ისტორია?**

— გიორგი ერისთავის „გაყრით“.

— **რა გვარი იყო შაჰ-აბას I სარდალი, ალავერდი ხანი?**

— უნდილაძე.

— **ვის შვილიშვილად ასაღებდა თავს შამილი, ქართველები რომ მიემხრო?**

— ერეკლე II-ის.

— **რას უწოდებდნენ ძველად ქართველები ჯაბახანას?**

— იარაღის საწყობს.

— **რუსებმა I მსოფლიო ომის დროს (1915-1918 წლები) ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ნიგალის ხეობაში, რომელიც იმ დროს ბათუმის ოლქში შედიოდა, ქართველები მამაპაპისეული საცხოვრისიდან იძულებით აყარეს და ოსმალეთის გზას გაუყენეს. რა იყო ამის მიზეზი?**

— ინტუიციით ვხვდები, რომ რუსეთს საქართველოს პროვოკაციაზე წამოგება უნდოდა.

— **ირანთან საომრად მიმავალმა რუსმა ჯარისკაცებმა ქართული სოფლები დაარბიეს. ადგილობრივებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და სერიოზული ზიანი მიაყენეს. ამის გამო მეფის რუსეთმა ისევ ქართველები დასაჯა, კავკასიაში რუსული ჯარების წარუმატებლობა დააბრალეს და მთელი ხეობა გადაასახლეს. რა სახელითაა ცნობილი მესამე კოალიციის ბრძოლა, რომელშიც 1805 წელს ნოემბერში, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთის არმიის არიერგარდი — პეტრე ბაგრატიონი და საფრანგეთის არმიის კორპუსი, იოახიმ მიურატის მეთაურობით?**

— შენგრაბენის ბრძოლა.

— **ერთი ძველ, ჩინურ, მათემატიკურ გამოცანასაც გეტყვით და ამით დავასრულოთ. გალიაში არიან — ხოხბები და კურდღლები. მათ ერთად 35 თავი და 94 ფეხი აქვთ. რამდენი ხოხობი და რამდენი კურდღელია გალიაში?**

— (*ფიქრობს*) 23 ხოხობი და 12 კურდღელი, არა?

— **მართალია.**

— მაშინ ერთ მარტივ გამოცანას მეც გეტყვით.

— **ცოტა არ იყოს, შემეშინდა, მაგრამ ბრძანეთ.**

— დავუშვათ, მე მაქვს ათი ჰექტარი მიწა და გავყიდე ხუთი. ასევე მაქვს ათი მეგაბიტი ინფორმაცია და გავყიდე ხუთი. რითი განსხვავდება სიტუაციები ერთმანეთისგან?

— **ათი ჰექტარი მიწიდან ხუთს თუ გაყიდით, დაგრჩებათ ხუთი და ათი მეგაბაიტი ინფორმაციიდან ხუთის გაყიდვის შემთხვევაში, ისევ ათი დაგრჩებათ. გადაგრჩი, ბატონო კახა?**

— კი, გამოიცანი.

— **გმადლობთ.** ■

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ვინ უწევდა სოფი ლორენს კონკურენციას ეგრეთ წოდებულ „ბიუსტების ომში“?
2. იური დოლგორუკის ძეგლი მოსკოვში ქართული რესტორნის, „არაგვის“ გვერდით არის ალმართული დაასრულეთ რესტორნიდან გამოსული შეზარხოშებული მოსკოველების ხუმრობა: „უმნი ჩელავეკ ბილ იური დოლგორუკი, შტო მასკვუ...“
3. ფრანგი კომიკოსის, ლუი დე ფიუნესის ცოლი მოპასანების ნათესავი იყო, მათგან მემკვიდრეობად უზარმაზარი სასახლე მიიღო, რომელსაც 365 ფანჯარა ჰქონდა. რას გაიძახოდა მსახიობი ამ სასახლესთან დაკავშირებით?
4. ზღაპარი „კონკია“ შარლ პეროს დაწერილია. ამ ზღაპარში კეთილი ფერია — კონკიას კაბასა და მდიდრულ კარეტასთან ერთად ბეწვის არშიაშემოვლებულ ფეხსაცმელს აჩუქებს და არა ბროლისას. კონკია დაღლილი იყო და ფერიამაც საგანგებოდ შეურჩია რბილი ფეხსაცმელი. როგორ იქცა ეს ფეხსაცმელი ბროლისად?
5. რას ნიშნავს გამოთქმა „ავგურის ღიმილი“?
6. რამდენი წუთი გაგრძელდა გაგარინის კოსმოსში პირველი ფრენა?
7. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ბავშვობა არის გონების ძილი“?
8. ვისი აგებულია ენგურზე აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარზე არსებული ხიდი?
9. რა არის „ქასქანჯიელი“?
10. რაზე აბრტყელებდა ღვეზლის ცომს პეპი გრძელიწინდა?
11. რა არის „ჭარი“?
12. რა ერქვა ზევსის ფარს?
13. რას ნიშნავს „ქევხა“?

# ანეკდოტები



* * *

ახალი რუსი ტუალეტში ზის და ძალზე სერიოზული საქმით არის დაკავებული.

— შენი აზრით, მე ახლა გონებრივ სამუშაოს ვასრულებ თუ ფიზიკურს? — გასძახა ცოლს.

— რა თქმა უნდა, გონებრივს. აბა, ფიზიკური სამუშაოსთვის ვინმეს დავიქირავებდით.

* * *

ორი ჩუქჩა ტყეში დაიკარგა და გზას ველარ იკვლევს. ერთი ეუბნება მეორეს:

— გაისროლე, იქნებ ხმაზე ვინმე გამოჩნდეს და მოგვეშველოს!

მეორემ გაისროლა... არავინ გამოჩნდა.

— კიდევ გაისროლე!

კიდევ გაისროლა. ისევ არავინ გამოჩენილა.

— კიდევ გაისროლე!

— რაღა გავისროლო, ისრები გამითავდა!

* * *

პოლიციაში რეკავს ვიღაც ქალბატონი:

— ამწუთას ჩემთან შემოიჭრნენ ჭიჭიკია, ბიჭიკია, ანზორია და გაუპატიურებას მიპირებენ. სასწრაფოდ მოდით და მომაშორეთ ანზორია თავიდან.

* * *

სვანმა ქუჩაში ყავარჯნებით მიმავალი კაცი დაინახა:

— გიჭირს, ძმაო, სიარული?

— კი, ძალიან.

— მომეცი, მაგ ჯოხებს მე წამოგიღებ.

* * *

— სიმამრო, როგორა ხარ? — ეკითხება მიხო.

— აბა, როგორ ვიქნები?! საჭმელი არაფერი იშოვება და ამ პომიდვრის ჭამისგან უკან ჩითილი ამომივიდა.

— სარზე არ დაღონდე, მე მოგცემ! — ხითხითებს მიხო.

* * *

— იცი, ჩვენი ქალიშვილის ხელი ერთდროულად ორმა კაცმა, ინჟინერმა და ჟურნალისტმა გვთხოვა.

— რომელს გაუღიმა ბედმა?

— ინჟინერს! ჩვენი შვილი ჟურნალისტს გაჰყვა ცოლად.

* * *

ქუთაისელს საბაჟოზე ჩემოდანს უჩხრეკენ.

— ხომ იცი, სპირტიანი სასმელების შემოტანა არ შეიძლება.

— ვიცი, ბატონო!

— ამ ბოთლში რა არის?

— წმინდა წყალია, იერუსალიმიდან მომაქვს.

შეამოწმეს და კონიაკი აღმოჩნდა.

— მოხდა სასწაული! — თვალები ზე აღაპყრო ქუთაისელმა, — წყალი კონიაკად იქცა! ჭეშმარიტად სასწაულების ქალაქია იერუსალიმი!



* * *

ქმარი სახლში დაბრუნდა, ხედავს მისი ცოლი საყვარელთან წევს. ქმარი გაოგნებულია:

— კარგი, ჯანდაბას, მე ქმარი ვარ, მაგრამ შენ ვინლა გაძალებს?!

* * *

— რატომ არ გადაარჩინეთ თქვენი ცოლი დახრჩობას?

— მე რა ვიცოდი, თუ იხრჩობოდა!.. ყვიროდა, როგორც ყოველთვის!

* * *

ცოლი ლანძღავს ქმარს:

— ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა გადაეჩვიო სმას?!

— რა ვქნა, ნებისყოფა არ მყოფნის.

— წელიწად-ნახევარი ცოლთან რომ არ დაწვე, მაგის ნებისყოფა ხომ გყოფნის.

* * *

მატარებლის რესტორნიდან გამოსული სვანი საკუთარ კუპეს ვეღარ პოულობს.

— რამე ნიშანი არ გახსოვთ? — ეკითხება გამცილებელი.

— როგორ არა, ფანჯრიდან ტყე მოჩანდა.

* * *

— ალო, თუ შეიძლება, ზოიას სთხოვეთ!

— ვთხოვე, მაგრამ არ მომცა!

— თქვენ ვერ გამიგეთ, ტელეფონთან სთხოვეთ.

— ტელეფონთანაც ვთხოვე, მაცივართანაც და ტელევიზორთანაც, ახლა არაბულ ტახტზე ვეხვეწები, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უარზეა!..

* * *

სვანს თავის მოკვლა უნდა და მანქანას ბორბლებქვეშ შეუვარდება — არ მოკვდება; მეორე მანქანას შეუვარდება, მაინც არ მოკვდება; მესამესაც შეუვარდება და მაინც ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, მოიფიქრა და მოძრავ მანქანას შეუვარდა ბორბლებქვეშ...

* * *

— ზაქრო, ერთი ნაჯახი გადმომიგდე, რა!

— დაიჭი!.. ხმას რატომ არ იღებ, ბიჭო?!

* * *

— მამა, მათხუე მაშინა, ქორწილში მივდივარ, — ეხვეწება გურული მამას.

— კაი, მარა ფრთხილად იარე, არაფერი მოსწიო, იცოდე.

მეორე დღეს შვილმა მანქანა უკან მოიყვანა. უყურებს მამამისი — მთელი სახურავი ჩიტის სკორეთია დასვრილი.

— სა იყავი, შე კვდარძაღლო გუშინ?

— სა ვიყავი და ქორწილში.

— რომელ ქორწილში, ჩხიკვთა ქორწილში?!.

* * *

მოსაზრება: ორი აგურის დახმარებით, ცუდი ბალერონისგან კარგი საოპერო მომღერლის მიღება ძალზე ადვილია.



* * *

სვანმა სამშობიაროდან ცოლი და ახალშეძენილი შვილი გამოიყვანა.

— რა ჰქვია? — ეკითხება მეზობელი.

— არ ვიცი, ათჯერ მაინც ვკითხე და არ მეუბნება.

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ჯინა ლოლობრიჯიდა. „შეიძლება, სოფის ბიუსტი უფრო დიდი იყოს, ოღონდ არა უფრო ლამაზი", — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯინამ.

2. „ვაკრუგ რესტორანა „არა-გვი" პასტროილ".

3. „დღეში თითო ფანჯარას გავწმენდ და კალენდარიც აღარ დამჭირდება".

4. არასწორი თარგმნის შედეგად.

5. ეს გამოთქმა იმ ადამიანთა ღიმილის დასახასიათებლად იხმარება, რომლებიც ერთმანეთს პირში ატყუებენ. ავგურები ფრინველთა ფრენისა და ხმიანობის მიხედვით ღმერთების ნება-სურვილის ამომცნობი ქურუმები იყვნენ ძველ რომში. კატონისა და ციცერონის გადმოცემით, ავგურები მისნობის დროს თვითონ ძლივს იკავებდნენ სიცილს და ეს გამოთქმაც აქედან წარმოიშვა.

6. 108 წუთი.

7. ჟან ჟაკ რუსოს.

8. გერმანელი ტყვეების.

9. „ეშმაკი" და „ქასქანჯიელი" სინონიმებია.

10. იატაკზე.

11. გველის ან ფრინველის ფეხის განაძრობ კანს ჭარი ჰქვია.

12. ეგიდა.

13. „ქევხა" და „მამასახლისი" სინონიმებია.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 7-13 ოქტომბერი

**ვერძი**

უამრავი საქმის მოგვარება მოგიწევთ, მაგრამ თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ. კოლეგებთან სიმკაცრე გამოიჩინეთ.

**კურო**

შესაძლოა ძველი სამსახურის მიტოვებამ და ახლის დაწყებამ მოგიწიოთ. ადამიანებს ბრმად ნუ ენდობით, ყველაფერი კარგად გააანალიზეთ.

**ტყუპი**

შეიცვალეთ იმიჯი. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

**კირჩხიბი**

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. მეტი დრო მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად გაატარეთ. რამდენიმე დღით ქალაქგარეთაც გაემგზავრეთ და დაისვენეთ.

**ლომი**

საკუთარ პირად ცხოვრებას სხვათა გასარჩევს ნუ გახდით. შეეცადეთ, თავად გაუმკლავდეთ პრობლემებს. სამსახურშიც დაუხმარებლად მოაგვარეთ დაგროვილი საქმეები.

**ქალწული**

ემოციურად დაძაბული პერიოდი გელით. ყველაფერი ცივი გონებით გააანალიზეთ.

**სასწორი**

ცოდნის მიღების დროა, რაც მომავალში გამოგადგებათ. დასვენების დღეები შინ გაატარეთ და სამომავლო გეგმები დაისახეთ.

**მორიელი**

განმარტოება მოგინდებათ. ეს დრო საკუთარი საქციელის გაანალიზებას დაუთმეთ. ნუ გამოავლენთ აგრესიას.

**მშვილდოსანი**

ზედმეტი ხარჯისგან თავი შეიკავეთ. ნუ აიღებთ ვალს. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. დასვენების დღეები შინ გაატარეთ.

**თხის რქა**

საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები და ხელშეკრულებების გაფორმება უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ყურადღებით იყავით, შეცდომა არ გაგეპაროთ.

**მერწყული**

რაც უფრო ბუნებრივი იქნებით, გარშემო მყოფები მით მეტად დაგაფასებენ. კარგი პერიოდია ახალი იდეების განსახორციელებლად.

**თევზები**

სამსახურში ყოველდღიური საქმეები მოაგვარეთ. გრძელვადიან პროექტებს ამ კვირაში ნუ წამოიწყებთ. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეებს მიხედეთ.





1. ქალაქი საქართველოში
2. მუზიანათი
3. თხის ჯოგი
4. მუსლიმან ქალთა თავსაბურავი
5. იაპონიის ფულის ერთეული
6. დიდი ქვა
7. საკონდიტრო ნაწარმი
8. ავტორბოლა
9. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
10. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი
11. ქიმიური ელემენტი
12. ჯარი
13 რძის ნაწარმი
14. მემამული შუა აზიაში
15. ერთგვარი ყველი
16. დიდი სიზუსტე
17. პუნების ბელადი
18. ეტიკეტი
19. ვიოლინოს ჯოხი
20. ამერიკის შტატი
21. ქეიფი, დროს ტარება
22. ძალიან ლამაზი ბალი
23. ბრინჯის შეჭამანდი
24. ქვეყანა ჩრდილოეთ ამერიკაში
25. ქართველი პოეტი
26. ხელოვნური ბოჭკო
27. ნაკურთხი წყალი
28. „მიცუბიშის“ მოდელი
29. სურათების ჩასაკრავი რვეული
30. მხარე იმერეთში
31. ძველი ქუთაისი
32. სკანდინავიური თქმულება
33. ქვეყანა აფრიკაში
34. დესპანი
35. ინფორმაციის ერთეული
36. პიტალო კლდე
37. გეომეტრიული სხეული
38. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
39. ცხოველთა შემსწავლელი მეცნიერება
40. მშობელი
41. მომკილი თავთავის კონა
42. იტალიური ავიაკომპანია




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ლამინარია; 2. ამაგი; 3. ნერონი; 4. ურნა; 5. საკე; 6. კანდელაკი; 7. ნიგერია; 8. ქორი; 9. აისი; 10. რაფინადი; 11. ანკარა; 12. გამაში; 13. გულრიფში; 14. ორბიტა; 15. ალამი; 16. ალადინი; 17. მიმინო; 18. ნაძალადევი; 19. ანანასი; 20. მილედი; 21. სიდრი; 22. შარაძე; 23. მაია; 24. ლაზიკა; 25. ბომონდი; 26. ტრამალი; 27. კიკინი; 28. წალდი; 29. ტლაპო; 30. ძნა; 31. მაიორი; 32. ინდიანა; 33. ლიმა; 34. სიო; 35. ანდორა; 36. კვამლი; 37. თიკუნი; 38. წიხლი.
**სურათებზე:** 1. ლინდა ფიორენტინო; 2. კოლინ ფარელი.

# საფირმო კროსვორდი



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. მერაბ ბერძენიშვილის მშობლიური კუთხე; **ზ**. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; **ა**. ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **გ**. ქალაქი შოტლანდიაში; **ა**. ცელქი, მოუსვენარი; **რ**. მდინარე გერმანიაში; **თ**. უროს მცემელი სამჭედლოში; **ო**. ძვირფასი ლითონი; **ბ**. ქალაქის, სიმაგრის ან არმიის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; **ი**. კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი; **ს**. ჩეხი კომპოზიტორი; **ს**. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **ა**. დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **უ**. უუნარო, უგერგილო, მოუხერხებელი; **კ**. ცხენის რძე; **ე**. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **თ**. თავის ქალის ზედა ნაწილი; **ე**. რა ერქვა ჩე გევარას; **ს**. სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ო**. კანადის დედაქალაქი; **გ**. მოკლე (უვადო) ხმალი; **ა**. ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული მზის სხივი; **რ**. ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება; **ა**. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ნ**. აშშ-ის შტატი, სადაც მდებარეობს ქალაქი ლას-ვეგასი; **ტ**. ქართული საწებელი; **ი**. ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ა**. მზის ამოსვლა; **ა**. ძველეგვიპტური ღმერთი, რომლის შვილადაც აცხადებდა თავს ალექსანდრე მაკედონელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ**. გოპაკი; **ზ**. ზვავი; **ა**. არტალა; **ვ**. ვაიმარი; **ი**. იხვი; **ს**. სესია; **თ**. თუნგი; **ვ**. ვაუჩერი; **ი**. იორდანე; **ს**. საცივი; **ა**. არმადა; **ო**. ოლოლო; **დ**. დოინჯი; **ა**. ასთმა; **მ**. მახათი; **კ**. კრონოსი; **ი**. იავა; **თ**. თოდაძე; **ხ**. ხვადაგი; **ვ**. ვენდეტა; **ე**. ერუდიტი; **ლ**. ლურჯა; **ი**. ინცესტი; **ს**. სიდნეი; **თ**. თიანეთი; **ვ**. ვაიკულე; **ი**. ისთვუდი; **ს**. სოხაძე; **ა**. აბორტი; **ო**. ოსვალდი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

**პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვ**

# იაპონური სენსაცია

# სუდოკუ

„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 3 | 1 | 8 | 9 | 7 | 4 | 5 | 6 |
| 5 | 4 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 7 | 9 |
| 4 | 8 | 2 | 1 | 5 | 6 | 7 | 9 | 3 |
| 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 9 | 1 | 4 | 5 |
| 9 | 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 8 | 6 | 2 |
| 8 | 9 | 6 | 7 | 2 | 1 | 5 | 3 | 4 |
| 3 | 5 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 4 | 3 | 6 | 5 | 9 | 8 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 9 | 2 | 3 | 8 | 5 | 7 | 1 |
| 2 | 1 | 3 | 7 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 9 | 1 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 8 | 7 | 2 | 6 | 9 | 3 | 1 | 5 | 4 |
| 9 | 5 | 1 | 8 | 4 | 7 | 6 | 2 | 3 |
| 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 5 | 8 | 9 | 7 |
| 1 | 3 | 6 | 4 | 7 | 9 | 2 | 8 | 5 |
| 7 | 2 | 8 | 5 | 6 | 1 | 4 | 3 | 9 |
| 4 | 9 | 5 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 5 | 8 | 1 | 7 | 2 | 6 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 7 | 6 | 9 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 7 | 8 | 9 | 2 |
| 2 | 8 | 1 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 6 |
| 8 | 7 | 2 | 3 | 9 | 1 | 4 | 6 | 5 |
| 9 | 1 | 4 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 8 |
| 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 | 7 | 1 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 5 | | 2 | | 3 | |
| 1 | | 6 | | 7 | | | 2 | 4 |
| 8 | | | 3 | | | 1 | | |
| | 5 | | | 8 | | | | 2 |
| | 6 | 2 | 9 | | 3 | 8 | 1 | |
| 3 | | | 2 | | | | 4 | |
| | | 8 | | | 7 | | | 3 |
| 6 | 9 | | | 2 | | 7 | | 1 |
| | 7 | | 1 | | 8 | | | 6 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | 2 | | |
| | 3 | | 8 | | | 5 | | |
| | 6 | | | 5 | | 9 | | |
| | | 2 | 5 | | 4 | | | 3 |
| 6 | | | | 7 | | | | 1 |
| 9 | | | 3 | | | 4 | | |
| | | 6 | | 9 | | | 7 | |
| | | 5 | | | 3 | | 2 | |
| | | 9 | | | 5 | | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | 8 | | | 5 |
| 1 | | | | 4 | | 9 | | |
| | 8 | | 5 | 6 | | 3 | | |
| | | 8 | | | | | | 7 |
| | | | | | 6 | | | |
| 3 | | | 4 | | | 2 | | |
| | | 1 | | 3 | 4 | | 5 | |
| | | 6 | | 7 | | | | 8 |
| 9 | | | 8 | | | 4 | | |

# ფოტოკურიოზები



















ь 53/38

# თანამედროვე გოგონას ჩანთაში




თუ თქვენთვის უცხო არ არის აქტიური ცხოვრება გადატვირთული სამუშაო გრაფიკით და არანორმალური რიტმით, მაშინ თქვენი განუყრელი მეგობარი უნდა გახდეს პერსენ ფორტე – მცენარეული დამამშვიდებელი საშუალება კატაბალახას, პიტნას და ბარამბოს ოპტიმალური კომბინაციით.
პერსენ ფორტე დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ აქტიური და ჰარმონიული ცხოვრების რიტმი დაძაბულ გარემოშიც კი.

**პერსენ ფორტე თქვენს ჩანთაში და თქვენ აკონტროლებთ სიტუაციას!**

## 1000 დან 3 მიზეზი რატომ უნდა გქონდეთ თან პერსენ ფორტე




გადამწყვეტ პაემანზე: ხართ მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებული




გასაუბრებაზე: თქვენს მომავალ ხელმძღვანელთან ხართ მიზანმიმარ-თული და მობი-ლიზებული




სამსახურში: ხართ აქტიური და მშვენიერ ხასიათზე

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18 ტელ.: 98 27 30; 98 27 50

*პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.*
*გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.*